

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ  
ԿՈՄՍՏԻՊՈԼԻՏԻ  
ԳՐԱԴԱՐԱՆ

Ն  
Յ  
Է  
Ո  
Յ  
Ո

1  
9  
6  
5

ՆՈՒՅՅԻՆ 4



მეთევზეები

მხატვარი გ. თოიძე

# სი ს ვ ა რ ი



## შინაარსი

### თვილან თვეელა

რუსთაველის პრემიის ლაურეატები 4

### კოეზი

გალატონ ტაბიძე — ოქტომბრის სიმფონია. ნაწყვეტი პოემიდან 3

ლადო სულაბერიძე — მემორიალურ დაფაზე წასაწერი 44

ჯორჯ გორდონ ბაირონი — ლექსები 51

### პროზა

თამაზ შილაძე — ვინ ცხოვრობს ვარსკვლავებზე? მოთხრობა 8

გურამ სხირტლაძე — სანამ სასტუმრო „გაზაფხული“ აშენდებოდეს. მოთხრობა 46

ზაზუა ამირეჯიბი, ნოდარ ჩხეიძე, გივი გიგაეჭორი, ვალერიან სულაბაური — მთაო, გადმიშვი... ნარკვევი 56

### სახელოვანი თარიღი

ფილიპე მახარაძე — ლენინი ცხოვრებაში 63

ვლადიმერ გაბუა — ლენინი და ახალგაზრდობა 71

### ეპილოგი

გიორგი ყურაშვილი — მშვიდობის სადარაჯოზე 76

# 4

## აკრილი

# 1965

### გამომცემლობა

„ლიტერატურა და ხელოვნება“

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური უსრნალი

საქართველოს ალკა ც. კ-სა და მწერალთა კავშირის ორგანო

## ლიგარაგურა ლი ქრივიკა

ბაბაპი ბაპრაძე — ერთი რომანის ავ- კარგი	87
დავით თევეზაძე — მიხეილ მრეველი- შვილის შემოქმედება	100
დიმიტრი მირიანაშვილი — შოთა ნიშნინიძის პოეზია	107
დალი კოპანი — „ანე ფრანკის დღიუ- რი“ ქართულად	112

## ხელ ოვნება

ლევან ბონდალი — წარსულის გაკ- ვეთილები	115
---	-----

## მეცნიერება და გეგნიკა

რამაზ პატარიაძე — ჭვირნიშანი და ქრონოლოგია	124
სიმონ ციციშვილი — პოლონეთის საზოგადოებრივი აზრის ისტორიი- დან	133
ოთარ მგელაძე — პუშკინისა და დან- ტესის ღუელის საქმე	136

## ნიგნის თარო

გურამ შარაშადაშვილი — წიგნი და- ვით აღმაშენებელზე	140
დავით გვრიტიშვილი — საინტერე- სო გამოკვლევა	143
ივანე სურგულაძე — სასამართლო სიტყვის შესახებ	149
რამაზ შერაძე — წიგნი პოეტის ცხოვ- რებაზე	154

ყოველი მხრიდან	156
----------------	-----

რედაქტორი კონსტანტინე ლორთქიფანიძე

სარედაქციო კოლეგია:

გურამ გვერდწითელი, კარლო კალაძე, როინ მეტრეველი, გურამ ფანჯი-  
კიძე (პ/მგ მდივანი), გიორგი ცოცოშვილი, ვლადიმერ ჭავჭავანიძე, ვახტანგ ჭელი-  
ძე, სერგი ჭილაია, თამაზ ჭილაძე, ლაშა ჯანაშია.



კოსმოსის გმირები — პავლე ბელიაევი და ალექსი ლეონოვი

## საკვირველება გვესმა ახალი!

საკვირველება გვესმა ახალი:  
ციური ძმები კოსმოსს უტევენ,  
გუგუნებს ზეცის თალი მაღალი,  
დიდი ზეიმის დგება წუთები.

ჰა, ხომადიდან გამოდის კაცი  
და ეჯიბრება ფრენაში მერცხალს.  
მიდიონების ვაშა და ტაში  
თითქოს ფრთებივით შეუდგა ზეცას.

გაოცებული მსოფლიო ხედავს  
საბჭოთა ქვეყნის ნამდიდრ ივაროსს.  
დედასამშობლოვ, დიდება შენდა,  
შენ რა მიღწევა უნდა იკმარო?!

ზაურ ბოლქვაძე

## ბალახვიონ გაბიძე

### ოქტომბრის სიმღონია

ნაწყვეტი პოემიდან

ომით გაპარტახებული,  
აღარ მქონე თმენის,  
მრავალმილიონიანი  
მასა უცდის ლენინს!  
წითელ დროშის ქვეშ  
საომრად მდგარი  
მომსწრე მრავალის დღეების ბნელის,  
ფაბრიკათ რიგი, ქარხნების ჯარი —  
უცდიან ლენინს.  
მილიონობით — დამშუულ რიგებს  
ამაოდ ხელი არ გაუწვდიათ,  
არ მოელიან არვისგან შევლას —  
ლენინს უცდიან.  
რასა ჰგავს ყანა და ფარეხები!  
რამ დაგვიშხამა სიცოცხლის დღენი?  
ღარიბ-ღატაკი სოფლის გლეხები  
უცდიან ლენინს.  
ფრონტიც მზად არის,  
შეატრიალოს ტყვია სიზუსტით  
კლასობრივ მტერზე იერიშისთვის —

ჩვენ ლენინს ვუცდით.  
ეროვნებათა დაჩაგრულთ ბედი,  
ბარიკადები ქუჩების ვრცელის,  
ჩიხში მოქცეულ რუსეთის ბედთან  
უცდიან ლენინს.

ლენინი მოდის!  
პროლეტარიატს ექნება გეზი,  
სად გამოვიდეს, ვისთან და როდის, —  
იმ მატარებლით ქოხთა მშვიდობა  
და სასახლეთა გოდება მოდის!  
ლენინი მოდის!  
მოდის სიკვდილი ბურჟუაზიულ  
ციხე-ბორკილის და ეშაფოტის!  
იმ მატარებლით მოდის ნამგალი,  
იმ მატარებლით ჩაქუჩი მოდის!  
ლენინი მოდის!  
თავისუფლება და ზავი მოდის!  
ამხანაგებო, ლენინი მოდის!  
ლენინი მოდის.



## რუსთაველის პრემიის ლაურეატები

### ირაკლი აბაშიძე

ირაკლი აბაშიძის ლექსების წიგნმა — „პალესტინა, პალესტინა...“ — გამოსვლისთანავე სახალხო აღიარება და სიყვარული მოიპოვა. პოეტმა ოცნებით გადაღვივებულ იერუსალიმის ქართულ მონასტერში, სადაც დიდი შოთას ნაკვალევი წყდება; გვესმის მონასტრის ყრუ კედლებში დაგუბებული გრძნეული ხმები — სამშობლოს სადიდებლად წარმოთქმული საგალობლები. ირაკლი აბაშიძის უმნიშვნელოვანესი შემოქმედებითი გამარჯვება სწორედ ის არის, რომ მან მძლავრი პოეტური ფანტაზიით გააცოცხლა რუსთაველის სახე, გვამცნო უტყუარეში გადახვეწილი გენიოსის იღუმალი ფიქრები, მისი დარდი და სიხარული; სამშობლოს ბედთან სამუდამოდ გადაჯაჭვული უკვდავი გულის ფეთქვა გვაგრძნობინა. სწორედ განსაკუთრებულ ღირსებათა გამო იყო, რომ ცნობილი ქართველი კრიტიკოსი ლავროსი კალანდაძე ამ წიგნს ასეთ შეფასებას აძლევდა „...რა ლამაზი, რა შთა-

გონებულო ხილვა: სადღაც შორეული პალესტინის სანახებში, კიდევ უფრო შორეული წარსულიდან — შვიდი საუკუნის გადაღმიდან გაიგონოთ დროისა და სივრცის უხილავ ნაკეცებში შენახული ხმა დიდი წინაპრისა, ხმა იმდენად მშობლიური და იმდენი ადამიანური გზნებითა და ტკივილებით სავსე, რომ შეიძლება მთელი თაობის აღსარებადაც კი აქდერდეს.“

ამ პატარა მოცულობის კრებულში ირაკლი აბაშიძემ მოახერხა პოეტურ სამოსელში გადმოეცა არსი რუსთაველის შემოქმედებისა; უჩვეულო ცხოველყოფელობით გადმოგვიშალა სულიერი სამყარო ტიტანური ადამიანის, ვისთვისაც ერთადერთი ღმერთი პოეზია იყო და ვისაც დიდი სიყვარული აცოცხლებდა:

თუ ცოცხალ ვიყავ,  
თუ რამ ძალა  
მწამდა მოწყალის,  
თუ მწამდა ლხინი,

მწამდა ცრემლი  
ნიაღვარული, —  
მე სიყვარულით,  
სიყვარულით  
ვიყავ ცოცხალი,  
ჩემს სუნთქვას ვრქვა  
სიყვარული,  
გულს — სიყვარული.

კრებული „პალესტინა, პალესტინა...“  
თანამედროვე ქართული პოეტური  
კულტურის თვალსაზრისითაც საუკუნე  
თესო მიღწევაა და ამ წიგნისათვის რუს-  
თაველის პრემიის მინიჭება დღევანდელ  
ქართული პოეზიის დიდი შეფასე-  
ბაც არის.

## კონსტანტინე გამსახურდია

ორმოცდაათ წელზე მეტია, რაც კონსტანტინე გამსახურდია უანგაროდ გამსახურება მშობლიურ ლიტერატურას.

XX საუკუნის ქართული პროზის განვითარების გზა ნათლად არის აღბეჭდილი მთელს მის მდიდარსა და მრავალმხრივ შემოქმედებაში.

კ. გამსახურდია ერთი იმათგანია, ვინც უდიდესი წვლილი შეიტანა ახალი ქართული ლიტერატურის შექმნის საქმეში, გამოატარა იგი ძნელ გზაზე და დიდ გამარჯვებამდე მიიყვანა.

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი ისტორიულ რომანებს უკავია. ჩვენს ერის შორეული წარსულის მესაიდუმლე საუკუნეთა ბინდში ეძებს ქართულ შემოქმედებთ გენიას, ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრივი შეგნების საწყისებს და მხატვრულად წარმოსახავს მას... იგი უმღერის მათ, ვინც უკვდავება თავისი ხალხისა და სამშობლოს წინაშე ვალის მოხდით დაიმკვიდრა.

რომანი „დავით აღმაშენებელი“ ჩვენი ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე უფრო გმირულსა და რთულ ეპოქას მოიცავს. მწერალმა შექმნა მონუმენტური ნაწარმოები, რომელშიც გადაიტანა თანამედროვეობის ტემპერამენტი და მსოფლმხედველობა, აგვიწერა ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნის უაღრესად ძნელი და წინააღმდეგობებით სავსე ხანა. მან მოქმედება საქართველოს მიღმა ვანავრცო და მაშინდელი მსოფლიოს თითქმის ყველა მნიშვნელოვან მოვლენაზე შეაჩე-

რა ყურადღება, რათა დამაჯერებლად და სრულად მოეცა ისტორიული განვითარების ობიექტური სურათი. მწერალმა შექმნა პერსონაჟთა მთელი გალერეა, დაგვიხატა საქართველოს გამაერთიანებლის დავით აღმაშენებლის შეუდრეკი, ძლიერი და უაღრესად რთული ფსიქოლოგიის მქონე ხასიათი და პორტრეტი, მის თანამოსაგრეთა და მტრების კოლორიტული სახეები. გარდა ამისა, მან შექმნა პორტრეტი მაშინდელი მაჰმადიანური და ჯვაროსნული სამყაროს თითქმის ყველა შესამჩნევი მოღვაწისა, დაუკავშირა ერთმანეთს მათი მოქმედება. მათი პოლიტიკური თუ პირადი ცხოვრების გზები და შექმნა ვეება პანორამა, რომელზედაც ნათლად ჩანს XI—XII სს. მსოფლიოს ისტორიული სინამდვილე.

ამასთან ერთად, მწერალმა ჩვეული ოსტატობით დაგვიხატა უაღრესად ფაქიზი და პოეტური ურთიერთობები, ადამიანური ვნებები, დიდი სიყვარულის სიხარული და სევდა. მოგვითხრო თავისი გმირების უბედობისა თუ გამარჯვებათა ამბავი.

ქართველმა საზოგადოებრიობამ მაღალი შეფასება მისცა ღვაწლმოსილი მწერლის ისტორიულ რომანს და „დავით აღმაშენებლის“ ავტორს ამაწლის თებერვლის თვეში შოთა რუსთაველის სახელობის პრემია მიენიჭა, რითაც აღინიშნა ის ადგილი და მნიშვნელობა, რაც კ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებელს“ ქართული კულტურის საგანძურში ეკუთვნის.





ხალხის საყვარელი მხატვრის — ლადო გუდიაშვილის ყალმის შედეგების მნახველი დიდი ხელოვნებისადმი თაყვანისცემის გრძნობით იმსჯელებო.

„აქ, მხატვრის ბინაში, მზის თვალი ტრიალებსო“, — თქვა ამერიკელმა მწერალმა ჯონ აბდაიკმა ლ. გუდიაშვილის სახელოსნოს დათვალიერების შემდეგ. ამ სიტყვების გამეორება თამამად შეუძლია ყველას, ვინც გუდიაშვილის შემოქმედებით აღტაცებულა.

მხატვარს მართლაც რომ ზღაპრული სამყარო შეუქმნია, მისი სურათი ამა თუ იმ ზღაპრის კონკრეტულ ილუსტრაციას კი არ წარმოადგენს, არამედ ზოგადად ქართული ზღაპრის სულს გადმოსცემს. ვერ ვიტყვით, რომელ ზღაპარში გვხვდება გუდიაშვილისეული „დედო მაცრიონი“ ან „სამო ტვირთი“. მაგრამ, ცხადია, ამ სურათებში ქართული ზღაპრების სამყაროა გაცოცხლებული.

ფანტასტიკური სურათების გვერდით გუდიაშვილი თანამედროვეობის ამსახველ ტილოებს ქმნის, საიდანაც მკაფიოდ ისმის შრომის დიადი სიმფონია და ახალგაზრდობის მგზნებარე სიმღერები. მისი ყოველი მონახაზი მწყობრ შინაგან რიტმს ექვემდებარება და ალბათ ამიტომაც სცადეს ჩვენმა კომპოზიტორებმა გუდიაშვილის სურათების მოტივებზე მუსიკის შექმნა.

გრაფიკულ ნამუშევრებში ჩაქსოვილმა ღრმა აზრებმა და ფერწერულ ტილოებზე ასახულმა მრავალფეროვანმა სიუჟეტებმა არ შეიძლება მაცურებელი განცვიფრებაში არ მოიყვანოს.

მის შემოქმედებაში უძველესი ქართული ფრესკების ოდნავ წარმართუ-

ლი იერი შესანიშნავად ერწყმის ძველი თბილისის განუმეორებელ ქალაქურ კოლორიტს. ზღაპრული ნიაშობის გამოსახულებათა გვერდით ნახავთ თანამედროვე მშრომელი გოგონების პორტრეტებს. გოიას კაპრიჩოსების მსგავსი გროტესკული კომპარული სახეების მეზობლად წარმოდგენილია ანტიიმპერიალისტური გრაფიკული ნამუშევრების სერია.

პარიზის პერიოდიდან (1919 — 1925 წ. წ.) მოყოლებული დღემდე ლადო გუდიაშვილი ყოველთვის თავისებურად, ორიგინალურად ასახავს მხატვრისთვის საყურადღებო მოვლენებს, მის ნაზრევსა და შთაბეჭდილებებს.

თუ პირველი პერიოდის ნამუშევრებში მუქი ტონები ჭარბობს, ამჟამად მხატვარი უფრო და უფრო ნათელ ფერებს ახამებს, რათა უმღეროს „გაზაფხულს“, სიცოცხლით სავსე „მეჩაიე ქალიშვილებს“, „დედაშვილობის“ უკვდავ გრძნობას თუ „კოლმეურნე ქალებს“.

გაოცებას იწვევს უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში შექმნილი სურათების დიდი რაოდენობა და თემატიკური მრავალფეროვნება. გაოცებას იწვევს ის ახალგაზრდული ენერგია, რომელიც მსცოვან მხატვარს ყოველ ხაზსა თუ ფერში ჩაუქსოვია. ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ ლადო გუდიაშვილი ერთგულად ემსახურება ჩვენს დიად ხელოვნებას და ასახავს ჩვენს სინამდვილეს.

სწორედ ამ სურათების გამო დიმსახურა ჩვენმა სახალხო მხატვარმა მაღალი ჯილდო — შოთა რუსთაველის სახელობის პრემია.

ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია დიდად გაახარა ცნობამ, რომ ჩვენი ეროვნული ჯილდო, რუსთაველის პრემია ქართული კულტურის სამ გამოჩენილ მოღვაწესთან ერთად ახალგაზრდა მოქანდაკემ ელგუჯა ამაშუკელმაც მიიღო.

ეს ჯილდო ბრწყინვალე შეფასება იმ დამატული შემოქმედებითი მუშაობისა, რასაც ნიჭიერი მოქანდაკე წლების მანძილზე ეწევა. მის მიერ შექმნილი თითქმის ყველა ნაწარმოები ეროვნული იერით არის აღბეჭდილი, რაშიც, პირველ ყოვლისა, ძველი ქართული ხუროთმოძღვრებისა და ქართული ფრესკის ღრმა ცოდნა უწყობს ხელს.


ელგუჯა ამაშუკელის, როგორც ხელოვანის თავისებურება და შესაძლებლობანი ყველაზე სრულად თბილისის 1500 წლისთავის საზეიმო დღეებში გამოვლინდა. თბილისის შემოსასვლელებთან სწორედ ამ სახელოვანი იუბილეს დღეებში აღიმართა თეთრი ობესკები, რომლებსაც ელგუჯა ამაშუკელის მიერ ოსტატურად მოფიქრებული და შესრულებული კომპოზიციები ამშვენებს. სწორედ მაშინ დაამარჯვრეს რუსთაველის პროსპექტის თავში ბრინჯაოს დიდი მედალიონი.


ბევრისმთქმელი იყო ის ამბავი, რომ ვახტანგ გორგასალის ძეგლზე გამოცხადებულ კონკურსში მრავალ კარგად შესრულებულ პროექტს შორის ელგუჯა ამაშუკელის პროექტმა გაი-

მარჯვა. მოქანდაკემ ხელშესახებად წარმოგვიდგინა ლეგენდარული მეფე და უბედლო რაინდი. გვჯერა, რომ თავის ბედაურზე ამხედრებული, იგი ასე მეფურად აღმართულ მარჯვენით მოადგებოდა თბილისის შემოგარენს და იქ ახალი სატახტოს დაარსებას ბრძანებდა. გორგასალის სახე და მთელი მისი ფიგურა უტეხ ნებისყოფას, დიდ ფიზიკურ და შინაგან ძალას გამოხატავს.

ყველაზე დიდი და დამსახურებული გამარჯვება ელგუჯა ამაშუკელს მაინც მისმა „ქართველის დედამ“ მოუპოვა. ამ ნაწარმოებისათვის მიენიჭა მას აღნიშნული ჯილდო. „ქართლის დედაში“ ჰარმონიულად არის შერწყმული სისადავე და მონუმენტურობა, რაც ყველა ჭეშმარიტი ქანდაკების საუკეთესო თვისებაა. ქანდაკებაში ზუსტად არის გამოკვეთილი ისტორიული სახე და ხასიათი ქართველი დედისა, ცალ ხელში მახვილი, ხოლო მეორეში — ფიალა რომ უჭირავს. ნარიყალას ნანგრევის გვერდით ოდნავ თავდახრილი სილუეტი უსაზღვროდ ახლობელი და საყვარელი გახდა ჩვენი ხალხისათვის, რადგან მასში ქართველი ერის ისტორიასა და სულიერ სიწმინდეს ვხედავთ.

ვფიქრობთ, ასევე გამარჯვებით დავვირგვინდება ელგუჯა ამაშუკელის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და რთული მიზანი — ქანდაკებაში გააცოცხლოს დიდი რუსთაველის სახე.





ამთხრობა

1

ელისო აქამდე ჩუმად იჯდა, გადაბეჭდილ გვერდებს კითხულობდა, ახლა ქაღალდები მუხლებზე დაიწყო და ლევანს შეატყერდა.

— ასე აღარ შემიძლია, — თქვა მან დაძაბული, აცანცახებული ხმით. თან თითქოს ლევანის გაკვირვებას ელოდა, რომ უცებ აფეთქებულიყო. ლევანს კი ხმა არ ამოუღია.

— არ გესმის? — ჰკითხა ელისომ ჩუმად.

ლევანმა ბეჭდვა შეწყვიტა, სიგარეტს მოუკიდა.

— გაიგე?

— გავიგე, — უპასუხა ლევანმა, — გავიგე...

— რა გაიგე? შენ გგონია, მე ვერაფერს ვხედავ?..

— რას?

— ყველაფერს ვხედავ!

— კარგი...

— შენ გგონია, ბრმა ვარ? ისევ მარი! ღმერთო ჩემო, ისევ ის მარი!

— რა გაყვირებს?

ლევანმა ისე გაიკვირვა, თითქოს მხოლოდ ახლა გაიგონა ელისოს ხმა.

— ყრუ! — თქვა ელისომ. ცოტა

ხნის შემდეგ ისევ გაიმეორა, — ყრუ!

— ჰო, — უაზროდ დაეთანხმა ლევანი.

— შენ ჰქუას ვერასოდეს ვერ ისწავლი!

— ვერ ვისწავლი...

— ბავშვი რომ აღარა ხარ, ვერ გაიგე?

— ვერა!

გულწრფელად უპასუხა. რატომ ფიქრობდნენ, რომ რაც მას მოსწონდა, ბავშვობა იყო?

— ელისო, შენ ჩემი ცოლი ხარ!

— მერე? მერე რა, რომ შენი ცოლი ვარ?

— არაფერი...

— იქნება ფიქრობ, რადგან შენი ცოლი ვარ, უნდა გავჩუმდე? იქნებ გიკვირს კიდევ, რაღაცას რომ ვამბობ?

ელისომ ქალღმერთის საჭრელი დანა აიღო და მაგიდას დაჰკრა.

— გავჩუმდეთ? კარგი, გავჩუმდები... მაშინაც ხომ გავჩუმდი? — მერე წამოდგა და თქვა: — გვეყოფა ჩხუბი, გველოდებიან!

— მე არ ვჩხუბობ! — უთხრა ლევანმა.

ელისომ ქალღმერთი მაგიდაზე დააწყო, მერე ოთახში გავიდა, ლევანს თეთრი პერანგი და ყელსახვევი გამოუტანა, სკამზე დაუწყო და უთხრა:

— ჩაიცვი... დაგვაგვიანდა!

## 2

მზიას სტუმრებიდან ლევანი თითქმის ყველას იცნობდა. აქ იყვნენ არქიტექტორი ნიკა, მხატვარი გოგი, მუსიკოსი გოჩა, ნიკას ცოლი — თინა. მათ გარდა კიდევ სამი გოგო იყო, რომელთაც ლევანი არ იცნობდა. ეს გოგოები ცალკე ისხდნენ ოთახის კუთხეში. თავი გამოქვეყნებდნენ ეჭირათ. ხმადაბლა, მოკლე-მოკლე ფრაზებით საუბრობდნენ, ისე რომ ერთმანეთს არ უყურებდნენ და დანარჩენებს კი თვალმოუცილებლად შესცქეროდნენ. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ყველას სათითაოდ ჭორავდნენ. ყოველ შემთხვევაში, ლევანს ასე მოეჩვენა. ჯერ გაეღიმა, ცოტა ხნის შემდეგ კი უხერხულად შეიშმუშნა, ეგონა, ვიტრინაში იდგა მანეკენით და ის გოგოები გულდასმით ათვალიერებდნენ. მერე მზიამ ლევანს ხელი მოჰკიდა და გოგოებთან მიიყვანა.

— გაიცანით, ეს ლევან სიხარულიძე!

გოგოებმა თავი დაუქნიეს. ლევანმა გოგოებს გაუღიმა, გაიხუმრა კიდევ, მაგრამ გოგოები არ აპყვენენ. მზია წავიდა და ლევანი გოგოებს შეატოვა. ლევანმა მაშინვე თავის დასწინის ერთადერთ საშუალებას მიმართა — სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

მერე ლევანმა ელისოს გამამხნევებელი მზერა დაიჭირა.

„თამამა! — ეძახდა თითქოს ელისო, — თამამა!“

„სახელი მარტო წიგნით არ გეძინებოდა, — იტყოდა ხოლმე ხუმრობით ელისო, — ნახევარზე მეტს გოგოები აკეთებენ!“

„ლენა! ნანა! ლოლა!“ — ლევანმა გუნებაში გოგოების სახელები გაიმეორა.

— ლოლა! — თქვა მან ხმამაღლა. ეს სახელი მისთვის შედარებით უცხო იყო.

— ბატონო? — შეაკერდა ქერა, ჭორფლიანი გოგონა.

— არაფერი, — უპასუხა ლევანმა და ისევ გაიღიმა.

გოგოებმა ერთმანეთს გადახედეს.

„ველური ხარ, — ეუბნებოდა ხოლმე ელისო ლევანს, — ნამდვილი ველური! არ იცი, ვის როგორ უნდა ელაპარაკო.“

ლევანმა ელისოს გახედა. ელისო ნიკასა და გოგის შუა იჯდა და კისკისებდა.

— ვერიკოსთან იყავი? — ჰკითხა ლოლამ ნანას, ისე რომ ლევანისთვის თვალი არ მოუშორებია, თითქოს ეშინოდა, ლევანი უცნაურ რამეს გააკეთებდნენ და გამომჩნებოდა.

— არა, — უპასუხა ნანამ.

— ვერიკო ქუჩაში შემხვდა, — თქვა ლენამ.

მერე ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

ლევანს რატომღაც კურდღლები გაახსენდა. თეთრი, ფაფუკი, ყურდაცქვეტილი. გოგოები კურდღლებით ისხდნენ და თვალს არ აშორებდნენ.

— რა გითხრა? — ჰკითხა ლოლამ ლენას.

— ვინ?

— ვერიკომ.

„შენ ნამდვილი დათვი ხარ, — ეტყოდა ხოლმე ელისო, — მოუქნელი, ტლანჭი. სანთლისა მანაც იყო, ხელახლა ჩამოგქნილი!“

„ნეტავ რად ჩამოგქნიდა? ალბათ კურდღლად!“

თამაზ ჭილაძე

ვინ ცხოვრობს ვარსკვლავებზე?

ლევანს გაეღიმა.  
— თქვენ სად სწავლობთ? — ჰკითხა გოგოებს.

— ბატონო?  
— სად სწავლობთ-მეთქი?  
ახლა კი სითამამე ნამღვილად დაუბრუნდა.

— მე თეატრალურზე, — თქვა ლოლა.

— თქვენ? — ჰკითხა ლევანმა ნანას.  
— მე? — ნანამ გაიკვირვა და ამხანაგებს გადახედა, თითქოს უნდოდა ეთქვა, როგორ არ იცითო.

— დიახ, თქვენ!  
— ნანა კინომსახიობია, — უპასუხა ლევანს, — არ იცით?

— არსად არ სწავლობთ?  
— არა, — უპასუხა ნანას მაგივრად ლევანს.

— თქვენ მარტო მოთხრობებს წერთ? — ჰკითხა ლევანს ლოლამ.

— დიახ.  
— ლექსები არ დაგიწერიათ?  
„მირვეენი!“  
— არა.  
— აჰა!

ლევანი ლოლას დააკვირდა. ზემო ტუჩი წინ გამობურცოდა. დიდი, ლურჯი თვალები ისე უბრწყინავდა, თითქოს შიგნიდან გაენათებინოთ. ჭორფლი უხდებოდა კიდევ.

— გინდათ, მე ვიტყვი ლექსს, — თქვა ლევანს, — ოღონდ გერმანულად.

გოგოებმა ლევანს შეხედეს და ლევანს ლექსის კითხვა დაიწყო, თან ლევანს თვალს არ აშორებდა. კარგად კითხულობდა, ეტყობოდა, ესმოდა, რასაც ამბობდა. უმრავლესობა ლექსს ისე კითხულობს, თითქოს გაკვეთილს ჰყვებოდა. ჰგონიათ, რომ ლექსი უსათუოდ სხვანაირად, ამაღლებულად უნდა წაიკითხო.

ლევანს კითხვა დაამთავრა და ლევანს ჰკითხა:

— ვისია?  
ლევანმა ხილოები გაშალა:  
— მე გერმანული არ ვიცი.  
— ეს რილკეს ლექსი იყო, — თქვა ლევანს.

— სამწუხაროდ, გერმანული არ ვიცი, — გაიმეორა ისევ ლევანმა.  
ამ დროს მზიაც მოვიდა:

— მოკალით? — ჰკითხა გოგოებს ღიმილით და ლევანს მხარზე ხელი დაადო.

— წელს სულ სხვანაირი გამოფენა გაქვს, — შესცინა მზიას ლევანს.

— რა თქვი?  
— შარშან ფიზიკოსები და ფეხბურთელები გყავდა, წელს — არქიტექტორები, მხატვრები და მწერლები.

— რას იზამ, მოდაა!  
მზიამ თითქოს იხუმრა, მაგრამ ნამღვილად ალბათ უხაროდა, რომ მის სახლში მოდის მიხედვით ცვლიდნენ ერთმანეთს ფეხბურთელები, ფიზიკოსები და მწერლები.

— ასე ვისხდეთ? — ჰკითხა ლოლამ მზიას.

— ლევანთან მოგწყინდათ?  
— არა, მაგას არ გეუბნები.  
— ცეკვა გინდა?  
— ჰო.

— ახლავე. ზურგიკო მაგნიტოფონს მოიტანს და ვიცეკვებთ.

— როდის მოვა?  
— ერთი საათია, წასულია.  
— თქვენ თუ ცეკვავთ? — ჰკითხა ლოლამ ლევანს.  
— არა.

— მე გასწავლით! — გამოცოცხლდა უცებ ნანა.

ზუსტად ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქოს ქანდაკებამ ენა აიღვა.

— ნუთუ ელისომ აქამდე არ გასწავლათ? — ჰკითხა ლოლამ და გულუბრყვილო გამომეტყველება მიიღო.

— ვერ მასწავლა.  
— რატომ?  
— ძნელია!

— კარგით ახლა, დაანებეთ თავი, — ისეთი კილოთი თქვა მზიამ, თითქოს მათზე ერთი ოცი წლით მაინც ყოფილიყოს უფროსი.

ამ დროს ოთახში პატარა ბიჭი შემოვიდა. კარი ღიად დატოვა და მერე დიდი ყუთი შემოათრია.

— ხომ გითხარი, არ შემოხვიდე-

მეთქი! — მზიამ იატაკს ფეხი დაჰკრა, —  
ხომ გითხარი!

ბიჭმა არავითარი ყურადღება არ  
მაქცია.

— გიგი!

ბიჭმა მშვიდად ამოალაგა ყუთიდან  
დაშლილი სათამაშო რკინიგზა, პატარა  
ვაგონები, ელმავალი.

— ეს ჩემი ძმაა, — უთხრა მზიამ ლე-  
ვანს, — აი, ასეთი ძმა მყავს!

ლევანი წამოდგა, გიგი თითქოს გან-  
გებ მის საშველად იყო შემოსული.

— კარგი ბიჭია, — თქვა ლევანმა.

გიგისთან მივიდა, ჩაიმუხლა და ჰკით-  
ხა:

— მოგეხმარო?

ბიჭმა თავი დაუქნია.

ლევანი, გიგის მსგავსად, იატაკზე  
დაჯდა და პაწაწინა ვაგონი ხელში  
აიღო.

— ჯერ ეგ დადე, — უთხრა ბიჭმა, —  
ჯერ ლიანდაგი დავაგოთ.

— ისე ვსინჯავდი, — თავი იმართლა  
ლევანმა.

— სათამაშოა, — უთხრა ბიჭმა ამრე-  
ზით, ვითომ დიდი არაფერიო.

მერე ლიანდაგის ნაწილები მიაწოდა:

— ესენი ერთმანეთს გადააბი.

— კარგი.

ცოტა ხანს ჩუმად საქმიანობდნენ,  
მერე ლევანმა ჰკითხა:

— კი მაგრამ, დენი?

— თავისი ბატარია აქვს, — დაამშვი-  
და ბიჭმა.

რკინიგზა ნელ-ნელა დააგეს და ზედ  
მატარებელიც შეაყენეს, მერე გიგომ  
რკინიგზა ბატარიას შეუერთა. ლევანი  
რკინიგზის შუაში მოექცა. პატარა,  
ცისფერი მატარებელი ირგვლივ უვლი-  
და.

მატარებელი!

„ეს როდის იყო? — ფიქრობდა ლე-  
ვანი, — შარშან... შემოდგომაზე“...

ლევანი ნარკვევის დასაწერად ზღვის-  
პირა პატარა დაბაში გააგზავნეს. ამ  
დაბაში თევზის ქარხანა იყო. ლევანს  
სწორედ მეთევზეებზე უნდა დაეწერა  
ნარკვევი. სახლი, რომელშიც ლევანი  
ცხოვრობდა, რკინიგზის ახლოს იდგა,

თითქმის რკინიგზის მიწაყრილთან. მე-  
ზობელ ოთახში მარი ცხოვრობდა. მარ-  
ტაქცია  
ული საავადმყოფოს ექთანი. მატარებელი  
ბელი რომ გაივლიდა, სახლი გუგუნით  
აივსებოდა, ცახცახს დაიწყებდა, თით-  
ქოს თვითონაც აპირებდა საღლაც წას-  
ვლას. რამდენჯერ გაღვიძებია შუალა-  
მისას, მოსჩვენებია, რომ ვაგონში წევს  
და მიდის, თვითონაც არ იცის, სად.  
მარი და ლევანი ერთმანეთს თავიდანვე  
დაუმეგობრდნენ. თუ მარი მორიგე არ  
იყო, ისინი რკინიგზის გაყოლებით  
სეირნობდნენ ხოლმე. რკინიგზის იქით  
ზღვა იწყებოდა, ზღვის პირას დიდი  
ქვები ეყარა.

— შენ არ იცი, — ეუბნებოდა მარი, —  
როგორ გითხრა...

— თქვი!

— აქამდე თითქოს ქვევარში ვცხოვ-  
რობდი... ჰო, ქვევარში!

მარი მაღალი გოგო იყო. წელგამარ-  
თული, ამყი სიარული იცოდა. როცა  
გელაპარაკებოდა, თითქოს შენს იქით  
კიდევ ვიღაც ეგულებოდა და იმასაც  
მიმართავდა.

— ვის ელაპარაკები? — ეკითხებოდა  
ლევანი.

— არავის, — ეღიმებოდა მარის.

## ბ ბ ბ

ტყის პირას ბალახს უკვე სიყვითლე  
შეჰპარვოდა. აქ მზეც იყო. ის თითქოს  
მიწაზე გაწოლილი ტყის სიღრმეში  
იჭვრიტებოდა, შიგ შესვლას კი ვერ  
ბედავდა.

ტყეში სიჩუმე იდგა. მხოლოდ ერთი  
რომელიღაც ჩიტი საღლაც მაღლა, გა-  
რინდებულ კენწეროებში თავდავიწყე-  
ბით უსტვენდა. ჩიტის ეს გაბმული  
სტვენა ტყის სიჩუმეს ღრმასა და საი-  
დუმლოს ხდიდა.

მარი უტეგ გაჩერდა და ზევით აიხე-  
და. მას უცნაური თვალები ჰქონდა,  
თითქოს შიგ მზით გაბრწყინებული  
ყინული დნებოდა.

თამაზ ჭილაძე

ვინ ცხოვრობს ვარსკვლავებზე?

— რა იყო? — შეეკითხა ლევანი.

მარიმ ხელით ჩნიშნა, გაჩუმდით. ლევანი ახლოს მივიდა. მარის არ შემოუხედავს, მაღლა იყურებოდა. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს რაღაცას იხსენებდა, სიმღერის მოტივს, სახელს...

— ცა არ მოჩანს, — თქვა ბოლოს მარიმ, — ვერ დაინახე.

— აგე, ცა! — ლევანმაც აიხედა მაღლა, დარწმუნებულმა, რომ ცას დაინახავდა: რტოებში ცა მართლაც არ მოჩანდა.

— წამო, გავიქცეთ, — უთხრა მარიმ, ლევანს ხელი ჩასჭიდა და ასე ხელი-ხელჩაკიდებულგმა თავდაღმართი ჩაირბინეს.

— აქ დავსხდეთ, — თქვა მარიმ, — აქ მზე!

ბალახზე დასხდნენ. ბალახი თბილი იყო, თითქოს მზე ეს წუთია აქედან წამოდგაო. ლევანი გულაღმა გაწვა და თვალი დახუჭა. საიდანღაც ახლოდან ბავშვების ყრიაშული ისმოდა. ალბათ მდელიოზე ბურთის თამაშობდნენ.

ჩიტი უსტვენდა. თითქოს ამდენ ჩიტში მან ერთმა იცოდა სტვენა.

— დაგეძინა? — ჰკითხა მარიმ ლევანს, — ახლა მიწაზე წოლა არ შეიძლება!

ლევანმა თავი გააქნია, უცებ ხელი მარის ხელს მოუხვდა. მარის ვრილი ხელი ჰქონდა.

— უსტვენს! — თქვა მარიმ.

„რედაქტორს წერილს მივწერ, მივლინების ვაგრძელებას ვთხოვ, — ფიქრობდა ლევანი, — ჰო, ელისოსაც უნდა მივწერო წერილი.“

დიდხანს ჩუმად იყვნენ, ორივე თავისთვის რაღაცას ფიქრობდა.

— ნუთუ მართლა არავინ ცხოვრობს ვარსკვლავებზე? — იკითხა უცებ მარიმ.

— მე მგონი, არავინ. რატომ შეკითხები?

— არავინ! — გაიმეორა მარიმ, — მაშ, მართო დედამიწაზე ცხოვრობს ხალხი?

— ალბათ.

— მე მინდა ვარსკვლავზე ვცხოვრობდე, — ამბობდა მარი, — სინათლე-

ში... და არავინ ჩემზე არ ლაპარაკობდეს... შენ ხომ იცი...

ლევანი მიხვდა, მარი რასაც ვეულობდა ხმობდა:

— ვიცი.

— არა! არავინ არ იცის! მითხარი, რა ვქნა? მართო ხომ არ ვიქნები? მართო! დამანებონ თავი, რა უნდათ?

— ვის?

— ყველას! ყველას! ყველას! ალბათ ჩვენზედაც რას არ ლაპარაკობენ!

— ჩვენზე რა უნდა ილაპარაკონ?

— ეჰ!

„ჩვენზე რა უნდა ილაპარაკონ, რა? ნუთუ მართლა შეიძლება, ჩვენზე რამე ცუდი იფიქროს? ჩვენ ხომ არავის არ ვატყუებთ, არც არავის ვემალებით...“

— ლამაზი გოგო ხარ, ვინმემ რამე რომ იფიქროს, ბუნებრივია, — ლევანმა ხუმრობა სცადა.

— არ მინდა, არა! არ მინდა! მე მაინც ნუ გამაგონებენ!

ცოტა ხანს გაჩუმდა, მერე ჩუმად. აცხატახებული ხმით შეეკითხა:

— მართლა ლამაზი ვარ?

— მართლა.

— ლევან, — წაიჩურჩულა მარიმ.

— რა? — შეეკითხა ლევანი ჩურჩულითვე.

მარიმ არ უპასუხა. მერე ლევანმა უცნაური რამ იგრძნო: თითქოს აქამდე ორივეს ეძინა და ახლა ერთდროულად ამ წუთას გაეღვიძათ. ჩიტის სტვენა, ბავშვების ყრიაშული, მზე და თბილი ბალახი თითქოს უცებ გამოიცვალა, სხვანაირი გახდა, ჩვეულებრივი, ნამდვილი. „მართლაცდა, რას იფიქრებენ, ტყეში და ზღვის პირას სეირნობა, კინოში ერთად სიარული, ხალხს მეტი კი არ უნდა!“

„ელისომ რომ გაიგოს?“ — შეუხტა უცებ გული.

„რა? რა უნდა გაიგოს?“

„აი, ეს...“

„მიტო? მიტოსთანაც სირცხვილია!“

„რატომ?“

„საკვირველია, შენ თვითონ რას იფიქრობდი? ვის დააჯერებ, რომ მართო ვარსკვლავებზე ელაპარაკებოდი.“

— აი, შენ წახვალ, — თქვა მარიმ, — მაინც რამოდენაა დღეამიწა!

ლევანი წამოჯდა.

— აქ მალე აცივდება, — ამბობდა მარი, — შენ არ იცი, აქ როგორ ცივა, ყინავს! — მარის ხმა უცანცაბებდა. მისი ხმაც ახლა გაცილებით ნაცნობი იყო, ვიდრე ორიოდ წუთის წინ. — შენ არ იცი, არ იცი, — განაგრძობდა მარი, — რა ძნელია, როცა მართო ხარ. მიტოს მე ვუყვარვარ. ვიცი, რომ ნამდვილად ვუყვარვარ, მაგრამ... მაგრამ ხალხი მაინც იცინის...

— იცინის?

— ჰო. მიტოს ბათუმში ცოლ-შვილი ჰყავს. მე მისი საყვარელი ვარ, საყვარელი. ღმერთო, როგორ მძულს ეს სიტყვა! რა ვქნა, მითხარი? დღე და ღამე ვმუშაობ, მაინც მართო რომ ვრჩები, მგელივით მინდა ვიყმუვლო. დავჯდე და ვიყმუვლო! რატომ? გეკითხები, რატომ? მე ხომ მონაზონი არა ვარ? მე კი მიტოსთან ყოფნა მიხარია, არადა, მრცხვენია ამხანაგების, ნაცნობების, რა ვიცი... რამდენჯერ გამაგონეს, მარი ღამით კარს ღიად ტოვებსო. ჰო, ვტოვებ, რა მოხდა მერე? შენ არ იცი, ღამით მატარებლები რომ დადიან, ზღვა რომ ღმუის, შეიძლება გაგიყდე! სასაცილოა? ნუთუ მართლა სასაცილოა?

ჩიტი ისევ უსტვენდა. იქნებ მან ფრენა არ იცოდა, იქნებ მართო სტვენა ასწავლა ბუნებამ? ლევანმაც დაუსტვინა, თითქოს იმ ჩიტს შეეხმიანა. ორი ხმა — ჩიტისა და კაცის — ტყის უმშობათში ერთმანეთს დაეჯახა, მერე უნარავ ბაწაწინა მბრწყინავ ნამსხვრევად იქცა, თითქოს ორივე ბროლისა იყო.

— გაზაფხულამდე აქ თოვლი დევს... და სიჩუმეა, — ამბობდა მარი, — ზღვაც ხმას არ იღებს, მართო მატარებლები დადიან.

მერე ჩუმად დაუმატა:

— ადგილკომის კრებაზეც დამიძახებს.

— მერე, გეთქვა იქ ყველაფერი!

— რა? რომ ზღვა ღმუის და მატა-

რებლები მიდიან? არა. ვიდექი და ვტიროდი...

ისინი უკან პატარა ბილიკით რუნდნენ. მიწაზე გამხმარი ხავსი ეფინა. აქ ჩიტის სტვენა აღარ ისმოდა. ისეთი სიჩუმე იდგა, თითქოს ამქვეყნად სხვა აღარაფერი იყო, ამ ტყისა და სიჩუმის გარდა.

— რაზე ფიქრობ? — ჰკითხა მარიმ ლევანს.

— არაფერზე.

— რა სულელი ვარ, არა? — მარიმ გაუღიმა, — რას ვლაპარაკობ!

მერე ჩიტის ხმა ისევ გაიგონეს, ძალიან შორიდან.

### 3

— გვაჩერო? — ჰკითხა გიგომ.

— როგორც გინდა.

თურმე ამდენ ხანს გიგისაც ვლაპარაკებოდა. ფიქრობდა და ლაპარაკობდა კიდეც. საკვირველია.

ლევანმა ოთახს თვალი მოავლო. მაგნიტოფონი უკვე მოეტანათ. ცეკვაუნდენ კიდეც. ელისო ნიკასთან ცეკვაუნდა. ლევანს ახლოს რომ ჩაუარეს, ელისომ დაუძახა:

— ლევან!

ლევანმა იგრძნო, რომ ეს უფრო გაფრთხილება იყო, ვიდრე უბრალო შეხმიანება.

„გამოფხიზლდი, — ეუბნებოდა ელისო, — რა დაგემართა?“

— რას აკეთებ? — ჰკითხა ღიმილით ელისომ.

— ვთამაშობ, — ლევანმა უხერხულად გაიღიმა, რატომღაც ნიკასი შერცხვა. იქნებ იმიტომაც, რომ იატაკზე იჯდა და ქვემოდან შესცქეროდა.

— თამაშობს, — გაიმეორა ელისომ და იმწამსვე თვალს მიეფარა.

— ახლა მამა მოვა და მიმტყეპავს, — თქვა გიგომ.

— ნუ გეშინია, — უთხრა ლევანმა.

— არ მეშინია. გინდა ჩემი „სპილოლა“ გაჩვენო?

თამაზ ჭილაძე

ვინ ცხოვრობს ვარსკვლავებზე?



— მაჩვენე.

— ახლავე მოვიტან, არ წახვიდე, —  
თან ლევანს გამომცდელად შეხედა.  
ეტყობოდა, დიდებს მაინცადამაინც  
არ ენდობოდა.

— არ წავალ!

გიგი გაიქცა.

„ყველაფერი იცვლება, — ფიქრობ-  
და ლევანი, — სწრაფად იცვლება. ჩვენ  
სკოლაში ერთ მერხზე ხუთნი ვისხე-  
დით. ომი იყო. ჩვენს ფრანგულის მას-  
წავლებელს გაკვეთილზე გული წაუვი-  
და შიშოლისგან. და არაფერი არ ვი-  
ციოთ, ვცდილობთ, რაიმეთი შევავსოთ  
ცარიელი ადგილი. ყველაფერს თავისი  
დრო აქვს, ჩვენ კი ის დრო არ გვკონ-  
და.“

გიგიმ „სპიდილა“ მოიტანა.

— აჰა!

ჩართო და ლევანს გაუწოდა:

— ოღონდ ჩუმად, ყურთან მიიდე,  
მომკლავენ! — ხელი დისკენ გაიშვირა.  
მზია მაგნიტოფონს დასცქეროდა.

ლევანმა ტრანზისტორი ყურთან მიი-  
დო. რადიომიმღები ხრიალებდა, სხვა  
არაფერი ესმოდა.

## ნიჟარა

— ნუ ჩააქრობ, — თქვა კაცმა, —  
იყოს!

— არ დაგეძინება!

— არც მინდა... არ მეძინება.

კაცს ტანსაცმელი უკვე გაეხადა. სა-  
წოლზე იჯდა და სიგარეტს ეწეოდა.  
იდაყვები მუხლებზე დაეყრდნო, სიგა-  
რეტი ხელებშორის მოექცია, თითქოს  
ოთახში კი არა — გარეთ იყო, ქარში.  
მხრებმოწურული, დაქანცული ჩანდა.

ქალმა უთო შეაერთა. მერე სამზარე-  
ულოდან მშრალი თეთრეული გამოი-  
ტანა და მაგიდაზე დაახვავა.

— არც შენ გეძინება? — ჰკითხა კაც-  
მა ჩუმად, თითქოს არც კი უნდოდა,  
რომ ქალს გაეგონა.

ქალმა არ უპასუხა. მაგიდასთან მიდ-  
გმული სკამი გამოსწია და ზედ ჩამო-  
ჯდა. მერე ქალმა თქვა:

— ღმუის...

კაცმა თავი წამოსწია:

— რა თქვი?

— არაფერი...

კაცი წამოდგა:

— საფერფლე სად დევს?

— ფანჯარაზე. მოვიტან.

— არა.

— კაცი ფანჯარასთან მივიდა, სიგარე-  
ტი საფერფლეში ჩაჰყლიტა, მერე სა-  
ფერფლე — დიდი თეთრი ნიჟარა — ხელ-  
ში აიღო და შეათვალიერა. კარგა ხანს  
უყურა, მერე გადმოაპირქვევა და ჩამქ-  
რალი სიგარეტი იატაკზე დააგდო. ქალი  
უხმოდ შესცქეროდა. კაცმა ნიჟარა  
ყურთან მიიღო. დიდხანს უსმენდა ნი-  
ჟარის ხმას.

სახე ნელ-ნელა შეეცვალა, მერე  
ღიმილის მსგავსი რალაც ტუჩის კუთ-  
ხეში გაუკიაფდა. საფერფლე ისევ რა-  
ფაზე დიდო, დაიხარა, იატაკიდან ჩამქ-  
რალი სიგარეტი აიღო და ისევ საფერ-  
ფლეში ჩააგდო.

კაცი მაღალი იყო. ძარღვიანი, ხმელი  
ტანი ჰქონდა. შიშველი, ტრუსების  
ამარა, კიდეც უფრო მაღალი და დიდი  
ჩანდა.

— მიტო, — ქალმა კაცს კი არ დაუ-  
ძახა, ისე, უზაროდ თქვა მისი სახე-  
ლი. კაცმა ეს იგრძნო, ამიტომ ქალის-  
კენ არ მოუხედიდა. ახლა ის ფანჯარას-  
თან იდგა და გარეთ იყურებოდა. თუმ-  
ცა, ალბათ ვერაფერს ხედავდა.

— სინათლეს ჩავაქრობ, — თქვა ქალ-  
მა.

— არა... ხომ უნდა აუთოვო?

— ისედაც დავინახავ...

— მერე ჩააქრე... იყოს...

ქალი ისევ ისე იჯდა სკამის კიდეზე,  
თითქოს სადღაც ეჩქარებოდა, მაგრამ  
წასვლა კი ეზარებოდა. კაცმა საფერ-  
ფლე წამოიღო, სკამიც წამოიყოლია.  
სკამი საწოლის ახლოს დაიდგა, ზედ  
საფერფლე, სიგარეტის კოლოფი და  
ასანთი დააწყო, თვითონ საწოლზე წა-  
მოწვა და სიგარეტს მოუკიდა.

კაცი სიგარეტს ეწეოდა, თან ნიჟა-  
რას უსმენდა.

— დადე ნიჟარა! — ქალის ხმა რა-  
ტომღაც ზედმეტად მკაცრად გაისმა.

— ნიყარა?

— ჰო, დადე!

კაცმა ქალს მოხედა, დაკვირვებით, მიძიმედ. მერე ნიყარა სკამზე დადო.

— რატომ?

— რა ვიცი...

ქალი წამოდგა. ახლა ის მივიდა ფანჯარასთან, ახლა იმან გაიხედა ღამეში.

— იმიტომ რომ, მე არ მისმენ, იმიტომ რომ...

ხმა აუქანკალდა.

— მარი!

ქალმა ჯერ არ უპასუხა, მერე უცებ მოუტრიალდა:

— რა? რა?

— რა დაგემართა?

კაცს მოეჩვენა, რომ ამ ქალს პირველად ხედავდა.

— რა დაგემართა-მეთქი?

ქალს სახე შეეცვალა:

— რა უნდა მომსვლოდა? — მერე გაიქცა, თითი ენის წვერით დაისველა და უთოს შეახო. — გახურებულა!

უთო არ გამოუთიშავს, შავიდაზე შალის საფენი გაფინა, ზედ ზეწარი გაჭიმა და დაუთოვება დაიწყო.

— იმიტომ ვითხარი, დადე-მეთქი, რომ სულ ასე მარტო ვარ. შენ მთელა კვირა იკარგები. გაგახსენდები და მოხვალ, ცხოველი ხომ არ ვარ? რა ვიცი... მეტი არაფერი.

როგორი მშვიდი ხმა აქვს ქალს, როცა აუთოვებს!

კაცმა გაიცინა:

— ვითომ სადმე დავდიოდე!

სიცილზე ზეღა აუტყდა, სული ძლივს მოიბრუნა, სიგარეტი საფერფლეში ჩააქრო:

— მომკლა ამ...

— შენც ნუ მოსწევ!

— ნუ მოსწევ, — კაცმა ქალს გამოავაზრა და ისევ გაიცინა, — ნუ მოსწევ!

ქალს გაელიმა:

— ჰო, რა იყო?

— ნუ მოსწევ!

კაცმა ხელები თავქვეშ ამოიღო, მკერდი ამოებურთა, უთოსავით გლუვი და პრილა. ქალმა შეფარვით შეხედა, მის მკერდზე წამით თვალი შეაჩერა.

კაცს მარჯვენა ძუძუს თავზე ლურჯი მელნით ქალის რამდენიმე სახელი ეწერა: რა: ყუყუნა, ირა, ლილი... ახალგაზრდობის ცოდვებია“, — იცინოდა ხოლმე კაცი, როცა ქალი ამ წარწერებს თითით მოძებნიდა და მერე თითს აღარ აშორებდა, თითქოს მათი წაშლა უნდოდა.

„მე ხომ მაშინ არ მიცნობდა, — ფიქრობდა ქალი, — მერე რა?“

იმასაც გრძნობდა, ექვიანობა რომ დაეწყო, სასაცილო იქნებოდა, თითქოს მისი ცოლი ყოფილიყოს. ის იყო ყუყუნა, ირა და ლილი — მეტი არავინ. მას კი ხანდახან უნდოდა ფრჩხილებით ამოეკორტნა კაცის მკერდიდან ეს სახელები, ეტირა, ეკივლა, ერთი ამბავი დაეწია. უნდოდა... უნდოდა... ძალიან უნდოდა!

უცებ თავისი სახელიც წარმოიდგინა იქ, მიტოს მკერდზე დაწერილი. მერე თითქოს თვითონ სულ გაქრა, მარტო ის სახელიღა დარჩა, ლურჯი მელნით დასვირინებულნი.

— ხვალაც ლეღვა იქნება, — თქვა კაცმა.

— ხვალ რატომღა მიდიხარ, ერთი კვირა ხომ იმუშავე?

— ახლა არც ვიცი, როდის დავისვენებ.

— არც გინდა. შენ რომ გინდოდეს...

— რა არ მინდა?

— დასვენება!

ქალი ახლა ხმამაღლა ლაპარაკობდა. თუმცა საყვედურობდა, კაცს მისი ლაპარაკი მაინც სიამოვნებდა.

„რომ შეიძლებოდეს ამ ხმის ნიყარაში ჩამწყვდევა, — ფიქრობდა კაცი, — ყველგან თან ვატარებდი.“

თუმცა მოსასმენად თავს ძალას არ ატანდა, ქალის ხმა ისევე თავისუფლად იჭრებოდა მის არსებაში, როგორც ზღვის ხმაური.

„მართლაც რომ შეიძლიაბოდის ამ ხმის თან ტარება, დავდებდი მანქანის

---

თამაზ ჭილაძე

ვინ ცხოვრობს ვარსკვლავებზე?

კაბინაში ნიჟარასავით და მოვეუსმენ-  
დი...“

— აჰ! — შეჰკივლა უცებ ქალმა.

— რა იყო?

— ხელი დავიწვი!

კაცმა გაიცინა, ქალსაც გაელიმა.

4

— რა დაგემართა? — მოესმა ლევანს  
ელისოს ხმა.

ელისოს აშკარად ეტყობოდა, ნაძა-  
ლადევად რომ იცინოდა.

ლევანმა თავი ასწია და ელისოს შე-  
ხედა:

— არაფერი. რა უნდა მომსვლოდა?  
ლევანმა ახლა გიგის შეხედა. ბიჭი  
გაოცებული შესცქეროდა.

— აღეჭი, — უთხრა ელისომ, — გე-  
ყოფა თამაში!

ბოლო სიტყვას თითქოს გესლი შეუ-  
რია, გამოყოფილად თქვა.

ლევანი წამოდგა:

— გიგი, გვეყოფა.

ბიჭმა სასწრაფოდ დაუქნია თავი.

ლევანი წავიდა და სავარძელში ჩაჯ-  
და. სავარძელი ტყავის იყო, ღრმა,  
ძველებური. ელისო ისევ მოციკვავეებს  
დაუბრუნდა.

„არა, ასე ნამდვილად არ ვარგა, —  
გაიფიქრა ლევანმა, — იფიქრებენ, ვმე-  
ტიჩრობ!“

ნიკა ლოლას ხმადაბლა რაღაცას  
ეუბნებოდა. ლოლა განზე იხედებოდა.  
მას მეტად სერიოზული სახე ჰქონდა.  
მერე იმათაც ცეკვა დაიწყეს. ლევანს  
გოჩა მიუახლოვდა, ხელში ბუტერბრო-  
დი ეჭირა და ჰკამდა.

— რას ჩაფიქრებულხარ? — ჰკითხა  
ლევანს.

— ვუყურებ, — ლევანმა ხელი მო-  
ციკვავეებისკენ გაიქნია.

გოჩა ცეკვა-ცეკვით გაშორდა. თავის-  
თვის ცეკვადა, თან ხმადაბლა ღიღინე-  
ბდა. ლევანთან ახლა ლენა მივიდა:

— ვიცეკვოთ?

— არა, სამწუხაროდ, არ ვიცი.

„ვის ჰგავს, ვის ჰგავს?“ — ფიქრობ-  
და ლევანი.

— მე კი ცეკვა ძალიან მიყვარს.  
— მეც მიყვარს, როცა ვუყურებ...  
— გვეყოფა ცეკვა! — დაიძახა უცებ  
მზიამ და ტაში შემოჰკრა, — გვეყოფა!  
— კარგი რა, მზია! — გოგოებს ცეკ-  
ვა უნდოდათ, — გვაცალე!

— არა, გვეყოფა!

მაგნიტოფონი გაჩუმდა.

— ახლა დაესხდეთ!

— მე შეგონა, თქვენ სხვანაირი იქ-  
ნებოდით, — უთხრა ლენამ ლევანს.

— როგორი?

— როგორ გითხრათ, უფრო ამაყი.

— რატომ?

— რა ვიცი.

სუფრა დაბალ, ვიწრო მაგიდაზე იყო  
გაშლილი. მაგიდის გარშემო უბუტრო, პა-  
ტარა სკამები ეწყო. ასეთი ავეჯი  
დაბალქერიანი, პატარა ბინებისათვის  
იყო მოგონილი. ამ დარბაზით გაშ-  
ლილ ოთახში ისე მოჩანდა, როგორც  
საბავშვო ოთახიდან გამოტანილი ნივ-  
თები. მაგიდაზე კონიაკის ბოთლების,  
ბუტერბროდებისა და ჭიქების მეტი  
არაფერი ელაგა. არც ეს შეეფერებო-  
და უზარმაზარ, ძველებურ კაკლის კა-  
რდას, რომელიც კუთხეში სიმდიდრის,  
განცხრომისა და სიმშვიდის კერპებით  
აყუდებულიყო. კონიაკის ბოთლებიც  
უმიწოდ გამოიყურებოდნენ იმ ორი  
დიდი ვერცხლით მოჭედილი ყანწის  
წინაშე, კარადის თავზე კამეჩბით  
რომ გაწოლილიყვნენ. რატომღაც იფიქ-  
რებდი, რომ ამ ოთახში დიდი, გრძელი  
სუფრა უნდა ყოფილიყო გაშლილი,  
ხაჭაპურებით, პირში ბოლოგარჭობი-  
ლი გოჭებით სავსე. ოთახში დიდი გა-  
საშლელი მაგიდაც იდგა, მაგრამ მზიამ  
რატომღაც ამ პატარა სუფრაზე მიიწვია  
სტუმრები, თუმცა იმ მაგიდაზე ალბათ  
ყველანი თავისუფლად დაეტოვდნენ.  
ჩანს, აქ ისიც უნდოდათ და ესეც.  
კერც ძველებურ, მდიდრულ ავეჯს  
ელეოდნენ, თანაც ახლებურ პაწაწინა  
სათამაშო მაგიდასა და სკამებსაც კე-  
ლუცად აჩენდნენ.

„ფეხბურთელები შარშან ალბათ იმ  
მაგიდასთან ისხდნენ, — გაიფიქრა ლე-

ვანმა, — არც ფიზიკოსები იგრძნობდნენ თავს ვიწროდ!“

— რასაც ხედავთ, სულ ესაა! — თქვა მზიამ.

— ყავა? — იკითხა ლოლამ.

— ყავასაც მოვიტან! — დაამშვიდა მზიამ.

გოჩამ კონიაკი დაასხა.

— მე მგონი, თამადა არ გვინდა!

— არ გვინდა! არ გვინდა! — ერთხმად შესძახეს გოგოებმა.

ლევანს გაეღიმა. დაბადების დღეები, დღეობები ან სხვა წვეულებები გოგოებისთვის წამებად იყო გადაქცეული. ბიჭები სვამდნენ, თვრებოდნენ, გაუთავებელ სიტყვებს ამბობდნენ, ერთმანეთს სიყვარულს ეფიცებოდნენ, გოგოები კი ისხდნენ და ყვინთავდნენ, ყველაფერ ამას ითმენდნენ, რადგან თვითონ არც სვამდნენ, არც სადღეგრძელოებს ამბობდნენ. საჭმელსაც თითქმის პირს არ აკარებდნენ.

— თამადა, რა თქმა უნდა, არ გვინდა, — თქვა გოჩამ, — ჩემს მეტი!

გოგოებმა ერთი ამბავი ატეხეს. გოჩამ ცოტა ხანს აცალა, მერე ხელი ასწია. გოგოები იმწამსვე გაჩუმდნენ.

— მე მინდა მზიას სადღეგრძელო დავლო, — თქვა გოჩამ, — მზია, კარვად იყავი!

ჭიქა დასცალა და დაჯდა.

ლევანმა წამოდგომა დააპირა, ფეხზე ამდგარს უნდოდა სადღეგრძელოს დალევა, მაგრამ მზიამ მხარზე ხელი დაადო:

— იჯექი, იჯექი!

მერე სუფრიდან წამოიშალნენ და ცეკვა დაიწყეს. ლევანს ამ დროისთვის კონიაკი ცოტათი უკვე მოეკიდა. ისიც წამოდგა. „უნდა ვიცეკვო, უსათუოდ უნდა ვიცეკვო!“ წამოდგა თუ არა, მაშინვე ელისოს გაკვირვებულ მხერგს წააწყდა, თითქოს ელისო განზრახვას მიუხვდა, ამან კიდევ უფრო გადააწყვეტინა ცეკვა. ოთახს თვალი მოავლო, თითქოს ეძებდა, ვისთან ეცეკვა. უცებ ლენა დაინახა. ლენა განმარტოებით იდგა, ხელში ჟურნალი ეჭირა, თუმცა არ კი ათვალიერებდა. ლევანს მოეჩვენა,

რომ ლენა მას ელოდებოდა. მივიდა. „ვიცეკვოთ?“ — ისე ჰკითხა, თითქოს ხშირად ცეკვავდა მასთან ერთად. ლენამ უხმოდ დაუქნია თავი და მხარზე ხელი დაადო. — მე მართლა არ ვიცი ცეკვა, — უთხრა ლევანმა. ლენამ არაფერი უპასუხა.

— მე თქვენ რაღაც უნდა ვითხრაო, — ლენა გაჩერდა, თუმცა ლევანის მხრიდან ხელი არ ჩამოუღია.

— გისმენთ, — არც ლევანმა გაუშვა ხელი.

— წასვლა მინდა, — თქვა ლენამ ჩუმად.

— სად?

— არ ვიცი, სულ ერთია, წასვლა მინდა!

გაკვირვებულმა ლევანმა ხმა ვერ ამოიღო. მერე მოეჩვენა, რომ ლენას ადრეც იცნობდა, ადრეც შეხვედრია. ერთხელ კი არა — ბევრჯერ. მერე ზუმრობა სცადა:

— შემინდვია!

— რა? — ჰკითხა ლენამ, მერე გაიღიმა, რადგან მიხვდა. — არა, ეს აღსარება არ არის. არ ვიცი, რატომ ვითხარით.

მერე ლენას კარგა ხანს ხმა არ ამოუღია. იდგნენ და ხმას არ იღებდნენ. ბოლოს ლენამ თქვა:

— ვიცეკვოთ, რატომ ვდგავართ?

მხოლოდ ახლა შეამჩნიეს, ასე დგომა უხერხული რომ იყო.

— მე თქვენ ვიღაცას მაგონებთ, — უთხრა ლევანმა.

— ვის? — ლენამ პირდაპირ შეხედა. ღრმა თვალები ჰქონდა, უძირო.

— არ ვიცი, — უპასუხა ლევანმა, — ღმერთმანი, არ ვიცი.

— ჩემისთანები ბევრია, — გაუღიმა ლენამ.

— არა...

„არაო!“ — უნდოდა ეყვირა, მაგრამ ძალიან ჩუმად ნათქვამი გამოუვიდა. არა, ასეთი გოგოები ბევრნი არ იყვნენ, ეს ლევანმა ნამდვილად იცოდა. ყვე-

---

თამაზ ჭილაძე  
ვინ ცხოვრობს ვარსკვლავებზე?

ლას კი არ შეუძლია ერთი სიტყვიტ გული ამოგიბრუნოს!

— ოღონდ სულელი არ გეგონოთ! — უთხრა ლენამ.

— არა, — უპასუხა ლევანმა ღიმილით, — ვეცდები!

— ხანდახან მინდა, მართლა სულელი ვიყო, — თქვა ლენამ.

ისინი ახლა კი არ ცეკვავდნენ, ერთ ადგილას დააბიჯებდნენ, აღარც მუსიკას უსმენდნენ.

„იქნებ ნამდვილი ცეკვა სწორედ ეს არის?“ — ფიქრობდა ლევანი.

— ... და არაფერი მესმოდეს, — განაგრძო ლენამ, — სულ არაფერი.

— ლოლასავით? — ჰკითხა ლევანმა. ეს მისდა უნებურად წამოსცდა.

— თქვენ ლოლას იცნობთ?

— არა, ისე ვთქვი, რატომღაც...

— ლოლა კარგი გოგოა, — ლენას ლევანისთვის თვალი არ მოუშორებია, მერე გვერდზე გაიხედა და თქვა: — ჰო, თუნდაც ლოლასავით!

ლევანმა ამ დროს ელისო დაინახა. ელისო გოჩასთან ცეკვავდა, ლევანს თითი დაუქნია, ვითომ ვეჭვიანობო. ხუმრობდა! ლევანმა იცოდა, რომ ხუმრობდა. ელისოს ესახელებოდა თამამი, მომხიბლავი ქმარი. ელისოს ყველაფერი წინასწარ გაზომილი და მოფიქრებული ჰქონდა. მას ერჩია, ლევანი ასეთი თავისუფალი და შეუბოჭავი მოსჩვენებოდა ყველას. წარმოგიდგენიათ, ცოლისგან შებოჭილი მწერალი ან ხელოვანი? ეს მეტად ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს და მისი შემოქმედების წარმატებაზეც მოქმედობს. ეს ელისომ, რა თქმა უნდა, იცოდა. საიდან? აი, ეს იყო საკვირველი. ელისოს ერთხელ თითქოს უკვე ეცხოვრა.

— ასეთი რამ თქვენ არ გემართებათ? — შემოესმა ლევანს ლენას ხმა.

— როგორი?

— აი... როგორ გითხრათ? თქვენ არ მოგნდომებიათ სადმე წასვლა?

— როგორ არა! ოღონდ, როცა სადმე წასვლა მინდა, მივდივარ კიდევ.

— არა, მაგაზე არ გეუბნებით.

— ვერ გავიგე?

— სადმე, ძალიან შორს.

— სად?

— შორს! სადაც მატარებელი თვითმფრინავით ვერ მიხვალ.

— ჰო-ო... რა ვიცი.

უცებ აღრე დაწყებულმა ფიქრმა თუ მოგონებამ იფეთქა. ირგვლივ თითქოს ყველაფერი გაქრა, ყველაფერი.

## ნიშარა

გაგრძელება

ქალმა უთო აგურზე დადო, თუმცა მისი სახელურისთვის ხელი არ გაუშვია. იღგა და მაგიდაზე გაშლილ ზეწარს დასცქეროდა, თითქოს ზეწარზე რაღაც უნდა გამოჩენილიყო.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. მიტომ ქალს შეხედა. რატომღაც მოეჩვენა, რომ მარი მისთვის შორეული და უცხო იყო. ახლა თავისი სიწმიველისაც შერცხვა.

— დაიძინე, მიტო, — უთხრა მარიმ. მშვიდი ხმა ჰქონდა, მიტო ამანაც შეაკრთო.

მიტო მარის უყურებდა. ქალი ისევ ისე იღგა, თავჩაღუნული, მშვიდი.

უცებ წამოდგა და ჩაცმა დაიწყო. ქალმა თავი ასწია და შეხედა. უხმოდ უყურებდა. მიტო კი მის სიტყვას ელოდა, თუნდაც ერთს, — გაკვირების გამომხატველ ბგერას. ქალი ხმას არ იღებდა.

„ნუთუ, — ფიქრობდა მიტო, — ნუთუ აღარ ვუყვარვარ?“

საწოლზე ჩამოჯდა, დაიხარა და ფეხსაცმლის ზონრები შეიკრა. თავი რომ ასწია, პირდაპირ მარის თვალებს შეეფეთა. სულ ერთი წამით შეხედეს ერთმანეთს. მიტოს კი ეს ერთი წამი საუკუნედ მოეჩვენა. ქალმა თითქოს იგრძნო, მიტოს მისი ხმის გავგონება რომ უნდოდა და ჩუმად ჰკითხა:

— სად მიდიხარ?

— წავალ, გავივლი ცოტას, — უპასუხა მიტომ და წამოდგა.

— მაინც სად მიდიხარ, გვიანაა.

— ანგარიში ჩავაბარო თუ? — იყვირა უცებ მიტომ.

თან თავის თავზე ბრაზობდა; რომ

ასე ყვიროდა, რომ თვითონაც არ იცო-  
და, სად მიდიოდა.

— კარგი, — თქვა მარიმ წყნარად.

ამდენი ხანია მარის იცნობდა, მას-  
თან ცხოვრობდა და ის უცნაური მო-  
რიღება, თავიდანვე რომ დაჰყვა, ვერა-  
ფრით მოიშორა, თუმცა არც ცდილობ-  
და მოეშორებინა. გულის სიღრმეში  
რღაც დანაშაულის გრძობაც კი ჰქონ-  
და ჩაბუღებული, თითქოს თავისი ქცე-  
ვით მარის ამცირებდა. თუმცა ეს რამ-  
დენიმე წამით გაუელვებდა, მაინც და-  
ნასავით უღმობელი იყო, გულში ფარ-  
თო, პირლია ჭრილობას ტოვებდა.

მიტოს მარი უყვარდა. რომ არ ჰყვა-  
რებოდა, პირველი შეხვედრის მერე ამ  
ოთახში აღარ შემოვიდოდა. პირველად  
სწორედ მაშინ გაუელვა დანაშაულის  
გრძობამ, როცა მიხვდა — ქალი მარ-  
ტო იმიტომ კი არ დანებდა, რომ მოს-  
წონდა, არამედ სხვა ძალაც ამოძრავებ-  
და, უფრო ძლიერი და ამავდ დროს  
შემზარავიც — სიმარტოვე!

მიტო მარის რომ უცქერდა, ყოველ-  
თვის ის სურათი ახსენდებოდა, ქარხ-  
ნის კანტორაში მთავარ ბუღალტერს  
კედელზე რომ ჰქონდა გაკრული: სუ-  
რათზე თეთრწინსაფრიანი, ახალგაზრდა  
ქალი ეხატა. ქალს ხელში სინი ეჭირა,  
სინზე კი ფინჯანი და ჭიქა იდგა. მიტო  
ამ სურათს თვალს ვერ აცილებდა.  
გულზე სევდა შემოაწვებოდა ხოლმე,  
თითქოს დიდი ხნის წინათ დაკარგულსა  
თუ დასიზმრებულ რამეს იხსენებდა.  
იხსენებდა და ვერაფრით კი ვერ გაეხ-  
სენებინა.

მარიც ისეთი იყო. არა, სულ ისეთი  
არა! მაგრამ მიტოს ხანდახან მისთვის  
ხელის შეხებისაც კი ეშინოდა, ეგონა,  
გაქრებოდა, ანდა ფინჯანივით დაიმსხ-  
ვრეოდა.

ყველაფერი უცებ, მოულოდნელად  
დაიწყო. მოულოდნელად იმიტომ, რომ  
აღარ ეგონა, თუ ამ ხნის კაცი კიდევ  
ვინმეს შეიყვარებდა. თვითონაც თავი-  
დან არც კი სჯეროდა, რომ უყვარდა.  
„მიყვარს კი არა...“ — ფიქრობდა და  
მხოლოდ ფიქრიც კი წარმოუდგენელ  
სიამოვნებას ანიჭებდა. ამ ფიქრით

თვრებოდა, გონება ბურუსით ევსებო-  
და. სხვას ვერაფერს ხედავდა, მაგრამ  
საქმე ის იყო, რომ თვითონაც <sup>მარტოს</sup>  
უნდოდა დანახვა. მთვრალი კაცივით,  
ამ ფიქრს ქუჩა-ქუჩა დაჰყვებოდა. ზღვის  
პირას სილაში გაწოლილი ღრუბლებს  
უყურებდა, ღელვას უსმენდა და მაინც  
საკუთარი ფიქრის ხმა ჩაესმოდა: „გიყ-  
ვარს! გიყვარს!“ — არ იჯერებდა, რად-  
გან, როგორც ყველას, ბედნიერების  
დაჯერება უჭირდა. მის წარმოდგენაში  
ბედნიერი სხვა უნდა ყოფილიყო, სხვას  
უნდა ჰყვარებოდა, სხვას უნდა ეოც-  
ნებდა. „რა ჩემი საქმეა ასე ბავშვივით  
ფიქრად? — გაელიმებოდა ხოლმე, — რა  
ჩემი საქმეა?“ — თითქოს ფიქრი ამქვეყ-  
ნად მხოლოდ ზოგიერთისთვის იყო  
მოგონილი.

მერე რა, რომ მიტოს ცოლ-შვილი  
ჰყავდა? მერე რა?

„როგორ თუ რა? — გაუჯავრდებოდა  
ხოლმე თავის თავს, — გამოვშტერდი  
ამოდენა კაცი!“

„გამოვშტერდი?“

და ისევ გაელიმებოდა. მერე სასწ-  
რაფოდ ვარშემო მიმოიხედავდა, თით-  
ქოს დიმილზე შეატყობდნენ, მარი რომ  
უყვარდა.

ამის გამქლავებდა მიტოს ძალიან  
უჭირდა. არავის ეუბნებოდა, გულმოღ-  
გინედ მალავდა, როგორც მოწაფე ბიჭი  
თავის პირველ სიყვარულს. მაგრამ  
ისევე, როგორც კლასში მოწაფეებს  
შორის სიყვარული არ დაიმალება, ასე-  
ვე ვერ დამალა მიტომ გარაჟში თუ  
სასადილოში, ქარხანაში თუ ბენზინის  
ჩამსხმელ წერტილებში თავისი სიყვა-  
რული.

ეს სიყვარული ყველასთვის მოუ-  
ლოდნელი აღმოჩნდა. ჯერ გაუღიმეს,  
მხარზე ხელი დაარტყეს, ჩაიხიბნითეს.  
იფიქრეს, სხვებივით მაგასაც მოეწონა  
ლამაზი გოგო. ეს არ იყო საკვირვე-  
ლი. საკვირველი ის იყო, რომ მიტო  
მარიზე ლაპარაკს გაუბრბოდა. თუ ვინმე  
რამე გადაკრულს იტყოდა, ადგებოდა

თამაზ ჭილაძე  
ვინ ცხოვრობს ვარსკვლავებზე?

და გეცლებოდა. გადაკრულს კი ხშირად აგონებდნენ. ხანდახან, ბაკში ბენზინს რომ უსხამდნენ, საღმე, თუნდაც ამ ქალაქიდან მოშორებითაც კი, სულში გესლიანად ჩააწვეთებდნენ: შარშან ერთი თბილისელი ბიჭი იყო ჩამოსული. ჰოდა, ის და მარი...

— რა? — ეკითხებოდა მიტო, — რა „ის და მარი“?

— არაფერი...

ყველაზე მეტად ეს სიტყვა ეჯავრებოდა. „არაფერი“ კი არა — სავესე იყო ქილიკით, დაცინვითა და სიძულვილით.

„არაფერი, — იმეორებდა თავისთვის მიტო, — არაფერი... არაფერი... არაფერი... არაფერი...“

მანქანა მიჰქროდა. მოსახვევებში გზის პირას ჩარგული პატარა ბოძები თეთრად კისკისებდნენ: „არაფერი! არაფერი!“

მერე ნელ-ნელა მოვირდნენ. უფრო სწორად მას შემდეგ, რაც მიტომ შეთევზენა ბრიგადირი მანუჩარი კედელს მიაკრა და კინალამ დაახრჩო. მოვირდნენ და გაუჩუმდნენ. ახლა ეს სიჩუმე კლავდა მიტოს. სადაც არ უნდა შესულიყო, რაც არ უნდა დიდი ხმაური ჰქონოდათ ატენილი, მას რომ დაინახავდნენ, უცებ გაჩუმდებოდნენ, სახელდახელოდ მოგონილ საქმეს დაუწყებდნენ კირკიტს.

„ჩემზე ლაპარაკობდნენ, — ფიქრობდა მიტო, — ნამდვილად ჩემზე იცინოდნენ.“

„რატომ?“

„იმიტომ რომ, ბათუმში ცოლ-შვილი გყავს. მარი კი...“

„რა?“

„არაფერი.“

„არაფერი! არაფერი! არაფერი!“

მიტო ვერ ხვდებოდა, რომ მარის მისი პირველი სიყვარული იყო. ხდება ხოლმე, რომ ადამიანი ისე გაივლის თავისი ცხოვრების გზას, რომ სიყვარულს ვერ გამოცდის. ისიც ხდება, რომ სიყვარული ხანდახან ყოვლად შეუფერებელ დროს, თითქმის სიბერის უამსაც კი იფეთქებს ხოლმე. ხშირად ასაკისთვის შეუფერებელი ამჩატება,

სასაცილოდ რომ გვეჩვენება, ადამიანის მიერ სიყვარულის ჯიუტი ლოდინის ნაყოფია. მართლაც, პირველი ვარული მხოლოდ სიჭაბუკის ხვედრი არ არის, თუმცა სხვანაირად კი ვერ წარმოგვიდგენია.

„დიახ, დიახ, — იმეორებდა მიტო ჯიუტად, — მე მარი მიყვარს!“

თითქოს ამის მერე ყველა უნდა გაჩუმებულიყო და თავი დაენებებინა, მართალი ხარო, — ეთქვათ.

თავისი სიყვარული ხანდახან სიზმარი ეგონა. არ უნდოდა ის სიმწარე განეცადა, სიზმარში რომ გული შევიხტება, გაგვეღვიძება და ველარაფერს გაიხსენება. თუკი ეს მართლაც სიზმარი იყო, მიტო ახლა მხოლოდ სიზმარში ცხოვრობდა. ეშინოდა, ისე ეცხოვრა, როგორც ადრე — მარტომმარტო, ჩუმად. თუმცა მარტო არასოდეს ყოფილა, უამრავი ნაცნობი და ამხანაგი ჰყავდა, მთელი საქართველო შემოვლილი ჰქონდა. ისეთი ხელობის კაცი იყო, მარტო ვინ დააყენებდა! სიმარტოვეზე ფიქრიც ამ ბოლო დროს დასჩემდა. იქნებ ესეც სიყვარულის ბრალი იყო?

საწოლზე ტანგაუხდელი მიწვებოდა, ხელებს თავქვეშ ამოიწყობდა და სიზნელეში თვალდა ფიქრობდა. სარკმილიდან ზღვის ხმა შემოდიოდა. „მე კი ასე ჩუმად ვცხოვრობ“, — ფიქრობდა მიტო, თითქოს სიყვარული ერთი გაუთავებელი ზარ-ზეიმი და გუგუნი ყოფილიყო, ზღვასავით კარზე მომდგარი და მაინც მიუღწეველი. ასე ეგონა, ადრე ღრმა, უსიზმრო ძილით ეძინა, ახლა კი ნელ-ნელა იღვიძებდა, ყოველ წამს კიდევ უფრო ფართოდ ახელდა თვალს და სინათლით ივსებოდა. ეს გაუთავებელი გამოღვიძება ტკივილგარეული ნეტარებით აბრუებდა და თვითონაც არ უნდოდა ერთბაშად გაღვიძებოდა, უცებ გამოფხიზლებულიყო. რადგან, თუმცა თავის თავს არ უმხელდა, ეშინოდა, დიდმა სინათლემ თვალი არ მომქრასო.

ერთ დღით, როცა სამუშაო არ ჰქონდა, იროდისთან გადავიდა. იროდი ზღვის პირას ცხოვრობდა, მარის მე-

ზობლად. ეს მოხუცი კაცი შემთხვევით გაიცნო, გზაში. გზის პირას მდგარს მანქანა გაუჩერა. მანქანა რომ დაამუხრუჭა და მოხუცს შეხვდა, მიხვდა, ბრმა იყო. მოხუცი ხელაწეული იდგა. მეორე ხელში აბჯა ეჭირა. მიტო მანქანიდან გადმოვიდა და მოხუცს ჰკითხა:

— საით მიბრძანდებით, ბაბუა?

ერთი გზა ჰქონდათ. უპატრონო კაცი თურმე თავის ძმასთან მიდიოდა სტუმრად. მიტომ მოხუცს კაბინაში ასვლა უშველა, გვერდით მოისვა და წამოიყვანა.

— ვინ ბრძანდებით, ბაბუა?

მოხუცმა თავისი ამბავი უამბო. ამბავი გრძელი იყო, თუმცა მიტო ბოლომდე ყურადღებით უსმენდა. ყოველთვის სიამოვნებდა მოხუცებთან საუბარი.

მოხუცი რომ შინ მიიყვანა, კაბინიდან ჩამოსვა, ეზოში პირველი თვითონ შევიდა, აივანზე ავიდა და სარკმელზე დააკაკუნა. არავინ გამოხედა. „ძმაც მარტოხელა ჰყოლია!“ — გაიფიქრა.

— მე დავციდი, შვილო, — მოესმა მოხუცის ხმა, — აივანზე ამიყვანე.

მიტომ მოხუცი აივანზე ამიყვანა. მოხუცი პირდაპირ იატაკზე დაჯდა, აბჯა გვერდით მოიღო და მიტოს უთხრა:

— მე ღმერთით ობოლი კაცი ვარ, შვილო...

და უსინათლო თვალები შეაშტერა. შიგ თითქოს შუქის ნაცვლად გაქვავებული სიჩუმე ჩასდგომოდა.

მიტოს რატომღაც ტანში გააყრკოლა. თითქოს მოხუცი ღმერთის სიკვდილს დასწრებოდეს და საშინელებას დაებრმავებინოს.

— წადი, შვილო, — დაუმატა მოხუცმა, — მე დაველოდები.

მიტო გამობრუნდა. სანამ მანქანამდე მივიდოდა, სულ იმას ფიქრობდა, ნეტავ ღმერთით ობლობა რას ნიშნავს? დედით ობოლი, მამით ობოლი ხშირად გაუგონია, ღმერთით ობოლი კი პირველად გაიგო.

მერე იმ მოხუცს რამდენჯერმე მიაკითხა. იმ დილით კი, მარის სახლის ღობეს რომ გაუსწორდა, თუმცა ეზო-

ში გადახედვა ძალიან უჭირდა, მანც ვარაუდობდა.

მარი კიბესთან შეშას ჩეხავდა. ჩამუხლულს, ცული ორივე ხელით ეჭირა და გაუბედავად ურტყამდა შეშის ნაპერს. მიტო მარის მიაჩერდა. რატომღაც გული ჩაწყდა.

„რამდენი ქალი აპობს შეშას, რა მოხდა?“

მარის ცული შემართული დარჩა, თავი ნელ-ნელა მოაბრუნა და პირდაპირ მიტოს შეანათა გაკვირებული მზერა, აქ რას დგახარ, რას მომჩერებინებო. მიტო შეიშმუშნა. მერე თვითონაც არ იცის, რა ძალამ დასძრა ადვილიდან, წავიდა, ეზოს კარი შეაღო, ქალთან მივიდა, ცული თითქმის ძალით გამოგლიჯა ხელიდან და შეშის ჩეხვა დაიწყო. ქალი გვერდზე გადგა, თან ხელი კაბის კალთას ჩაპკრა, ჩაისწორა. ქალმა, რა თქმა უნდა, იცოდა მიტო ვინ იყო. ამ პატარა ქალაქში ყველანი ერთმანეთს იცნობდნენ. ერთხელ კინოში მის გვერდითაც იჯდა. თუმცა შეშის დაჩეხვა ძალიან უჭირდა, ეზოში უცხო მამაკაცის შემოსვლა მანც არ ესიამოვნა. აქეთ-იქით მიიხედა, ხომ არავინ გვხვდავსო. მერე შიშით გაიფიქრა, რას იტყვიანო, და მიტოს უთხრა:

— გეყოფათ... მეტი აღარ მინდა!

მიტომ პასუხი არ გასცა. სანამ შეშა სულ არ დაუჩეხა, არ მოეშვა. მერე უხმოდ მიაყუდა ცული კიბის საფეხურს, გამოტრიალდა და წამოვიდა, ისე რომ ქალისთვის არც კი შეუხედავს.

იროდი აივანზე დახვდა. პატარა სკამზე იჯდა. ერთმანეთს მიესალმნენ. მიტო აივანის მოაჯირზე გვერდულად შემოჯდა, აქედან მარის ეზო კარგად მოჩანდა.

— ზღვა კი არ მინახავს, — თქვა იროდიმ, — არასოდეს არ მინახავს.

როდის უნდა ენახა დაბადებით ბრმას?

მიტომ ხმა რომ არ გასცა, დაუმატა:

— მისი ხმა კი მესმის...

თამაზ ჭილაძე  
ვინ ცხოვრობს ვარსკვლავებზე?



მარი კიბეზე ავიდა, ერთი ხელით დახვეწებული შეშა მიჰქონდა, მეორეში კი ცული ეჭირა.

— მართლა დიდა? — არ ცხრებოდა იროდი.

„ნუთუ აქ იმიტომ მოვდივარ, რომ მარის ეზოს ვუყურო? ამ მოხუცს რა-ღასთვის ვატყუებ?“

— არა! — თქვა მიტომ.

— რა არა? — ხალისიანად შეეხმიანა იროდი, ალბათ გაუხარდა, მიტოს ხმა რომ გაიგო.

— არ არის დიდი!

ვის უბრაზდებოდა, ზღვას, თუ ამ საცოდავ მოხუცს?

მარი ისევ გამოვიდა სახლიდან. ღობესთან მივიდა, ზედ გადაფენილი ფარდაგი ჩამოიღო და შინ შეიტანა. სანამ გატრიალდებოდა, გზას გახედა, რაღაცას თუ ვიღაცას უტყქერდა. აქეთ, იროდის აიგნისკენ კი ერთი თვალითაც არ გამოუხედავს.

— ჰოდა, ასე უსინათლო დავებრდი, — ამბობდა იროდი.

ცოტა ხნის მერე მარი ისევ ჩამოვიდა ეზოში, კიბესთან მიყრილი, დარჩენილი შეშა აკრიფა და წავიდა.

მიტოს უცებ ძალიან შეეცოდა ქალი. გული ისე შეეკუმშა, ტკივილი იგრძნო. უსინათლო მოხუცის ჩიფჩიფი კიდეც უფრო აძლიერებდა ამ ტკივილს. თითქოს მარის სიმარტოვესა და ამ მოხუცის ლაპარაკს შორის რაღაც გამოუცნობი კავშირი არსებულებოდა.

— ადამიანის სულს ცხრა კარი აქვს, — ამბობდა იროდი, — კი, ცხრა კარი! — მერე თითქოს გუნებაში კიდეც ერთხელ გადათვალაო, გაიმეორა, — ცხრა! დრო რომ მიდის, ყველა ეს კარი იღება, ნელ-ნელა, ერთმანეთის მიყოლებით.

მიტომ მოხუცს შეხედა. იროდის სახეზე ღიმილი დასთამაშებდა, თითქოს ისეთ რამეს ამბობდა, რაც დიდი ხნის ფიქრისა და წვალების მერე გამოერკვია. ახლა ამდენი ხნის გულში ნადებს ხმამაღლა ქადაგებდა, თანაც ალბათ სულ ერთი იყო, ვინმე უსმენდა, თუ არა.

მიტომ სიგარეტს მოუკიდა და უფრო იმიტომ, რომ მოხუცს თავი მარტო არ ეგრძნო, ჰკითხა:

— ცხრა?

მოხუცმა მის კითხვას არ უპასუხა, თავისი სათქმელი განაგრძო:

— მხოლოდ ერთი კარი რჩება ჩაქეტილი — მეცხრე! რა არის მის იქით, კაციშვილმა არ იცის. ისე კი, ნამდვილად რაღაც ხდება იქით, რაღაც ფუს-ფუსებს, ქოთქოთებს, იზრდება. ჰოდა, თვითონ არ იცი, რა ამბავია შენს თავს. სულში გალია გაქვს ჩადგმული, შიგ აფთარი ზის თუ ფარშავანგი — ეს კი არ იცი. სწორედ ამიტომ, კაცი თავის თავს რომ არ ენდობა, რას იზამს, არ იცის.

— კი მაგრამ, — დაიწყო მიტომ, მაგრამ ამ დროს მარი ისევ დანახა. მარი აივანზე ისე გამოსულიყო, მიტოს ვერ შეემჩნია. აივნის ბოძისთვის ხელი შემოეჭდო, ლოყაც მიედო და ქუჩის მხარეს იხედებოდა.

იროდი გაჩუმდა, ალბათ დაელოდა, მიტო რას ეტყოდა. მიტომ ნერწყვი ძლივს გადაყლაპა და განაგრძო:

— კი მაგრამ, მართლა არაფრით არ იღება ის კარი?

— როგორ არა, — იმწამსვე უპასუხა იროდი, — მაგრამ რად გინდა, თვითონ არ აღებენ.

— რატომ?

მარი ისევ ისე იდგა.

„ნუთუ ვინმეს ელოდება?“ — გაიფიქრა მიტომ.

— რა იცი, იქით ვინ ზის? მართლა აფთარი რომ გამოდგეს, მაშინ? იყოს დაქეტილი, არ ჯობია?

— არა! — თქვა მიტომ; სიგარეტი წკაპურტით ეზოში გადაადგო და გაიმეორა, — არა!

— რა თქვი?

— არ ჯობია! კაცი ვარ თუ რა ვარ? არ უნდა ვიცოდე, სულში რა მიზის?

— რად გინდა?

— რა ვიცი, ისე მინდა ვიცოდე.

„არა, კი არ ელოდება, ფიქრობს. თავისთვის...“

მიტოს კი ასე ეგონა, კაცი თუ ფიქ-

რობდა, მასასადამე, რალაც უჭირდა. კაცი რომ საფიქრალად მოიცილიდა, რალაცას მართლა უნდა შეეწუხებინა. თვითონაც ამ ბოლო დროს ბევრს ფიქრობდა. იმიტომ რომ, მასაც აწუხებდა რალაც — უყვარდა!

— ბატონი ბრძანდები, — თქვა იროლიმ.

მორჩილი ხმა ჰქონდა, გაბზარული, ექვვარეული, თითქოს რისიც აქამდე მტკიცედ სჯეროდა, უცებ ხელეშში გაუქრა.

— რა ვიცი, — თქვა მან ჩუმად, — იქნებ...

მერე ქისა გახსნა, უბიდან გაზეთი ამოიღო, ქაღალდი მოხია, ზედ თუთუნი დაყარა და პაპიროსის გახვევა დაიწყო. უნდა გენახათ, ეს ბრმა კაცი რა მარჯვედ ახვევდა თუთუნს!

— აგერ მზად არის, მოსწიე, — უთხრა მიტომ.

— არა, შეჩვეული ჭირი, ხომ იცი...

იროლიმ ახლა ასანთი ამოიღო, გაპკრა და პაპიროსს მოუკიდა. მერე ასანთს სული შეუბერა, ჩამქრალი ასანთი თითებით მოსრისა და ისე გადაადლო, თითქოს კიდევ ერთხელ შეამოწმა, ნამდვილად ჩამქრალი იყო, თუ არა.

მარი ისევ ბოძთან იდგა და ფიქრობდა. მიტოს მოუნდა აქედან დაეძახა, ხმა მიეწვდინა, შეეკართო. თავი ძლივს შეიკავა. არ იცნობდა, რა უნდა დაეძახა? გადაირეოდა, რა უნდაო?

სახელის დაძახება უნდოდა, მეტი არაფერი, მარტო სახელის.

— მარი! — გუნებაში ხმამაღლა დაიძახა მიტომ. უცებ სისხლი გულიდან ყურებში ამოასკდა და კინალამ გაუხეთქა. თუმცა ეს სისხლი კი არა, ამოუთქმელი ძახილი იყო.

ზარს პირი ღია რომ არ ჰქონდეს, ხმა ალბათ განეთქავდა.

— დაეყრუვდი, — თქვა მიტომ ხმამაღლა, მერე ნაძალადევად გაიციინა, — მაშ, სულს ცხრა კარი აქვს, არა?

— ჰო, — უპასუხა იროლიმ გაუბედავად, — თუმცა რა ვიცი...

„აქეთ რატომ არ იხედება? — ფიქ-

რობდა მიტომ, — ერთხელ მაინც გამოიხედოს!“

თუმცა ახლა თვითონაც უჭირდა მარისკენ გახედვა.

ამასობაში მზე ზღვაზე გადმოიხარა. ნელ-ნელა გაწითლდა და გაიზარდა. თუმცა აქედან ზღვა არ მოჩანდა, წინ რკინიგზის მიწაყრილი იყო აღმართული და წითელი. მერე რკინიგზაზე მატარებელმა გაიარა. სატვირთო მატარებელი იყო, დიდხანს მიდიოდა. მატარებელი მზეს აეფარა, მხოლოდ ვაგონებს შორის გამოიჭყიტებოდა ხოლმე წითელი, მბრწყინავი თვალებით.

„ხალხი რას არ იტყვის! — ფიქრობდა მიტომ, — მარტო ქალია და იმიტომ ამბობენ...“

მერე ინატრა, ასე ნელ-ნელა კი არა, უცებ ჩამოლამებულყო. უცებ დაეფარა ბნელს ბოძსმიყრდნობილი მარი, იროდის შემერთალი, დაძაბული სახე და ეს გრძელი, გაუთავებელი მატარებელი.

მერე მარი შინ შევიდა. ეს მიტომ უფრო იგრძნო, ვიდრე დაინახა. იგრძნო, რომ იმ მხარეს სივრცე დაცარიელდა. მარტო მარი კი არ გაქრა, არამედ ყველაფერი, რაც საერთოდ იქით იყო — ლობეც, ხეებიც, სახლიც და ჭის ოწინარიც. მერე მიიხედა და მართლაც ცარიელი აივანი დაინახა.

— მატარებელი! — თქვა იროლიმ.

— ჰო, მატარებელი, — გაიმეორა მიტომ, — მატარებელი...

5

— რაზე ფიქრობთ? — შემოესმა ლევანს ლენას ხმა.

ისინი ისევ ერთ ადგილას ცეკვავდნენ.

ნეტაც რამდენმა ხანმა გაიარა, წამმა თუ საათმა?

— არაფერზე, — იცრუა ლევანმა.

— გიყურებდით, თითქოს დაიკარ-

თამაზ ჭილაძე

ვინ ცხოვრობს ვარსკვლავებზე?

გეთ, გაქრით, — მერე ხუმრობით დაუ-  
მატა, — შორს იყავით?

— შორს!

ამ გოგოსთან თავს რატომღაც ძალზე  
შეშწოდ გრძნობდა.

ამ დროს მათთან ელისო მივიდა.  
ლენას ჩამოშლილი თმა გულმოდგინე  
მზრუნველივით გაუსწორა და ჰკითხა:

— ვაგაწამა?

— ვინ? — გაიკვირვა ლენამ.

— ლევანმა.

ელისომ ახლა ლევანს შეხედა და  
გაუღიმა.

— არა, — უპასუხა გაკვირვებით  
ლენამ.

— რა კარგი გოგოა მზია! — თქვა  
ელისომ.

— შესანიშნავი! — უპასუხა ლენამ.

— მე მზია ისე მიყვარს! — თქვა ელი-  
სომ.

— მეც ძალიან მიყვარს, — უპასუხა  
ლენამ.

— ცეკვა ისწავლე? — ჰკითხა ელი-  
სომ ლევანს. ამით თითქოს ანიშნა, გე-  
ყოფაო.

— არა, — უპასუხა ლევანმა, — არ  
მისწავლია.

— ოჰო! — გაუკვირდა რატომღაც  
ელისოს, თითქოს სხვა პასუხს მოე-  
ლოდა.

— მე წავალ, — თქვა ლენამ, — წყალს  
დავღვევ.

— ხელი შეგიშალეთ, — გაიცინა ელი-  
სომ, — თქვენ ისე კარგად ლაპარაკობ-  
დით!

— ვლაპარაკობდით? — გაიკვირვა  
ლენამ. ახლა მას რატომღაც ყველაფე-  
რი უკვირდა.

— ჰო, შენი სიცილი მესმოდა, — ელი-  
სო თუმცა ლენას ელაპარაკებოდა,  
ლევანს უყურებდა.

ლევანმა რატომღაც თვალი ააჩრია.

ლენა რომ წავიდა, ელისომ ჰკითხა:

— რა დაგემართა?

— რა უნდა დამმართონდა?

— მთელი საღამო გაშტერებული  
ხარ!

— აქი ლაპარაკობდითო?

— კარგი ერთი!

— რა გინდა? — ჰკითხა უცებ ლევანს  
მა შეცვლილი ხმით, — ვაგაგებინებ  
გინდა?

— სულელო!

ელისო ისევ იდუმებოდა, ალბათ სხვის  
დასანახად.

ლევანი გატრიოდა, წავიდა და კუთ-  
ხეში სავარძელში ჩაჯდა. მერე რაღაც  
თამაში წამოიწყეს. ხელიხელჩაკიდებუ-  
ლები ოთახში წრეს უქვიდნენ. ლევან-  
საც დაუძახეს, იუთარა. სულელური თა-  
მაში იყო, მაგრამ როგორც ყველა სუ-  
ლელური თამაში, დიდ მხიარულებას  
იწვევდა. ელისო დახტოდა, ხმამაღლა  
იცინოდა, რაღაცეებს ყვიროდა, თან  
ლევანს თვალს არ აცილებდა. ლევანი  
უცებ წამოდგა და ოთახიდან გავიდა.  
დერეფანში მზია დაეწია, — „ლევან!“  
ლევანმა თავისი საწვიმარი მოძებნა,  
ჩაიცვა და მზიას უთხრა: „დიდი მად-  
ლობა, ნახვამდის!“ — კარი თვითონ  
გააღო და წამოვიდა. მზია ოთახში შე-  
მოვარდა, ელისო განზე გამოიყვანა: —  
ლევანი წავიდა! — მოვა! — უპასუხა  
ელისომ და ისევ მოთამაშებებს შეუერ-  
თდა, — მოვა! — ელისოს ერთი წამი-  
თაც ეჭვი არ შეჰპარვია იმაში, რომ  
ლევანი დაბრუნდებოდა. სხვანაირად  
როგორ შეიძლებოდა? უსათუოდ უნდა  
დაბრუნებულყო.

ადამიანის ცხოვრებაში დგება უამი,  
როცა ვაღამეტებული მზრუნვე-  
ლობა მას მადლიერების გრძნობით კი  
არ ავსებს, არამედ პირიქით — აღიზი-  
ანებს. მზრუნველობას თავისი საზღვ-  
რები აქვს. ვინც ზრუნავს, მასაც არ  
უნდა დაავიწყდეს ეს. ხანდახან მზრუნ-  
ველი ვერ ამჩნევს, როგორ შორდება  
დადგენილ მიჯნას. თავისი ზრუნვის  
სამაგიეროდ ის მადლიერების უსაზ-  
ღვრო გრძნობას მოითხოვს და თუ ამის  
გამოხატვა დაუგვიანეს, საშინლად გაო-  
ცებული და გულდაწყვეტილი, ადამი-  
ანების თანდაყოლილ უმალურობაზე ჩი-  
ვის. იმას კი ვერ ამჩნევს, თავისი  
ზრუნვით როგორ იჭრება მეორე ადა-  
მიანის სულში, როგორ ბორკავს მის  
თავისუფლებას, რის დათმობაც ადა-  
მიანებს ასე ძალიან უჭირთ.

ელისომ ლევანზე ზრუნვა უპირველესად ჩაცმით დაიწყო. „ახლა ცუდად ჩაცმა მოდაში არ არის!“ თითქოს ლევანს იმიტომ ეცვა ცუდად, რომ მოდას მისდევდა! ელისომ იცოდა, იცოდა და მერე თვითონაც გამოსცადა, რომ ლევანს ფული არ ჰქონდა. მაგრამ უფულობა მას სხვანაირად ესმოდა, უფრო მეტიც — მოსწონდა კიდევ, რადგან სწორედ ეს აძლევდა მათ ცხოვრებას არტისტულ, ნახევრად ბოჰემურ ელფერს. მას მოსწონდა ვალის აღება, მეგობრებთან სადილობა, როცა თვითონ შინ სადილი არ ჰქონდათ, მოსწონდა უცებ აღებული ბევრი ფულის ვალებში დარიგება და უცებ დახარჯვა. არც იმის ახსნას ცდილობდა, რატომ იყო ლევანი გამუდმებით უფულოდ, როცა ერთბაშად საკმაოდ დიდ ჰონორარს იღებდა ხოლმე.

ლევანი ცარიელ ქუჩაში მიდიოდა. ახლა თვითონაც უნდოდა წასვლა სადმე შორს. იქ, სადაც ვერც მატარებლით და ვერც თვითმფრინავით ვერ მივიდოდა. სად იყო ასეთი ადგილი, სად? ვარსკვლავებზე? მერე გაჩერებული ტრამვაი დაინახა. არც კი უნახავს, რომელი ნომერი იყო, საით მიდიოდა, ისე უახროდ ავიდა ვაგონში და სკამზე დაჯდა.

ტრამვაი გულისგამაწყალებლად მირახჩაჩებდა. ისე ნელა მიდიოდა, თითქოს არსად არ ეჩქარებოდა. ლევანმა საათს დახედა. ალბათ მართლა აღარ ეჩქარებოდა, უკვე გვიანი იყო. ახლა ბოლოში გავიდოდა, წრეს დაარტყამდა და მერე პირდაპირ პარკისკენ იზამდა პირს.

მაინც რამდენი საფიქრალი აქვს კაცს. იქნებ ფიქრიც კაცთან ერთად იზრდებოდა? თოვლივით. თუ ერთხელ ფეხი წაუცდა, მერე მოდის და მოდის გაუთავებლად. გულმოდგინედ და ჯიუტად ფარავს ყვილაფერს. მერე მთვარესავით ამ თოვლს რაღაც გაანათებს. მის სინათლეზე კიდევ რაღაცას დაინახავ, ის კიდევ სხვა რამეს გაგახსენებს. მერე წამოვა და წამოვა, აღარ გათავდება.

ტრამვაი კი მიდის, მირახჩაჩებს.

ქვაფენილებზე, კედლებსა და ღობეებზე თავის უზარმაზარ ლანდს მიაქანებს. ფიქრიც თოვლივით მაცდურად გაგიტყუებს, გატარებს, გზას ავირევს, ნელფეხწყაინული მიდიხარ, გცივა, მაგრამ თოვლში სიარული მაინც გიხარია. შეიძლება უკან დასაბრუნებელი გზა ველარც კი იპოვო, მაგრამ არც ამის გეშინია — მიდიხარ! თოვლი კი ქათქათებს, ბრწყინავს. უეცრად გარინდებული ტოტი შეირხვევა, ტოტს თოვლის ქულა მოწყდება და მისი ჩქამი შეგაკრთობს: „ეს სად წამოვსულვარ, აქ რა მინდა?“

ტრამვაი გაჩერდა.

კარი გაიღო თუ არა, სიცივემ ძალივით დაირბინა ვაგონი, თითქოს სკამების ქვეშ რაღაცას დაეძებდა. გაზაფხულს ჯერ კიდევ ვერ ეძალნა, ციოდა.

— დაკეტე კარი, კაცო!

ოღონდ ტრამვაი ნუ გაჩერდება და ჯანდაბას...

კონდუქტორი ჭალარა, ბეჭებში მოხრილი კაცი. კალთაში ბრეზენტის ჩანთა უდევს. ზის ახლა თავისთვის, ხურდა ფულს ითვლის. ხანდახან თავს მალა ასწევს და თვალებს რაღაცას გაუშტერებს, ისიც თავის თოვლში მიაბიჯებს.

ტრამვაი რომ გაჩერდა, კონდუქტორმა თავი ასწია და ლევანს შეხედა. ლევანმა იფიქრა, დალაპარაკება უნდოდა გაუღიმა. კონდუქტორს სახე არ შეცვლია, ცოტა ხანს უყურა და მერე ისევ ხურდა ფულის დათვლა განაგრძო. რომ არ იქნა და ტრამვაი აღარ დაიძრა, წამოდგა და მავთულს ჩამოჰკრა. წინა ვაგონში ზარმა გაიწკრიალა. თითქოს ამ ნიშანს ელოდო, ტრამვაი ნელ-ნელა დაიძრა და მალე დიდუბის პანთეონთან ისევ გაჩერდა. ვაგონში ორი კაცი ამოვიდა. ერთი წინ, ინვალიდების სკამზე ჩამოჯდა, ბალტოს ჯიბიდან გაეცილი გაზეთი მოუჩანდა. მეორე კი ამ ცარიელ ვაგონში მაინცად მაინც ლევანის წინ დასკუპდა. ლე-

თამაზ ჭილაძე  
ვინ ცხოვრობს ვარსკვლავებზე?

ვანმა ერთი კი შეავლო თვალი და ისევ ქუჩაში გაიხედა. ტროტუარზე ხეს მიყუდებული მილიციელი იდგა. მილიციელს ქალი ელაპარაკებოდა. ქალს თავზე თეთრი შალი მოეხვია და რეზინის პრიალა ჩექმები ეცვა. მილიციელი თითქოს არ უსმენდა, აქეთ, ტრამვაისკენ იხედებოდა. „ცოლია ალბათ“, — გაიფიქრა ლევანმა.

— რას ვუცდით? — იკითხა გაზეთიანმა კაცმა, — აღარ წავალთ?

— წავალთ ახლავე, — კონდუქტორი წამოიღო, — ახლავე...

მერე იმ კაცთან მივიდა:

— თუ ძმა ხარ, ერთი წუთით გაზეთი მათხოვე!

კაცმა გაზეთი ჯიბიდან ამოიღო და კონდუქტორს გაუწოდა:

— ა, ბატონო.

კონდუქტორმა გაზეთი გაშალა, ჩაათვალიერა, მერე მეთხე გვერდს დახედა და თქვა:

— მართალი ყოფილა, მომკვდარა...

თან ლევანს შეხედა, თითქოს მიცვალელებულს ლევანიც იცნობდა.

— კი, მომკვდარა საწყალი, — თქვა ისევ კონდუქტორმა.

მერე გაზეთი გაკეცა და პატრონს დაუბრუნა:

— მადლობელი ვარ.

— არაფრის, ბატონო.

ტრამეა დაიძრა.

მარცხნივ, რკინის ღობის იქით, ბნელში ეკლესიის ლანდი გამოჩნდა. ლევანმა კვიპაროსებიც დაინახა. კვიპაროსები პანთეონის ჭიშკართან იდგნენ. მერე კვიპაროსები გაქრნენ, მთვარე კი კარგა ხანს მოსდევდა ტრამვაის. მერე რომელიღაც დიდი შენობა აეფარა წინ. ქალაქში მთვარე სულ ასე წვალბოდა. არ იცოდა, საიდან ჩამოეხედა, საიდან ჩამოსულყო.

— ასანთი თუ გაქვთ?

ლევანი ფიქრისგან გამოერკვა:

— ასანთი? კი. — ჯიბეში ხელი ჩაიყო და ასანთი ამოიღო, — ინებეთ!

პირდაპირ მჯდომმა კაცმა ასანთი გამოართვა და გაუღიმა:

— ხომ არ მოსწევთ?

ამ დროს კონდუქტორის ბრახინა ხმა მოისმა:

— პაპიროსი არ დაეინახო! — კაცმა ისევ გაუღიმა ლევანს და მხრები აიჩეჩა, რას იზამო.

ამ კაცს თითქოს ნაცნობი სახე ჰქონდა. ლევანი წამით დააკვირდა: არა, არ იცნობდა. ალბათ ადრე სადღაც შეხვედრია და დაამახსოვრდა. კაცს შლიაპა ეხურა, ქული კათხასავით ჩამოემხო თავზე. ქალარაგარეული წვერი ამოსვლოდა, თითები და უღვაში თუთუნისგან ჰქონდა გაყვითლებული.

„ეტყობა, ჩემზე მეტს ეწევა“, — გაიფიქრა ლევანმა.

ტრამეა ისევ გაჩერდა.

— აქ გაჩერება რომ არ არის? — მოუბრუნდა გაზეთის პატრონი კონდუქტორს, — ახალი გაჩერება დანიშნეთ თუ?

— განგებ აჩერებენ, — შლიაპიანმა გაიციხა და ლევანს თვალი ჩაუკრა, — გაჩერებები ეცოტავენათ.

— გზას აკეთებენ და იმიტომ გავჩერდით! — კონდუქტორს თავი არ აუწევიდა.

— აბა, ჩამოვიდეთ?

— ახლავე წავალთ.

— რა იცი?

— ვიცი!

ზარმა დაიწკრილა და ტრამეა დაიძრა. ასე ზარის წკრილ-წკრილით ჩაუარა ნიჩბებზე დაყრდნობილ მუშებს.

— მართალი ყოფილა ეს კაცი, რას ერჩი?!

შლიაპიანმა ლევანს ისევ გაუღიმა.

„არაფერი არ უნდა მეთქვა, ჩემი ბრალია“, — გაიფიქრა ლევანმა. ამ კაცს, ეტყობოდა, ლაპარაკის საღერღელი ჰქონდა აშლოო. ასითმა კაცმა თუ შეგატყო, ყურში გესმის და ენა გაქვს, გათავდა, აღარ მოგეშეება.

მაგრამ შლიაპიანს აღარაფერი უთქვამს. იჯდა თავისთვის, ხანდახან ლევანს მორადობით გაუღიმებდა ხოლმე, ისიც მაშინ, როცა მათი თვალები ერთმანეთს შეხვდებოდნენ.

ლევანი ისევ თავის ფიქრებს დაუბრუნდა.

ელისო და ლევანი ქორწილის მერე მოსკოვში წაივლინენ.

სადგურში უამრავი გამცილებელი გამოჰყვათ. პირდაპირ სუფრიდან აიშალნენ და წაოვიდნენ. ყვავილები... შამანურის ბოთლები... საჩუქრები. ლევანს ხელში თეთრი, უშნო ყვავილი ეჭირა. ეგონა, ყველა მას უყურებდა. რცხვენოდა. ყველაზე მეტად კი ვაგონის გამყოლი ჭალარა ქალისა, რომელსაც თვალზე ცრემლი მოსდგამოდა. ელისო ლევანისკენ არ იხედებოდა. ვაგონის კიბის საფეხუზე იდგა და ორნავ კედლობრილი, დედას ელაპარაკებოდა. მიძიმე, ძვირფასი ქურქი ეცვა, ლოყები აწითლებოდა. ელისოს მამას ახალგაზრდებისთვის ხელი გადაეხვია და თვალდახუჭული მღეროდა, მთვრალი იყო.

„აი, უკვე ცოლიანი კაცი ვარ“, — ფიქრობდა ლევანი. მერე გაახსენდა, როგორ ლაპარაკობდნენ ცოლის შერთვაზე ბიჭები უნივერსიტეტში.

— ცოლი, ძმაო, სულ სხვა რამეა. — ამბობდა ერთი, — სულ სხვა!

— მაინც რა?

— სხვა!

რა იყო ის „სხვა“, თითქმის არავინ იცოდა, მაგრამ გრძნობდნენ, რომ „ცოლი“ მათ ნაცნობ გოგოებს ალბათ არ ემგვანებოდა.

— მე მეგონა, მწერლები უფრო კარგად ცხოვრობდნენ, — უთხრა თბილისში დაბრუნებისთანავე ელისომ, — მაგრამ არა უშავს, მამა დაგვეხმარება.

— არა!

— შენი ნებაა...

ცოტა ხნის სიჩუმის მერე ისევ წამოიწყო:

— ერთადერთი ქალიშვილი ვყავარ, აბა, ვისთვის უნდა...

— არა-მეთქი!

— დედამ თქვა, ხალხი რას იტყვისო.

— დედას უთხარი, არაფერსაც არ იტყვისო.

— კარგი რა, ლევან!

— აი, ასე უთხარი, გაიგე?

— გაიგე...

ელისოს მშობლებს ისიც რცხვენოდათ, ლევანი რომ არსად არ მუშაობდა. მწერლობა მათთვის მუშაობა არ იყო.

ისინი მას არასერიოზულ საქმედ, უფრო სწორად, გაართობად თვლიდნენ. ნაცნობებს უბოდიშებდნენ კიდევ, მალე დაიწყებს, ბატონო, მუშაობას, სულ მალეო...

არა, ელისო, რა თქმა უნდა, ასე არ ფიქრობდა. ის ხომ თავისი თვალთ ხედავდა, როგორ მუშაობდა ლევანი დღე და ღამე, დღე და ღამე. თვითონაც დაიწყო წიგნებისა და ჟურნალების კითხვა. კითხულობდა ბევრს, ცდილობდა გაეგო ყველაფერი, რაც ლიტერატურაში ხდებოდა. ამიტომ, როცა ლიტერატურაზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი (ელისოს უკვირდა, მწერლები ყველაზე ცოტას სწორედ ლიტერატურაზე ლაპარაკობდნენ), თამამად ჩაურთავდა ხოლმე სიტყვას და რასაც იტყოდა, ის ნამდვილად იცოდა. მაგრამ მაინც იგრძნობოდა, რომ მან ეს საგანგებოდ ისწავლა. ელისო კომპოზიტორს რომ გაჰყოლოდა, მაშინ ალბათ მუსიკის ისტორიას შეისწავლიდა, კონცერტებზე ივლიდა, მუსიკოსებს გაიცნობდა. ლიტერატურა მისთვის დიასახლისის „საოჯახო წიგნივით“ იყო.

ელისო ცდილობდა, ლევანის გარშემო ყველაფერი მოწესრიგებული ყოფილიყო. ყოველ დილით ულაგებდა მაგიდას, უგროვებდა გაფანტულ ქაღალდებსა და წიგნებს... მარტო ამით არ კმაყოფილდებოდა: საუზმე დროზე, გაქათათებული პერანგი, დაუთოებელი ყელსახვევი და კიდევ უფრო დიდი და მნიშვნელოვანი რამ — ლევანის არსება, სული, რაც, როგორც ის თვლიდა, მეტად არეგდარეული იყო. ასეთი მოქმედება ნელ-ნელა თვითდაჯერებულსა და თამამს ხდიდა და რადგან ლევანი არ უძალიანდებოდა, საკუთარ უფლებას დღითიდღე ზრდიდა. თითქოს სანიმუშოდ მოვლილ, სუფთა გალიაში

თამაზ ჭილაძე

ვინ ცხოვრობს ვარსკვლავებზე?

მხეცი ჰყოლოდეს დამწყვედელი, რომელიც ადამიანად უნდა ექცია. ამ მეტად საპატიო მისიას დიდი მონდობებით ასრულებდა.

„ნუთუ მეც გამოვიცვალე, — ფიქრობდა ლევანი, — ნუთუ ამ ორ წელიწადში გამოვიცვალე?“ ამ ბოლო დროს რატომღაც გულზე სინანულის გრძობა შემოაწვეებოდა, თუმცა ვერაფრით აეხსნა, რა იყო ამის მიზეზი.

არა, ადამიანები ასე უცებ არ იცვლებიან. ხანდახან წლები გადის და კაცს ცვლილებას ვერ შეაბჯობ, ისევ ისეთია, როგორსაც აქამდე იცნობდი. მოულოდნელად სხვანაირად შემოგხედავს, ან რამეს ისეთს იტყვის, რომ გაოცდები. დააკვირდები და მიხვდები, რომ გამოიცვლილა. ისევე როგორც სიმწვანეში ერთი პაწაწინა ყვითელი ფოთოლი შემოდგომის მოახლოვებას გაამყდვენებს ხოლმე. კლდე ქარით ნელ-ნელა იბზარება, წყალიც ჭიასავით ხრავს და მაინც არაფერი ერყობა. ერთ დღეს კი უცებ დაიგრიანებს და ჩამოიშლება.

უცებ კარგ გუნებაზე დადგა.

„არა, კლდე თუმცა შეუმჩნევლად, მაგრამ მაინც ღლითიღლე პატარავდება. კაცი კი, პირიქით, იზრდება.“

ვინმესთან გამოლაპარაკება მოუნდა. მეზობელს მოერიდა, კონდუქტორს კი დაუძახა:

— მოგვაწვეინე, კაცო, პაპიროსი, რა მოხდა?!

კონდუქტორმა გაკვირვებისაგან ორივე წარბი ასწია:

— არ შეიძლება-მეთქი, ხომ ვთქვი! ლევანის მეზობელი ისევ გამოცოცხლდა, ლევანს მხარი აუბა:

— არ შეიძლება ხომ?

— არა.

— კარგი აბა, აღარ ჩავჯდებით შენს ტრამვაში!

და ხმამაღლა გაიცინა, თითქოს ძალიან ენამოსწრებულად ეხუმროს.

ლევანმაც სიცილით გაიმეორა:

— არ ჩავჯდებით შენს ტრამვაში!

ამ ვაგონში თუმცა სულ უცნობები ისხდნენ და ყველანი თავისას ფიქრობ-

დნენ, მაინც ერთმანეთთან უკვე რაღაცით იყვნენ დაკავშირებულნი, თვითონაც არ იცოდნენ, რით. ადამიანები უნდა იყვნენ, ში ჩაგდებული მარცვლივით უცებ გაიდგამს ხოლმე ფესვს მეორე კაცის არსებაში. ხანდახან ეს მისდა შეუცნობლადაც ხდება, ბრმად.

კონდუქტორმა ამ უმიზეზოდ ახარხარებულ კაცებს ცოტა ხანს უყურა და მერე ხელი ჩაიქინა:

— ნუ ჩაჯდებით, რა ვქნა!

ტრამვაი ნელა მიდიოდა. აუჩქარებლად კეცავდა გზას. ახლა ამ ცარიელი ქუჩის პატრონი ის იყო, ქუჩა მასი რახრახით იყო სასვე.

ვაგონში ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

აქამდე როგორ ვერ შეამჩნია, მისი მეზობელი ცოტა ნასვამი რომ იყო? კიდევ იმბიტომ უხდიდა ქუდს წარამარა.

„მთვრალი კაცი ტრამვაში არ უნდა ჩაჯდეს, — ფიქრობდა ლევანი, — ტრამვაი მთვრალებისთვის არ არის სოგონილი. მთვრალი შინ ან თიხით უნდა ბრუნდებოდეს, ან კიდევ მანქანით.“

თვითონ კი თითქოს დღეს წვეთიც არ დაელიოს, სრულიად გამოუჩნელად სასმელი.

— ახლა მე თქვენ მთვრალი გგონივართ, — უთხრა შლიაპიანმა ლევანს.

ლევანი შეკრთა.

— არა, ბატონო.

— კი, მთვრალი გგონივართ ნამდვილად, მაგრამ არა ვარ მთვრალი.

— არა, ბატონო, მთვრალი არ მგონიხართ. მთვრალი რატომ უნდა მეგონოთ?

— ნასვამი ვარ ცოტა.

— მერე რა მოხდა?

— ჰოდა, არაფერი, ისე ვთქვი.

ლევანმა ფანჯარაში გაიხედა და ისე უპასუხა:

— მთვრალიც რომ იყოთ, რა ჩემი საქმეა, ბატონო!

ეტყობა, ლევანმა ერთი-ორჯერ ხმამაღლა რომ გაიცინა, იმ კაცმა იფიქრა, მე დამცინისო. კაცი გადმოიხარა და ლევანს მუხლზე დაადო ხელი:

— არ გეწყინოს, თუ ძმა ხარ.

ლევანმა მხრები აიჩეჩა და გაუღიმა, ვითომ რა უნდა მეწყინოს, აქ საწყენი რა იყო. ტრამვაი გაჩერდა. ლევანი წამოდგა და კარისკენ წავიდა. სანამ ჩავიდოდა, მოტრიალდა და ვაგონში დარჩენილებს დაუძახა:

— ნახვამდის!

მისი მეზობელი წამოდგა და შლიაპა მოიხალა:

— ნახვამდის.

გაზეთის პატრონმა მოხედა და ხელი დაუქნია. კონდუქტორმა კი რალაც ჩაიბუზღუნა.

„ეს საღ წამოვსულვარ, — გაიფიქრა ლევანმა, — აქედან შინ წასვლა არ გინდა?“

მაგრამ საქმე ის იყო, გრძნობდა, ვანგებ რომ წამოვიდა ამ სიშორეს. მერე იმასაც მიხვდა, თუ რატომ დადგა კარგ გუნებაზე. ამის მიზეზი ის იყო, რაც დღეს გიგის მატარებელმა გაახსენა. თუმცა არც არასოდეს დავიწყებია. იმ ამბავს მის სულში ეძინა, ძილში იზრდებოდა, ხორცს ისხამდა. ლევანი გრძნობდა, რომ დრო მოვიდა, ახლა უკვე უნდა დაეწერა, ხმამაღლა ეთქვა. ისიც უხაროდა, რომ პირველად წერდა ისეთ რამეს, რაც ნამდვილად თვითონ გადახდა თავს, რისი მოწმეც თვითონ იყო. ამ ამბავს არც შელამაზება ჰირდებოდა, არც რაიმეს დამატება, პირდაპირ უნდა მოგეყოლა. სანამ მოთხრობას დაწერდა, ჯერ ფიქრში წარმოიდგინდა თავიდან ბოლომდე... ეს წარმოდგენა დღეს დაიწყო, როცა მანქანაზე უაზროდ უკაკუნებდა: „მარი! მარი! მარი!“. ახლა შეეძლო, სანამ სახლამდე მივიდოდა, სულ ამაზე ეფიქრა, მარტოს არავინ შეუშლიდა ხელს.

ქუჩა ცარიელი იყო.

## წიგნაკა

ვაგრძელება

— რა ხმა აქვს მინც მატარებელს! — თქვა იროდიმ.

მიტოს გაახსენდა, რა დაემართა სამი დღის წინ. თუმცა, რაც თავს გადახდა, აქამდე სიზმარი ეგონა. ეგონა კი არა,—

დარწმუნებული იყო, დამესიზმრებოდა რადგან ისეთი საქციელი უპირველესად სწორედ საკუთარი თავისგან უნდა გამომდინარეობდა. იქნებ დღემდე არც კი იცნობდა თავის თავს? იქნებ ის მეცხრე კარი გაიღო?

იმ დღეს რეისიდან რომ დაბრუნდნენ, ბიჭები ჯერ საბილიარდოში შევიდნენ, ერთი-ორი პარტია ბილიარდი ითამაშეს, მერე მალა, რესტორანში ავიდნენ და დალიეს. იქიდან რომ გამოვიდნენ, მიტო მარტო დარჩა. დაცარიელებულ ქუჩაში მიაბიჯებდა. ამ ქალაქში ათი საათის მერე ქუჩაში ისედაც ვერავინ ნახავდით, მით უმეტეს, შუაღამისას.

ყველაფერი მოულოდნელად დაიწყო. მოეჩვენა, რომ ქალაქში სულ მარტო იყო. შეეშინდა. ეს შიში აღრე განცდილ არც ერთ შიშს არ ჰგავდა. ეს იყო დაუნდობელი, გაყინული რალაც. მერე ისიც იფიქრა, აქ თუ დავრჩი, დავიღუპებიო. რა იყო ეს, წინათგრძნობა თუ? „არაფერი, მთვრალი ვიყავი, მიტი არაფერი“. თუმცა მაშინ, რა თქმა უნდა, ასე არ ფიქრობდა.

ნაბიჯს უნებურად აუჩქარა, მერე გაიქცა კიდეც, დიდხანს მივრბოდა, ქალაქს გაურბოდა. ჯერ იფიქრა, სადგურში მივალ, რომელიმე მატარებელს შევახტებიო. მერე გადაიფიქრა, სადგურში ვინმე შემხვდება და გადავიფიქრებო. მანქანა ქარხნის გარაჟში რომ არ ყოფილიყო ჩაეკეტა, მანქანით გაიქცეოდა... ასე სირბილ-სირბილით გასცდა ქალაქს, კიდეც კარგა ხანს ირბინა, მერე ბუჩქნარში შევარდა და პირქვე დაეცა.

მატარებელი ამ ადგილას ყოველთვის სვლას უკლებდა, მიტომ ეს კარგად იცოდა. ორთქლმავლები შორიდანვე მორთავდნენ ზოლმე კვიცის. რკინიგზა აქაც მაღალ მიწაყრილზე იყო დაგებული. მატარებელს რომ შეხტომოდა, ჯერ მიწაყრილზე უნდა აფოფხებულყო. მთავარია, მატარებელი სატვირთო ყოფილიყო. სამაგზავრო გაცილებ-

თამაზ ჭილაძე

ვინ ცხოვრობს ვარსკვლავებზე?



ბით საშიში იყო, ვინმე იცნობდა, ხელს მოჰკიდებდა და გათავდა... დააბრუნებდა. მას კი გაქცევა უნდოდა. იცოდა, სადაც მივბოძა, ბათუმში, ცოლ-შვილთან. თითქოს ისინი დაიხსნიდნენ იმ განსაცდელისგან, რასაც გული წინასწარ უგრძნობდა.

მთელი ღამე ბუჩქებში იწვა, ფხიზლობდა, ეშინოდა, მატარებელი არ გაპარვოდა. ჯიბრზე იმ ღამით არცერთ სატვირთო მატარებელს არ გაუვლია, თუმცა ალონზე კი გაიარა ერთმა. გვიან შეამჩნია, რადგან არც ორთქლმავალს დაუკვივლია. გაიქცა, მიწაყრილზე რომ აფოფხდა, იგრძნო, ვერ მიუხსრებდა. მართლაც ვერ მიუხსრო. ბოლო პლატფორმაზე კაცი იდგა. მიტო რომ წამოდგა, იმ კაცმა ხელი დაუქნია. ასე იციან ხოლმე, მატარებლიდან ისე დაგიქნევენ ხელს, ვითომ დიდი ამბით ელოდები. მიტო მატარებელს გაეკიდა. ის კაცი რაღაცას მასხარაობდა, პლატფორმის ბოლოზე გადმოიწვია, ხელიც გამოუწოდა, ვითომ მოდი, მოდი, მოგეხმარებო. მიტო გაჩერდა, მიმავალ მატარებელს დიდხანს უყურებდა, თითქოს არ სჯეროდა, რომ დაავიანა. მერე უკან გამოტრიალდა. მიწაყრილის პირზე ფეხი დაუსხლტა და ზურგით ჩამოსრიალდა. წვიმა ათი წუთის დაწყებული თუ იქნებოდა, მიწის დასველება კი მაინც მოეწრო. მის მერე არც გადაუღია. ისე უგემურად წვიმდა, თითქოს ვიღაცის ხათრით მოდიოდა.

ბუჩქნარში ტოტები დაამტვრია და ძირს დაიფინა. უკვე გამოფხიზლებულიყო და თუმცა თავს არ უმხელდა — რცხვენოდა. სწორედ ამიტომაც ჯიუტად არ უნდოდა აქედან ფეხის მოცვლა. წვიმები ფოთლიდან ფოთოლზე დახტოდნენ, იქიდან კი პირდაპირ სახეზე ეცემოდნენ. ჩასთვლიმა, მაგრამ წვიმის ხმამ მაშინვე გააღვიძა. გულადმა გადმოტრიალდა, ცას ახეთა და მაშინვე ისევ ჩაიძინა. ძილში გული შეუხტა. მოეჩვენა, ვიღაც ეძახდა. მოჩვენა კი არა, ისიც დაინახა, ვინც ეძახდა — მარი იყო! ტირილა!

„სად მივბოძდი, რატომ? რისი შედეგით შეშინდა?“ — გაიფიქრა მიტომ და თავის უცნაურ საქციელზე მწარედ მოეფიქრა.

ტოტებში პატარა ჩიტი უსტვენდა. ჩიტს ფოთოლი ეფარა და არ სველდებოდა. ის კი მიწაზე იწვა და წვიმა მკერდზე ურტყამდა, თითქოს მისი მიწაში ჩატკეპნა უნდოდა.

„უფრო მაგრად, — ფიქრობდა მიტო, — უფრო მაგრად! სად მივბოძდი, სად?“

უცებ ისეთი რამ იგრძნო, რაც აქამდე არასოდეს უგრძნოდა — ბედნიერი იყო! თითქოს ამ ქვეყანაზე მეორედ დაიბადა.

უკან დარცხვენილი და შემკრთალი დაბრუნდა, თითქოს თავის თავში ისეთი რამ აღმოაჩინა, რასაც არაფრით არ ელოდა.

— მასხოვს, ბავშვი ვიყავი, პირველად მატარებელში რომ ჩამსვეს, — თქვა იროდემ.

ამ დროს მარი ისევ გამოვიდა. ახლა, ეტყობა, სადაც წასვლა გადაეწყვიტა, რადგან თავზე მოსახვევი მოეხვია. ილიაში კი წიგნი ამოეჩარა. ქალი შორს ისე ვერ წავა, ხელში რამე თუ არ უჭირავს. მარიმ მართლაც გამოაღო ეზოს ჭიშკარი და ქუჩაში გამოვიდა. აქეთ-იქით გაიხედა, თითქოს წინდაწინ არ იცოდა, საით უნდა წასულიყო, ცოტა ხანს დაყოვნდა და მერე მარჯვნივ წავიდა, ღობის გასწვრივ ბილიკს გაჰყვა. ქუჩას თხრილი ჩაუღიოდა. თხრილში წყალი ნელა მიედინებოდა, ამიტომ მწვანე, არასასიამოვნო ფერი გადაჰკრავდა. თხრილის ნაპირებიც ერთიანად მაღალი ბალახით იყო დაფარული.

„დღეს ყველაფერი უნდა გოთხრას, — გაიფიქრა მიტომ, — აღარ შემოდია.“

ცოტა ხანს კიდევ იჯდა აივანზე, თითქოს იროდის ლაპარაკს უსმენდა, ნამდვილად კი არაფერი ესმოდა.

მარი შინ მოკლე გზით ბრუნდებოდა ხოლმე. გზა ზღვის პირას მიდიოდა. სილაში ჩაკარგულ ბილიკს ერთი მხრი-

დან ხის თეთრად შეღებილი მესერი მისდევდა. ამ მესერით სანატორიუმის ბალი იყო შემოღობილი. ზღვაც იქვე, რამდენიმე მეტრის დაშორებით, ბეტონის უზარმაზარ ლოდებზე იმსხვრეოდა. სანატორიუმის ბაღში ეკალიპტები გარინდებულყვენენ. მათ შემხედვარს უნებურად აფიქრებინებდნენ, რომ ცა ძალიან შორს და ძალიან მალა იყო. სანატორიუმში სინათლე ერთი და ფანჯრების შუქი ტოტებს შორის ვარსკვლავებივით კიაფობდა.

მიტო ქვას ზურგით მიყრდნობოდა და მარის ელოდებოდა.

„მეტი აღარ შემიძლია, — ფიქრობდა მიტო, — მეტი აღარ შემიძლია!“ — გული ისე ავსებოდა, მარისთვის ყველაფერი რომ არ ეთქვა, ალბათ, გაუსკდებოდა. სულ რამდენიმე დღის წინ ამაზე ფიქრისაც კი ეშინოდა.

მიტოს პირი გაშრობოდა, თუთუნის კვამლი ყელს სწვავდა. ისე ლეღავდა, რომ ხელი უქანკალებდა. არც ახსოვს, როდისმე ასე აღელვებულყოფს, ან ასე შეტყობოდეს აღელვება. მას თავდაპირველ კაცად თვლიდნენ. თვითონაც ეგონა, თავის დაჭერა შემიძლიაო. ხელი რომ აუქანკალდა, მაშინ ასანთს ანთებდა. ჯერ იფიქრა, შემცივდაო. მართლაც ცივი ქარი უბერავდა. მერე აკანკალებული ხელი ვერაფრით რომ ვერ გააჩერა, შეეშინდა, რადგან მიხვდა, რაც მარისთვის უნდა ეთქვა, თურმე სიკვდილ-სიცოცხლის საქმე ყოფილა! მარი თუ უარს ეტყოდა, იმის მერე რა იქნებოდა, არ იცოდა. მერე ყველაფერი ბნელით იყო მოცული. ახსოვს, ერთხელ ნაპირზე წვიმამ მოუსწრო, ნავის ქვეშ შეძვრა და წვიმას იქ შეეფარა. დალილს ისე დასძინებოდა, ვერ გაეგო. თვალი რომ გაახილა, ეგონა, დავებრმავდიო, რადგან უცებ ვერ გაიხსენა, სად იყო. „მარიმ უარი რომ მითხრას, დავებრმავდებიო“, — ფიქრობდა მიტო. უარის შიში მის შეგნებაში რატომღაც სიბნელესთან იყო დაკავშირებული. სიბნელით აფრთხობდა. ეს კი იყო, რომ გულის სიღრმეში სჯეროდა, მარი უარს არ მეტყვისო. თუმ-

ცა ასეთი რწმენის არავითარი საფუძველი არ ჰქონდა.

ამ ქვეყანაზე კაცი არ იყო, რომელმაც ტანჯვის ამბავი რომ ცოდნოდა. იქნება ჯობდა, ვინმესთვის გაენლო? არა, ამას მიტო ვერ ბედავდა. იმიტომ რომ, ეშინოდა, შეიძლება მარისზე ცუდი რამე მითხრანო: „ამას იმიტომ გეუბნებით, შენთვის კარგი რომ გვინდა“.

ზღვა ლეღავდა. ზღვა ისე ახლოს იყო, ნაბიჯი რომ გადაედგა, წყალში ჩაღებოდა. უნებურად ქვას მოშორდა და წინ წამოვიდა. წამოვიდა და პირდაპირ მარის შეეფეთა.

— ვაიმე! — შეჰკივლა მარიმ.

მიტო დაიბნა, მარის ასე ჩქარა არ ელოდა. ვერაფერი უთხრა, გაშტერებული შეაკვირდა.

— მიტო ხარ? — დამშვიდდა მარი, — როგორ შემაშინე!

— ჰო, მიტო ვარ, მიტო, — უპასუხა გაკვირვებულმა, რადგან არ ელოდა, თუ მარიმ მისი სახელი იცოდა, თანაც შენობით მიმართავამ სულ დააბნია.

მარის შიშმა რომ გაუარა, აღელდა, თვითონაც ვერ მიხვდა, რატომ. სწორედ ეს ლეღვა რომ დაეფარა, შენობით ლაპარაკი დაუწყო კაცს, რომლისთვისაც აქამდე ხმა არ გაუცია, თუმცა შორიდან კი დიდი ხანია იცნობდა.

— აქ ვის ელოდები? — ჰკითხა მიტოს. ვერაფრით ვერ მოიშორა ეს შინაურული კილო. მისდა უნებურად მოსდიოდა ასე, თითქოს მისი არსებობა ვიღაც სხვა ელაპარაკებოდა მიტოს, თვითონ კი იმ სხვას ვერ აჩუმებდა.

— არავის არ ველოდები.

„ერთ ქალაქში ვცხოვრობთ. თითქმის ყოველდღე მხედავს. ამიტომ ელაპარაკება ასე, მეტი არაფერი.“

— არ გცივა?

— არა.

მარი აშკარად დაბნეული იყო. ამ დაბნეულობის გამო უცხო კაცს თავისუფლად, დიდი ხნის ნაცნობივით გა-

თამაზ ჭილაძე  
ვინ ცხოვრობს ვარსკვლავებზე?

უბა საუბარი. მარიმ ნაბიჯი გადადგა, ეტყობა, წასვლა დააპირა.

— მარი! — თქვა მიტომ ისე, რომ თავი მალლა არ აუწევია, თითქოს მიწას ჩასძახაო.

— ასე ადრე არ უნდა აცივებულიყო. — თქვა მარიმ.

— მარი! — გაიმეორა მიტომ.

— რა გინდა? — მარის ხმა დეძაბა.

— არაფერი. შინ მიდიხარ?

— დიას, შინ მივდივარ, — მარი გონს მოვიდა, დაბნეულობა დასძლია.

— მეც იქითა მაქვს გზა, წავიდეთ.

— წავიდეთ. მე კი მეგონა...

— რა? რა გეგონა?

— მეგონა, ვილაცას უცდიდით.

მიტომაც შეატყო, რა უცებ შეიცვალა მარი. ისევ ისეთი შორეული და მიუწვდომელი გახდა. საკვირველია, მაინც ასეთი ერჩია, რომ ყოფილიყო, რადგან, რის თქმასაც აპირებდა, სწორედ ასეთი მარისთვის უნდოდა ეთქვა.

— ჰო-ო.

— ვიფიქრე, ვილაცას უცდის-მეთქი.

ცოტა ხანს ჩუმად მიდიოდნენ. რადგან ბილიკზე მხარდამხარ ვერ ივლიდნენ, მიტომ მარი წინ გაუშვა.

— კინოში ვიყავი, — თქვა მარიმ, ალბათ ზრდილობისთვის. სულ ასე ჩუმად ხომ არ იქნებოდნენ?

— მარი!

მარიმ მიტოს მოხედა, მიტომ რომ არაფერი უთხრა, გზა განაგრძო.

— მარი! — ახლა კი უკვე იყვირა მიტომ.

მარი გაჩერდა, დაძაბული ერთ ადგილას გაქვევდა, მხრებშიც მოიბუზა, თითქოს დარტყმის აცილებას აპირებდა. როდის-როდის მოხედა:

— რა?

მიტომ კი არ თქვა, ამოიხვნეშა:

— შენ გელოდებოდი.

— რა? — მარი ყურს არ უჯერებდა.

— აღარ შემიძლია, — მიტოს ხმა ჩაუწყდა, — აღარ...

— რა დაგემართა? — მარიმ ნაძალადევად გაიცინა, ალბათ მთვრალია და ხუმრობსო.

— არ გესმის? — მიტო მიუახლოვდა

და მხარზე ხელი დაადო. მარიმ მხარი გაიქნია, ხელი ააღებინა.

— იცოდე, თუ არ გაჩუმდები, გავუტყვი, — უთხრა წყნით.

— მარი, მე არ გეხუმრები!

— არ მეხუმრები?

მარიმ ისევ შენობით მიმართა, მაგრამ ახლა ეს უკვე გაბრაზებას ნიშნავდა.

— არა!

მიტომ იგრძნო, რომ დამშვიდდა. ყველაფერი უკვე თქვა, აღარ ლელავდა.

— ხუმრობ! — თქვა მარიმ მტკიცედ, თითქოს უბრძანებდა, შენი სიტყვა გადათქვიო.

— ვხუმრობ კი არა...

— ხუმრობ! ხუმრობ! დამცინი! — მარიმ თანდათან ხმას აუწია: — შენც გითხრეს, არა? მიდი, ადვილიაო, გითხრეს, არა? მე ხომ ყველა მატყუებს.

— მე არ გატყუებ, დამიჯერე!

— არა! არა! არა!

მიტომ ისევ მოჰკიდა ხელი და მკერდზე მიიკრა:

— მე მართლა მიყვარხარ, მართლა!

მარიმ გაიბრძოლა, თავი გაინთავისუფლა.

— მარი!

— ხუმრობ! ხუმრობ!

მიტოს გული ჩაწყდა. მერე უცებ გაბრაზდა, რადგან არ უჯერებდნენ, ყველაზე უფრო დიდ სიმართლეს არ უჯერებდნენ!

ახლა იმანაც უყვირა:

— მომშორდი, თვალით არ დამენახო! ვინც გეხუმრება, იმასთან წადი! მომშორდი!

მარი გაცეცხლებული შეაშტერდა, თვალი დიდხანს არ მოუცილებია. მერე უცებ ტირილი აუვარდა. მიტომ სული ძლივს მოიბრუნა, თავზე ხელი გადაუხვავა:

— ნუ ტირი, რა გატირებს? შენ თუ არ გინდა...

მარი მაინც ტიროდა, ბავშვივით სლუკუნებდა, რალაცას ამბობდა, მაგრამ მიტო ვერ არჩევდა.

— იქნებ ვინმე ვიყვარს, სხვა? — ჰკითხა მიტომ ჩურჩულით, მაგრამ მა-

შინვე ინანა, რადგან მარი ელდანაცემით მოშორდა. უკან-უკან წავიდა, ხელები გაასაესავე:

— არა! არა! არავინ!

### პერონტი

ლევანი ქარხნიდან გვიან, საღამოს პირს დაბრუნდა. სანამ შინ წავიდოდა, წვერის მოსაპარსად სადალაქოში შევიდა.

სადალაქო პატარა, ლურჯად შეღებილ სახლში იყო. ამ სახლს ორი ოთახი ჰქონდა: ერთი — სახელოსნო, მეორე კი საცხოვრებელი.

სახელოსნოში არავინ დახვდა. მერე გერონტის ცოლმა გამოხედა, მიესალმა და ოთახში შემოვიდა.

— გერონტი! — უკვე მესამეჯერ ეძახის ცოლი, — მუშტარი გიცდის!

გერონტი მეორე ოთახში ნარდს თამაშობს. კამათლის წკრიალი, ქვების ტყაცუნა და გერონტის შეძახილები ისმის:

— შაში-ღუ-მეთქი!

— ძაღლის ძვალი ხარ, ძაღლის!

— გენაცვალე მოსვლაში!

— გერონტი, გიცდის-მეთქი! — ცოლი აშკარად შეწუხებულია.

— ღუშაში ვთხოვე, ღუშაში! — არ ცხრება გერონტი.

— გერონტი, ნუ აცდევინებ ამ პატროსან ადამიანს, — თან ლევანს უბოღიშებს, — ხომ იცით მაგის ამბავი...

გერონტიმ, როგორც იქნა, ისმინა ცოლის მუდარა, იმ ოთახში სკამი გახრიგინდა.

— დამიცადე, ახლავე მოვალ! — დაუბარა ამხანაგს.

გერონტის გულისჯიბეებიანი, ხვერდის ხალათი აცვია. წელზე ბრტყელი ქამარი აქვს შემორტყმული. ვალიფე და უძიროები მოხდენილად ამთავრებენ მის ჩაცმულობას. ისეთი ვიწრო წელი აქვს, იფიქრებ, ნემსის ყუნწში აქვს ჩატოვებულიო.

თუმცა ჯერ არ აცივებულა, სადალაქოში თუნუქის ლუმელი მაინც ანთია.

ცხელა. ლუმელზე ჩაიდანი დგას. კედლებზე ჟურნალებიდან ამოჭრილი, ვითლებული სურათები გაუქრავთვარდინი, ბარქაია, პლისეცკაია.

— დაჯექი!

გერონტი აშკარად ჩქარობს. მას გრძელი, ნერვიული თითები აქვს. საპონი რომ ააქაფა, მთელი მაგიდა მოსვარა. ლევანი ბავშვივით უმწეოდ ზის, კისერთან გაკეანძული, თეთრი ზეწრით. მარჯვნივ ფანჯარაა, ფანჯრიდან მოჩანს მანდარინის მუქი მწვანე ხეები და ჩამოძენილი ევკალიპტი.

გერონტიმ საპონი ლოყებზე წაუსვა. მერე სამართებელი კედელზე ჩამოკიდებულ ტყავის ღვედზე გაღვსა.

შემოდის გერონტის ცოლი და ალბათ ზრდილობისთვის იწყებს:

— როგორც იქნა, გამოიღარა, ბატონო.

— გადი, ქალო, სტუმარს მიხედე! ქალი მაშინვე უსიტყვოდ გადის.

— გერონტი, რამ გაგაბრაზა, წააგე? — ეკითხება ღიმილით ლევანი.

— მე ვიცი, რამაც გამაბრაზა, — პასუხობს გერონტი უხეშად, მერე უმატებს, — სამართებელი უნდა გამოგისვა ყელში!

ისმის ტყავზე ასრიალებული დანის ხმა.

გერონტი ნელა პარსავს, თითქოს ხელიც უნდა უთრთოდეს.

— რატომ, გერონტი, რატომ? — ლევანი ღიმილის შენარჩუნებას ცდილობს, უღარდელად ეკითხება.

— არ იცი? რატომ და...

სამართებელი ყელზე ჩერდება. სიჩუმე ჩამოეარდა, ლუმელში ნაკვერჩხალი გატაცუნდა, მწარედ, უსიამოვნოდ.

— რატომ და... მარის თავი უნდა დაანებო!

— რა-ა? — ლევანი ადგილზე შეხტა. გერონტიმ ახლა კი გაუღიმა:

— გულზე მოგხვდა, ბიძიკო?

— რას ამბობ, გერონტი?

თამაზ ჭილაძე  
ვინ ცხოვრობს ვარსკვლავებზე?

— მიტოია ბრიყვს ჰგონია, ქალს მე ვუყვარვარო, ხი-ხი-ხი, — ჩაიხიხითთა გერონტიმ და მხარზე ხელი დაჰკრა.

„რადგან აქ ითქვა, მთელი ქალაქი ალბათ ასე ფიქრობს!“

ლევანი ყველაფერს მოელოდა, ამას კი არა. ერთი წამითაც კი არ უფიქრია, რომ ასე იტყოდნენ, დააბრალებდნენ, სწორედ რომ დააბრალებდნენ. სხვა სიტყვა ვერ მოეძებნა.

— გერონტი, ეგ მეორედ არ მითხრა!

— რატომ, კაცო, რატომ? — განაგრძობდა გერონტი სიცილს, — მიტოია ბრიყვი!

— არ მითხრა-მეთქი!

— რა მოგივიდა, ბიძიკო, შენ კი არ ხარ პირველი?!

— გერონტი! — ლევანს ხმა აუცახცახდა. გერონტი ახლა, ამ წუთას რომ არ გაჩუმებულიყო, არ იცოდა, რას იზამდა. დაუმსხვრევდა ალბათ ყველაფერს.

— კარგი, ბატონო, — გერონტის ხმა შეეცვალა, — სამარე ვარ!

მერე ხმა აღარ ამოუღია.

სადალაქოდან ლევანი დამძიმებული გულით გამოვიდა, თითქოს შიგ ადუღებული ტყვია ჩაასხესო.

„განა მარი ასეთი გოგოა? — ფიქრობდა, — საკვირველია, რა უნდათ?“

## პირილი

მერე ლევანი რესტორანში შევიდა. რესტორანი სასტუმროს პირველ სართულზე იყო. პატარა დარბაზში სულ რამდენიმე მაგიდა იდგა. კედელთან პიანინოც მოჩანდა. პიანინოს დანით ამოჭრილი ისარგაყრილი გული ეხატა. ნახატს წარწერაც ჰქონდა: „ემა+აბესალომი.“ რესტორანში ვინც კი შემოვიდოდა, ჯერ პიანინოსთან მივიდოდა, სახურავს ახდიდა და კლავისს თითს დაჰკრავდა. პიანინო რომ ხმას გამოსცემდა, ზოგს ეს ბავშვივით უხაროდა.

რესტორანი კარიელი იყო, არც დახლში იდგა ვინმე. ლევანი მაგიდასთან ჩამოჯდა, სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა. ამ დროს სამზარეულოს კარი

გაიღო. ლევანს იქით არ გაუხედიო, რადგან ფლოსტების ხმაზე იცოდა, რილე იყო. კირილეს დახლში დაჯდომისას გან ფეხები უსიგვდებოდა, ამიტომ ქუსლიან ფეხსაცმელს ვერ იცვამდა. ლევანს აქ შემოსვლა სწორედ კირილეს გამო არ უყვარდა, მაგრამ რა ექნა, ქალაქში ერთადერთი რესტორანი ეს იყო. კირილე პირდაპირ სულში უძვრებოდა, თვალეში შესცივინებდა, გადაჭარბებულ ყურადღებას ამჟღავნებდა — ლევანი გაზეთის კორესპონდენტი ეგონა. თუმცა რამდენჯერმე თქვა, მე გაზეთიდან კი არ ვარ, ყურნალისთვის ნარკვევი უნდა დავწერო. ვინ დაუჯერა!

კირილემ ტაში შემოჰკრა:

— ზინა!

ზინა ოფიციალტს ერქვა. კარგი გოგო იყო, თამამი. ის და ლევანი დიდი ხანია ერთმანეთს გაუშინალურდნენ.

კარი ისევე გაიღო და დარბაზში ახლა ზინა შემოვიდა, ლევანს მიუახლოვდა და მაგიდასთან გაჩერდა. ლევანმა ახედა, ქალს შავი კაბა ეცვა და ძალიან უხედავოდა. ლევანმა გაუღიმა.

— ზინა...

ზინამ საფერფლე ახლოს მიუჩოჩა და ჰკითხა:

— შეუკამ რამეს?

— ღვინო მომიტანე, ერთი ჭიქა.

— თევზსაც მოგიტან.

— კარგი.

ზინა გატრიალდა და წავიდა.

კირილემ დახლში თავისთვის რაღაც ფუსფუსებდა, ლევანმა რომ ყურადღება არ მიაქცია, თვითონ დაუძახა:

— გამარჯობა შენი!

ლევანმა იქითკენ გაიხედა:

— გაგიმარჯოს.

— რა დაგაღლებო?

— ზინას უკვე ვუთხარი.

კირილემ ტილოს ნაჭრით დახლზე დაწყობილი ჭიქების წმენდა დაიწყო:

— გაიგე? ბეყანი დაბრუნდა.

— ვინ?

— ვინ და, ბეყან გელოვანი.

— ჰო-ო.

ლევანი არც ბეჟანს იცნობდა, არც ის იცოდა, სად იყო აქამდე წასული.

სამზარეულოს კარი ისევ გაიღო.

— ღვინო გამიხსენი, — უთხრა ზინამ კირილეს.

— რომელი? რომელს დალევ? — გადმოსძახა კირილემ ლევანს. ისე შინაურულად ელაპარაკებოდა, თითქოს დიდი ხნის მეგობრები ყოფილიყვნენ.

— რვა ნომერს.

კირილემ ბოთლს საცობი ამოაძრო, ბოთლი ტილოთი გაწმინდა და ზინას გაუწოდა:

— აჰა!

— ერთი ჭიქაო...

— წაიღე-მეთქი, — თანაც ხელი გაიქნია, დამიჯერე, რასაც გეუბნებიო. ზინამ ბოთლი სინზე დადგა, დახლიდან დანა-ჩანგალი და ჭიქა აიღო და ისინიც სინზე დააღაგა. მოვიდა, ლევანს სუფრა უცებ გაუწყო.

— პური დამავიწყდა! — თქვა ღვინოთ ზინამ.

— აჰა, პური! — კირილემ თეფშით თხლად დაჭრილი პური გადმოაწოდა.

— წაიღი, ახლა სამზარეულოში შედი! — დაუძახა ზინას.

ზინა წავიდა, ცოტა ხნის მერე დაბრუნდა და ბოთლი შემოიტანა, თევზს ცოტა ძმარი მოაწკაპწკაპა.

— წაიღე-მეთქი! — რატომღაც გაუბრაზდა კირილე.

— მივდივარ, მივდივარ! — ზინას თითქოს ლევანის შერცხვა, ცოტა ხანს ოთახში კიდევ იტრიალა და წავიდა.

ლევანმა ჭიქაში ღვინო დაისხა, ჭიქა არ აუწვევია, თვალი გაუშტერა, რადგან უცებ გერონტის ნათქვამი გაახსენდა.

— მარტო სვამ, კაცო? — გაუცინა კირილემ.

— ჰო, მარტო ვსვამ, — ჩაიბუზღუნა ლევანმა და ჭიქა გამოცალა.

კირილე მივიდა, თან ჭიქა მიიტანა და მაგიდაზე დადგა, ალბათ მეინახეობის გაწვევას აპირებდა. ლევანმა ღვინო რომ არ დაუსხა, თვითონ აიღო ბოთლი და ჭიქა გაივსო. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს უნდოდა ეთქვა, განა ღვინის სმა მინდა, შენთან ლაპარაკი მწყურთაო.

— გაგვიმარჯოს! — ჭიქა ნელ-ნელა გამოცალა, მერე ცარიელ ჭიქას გახედდა და თქვა, — ჰოდა, იმას გეუბნებოდა ბეჟანი დაბრუნდა-მეთქი...

კირილე გახუმდა, ლევანს დაელოდა, რას იტყვისო. ლევანმა სიტყვა რომ არ შეაშველა, განაგრძო:

— ხუთი წელიწადი იჯდა, ბატონო, ხუთი! ადვილია? მერე რისთვის? ხუთი გრამი არაყი დააკლო ვიღაც მათხოვარს, აიღეს და ჩასვეს. ხუთი გრამი არაყი კაცს რას უზამდა, ყურში ჩაისხამდა თუ?

თან ცდილობდა ლევანისთვის თვალეზში შეეხედა. ლევანი კი თავჩაღუნული იჯდა. რაში აინტერესებდა ვიღაც არყისპარია ბეჟანის ამბავი.

— აწი ფრთხილად ვიქნებიო, მითხრა. სიფრთხილეა, ძმაო, მთავარი, სიფრთხილე! როგორც იქნა, გამოვიდა და ახლა შენ დააბრუნებ უკან? იქ ერთი კაცი ყოფილა, პატიმარი. ისეთ რამეებს ამბობდა, ბეჟანი გულზე სკდებოდა თურმე. ეს ჰქონია ამოჩემებული: ეს რა დასჯაა, გვაკმევენ, გვასმევენ, გვაძინებენ, ყოველ დილა-საღამოს სახეში უნდა გვაფურთხოვნო! ბეჟანს უთქვამს, ეგ ბლუყუნი თუ არ მოიშალე, მე შეგაფურთხებ ყოველ დილა-საღამოსო! აბა! ხი-ხი-ხი.

კირილეს ხველა აუტყდა, სახე ჭარხალივით გაუწითლდა. ახველებდა და თან მუხლზე მუშტს ირტყამდა. ამ ხველებ-ხველებში მაინც მოახერხა ზინასთვის დაეძახა, წყალი მომიტანეო.

— ღვინო მოსვი, — უთხრა ლევანმა.

კირილემ ხელი გააქნია, არა, ღვინო არ მოშველისო.

ზინამ წყალი მოუტანა და მამოინვე გაბრუნდა. კირილემ წყალი მოსვა, სული მოითქვა, წინ გადმოიხარა და ლევანს თვალი ჩაუკრა:

— კარგი გოგოა, არა? მაგ რომ არ მყავდეს...

ამ დროს რესტორანში აქაური სა-

---

თამაზ ჭილაძე

ვინ ცხოვრობს ვარსკვლავებზე?

ხალხო თეატრის მსახიობი შუქრი და-  
დიანი შემოვიდა. შუქრი მიუახლოვ-  
და მათ და თავაზიანად, მკერდზე ხელის  
მიდებით მიესალმა:

— საზოგადოებას ჩემი სალამი!

შუქრი ლამაზი ბიჭი იყო, კარგად  
ცეკვავდა, რაც აქაური ქალების აღტა-  
ცებას იწვევდა. ამიტომ რა პიესაც არ  
უნდა ყოფილიყო, ისე მოახერხებდა,  
რომ „ქართულს“ უსათუოდ იცეკვებ-  
და.

— მობრძანდი, შუქრი! — ლევანმა  
სუფრასთან მიიწვია.

— არა, ბატონო, ამხანაგებს ვეძებ,  
იმიტომ შემოვედი.

თუმცა შუქრი და ლევანი ალბათ  
ტოლუბი იქნებოდნენ, შუქრი მაინც  
სულ ბატონობით მიმართავდა ხოლმე.  
ამით იმის თქმა უნდოდა, რომ თუმცა  
აქ „პროვინციაში“ ვცხოვრობ, ზრდი-  
ლობა მაინც არ დამიკარგავს და ამავე  
დროს მწერლობის ფასიც ვიციო. ფა-  
რულად გულში ალბათ ისიც ოცნებო-  
ბდა, ნეტავ ლევანმა იმ ნარკვევში ჩემ-  
ხედაც დაწეროს რამეო, მაგრამ, რა  
თქმა უნდა, ამას არაფრის გულისთვის  
არ აგრძნობინებდა, თავი მეტად დამო-  
უკიდებლად და ამაყად ეჭირა.

სკამზე მაინც ჩამოჯდა, რადგან ლე-  
ვანთან საუბარი ეხალისებოდა. კირ-  
ლეს ორი ბოთლი ღვინო შეუკვეთა,  
საქმელი თუ გაქვს რამეო, ჰკითხა. მე-  
რე თითქოს კირილეს არ დაუჯერა, წა-  
მოდგა, სამხარეულოში შევიდა, ცოტა  
ხნის შემდეგ იქიდან ხელეების ფშვინე-  
ბით გამოვიდა, ახლავე ყველაფერი იქ-  
ნებო, თქვა, მაგიდას მიუჯდა, ფეხი  
ფეხზე გადაიღო და ლევანს ჰკითხა:

— იერემია წარბა რომ ვითამაშო, ვი-  
თომ რა იქნება?

ლევანს კინალამ ხმამაღლა გაეცინა.  
ახლა შუქრი მართლაც გაიხარებდა,  
ჩოხაც ეცემებოდა და რამდენიც უნდო-  
და, იმდენს იცეკვებდა.

— რა ვიცი, კარგი იქნება ალბათ...

— მეც მაგას არ ვამბობ? — შუქრიმ  
ხელები გაშალა, მერე ჰქიქები გაავსო  
და თქვა: — თუ ნებას მომცემთ...

ლევანმა გაუღიმა. ახლა ის უკვე

ჩიტვით იყო ბაღეში გაბმული, აქედან  
ვერაფრით თავს ვერ დააღწევდა. ღვი-  
ხო რომ არ დაეღია, შუქრი მტკარულს  
უნდა გადაეკიდებინა.

— დადგა ახლა თამადა! — თქვა  
კირილემ.

— მე მინდა ჩვენი სტუმრის სადღე-  
გრძელო დავლიო, — თქვა შუქრიმ, —  
სხვა რამე არ იფიქროთ.

რა იყო ეს „სხვა რამე“, ლევანმა  
ვერაფრით ვერ გაიგო. მის სადღეგრძე-  
ლოს სხვებიც ასე სვამდნენ, სხვა რამე  
არ იფიქროთო.

ასე შეყვანენ და შეყვანენ. მერე ვილაც  
მეთევზეები შემომამტნენ სუფრას. ან-  
ლია მათ შეუკვეთეს ღვინო და საქმე-  
ლი. ახლა მათი სადღეგრძელო დალია  
შუქრიმ. მერე სიმღერა წამოიწყო, მე-  
თევზეებიც აჰყვანენ. მერე შუქრიმ ორი  
ჰიქა ერთმანეთს მიადგა და თეატრისა  
და ლიტერატურის სადღეგრძელო ფეხ-  
ზე ადგომით დალია. მეთევზეებიც  
წამოდგნენ, იმათაც დალიეს. შუქრი  
თავჩაღუნული იდგა, ხელი მკერდზე  
ჰქონდა მიდებული, თითქოს ის სადღე-  
გრძელო პირადად მას ეხებოდა. სად-  
ღეგრძელო რომ მომთავრდა, შუქრი  
ლევანს გადაეხვია და გადაკოცნა. მე-  
თევზეებმა კიდევ შეუკვეთეს ღვინო.  
შუქრიმ კიდევ იმღერა. მერე ერთმა  
მეთევზემ თხოვა, იცეკვეო. შუქრიმ  
იუარა. კიდევ თხოვეს, არაფერმა არ  
გაქრა. ეტყობა, ცეკვა მას თავის არ-  
ტისტულ ამბალუად მიაჩნდა და რეს-  
ტორანში არ დაახურდავებდა. კირილეს  
სადღეგრძელოს რომ სვამდა, შუქრი  
უკვე მთვრალი იყო, აუჩემა, გინდა  
თუ არა, წინათ მილიციაში მსახურობ-  
დიო. ღმერთმანი არაო, გაასაცხავა ხე-  
ლები კირილემ. კი, წითელი გალიფე  
გეცვა და მაუხერი გეკიდაო. შემომხე-  
დე, შუქრი, ვისში გეშლებიო, ეუბნე-  
ბოდა დაბნეული კირილე. მე არაფერი  
მეშლება, ახლა სხვა დროა და მილი-  
ციიდან იმიტომ გამოგაბრძანესო. შენ  
არ იყავი, რომ მეუბნებოდი, ხეზე ფე-  
ხით დაგკიდებო? აბა, ბატონო, ახლა  
სხვა დროა, იმიტომ შემოძვერი აქ თხუ-  
ნელასავითო. მაგრამ რა ვქნა, სუფრის

წესია და უნდა გადღეგრძელო, კარგად იყავიო. ოღონდ არ იფიქრო, შენი დრო ისევ მობრუნდეს. შენ ისიც არ მოგწონს, მე რომ ვცეკვავო, საერთოდ, ამ ქვეყანაზე თეატრები რომ არსებობსო.

როგორც იქნა, დააშოშმინეს, მერე მარტომ იძღერა, „თავო ჩემო, ბედი არ გიწერიაო“, მერე უცებ ცრემლები მოეზრა, ლევანს გადაეხვია და აზლუქუნდა, არა, ძმაო, ხელოვნება არასოდეს მოკვდებაო.

ლევანიც წამოდგა, მოდი ახლა აბესალომისა და ემას სადღეგრძელო დავლიოთო... ყველას გაუხვირდა, ვინ არიან, ასეთ ხალხს ჩვენ არ ვიცნობთო. ლევანმა რომ ხელი ჰიანინოსკენ გაიშვირა, ყველამ ერთბაშად გადაიხარხარა...

უკვე კარგა გვიანი იყო, კარი რომ გაიღო და რესტორანში მიტო შემოვიდა. მოქიფებებისკენ არც კი გამოუხედავს, პირდაპირ დახლთან მივიდა. კირილე სუფრიდან საჩქაროდ წამოდგა და მიტოს მიაშურა.

— მოდი აქ, კაცო, დაგვაფასე! — დაუძახა შუქრიმ, მაგრამ მიტომ ხმა არ გასცა.

სახე ისეთი დაღრეჯილი ჰქონდა, ჰინჭყული აღარ აუტეხეს, თავი დაანებეს.

— ღვინო დამალევინე, კირილე, — თქვა მიტომ და თან დახლს მუშტი დაჰკრა, — ღვინო!

— ახლავი, ბატონო, ახლავე.

— ჰო, დამალევინე.

— რამდენი ხანია აქ არ შემოსულხარ, სად იყავი? — გაეთამაშა კირილე.

— ჯანდაბაში, — უპასუხა მიტომ და ჰქიქას ხელი წაჰკრა, — დამისხი, კაცო!

— რამ მო-ო-ო-გაწყურა ასე? — კირილეს ენა წაუბორძიკდა.

მიტომ არაფერი უპასუხა, ჰქიქა დასცალა და უაზრო, არაფრის მხედველი თვალებით შეაშტერდა.

— კიდევ დაგისხა?

მიტომ თავი დაუქნია, ისე რომ თვალი არ მოუცილებია. კირილემ ჰქიქა შეუესო, მერე ერთი ცალი ბოლოკი ოთხად გაჭრა, თეფშზე დააწყო, გვერ-

დით ერთი ნაჭერი პურიც მიუღო და თეფში მიტოს მიუჩოჩა. მიტომ ჰქიქა პირთან მიიღო, მაგრამ აღარ დაუღრეჯია. ჰქიქა ისევ დახლზე დადგა და კირილეს უთხრა:

— რას მიყურებ, რა გინდა?

— მე გიყურებ? — გაუხვირდა კირილეს, — მე გიყურებ, თუ...

მერე წამოვიდა და დაწყებული სიტყვა აქ, მოქიფებთან დაამთავრა:

— გაგიყდა?

— ცოლ-შვილი ხომ არ ჩამოსვლია? — იხუმრა ერთმა მეთევზემ, მაგრამ არავის გასცინებია.

მიტომ სუფრისკენ გამოიხედა და ლევანი დაინახა. ლევანმაც იგრძნო, მიტო რომ უყურებდა და მანაც შეხედა. ასე უყურეს კარგა ხანს ერთმანეთა.

მიტომ ჯიბიდან დაჭმუჭნილი მანეთიანი ამოიღო, დახლზე დააგდო და კარისკენ წავიდა, ისე რომ სუფრისკენ აღარ გამოუხედავს. აღარც მოქიფებებს უთქვამთ რამე.

მერე კირილემ ნელ-ნელა შეაპარა, გვიანია, რესტორანი უნდა დაგვეტოო. ჯერ ყური არ ათხოვეს, მერე კი თვითონ წამოდგნენ და წავიდ-წამოვიდნენ.

## მარი

მეორე დღით საავადმყოფოში მარის ამბავი დაახვედრეს, დირექტორმა თქვა, როგორც კი მოვა, ჩემთან ამოვიდესო. მარი მეორე საართულზე ავიდა და კაბინეტის კარი შეაღო.

— შეიძლება?

დირექტორმა თავი დაუქნია. ის ახალგაზრდა, მაგრამ უკვე მთლად გაჭაღარავებული კაცი იყო. თეთრი, გაქათმებული ხალატი ეცვა.

— დაჯექით! — უთხრა მან მარის.

მარი არ დამჯდარა.

— თქვენ საქციელზე ჩვენ სერიოზულად უნდა მოვილაპარაკოთ, — უთხრა დირექტორმა, — ძალიან სერიოზულად...

თამაზ ჰილაძე  
ვინ ცხოვრობს ვარსკვლავებზე?



— რა დავაშავე? — ჰკითხა მარიმ. მთელი სხეული დაეძაბა, თითქოს იგრძნო, ცუდი ამბავი უნდა გავიგო.

— მე ჩემს დაწესებულებაში უწყესობას ვერ ავიტან! — თქვა დირექტორმა; ჩქარა ლაპარაკობდა, თითქოს უნდოდა მალე ეთქვა ყველაფერი, — ჩვენი საავადმყოფო სანიმუშოა მთელს რაიონში!

— კი მაგრამ...

— სამწუხაროდ, მე ვალდებული ვარ გითხრათ, რომ ასეთ საქციელს ვერ მოვითმენ!

— როგორ საქციელს?

— თქვენ კარგად იცით, როგორ-საც!

— არ ვიცი!

— მე მეტი არაფერი მაქვს სათქმელი.

— კი მაგრამ...

დირექტორი ფანჯარასთან იდგა, თითქოს ერიდებოდა მარისტვის თვალებში შეეხედა, მინაზე თითს აკაკუნებდა. მერე უცებ შემოტრიალდა და გაბრაზებულმა, რადგან მარი ვერ ხვდებოდა, თუ როგორ უჭირდა მას ასეთი ლაპარაკი, მკაცრად უთხრა:

— დიას!

თითქოს საუბარს წერტილი დაუსვა. მარი მაინც არ განძრეულა, იდგა და უმწუროდ იღიმებოდა და თითქოს უკვირდა, არ სჯეროდა, რომ ყველაფერი ეს ცხადში იყო, თითქოს უცდიდა, როდის დაიწყებდა დირექტორი სიცილს და ეტყობა, გეხუმრებო.

— გარდა ამისა, — თქვა დირექტორმა, — გარდა ამისა...

ფრაზა არ დაუმთავრებია, პაპიროსი ამოიღო და მოუყიდა, მაგიდასთან დაჯდა, პაპიროსი საფერფლეში ჩააგდო და უჯრა გამოაღო, ქაღალდებში ხელი მოაფათურა, მერე ერთ-ერთი ამოარჩია და ამოიღო:

— წერილი მივიღე...

ქაღალდი მარის გაუწოდა. მარიმ რომ ქაღალდის ჩამოსართმევად ნაბიჯი არ გადმოდგა, დააყოლა:

— მიტოს ცოლისგან... აი, წაიკითხეთ.

— არ მინდა! — მარიმ ხელი გაავრდინა, — არ მინდა!

— წაიკითხეთ, წაიკითხეთ! მარი გაფითრებული შესცქეროდა. დირექტორმა, წერილიანი ხელი დაუშვა, ჩამქრალი პაპიროსი ისევ აიღო, პირში ჩაიღო და ასანთი აანთო. მარი ახლა მხოლოდ ანთებულ ასანთს ხედავდა, მეტს არაფერს. ასანთის ალი ნელ-ნელა გაიზარდა... გაიზარდა... გაიზარდა...

— მითხარით, რა ვქნა? — თქვა დირექტორმა, — მიტოს ცოლ-შვილი ჰყავს, იმათ რალა ეშველებათ? დაუშვათ, რომ გიყვარს, იმათაც ხომ უყვართ? ჩვენ ვერავის მხარეზე ვერ დავდგებით. აქ მთავარია კანონი! როგორ მოვიქცე? აი, თქვენ მითხარით და ისე მოვიქცევი.

მარი უხმოდ გამოტრიალდა და კაბინეტიდან გავიდა.

იმ ღამეს მიტო მარისთან მივიდა, მაგრამ მარიმ კარი არ გაუღო. დიდხანს ეჩურჩულა, უკაკუნა, უძახა, მაგრამ ქალმა კარი მაინც არ გაუღო, მარი კარს ზურგით მიყრდნობოდა და ტიროდა. არც მეორე ღამეს გაუღო კარი. მერე მიტო ქუჩაში დაუდარაჯდა, მაგრამ ქალი სალაპარაკოდ არ გაუჩერდა და გაიქცა. ასე გაიარა ერთმა კვირამ, ორმა...

ერთ კვირა დილით მოხდა ის, რასაც არავინ არ ელოდა. იმ დღეს წვიმდა. ბაზარში დახლებს შორის დიდი გუბეები დამდგარიყო. ბაზრის ბოლოში ღვინოს ჰყიდდნენ. მიტო და მისი ამხანაგი შოფრები იქ იყვნენ. დახლებზე შემსხდარებს არ აწვიმდათ. ღვინოს ქილებით სვამდნენ. გაზეთის სველ ნაგლეჯზე პომიდვრის წნილი და პურის ნატეხები ეწყო.

ამ დროს მარიც გამოჩნდა. გუბის კიდებზე წკიპად გაიარა და იქ გაჩერდა, სადაც მწვანის ჰყიდდნენ. ერთ ხელში სავსე ჩანთა ეჭირა, მეორეში კი — ქოლგა. დახლს რომ შეეფარა, ქოლგა

დაკეცა და მწვანილის ამორჩევა დაიწყო. მიტო უკვე მთვრალი იყო. დახლიდან რომ ჩამოხტა, შებარბაცდა და ბოძს მოეჭიდა. ცოტა ხანს ასე იდგა, მარის უყურებდა. მერე ამხანაგებს მოუბრუნდა, ახლავე მოვალო და წამოვიდა.

მარი მწვანილს ყიდულობდა. ქოლგა და ჩანთა დახვავებული მწვანილის ახლოს, დახლზე დაედო.

— ამას რა არჩევა უნდა? — უთხრა გამყიდველმა, — ხომ ხედავ, სულ ქორთვა მწვანილია!

— ვხედავ, — უპასუხა მარიმ, — იმიტომაც ვყიდულობ.

— წვიმამი რომ სველდები, იმიტომ ვითხარი, შვილო.

მარიმ გამყიდველს შეხედა. თეთრწვერა, მაღალი მოხუცი იყო, ხელში ხისტარიანი, გრძელი ყალიონი ეჭირა. ძველბუფური მწვანე მახარა ეცვა და მკერდზე ახალგაზრდა ქალის შავბაბთა შემოვლებული სურათი ებნია.

მარიმ ჩანთას პირი გაუხსნა და გამყიდველს უთხრა:

— აბა, თქვენ თვითონ მომეცით ერთი კონა პრასი.

კაცს გაეღიმა:

— აარჩიე, შვილო, აარჩიე, მე კი არ დამიშლია!

მერე პრასი ჩანთაში თვითონ ჩაუდო. მარიმ ფული მიაწოდა, ქოლგა გაშალა და წამოვიდა. სწორედ ამ ღროს მიტო დაეწია, მკლავში ხელი ჩაავლო და მოატრიალა:

— გამარჯობა, მარი! — უთხრა უდარდელი კილოთი.

— გაგიმარჯოს, — უპასუხა მარიმ ცივად.

— სად დაიქარგე, ასე უნდა? — მიტო უღიმოდა, თან გახსნილი კოლოფიდან პაპიროსის ამოღებას ცდილობდა. პაპიროსები გუბეში ცვიოდა. მთელი კოლოფი პაპიროსი ისე დააბნია, ერთი ღერი ვერ ამოიღო, მერე კოლოფი კვერდზე მოისროლა:

— ერთი შენი ჩამწყობის...

მარის საშინლად რცხვენოდა, ეგონა, მთელი ბაზარი ჩვენ უყურებსო. ად-

გილიდან კი ვერ იძროდა. უყურებდა, მიტო კოლოფში როგორ აფათრებდა თითებს, თითქოს ის აინტერესებდა, ამოიღებს პაპიროსს თუ ვერაო. მიტომ რომ კოლოფი გადაავლო, მარიმ უთხრა:

— მე უნდა წავიდე.

— წახვიდე? სად?

— მეჩქარება.

— გეჩქარება, გეჩქარება, ხომ?

— ჰო, მეჩქარება.

— მაშ, გეჩქარება?

— წავედი, ნახვამდის.

— მოიცა!

მიტო კიდეც უფრო ახლოს მივიდა, თვალბში ჩახედა და უთხრა:

— აღარ გახსოვს, აღარაფერი აღარ გახსოვს, ხომ? გეჩქარება, ხომ?

მერე მარის ჩანთაში პრასის თავს ხელი დასტაცა და ჰაერში აიჭნია.

— მირბიხარ, არა? მირბიხარ!

პრასის ხახხასა, მწვანე ფოჩი წვიმამი დანასავით პრიალებდა.

მარიმ უკან დაიხია, ასე უკან-უკან გადაღვა რამდენიმე ნაბიჯი, მიტო ფეხდაფეხ მიჰყვებოდა და თან კბილებში ცრიალა:

— ყველაფერი დაგავიწყდა? ყველაფერი?

მარის თითქოს მეხი დაეცა. მოეჩვენა, ირგვლივ არა მარტო ხალხმა, ყველაფერმა ყური ცქვიტა და მოსასამენად მოემზადაო.

— არა, — შეჰკვივლა მარიმ, — არ თქვა!

კინაღამ პირზე ხელი დააფარა.

— არ ვთქვა? არ ვთქვა, ხომ?

— გაჩუმდი! — ისევ შეჰკვივლა მარიმ და გაქცევა დააპირა, მაგრამ მიტომ მკლავში ხელი სტაცა და გააჩერა.

— ხელი გამიშვი, — მარი უკვე თითქმის ტიროდა, — გამიშვი!

— გაგიშვა, არა? კარგი...

უცებ ორივე ხელი მხრებში ჩაავლო და შეაჯღღრია, თან უყვიროდა:

— მიდიხარ, არა? მიდიხარ, არა?

თამაზ ქილაძე  
ვინ ჩხოვრობს ვარსკვლავებზე?

ისეთი ძალით ანჯღრევდა, თითქოს მკვდრის გაცოცხლება უნდაო:

— წადი! წადი! წადი!

მარის ჩანთა და ქოლგა ძირს დაუვარდა, მიწაზე წითელი ხურმა გაგორდა.

მიტომ უცებ ქალს ხელი გაუშვა. ქალი ერთ წამს კიდევ იდგა ფეხზე, უცებ მუხლებზე დაეცა და მერე წინ გადავარდა, გუბეში.

ეს ისე მოულოდნელად მოხდა, ვერაჲინ მიეშველა.

მიტომ უცებ გამოფხიზლდა. თვალები ცურებით ამოიწმინდა, თითქოს ქუთუთოებზე ტალახი ჰქონდა შემხმარი. ხალხს შეხედა. დიდხანს უაზროდ უყურა, მერე ხელი ჩაიქნია და წავიდა. ათი ნაბიჯიც არ ჰქონდა გავლილი, რომ ისევ მობრუნდა, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა, ვერაფერი კი ვერ თქვა.

ლევანმა ეს ამბავი გვიან გაიგო. ისე გაუჭკვირდა, არაფრით არ დაიჯერა. შინ რომ დაბრუნდა, მარისთან შევიდა. მარი ჩაბნელებულ ოთახში მაგიდასთან დამჯდარი დაუხვდა. ლევანიც მარის ახლოს სკამზე ჩამოჯდა. არაფერი უთქვამს, არც მარის ამოუღია ხმა. დიდხანს ისხდნენ ასე ჩუმად, მერე ლევანმა მარის ხელი აიღო, ალბათ იმიტომ, რომ ქალისთვის ეგრძნობინებინა, მე შენთანა ვარო. მარის უსიცოცხლო, ძალაწართმეული ხელი ჰქონდა.

ლევანს უნდოდა, ახლა უცებ კარი შემოეღოთ და მთელ ქალაქს დაენახა, რომ ის მარისთან იყო. რადგან მას მარი ეცოდებოდა.

— არავინ არ ცხოვრობს ვარსკვლავებზე, — დაიწყო მან ჩუმი, აცახცახებული ხმით, — არავინ, მარტო მიწაზეა სიცოცხლე. მარტო აქ შეიძლება სუნთქვა. მერე რა, რომ ამის საზღაური მეტად დიდია. მერე რა? აი, შენ კარგი გოგო ხარ, ფიქრი გიყვარს. ფიქრი კი ფრენასა ჰკავს. ვანა ვინც ფრინავს, მას არ უნდა ახსოვდეს, რომ მიწაზე დაცემა მტკივნეულია? მარი, აღბრუნებ

მეგონა, რომ დედამიწაზე მარტო დღე იყო, რადგან ღამით უღარდებოდა მედინა. მერე ღამეც დავიანახე. რაღაცა ჩემზეა ერთმანეთის ღიმილსა თუ ცრემლებს ვერ ვხედავთ, მკაცრები ვართ. მაგრამ მარტო აქ არის სიცოცხლე — დღისით და ღამითაც, დღისით და ღამითაც. ნუ ტირი, ნუ, ვარსკვლავებზე არავინ არ ცხოვრობს...

მაგრამ მარი არ ტიროდა. ფართოდ გახელილი, შუქჩამქრალი თვალებით იხედებოდა საღდაც შორს. ლევანმა არც ის იცოდა, ამ სიტყვებს რისთვის ეუბნებოდა მარის. ვანა ეს ნუგეში იყო?

იმ ღამით ყველაფერი ელისოს მისწერა. სამი დღის მერე ელისო ჩამოვიდა. რატომღაც სულ ნაძალადევად იღიმებოდა. — რა მოხდა? — ეკითხებოდა ლევანი. — რა მოგივიდა?

— არაფერი... არაფერი...

ისინი ლევანის ოთახში ისხდნენ. გარეთ წვიმდა.

უცებ მატარებელმა გაიარა, სახლი შეახანჯარა, წვიმაც გააყრუა.

— და შენ მიმტკიცებ, რომ აქ კარგად მუშაობდი, რომ აქ რაღაცას წერდი. აქ, ამ ჯოჯოხეთში? — თქვა ელისომ.

მეორე დღით ლევანი საცხოვრებლად სასტუმროში გადავიდა. თუმცა ელისოს მისი თბილისში წაყვანაც უნდოდა, მაგრამ ეს კი აღარ დაუთმო, დარჩა: — მე აქ საქმეზე ვარ ჩამოსული!

ელისო წავიდა.

## ბიძო

მიტომ მანქანების ქარავანს ბოლოში მოექცა. მისი მანქანა ამ ქარავანს არ ეკუთვნოდა, მაგრამ ვერაფრით ვერ გადაუსწრო, გზა მეტად მიხვეულ-მოხვეული იყო და შემხვედრ მანქანებს მოერიდა.

„რკინიგზას გაცვდებით, სწორი გზა დაიწყება და გავასწრებ“, — ფიქრობდა მიტომ.

იმ დღის მერე, იმ უღმერთო დღის მერე, ამ დღით გამოვიდა პირველად

სამუშაოდ. ქარხნის საერთო საცხოვრებელში იწვა, პირზე საბანწახურული, არავის ელაპარაკებოდა. საკუთარი ხმაც ეჯავრებოდა, ხელებიც... ფიქრიც... არც იმას ფიქრობდა, იქნებ დანაშაული როგორმე გამოვასწოროო, რადგან იცოდა, რომ ამის გამოსწორება არ შეიძლებოდა.

ნუთუ ეს იმალეობდა მისი სულის მეცხრე კარის იქით? ნუთუ მას მარის მოკვლა შეეძლო?

წინ მანქანებმა სვლა შეანეღეს, რადგან აქ გზა რკინიგზაზე გადადიოდა. გზა აქ შლაგბაუმით არ იკეტებოდა. შოფერს თვითონ უნდა ეფხიზლა. ყურადღებით უნდა ყოფილიყო, რომ პოულოდნელად მატარებელი არ წამოსწოდა.

წინა მანქანა რკინიგზიდან ნახევრად გადასული იყო, რომ უცებ გაჩერდა. სხვები კი უკვე თვალს მიეფარნენ, რადგან გადასასვლელს იქით მოსახვევი იწყებოდა. მანქანა რომ აღარ დაიძრა, მიტომ საყვირს თითი დააჭირა. მანქანა მაინც არ დაძრულა. მიტომ კიდევ მისცა ნიშანი, კიდევ, მერე უცებ გაუელვა: „მოტორი ხომ არ ჩაუქრა?“

მატარებელი წუთიწუთზე უნდა გამოჩენილიყო, შორს დაიკვილა კიდევ. წინა მანქანის შოფერი კიბინიდან გადმოხტა, ახლა სახელურით სცადა დაეჭოქა მანქანა, მიტომ თავი გამოჰყო და დაუძახა:

— რა დაგემართა?!

შოფერმა არ უპასუხა, კაბინის კარი შეიჯახუნა. ერთი წუთის მერე გამოვარდა და ახლა მანქანის ძარაზე შეხტა, იქ რაღაც ყუთს მოეჭიდა, მაგრამ დაძვრა გაუჭირდა. მაშინ კი შემობღავლა მიტომ:

— მიშველე, ადამიანო!

მიტომ კაბინიდან გადმოხტა, წინა მანქანასთან მიიბრინა, ავიდა და ძარაში ჩაიხედა, იქ ყუთები ეწყო.

არა, მანქანის დაცლას ვერაფრით ვერ მოასწრებდნენ! შოფერი მიტომ შეამტერდა, გაფითრებული სახე ჰქონდა; ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. მერე

მანქანიდან ჩახტა, უკან-უკან წავიდა მერე მიბრუნდა და გაიქცა. თან ყვიროდა:

— დინამიტი! დინამიტი!  
ეტყობა, ყუთებში დინამიტი იყო.  
— მოიცა! — დაუძახა მიტომ.  
შოფერმა არ მოხედა.

„მატარებელი აფეთქდება! მატარებელი აფეთქდება!“, — გაუელვა თავში მიტომ.

— მოიცა, მოიცა-მეთქი! — დაუძახა იმ შოფერს და ძირს ჩამოხტა. შოფერი უკვე შორს იყო, ფერდობზე არბოდა და თან აქეთ, მანქანისკენ იხედებოდა.

მიტომ ქვას დასწვდა და გაქცეულს ესროლა:

— მოიცა, შე ნაბიჭვარო!

კიდევ ესროლა ქვა, კიდევ მერე ქვა ვედარ მოიხელთა, მიწა მოფხოჭნა და ისიც ესროლა.

„მეც უნდა გავიქცე, — გაიფიქრა მიტომ, — მეც უნდა გავიქცე!“

უცებ ხელებიც აუცახცახდა:

„უნდა გავიქცე!“

თითქოს ამ ფიქრის შესასრულებლად, თავის მანქანასთან მიიბრინა, კაბინაში ჩაჯდა და მანქანა აამუშავა, მაგრამ კი არ მოუბრუნებია, წინ წაიყვანა.

„მოვასწრებ! თავისუფლად მოვასწრებ!“ — ახლა ეს გაიფიქრა.

მანქანა ნელ-ნელა დასძრა.

„მოვასწრებ!“

უეცრად დამშვიდდა. დამშვიდდა კი არა, მოეშვა, თითქოს სასტიკად დაღლილმა დასვენება გადაწყვიტაო.

გაჩერებულ მანქანას მიადგა, მიაწვა. თავდაპირველად მისი მანქანაც ადგილზე გაშეშდა. აღარ უყურებდა, მატარებელი ახლოს იყო თუ არა. ფეხი გზის პედალზე ჰქონდა დაჭერილი. არაფერს გრძნობდა, ოღონდ ეგონა, რომ ეს მთელი წელიწადი გრძელდებოდა.

„მოვასწრებ!“

თამაზ ჭილაძე  
ვინ ცხოვრობს ვარსკვლავებზე?

წინა მანქანა ადგილიდან დაიძრა, მიწოლის ძალამ წინ გაათრია, ნელ-ნელა, ნელ-ნელა, აი, რკინიგზიდან გადაგორდა კიდევ.

„მოვასწარი!“ — შვებით ამოისუნთქა მიტომ.  
სწორედ ამ დროს მის მანქანას მიტომის რბელი დაეჯახა.

## პრტი კპირის მერა

ლევანი კანტორის კიბეზე იჯდა. კვიპაროსები ქარს ზღვისკენ გადაეხარა. გეგონებოდა, ზღვას უსმენენო. ლევანი საავადმყოფოში წასვლას აპირებდა, მარის ნახვა უნდოდა. მიტოს სიკვდილის ამბავი რომ უთხრეს, მარი მის მერე კლოგინიდან არ ამდგარა, რომ დაეცა, ვეღარ წამოაყენეს.

ლევანის ზურგს უკან ვილაცამ კარი გააღო.

— აქ რას უზიხარ? — მოესმა ლევანს.

ეს კანტორის ბუღალტერი ელენე იყო.

— ვინმეს ხომ არ ელოდები?

— არა...

— როგორ დასველებულხარ.

— ჰო, — ლევანმა თმაზე ხელი ჩამოისვა, — დავსველდი.

— ოთახში შემოდი, თერმოსში ყავა მიდგას, დაგალევიანებ.

— არ მინდა, გმადლობთ.

— შენ იცი.

ქალმა კარი შეიხურა.

ლევანმა უცებ პატარა ბიჭი დაინახა. ფეხშიშველი ბიჭი გუბე-გუბე მოტყუპუნობდა. ხელში ბამბუკის გრძელი ჯოხი ეჭირა.

— მოდი აქ! — ლევანმა ბიჭს ხელი დაუქნია.

ბიჭი გაჩერდა და ლევანს შეხედა. ცხვირზე ტყავი აქერცლოდა, მთელი სახე ჭორფლით ჰქონდა დაფარული.

— მოდი-მეთქი!

ბიჭი ახლოს მოვიდა და კიბესთან გაჩერდა.

— ამ წვიმაში რას დადიხარ? — ჰკითხა ლევანმა.

— ვთამაშობ! — უპასუხა ბიჭმა.

— თამაშობ? მარტო რას თამაშობ?

— გემობანას. ვითომ გემი ვარ.

ბიჭმა ჯოხი სახლის კედელს მიაყუდა და კიბეზე ჩამოჯდა.

— აქ გემები რატომ არ შემოდიან? — ჰკითხა ლევანს და თვალეზში შეხედა.

— როგორ არ შემოდიან? ავე, ის გემი არ არის?

— ეგ რა გემია! ფი! კატერზე არ გუბნები.

— რა ვიცი, ალბათ ასეა საჭირო.

— სოხუმსა და ბათუმში ხომ შედიან?

— კი.

— აქაც ხომ ზღვაა, აქ რატომ არ შემოდიან?

ბიჭი დიდი, თაფლისფერი თვალეზით შესცქეროდა. ისე ეკითხებოდა, თითქოს პასუხის იმედიც არ ჰქონდა.

— აქ?

ლევანი გაჩუმდა. ბიჭმა ცოტა ხანს უყურა, მერე წამოდგა, ჯოხი აიღო და გაიქცა. ლევანმა ფიქრში ბიჭთან საუბარი განავრძო. „მერე რა, რომ აქაც ზღვაა. გემები ყველგან კი არ შედიან!“

თვითონაც წამოდგა და წავიდა. გზაზე ევკალიპტის წვრილი, ყვითელი ფოთოლი ეყარა. ცრიადა. ზღვის ხმა ახლა ძალიან შორიდან მოისმოდა.

მერე ლევანმა ისევ ის ბიჭი დაინახა. ბიჭს ჯოხი მაღლა აწეული მიჰქონდა. ზედ წითელი ჭინჭი გამოეხა. გუბე-გუბე მიდიოდა, ხანდახან შეჰკვივლებდა კიდევ, გემის საყვირს თუ ბამბავა.

ლევანი იდგა და ბიჭს უყურებდა. რატომღაც ცრემლის ეკლიანი გორგალი მოაწვა ყელზე. იქნებ იმიტომ, რომ მისთვის ეს თამაშისა და წარმოდგენების ხანა დიდი ხანია გათავდა.

მერე საავადმყოფოსკენ მიმავალ გზას დაადგა.

„გაიფლის, — ამბობდნენ ექიმები, —

ოლონდ მარის ხანგრძლივი სიმშვიდე უნდა.“

ლევანი პალატაში რომ შევიდა, მარიმ თავი კედლისკენ მიიბრუნა. ლევანი საწოლთან ჩამოუჯდა. იჯდა ასე, არაფერს ეუბნებოდა. ან რა უნდა ეთქვა. მარის თითქოს არაფერი ესმოდა. ლევანი უყურებდა მარის გაშლილ თმას, გამხდარ კისერს, ზედ ძარღვი რომ უფეთქავდა. მერე მარიმ ტირილი დაიწყო. მარი რომ ატირდა, ლევანი იმით მიხვდა, ქალს მხარი აუცახცახდა. ლევანი გრძნობდა, მარის მისი რცხვენობდა. რაც მას დამართა, არ ჰგავდა იმას, რაზედაც ისინი ლაპარაკობდნენ ხოლმე, ოცნებობდნენ. რატომ არის, რომ ხანდახან აღამიანს თავისი უბედურებისა რცხვენია? იქნებ იმიტომ, რომ თავი ამქვეყნად მარტო ჰგონია, ვერ გამოიგვბენო, ფიქრობს.

„ეს რა დამემართა, ლევან? — თითქოს ეუბნებოდა მარი, — მართალი ყოფილხარ, ვარსკვლავებზე თურმე მართლაც არაფერს ცხოვრობს. მე კი მეგონა... ეს რა დამემართა, ლევან!“

— ნუ ტირი, მარი, — ეჩურჩულებოდა ლევანი, — ნუ ტირი...

მერე ლევანს გულზე რაღაც დანაშაულის გრძნობა შემოაწვა. თითქოს მისი ბრალიც იყო, ამათ რომ ასეთი ამბავი დაემართათ.

„შენ ხომ მათ გვერდით ცხოვრობდი?!“ — ჩასძახა თითქოს ვიღაცამ სულში გამყინავი ხმით.

„მერე რა, რომ მათ გვერდით ვცხოვრობდი? — გაიბრძოლა ლევანმა, — მერე რა, რა შემეძლო?“

სინდისი გაჩუმდა, აღარაფერი უთქვამს.

„არაფერი, არაფერი, არაფერი არ შემეძლო“, — გაიმეორა რამდენჯერმე ლევანმა.

მაგრამ სწორედ ეს უმწეობა იყო, მას რომ დანაშაულის გრძნობით ავსებდა.

— მარი! — თქვა მან ხმამაღლა, — მაპატიე!

და თვითონაც ატირდა, მგონი სიციცხლეში პირველად. ყოველ შემთხვევაში, არ ახსოვს, ბავშვობის შემდეგ რომ ეტიროს.

მარიმ თავი მოატრიალა, ცრემლიანი თვალებით შეხედა და ხელი მუხლზე დაადო. ისეთი მსუბუქი ხელი ჰქონდა, თითქოს ლევანს მუხლზე ხმელი ფოთოლი დასცემოდეს.

6

ლევანი ფიქრისგან რომ გამოერკვა, თავისი სახლის შესასვლელში კიბეზე იჯდა. წამოღვა, ჯიბიდან გასაღები ამოიღო და კარი გააღო.

ელისოს ეძინა. ლევანი მეორე ოთახში გავიდა და სინათლე აანთო. მერე საათს დახედა, ორის ნახევარი იყო. მაგიდას მიუჯდა, საბუქდ მანქანაში ქალაღი ჩადო და ბუქდვა დაიწყო. დიდხანს ბუქდავდა, თავაუღებლად; თითქოს ჩქარობდა, ეშინოდა, ნაფიქრი ხელიდან არ გასხლტომოდა. ახლა მას შეეძლო პირდაპირ, შეუსვენებლად ებუქდა, თითქმის ყველაფერი მოფიქრებული ჰქონდა. იცოდა, რაც უნდა დაეწერა.

ლევანი კარგა ხანს ბუქდავდა.

მეორე დღით გვიან გაეღვიძა. ელისო საღდაც წასულიყო. არც უსაუზმია, სასწრაფოდ ჩაიცვა და ქუჩაში გამოვიდა.

თუმცა გაზაფხულს ჯერ კიდევ კარგად ვერ ეძალა, მაინც იგრძნობოდა. რომ სიცივე საბოლოოდ გატყნობიყო. ქუჩაში ბევრი ხალხი იყო. გაზაფხული ხალხს გარეთ გამოიყვანს ხოლმე. ის დღესასწაულსა ჰგავს, როცა ხალხს სურვილი ებადება ერთად იაროს ქუჩაში.

---

თამაზ კილაძე  
ვინ ცხოვრობს ვარსკვლავებზე?



## ღამო სუაბაიძე

### მემორიალურ დაჯიჯე ჟასაჟერი

მირზა გელოჯანს

აქ იდგა შენი პატარა ბინა,  
აქ შენი სული ისევ ფათურობს.  
შენ ახლა უცხო მიწაში გძინავს,  
აქ აღმართულა თეთრი სასტუმრო.

შენ ეს ადგილი აწ აღარ გელის,  
ზედ მანქანები დაჰქრიან სწრაფად.  
და ნასახლარზე გადასასვლელის  
დაუხატიათ ჭადრაკის დაფა.

მე ფეხს დავადგამ და შევჩერდები, —  
ოთახის კარი კი გქონდა ღია,  
მაგრამ აღარ ჩანს ახლა კედლებიც  
და ვხვდები ფართო პროსპექტის ღრიალს.

დამჩერებია თეთრი სასტუმრო,  
მას „საქართველო“ ჰქვია სახელად.  
აქ ისევ შენი სული ფათურობს,  
ფერადი, როგორც ეს ცისარტყელა.

ეს ცა რომ არის, სწორედ ასეთი  
იისფერი და უსასრულოდ ღრმა..  
შენ აქ აწუვეტილ პწკარებს დასდევდი,  
ვით სადღაც ვეფხვებს მონადირე ყრმა.

აქ ეს ჭადრაკის დაფა როდია,  
თითქოს ცხოვრების ბრძოლის ველია,  
და გადადიან, და გადმოდიან,  
ეს შენი ბინის საძირკველია.

ცად აწეულა ოთახის ქერი,  
მთებთან გაჭრილან მისი კედლები.  
აქ შენი სული და რითმა მღერის,  
აქ სულ ჭაბუკობ და არ ბერდები.

დავაჩერდები ამ ქუჩის ჭადრაკს,  
მიდი-მოდინ ზედ ქალ-ვაჟები,  
მიმოუყრია ჩრდილები ჭადარს,  
შენ ჭადრის ჩრდილებს ეთამაშები.


აქ იყო შენი პატარა ბინა  
საესე ლექსებით, მზით და კამათით.  
შენ ახლა უცხო მიწაში გძინავს  
და შეგიცვლია ეს მისამართი.

დამჩერებია თეთრი სასტუმრო,  
მას „საქართველო“ ჰქვია სახელად.  
აქ ისევ შენი სული ფათურობს,  
ფერადი, როგორც ეს ცისარტყელა.

☆  
ლექსო სულამბერიძე ☆  
მემორიალურ დაფაზე წასაწერი







მოთხრობა

გავიდა დრო. ბავშვი გაიზარდა და იკითხა:

— როდის გაათავებს მამა ომს?

ბაბუამ უპასუხა:

— ომი გათავდა, მამაშენიც მალე დაბრუნდება.

იმ დღეს ქვეყანაზე აღარაფერი იყო, გარდა სიხარულისა. უსაზღვრო სიხარულისა და ცრემლისა, შვებისა და მწუხარებისაგან რომ იღვრებოდა.

მერე ქალაქი ყოველ წელიწადს ქვემეხების ზათქით იხსენებდა გამარჯვების დღეს და თბილისის მთებიდან ცაში ფერადი ვარსკვლავები მიფრინავდნენ.

მაშინ მოხუცი და ბავშვი, სხვებთან ერთად, განათებულ ქუჩაში გარბოდნენ, აღფრთოვანებით ყვიროდნენ, „ცეცხლი!“ და ხმამაღლა იცინოდნენ. მერე ქალაქი იძინებდა. იდგა გაზაფხულის მოუსვენარი სიჩუმე, შორიდან ომგადახდილი მარშების ხმა ისმოდა. მოხუცი ასეთ დღეს ძალიან იქანცებოდა. დაჭიმული ნერვები უთრთოდა,

დიდხანს, თითქმის დილამდე არ ეძინებოდა. იგი ძველებური სკივრიდან იღებდა გაყვითლებულ წერილებს, სიყვარულით ათვალიერებდა მათ და ამბობდა:

— წელს ჩამოვა. წელს აუცილებლად ჩამოვა. — და ბავშვს ომში წასული მამის ამბავს უყვებოდა. მამის უჩვეულო თავგადასავალს იმასსოვრებდა. მერე თვლებს ხუჭავდა და ხედავდა: მამა ომში იყო. დიდი, ძალიან დიდი თოფი ჰქონდა და ცუდ ადამიანებს ებრძოდა.

პატარა, მყუდრო ოთახში კედელზე სურათები ეკიდა. ერთ სურათზე ქალი და კაცი იყო გამოსახული. კაცი დიმილს იკავებდა და იღუშებოდა, ქალი იცინოდა, თეთრი, საქორწინო კაბა ეცვა და თმა შუაზე ჰქონდა გაყოფილი. ბავშვმა იცოდა, ეს მისი მშობლები იყვნენ. ოთახში ორი სხვა სურათიც ეკიდა. ერთს შავი არშია ჰქონდა შემოვლებული. ეს დედის სურათი იყო. დედა ნაღვლიანი, დიდი თვალებით იც-

ქირებოდა და ბავშვს აგონდებოდა: ასეთი იყო დედა — სევდიანი, ალერსიანი და თბილი... მერე თვალწინ ერთი ცუდი დღეც დაუღებოდა: ხალხი ფრთხილად დაბორიალობდა ჩაბნელებულ ოთახში. ბავშვს ვიღაც ეფერებოდა და ბავშვი გრძნობდა უცნობი ქალის ფაფუკ მკერდს. ქალი ამბობდა: „რა გეშველება, საბრალო, რა გეშველება!“

მეორე სურათიდან უცხო, მომღიმა-რე ჯარისკაცი იცქირებოდა. ბავშვი ექვის თვალით შესცქეროდა ამ სურათს. სურათზე მამა ძალიან პატარა ჩანდა, ალბათ იმიტომ, რომ საოცრად დიდი ჩექმები ეცვა.

სხვებიც ელოდნენ თავისიანებს. მერე, დრო რომ გავიდა, ზოგი ჩამოვიდა, ზოგი არა. ბევრმა იმედი დაკარგა და აღარ ელოდა.

მოხუცი ამბობდა:

— არა, ჩემი ბიჭი დაიგვიანებს, მაგრამ ჩამოსვლით მაინც ჩამოვა. მე ვიცი. ის ყოველთვის ასეთი იყო, — დაჟინებით ელოდა შვილის დაბრუნებას და შვილიშვილს ზრდიდა.

შვილიშვილი ეზოში იზრდებოდა. ეზო დიდი არ იყო, მაგრამ ბავშვები მაინც ახერხებდნენ ომობანას თამაშს. თამაში დილით იწყებოდა და საღამომდე „ჩვენები“ ათჯერ მაინც გაიმარჯვებდნენ. მერე ბავშვები იღლებოდნენ. ბებერი ცაცხვის ძირში ისვენებდნენ და ერთმანეთს თავიანთი მამების უჩვეულო თავგადასავლებს უყვებოდნენ. ასეთ დღეებში ბავშვი აღზნებული იყო. მეზობლები ეუბნებოდნენ მოხუცს:

— ცეცხლივით ბიჭი გყავს, ცეცხლივით!

მოხუცი იღიმებოდა და იგონებდა შვილს. შორს, ძალიან შორს რომ იყო და ჩამოსვლას აგვიანებდა. ერთხელ მეზობლებმა, მოხუცის გამხნელება სცადეს:

— უნდა გაუძლო, ჩემო ბატონო.

ყველანი ამ ცეცხლში ვიყავით, მაგრამ გაუძელით. ბევრმა დაკარგა შვილი... მოხუცი საშინლად გაბრაზდა.

— სხვის საქმეში ნუ ერევით, ვინ გეკითხებათ? შვილი... ვინ დაკარგა შვილი? მე არ დამიკარგავს შვილი!

მეზობლებს შერცხვათ. ამის შემდეგ ხშირად ანუგეშებდნენ მოხუცს: „ომში ასეთი რამ ხშირად ხდება. აი, ამას წინათაც ერთი ჩემი ახლობელი დაღუპული ეგონათ და ჩამოვიდა.“

სალამობით, როცა შვილიშვილი მოიცილდა, მოხუცი ათას რამეს უყვებოდა და ისიც დანდობილად აწყვეტი-ნებდა ხოლმე:

— მერე, ბაბუა, მერე?

მოხუცი იხსენებდა წარსულს და საღამოები წყნარად გადიოდა ტკბილ მოგონებებში. მოლოდინიც ადვილდებოდა. მერე, დრო რომ გავიდა, შვილიშვილს ხმა დაუბოხდა და მოხუცს უთხრა:

— ეგ ამბები ხომ უკვე ვიცი, ბაბუა, — და იმ საღამოს საღამოც წავიდა. მოხუცს გული დასწყდა; გაახსენდა, რომ შვილი საღამო შორს იყო გადაკარგული და აქამდე ვერა და ვერ მოაღწია.

ერთ დღეს შვილიშვილი მოვიდა და თქვა: — ბაბუა, ჯარში მივდივარ! — მოხუცის თვალში ბიჭი უფერად გაიზარდა. მან დაინახა მაღალი და მხარბეჭიანი ჭაბუკი. ოღონდ მაშინ არ გაკვირვებია. ვერც მოასწრო გაკვირვება, — ისე აევსო გული შიშით და დარღით.

გადიოდა დღეები. ახლა მოხუცი წერილის მოლოდინში ძველებური სკივრიდან იღებდა გაყვითლებულ ფურცლებს და კითხულობდა, მერე დაღონდებოდა, მაგრამ არ ტიროდა. ტირილი არ შეეძლო. მხოლოდ ცრემლი სდიოდა.

„მე კარგად ვარ, ბაბუა. აქ ძალიან კარგი ბიჭები არიან. ერთი თბილისელია, მე და ის დავმეგობრდით, — გი-

---

გურამ სხირტლავი  
სანამ სასტუმრო „გაზაფხული“ აშენ-  
დებოდეს

ვი ჰქვია. ახლა აქ თოვლია და ცივა, მაგრამ ჩვენ თბილად გვაცვია და შენ არ იღარდო. თავს მოუარე.

კარგად იყავი. გკოცნი მრავალჯერ“. ეს შვილიშვილის წერბილი იყო. მოხუცი ხედავდა შვილიშვილს ჯარისკაცის ფორმაში, სამხრეებით, თოფით, მწკრივში სმენაზე მდგარს, და უკვირდა. მისი შვილიშვილი ხომ ძალიან პატარა იყო.

მოხუცი ხედავდა: ყველგან თოვლია. ისინი დილიდანვე მწკრივში დგებიან და სიმღერით სადღაც მიდიან. მერე თოფს ისვრიან, სანგრებს თხრიან და დაღლილნი ბრუნდებიან. დამით, ძილის წინ კი ალბათ მოხუც ბაბუას იხსენებენ.

მოხუცი შვილსა და შვილიშვილს ელოდა და თითქოს ეძინა. მერე გამოურკვა.

გადაბმული, გრძელი დრო გაწყდა და ერთმა დღემ გამოანათა: სახლი ფუსფუსებდა. მოძრაობდა. მეზობლებიც ფუსფუსებდნენ. მოხუცი მათთან იყო. ყურს უდგებდა მეზობლებს და ხელს შლიდა. მერე მასთანაც მოვიდნენ და უთხრეს:

— ბაბუა, გაიგე? გადავდივართ!

— სად გადადიხართ?

— სხვა სახლში, ბაბუა, ყველანი გადავდივართ.

— ყველანი?

— ჰო, ყველანი.

მოხუცმა ვერაფერი გაიგო. მის წინ მეზობელი იღვა და უღიმოდა. მას მოხუცის გაკვირებული სახე ახარებდა.

— ვინ ყველანი? — ჰკითხა მოხუცმა.

— ჩვენ. შენც.

— მეც? — დაფიქრდა მოხუცი.

— ჰო, ყველანი. ამ სახლს ანგრევენ და ახალში გადავდივართ. აქ სასტუმრო უნდა ააშენონ.

მოხუცი შემობრუნდა და თავისი ოთახისაკენ წავიდა.

ნუთუ ამ სახლში იმდენი წელიწადი იმიტომ იცხოვრა, რომ სხვაგან მომკვდარიყო? ის კი ელოდა. ელოდა ორ ადამიანს. ისინი ჩამოვიდოდნენ, მალე ჩა-

მოვიდოდნენ და ვეღარ ნახავდნენ ვერა ბაბუას, ვერც ძველ სახლს. სხვა სახლში ვი გადასვლაზე ფიქრიც არ უნდაც მისი ბიჭი ამ ეზოში დარბოდა. შვილი-შვილიც ამ ეზოში გაიზარდა. ეს სახლი მათი იყო — მისი შვილების. ეს ეზოც მათი იყო, ეს ცაცხვიც, ეს ვალვანიც. ყველაფერი მათი იყო. ახლა კი, სასტუმროს აშენებენო!

— არსად არ წავალ! — თქვა მან და კედელზე ჩამოკიდებულ სურათებს თვალი შეავლო: ნაღვლიანი, სერიოზული გოგონა, პატარა, ჯიუტი ჯარისკაცი და მხრებგანიერი შვილიშვილი უცქეროდნენ კედლიდან. ბიჭი იცინოდა უღარდელი, ბავშვური სიცილით. ახლა მას თოფი ეჭირა ხელში, იღვა იქ, თოვლსა და ქარში და არაფრის არ ეშინოდა. მოხუცს ბრაზი თითქმის გაუქრა.

— არსად არ წავალ! — თქვა მან.

„ისინი“ რამდენიმე დღის შემდეგ მოვიდნენ, — ოთხნი იყვნენ. სახლი უნდა დაიცალოსო, თქვეს. მეზობლებმაც იგივე გაიმეორეს, თან დაუმატეს. სახლი ძველია, შიგ ალარ გვეცხოვრებო. მოხუცი ერთ ხანს ჩუმად იღვა.

— არსადაც არ წავალ! — თქვა ბოლოს მან.

— ეს სახლი უნდა დავანგრეოთ, ბატონო. აქ სასტუმროს ვაშენებთ. თქვენ კი საბურთალოზე უკეთეს ბინას მოგცემთ — ერთოთახიანს, თავისი აბაზანითა და სამზარეულოთი.

— არსადაც არ წავალ, მე ჩემს ბიჭებს ველოდები.

მოსულემა გაიცინეს:

— თქვენი ბიჭები სად არიან?

— შვილი ომში დაეკარგა, — თქვა ვილაცამ, — შვილიშვილი კი ახლახან წაიყვანეს ჯარში.

მოხუცი ხედავდა თავის ბიჭებს. ისინი იდგნენ მოღუშულლები, დავაყაყაებულლები, ხელში თოფები ეჭირათ.

— მერე მაგაზე სწუხართ, ბატონო? იქ მოვლენ თქვენი ბიჭები, — უთხრა მეორემ.

— არსადაც არ წავალ! — თქვა მოხუცმა და იქაურობას გაშორდა.

მერე მოვიდნენ მეზობლები და ურჩიეს:

— ბაბუა, გადასვლა სჯობს. სახლი ძველია, სხვამ რომ არ დაანგრის, თავისით დაინგრევა.

მოხუცს ისევ ერთი პასუხი ჰქონდა:

— მე ჩემ ბიჭებს ველოდები. იქსად მომავნებენ. რას იფიქრებენ, მიგვატოვო! არა!

ერთხელ უცნობი გოგო მოვიდა. მოხუცი ეპკით შეაჩერდა მოსულს და ჰკითხა:

— რა გინდათ?

— მე თქვენი შვილიშვილის ამხანაგი ვარ, — თქვა გოგომ და გაწითლდა.

— მერე? — დაიძაბა მოხუცი.

— არაფერი, — გოგო დაიბნა. — მთხოვა, თქვენთან შემომეგლო ხოლმე.

ეპკი უცებ გაქრა. მოხუცი უყურებდა გოგოს — პატარა და დიდთვალეა გოგოს. კედლიდან კი შვილიშვილი იყურებოდა და იცინოდა.

— დაჯექი... დაჯექი, შვილო, — მიიპატიჟა მოხუცმა და სიტყვა „შკალო“ სულში სააღღვომო ზარების რეკეასავით გაისმა. თითქოს შვილიშვილი მოსულიყო. „შვილო“.

შუა ოთახში უხერხულად იდგნენ. მერე მოხუცი დაფატურდა:

— დაჯექი, დაჯექი, ახლავე ჩაის ავადუღებ.

გოგომ გაიცინა, სახე გაუნათდა.

— არა, ბატონო, რასა ბრძანებთ. მაგვიანდება, — თქვა და ცოტა ხნის მერე წავიდა კიდეც.

მოხუცი ეზოში გამოჰყვა გოგონას. ცივი ღამე იყო. შესცივდა და ოთახში შებრუნდა. ოთახი ახლა თითქოს აღარ იყო ცარიელი, უფრო თბილოდა.

გავიდა ხანი და მეზობლები გადავიდნენ. დიდხანს გადადიოდნენ. მოხუცი მოყრიაშულე ხალხში დაბორილობდა და ყველას ხელს უშლიდა. მცხოვრებლები ახალ სახლში გადადიოდნენ და აღგზნებულები და დაბნეულები იყვნენ.

— მაშ, აქ რჩები, არა, ბაბუა?

ჰკითხა ერთმა მოხუცს.

— ვრჩები! — ამაყად უპასუხებდა მოხუცი. ხუცმა და გაშორდა, რადგან შემკითხველის უაზრო ღიმილი არ მოეწონა.

მეორემ შინაურულად უთხრა:

— გირჩევნია, ჩვენთან ერთად წამოხვიდე, თორემ, ხომ იცი, მაინც წამოგიყვანენ...

სახლის წინ ხალხი შეგროვილიყო. მეზობელი სახლებიდანაც ცნობისმოყვარეობით იხედებოდნენ და ამბობდნენ: „მაღე ჩვენც დაგაცლევინებენ ბინებს“ — და ამ მოლოდინით მოგვირილ სამომგებას ვეღარ მალავდნენ.

მეორე დღეს წამსვლელები წავიდნენ და თითქოს სახლიც თან წაიღესო, ეზო მთლად დაცარიელდა. მოხუცი მარტო დარჩა — სახლი და მოხუცი.

გვიან, ძალიან გვიან დაღამდა. ამოვიდა მთვარე და გაანათა დაცარიელებული სახლი.

— აბა, რა ეგონათ! — ჩაილაპარაკა მოხუცმა.

ეზოში ბებერი, ტოტებდაგრებილი ცაცხვი იდგა. მოხუცი დიდხანს იდგა ცაცხვის ძირში. მოხუცი იღიმებოდა და გული სევდანარევი კმაყოფილებით ევსებოდა. გაახსენდა შვილიშვილი, სადღაც შორს, თოვლში რომ იყო და იწერებოდა: „რა სისულელეა, ბაბუა, ახალი სახლი არ სჯობია? მეც იქ ჩამოვალ და მამაც, თუ დაბრუნდა. ტყუილად ნუ ჯიუტობო“.

გავიდა კიდეც რამდენიმე დღე. ისევ მოვიდნენ მოხუცთან, ისევ სთხოვეს გადასულიყო. მერე უბრძანეს, მაშინ იგი დემალა მოსულეხს.

მოხუცი დაფრატუნობდა ცარიელ ოთახებში. ზამთრის გრძელი ღამეები დარდით უვსებდა გულს. ცარიელი სახლი სხვა სახლებს შორის სრულიად ზედმეტი მოჩანდა. მერე დრო გავიდა და სახლიც თითქოს შეეჩვია თავის ახალ ცხოვრებას: დღისით ბავშვები

გურამ სხირტლაძე

სანამ სასტუმრო „გაზაფხული“ აშენდებოდეს

მოდიოდნენ, ჭყვილით დაჰქროდნენ ოთახებში, თამაშობდნენ და იღლებოდნენ. ღამე ჩუმად შემოდიოდნენ გოგო-ბიჭები, ბნელში იკარგებოდნენ და იქიდან ისმოდა მათი ჩურჩული.

მოხუცს პირველ ხანებში უკვირდა. მერე დაწყნარდა და მარტოობასაც შეეჩვია. იგი აღაგებდა სახლს, უვლიდა და ჩუმად ღიღინებდა. ხანდახან ავიწყდებოდა უცხოები, ყველაფერი ავიწყდებოდა და მაშინ ბრაზუნით დადიოდა ოთახებში. ძველი იატაკი საცოდავად ჭრიალებდა.

ღამე იყო. მოხუცი ცაცხვის ძირში იდგა და სტუმრებს ელოდებოდა. ისინიც მოვიდნენ. მოვიდა ნაცნობი ქალ-ვაჟი. მოხუცი გულლიად შეეგება მათ:

— მობრძანდით, გენაცვალეთ, მობრძანდით!

გოგომ შეჰკვივლა და ბიჭს მიეკრა. ბიჭი უყურებდა მოხუცის გაღიმებულ სახეს და ხმას არ იღებდა. მოხუცი იღიმებოდა. მან ხელი მოჰკიდა ბიჭსა და თქვა:

— მობრძანდით, თქვენი ჭირიმე...

ბიჭმა უცებ იფეთქა:

— გაჟია ვიღაცა! — მოხუცს ხელი აუქნია და იქაურობას გაშორდნენ.

გავიდა რამდენიმე ღამე და აღარავინ გამოჩენილა. დიდხანს არ გამოჩენილა. მერე უცებ მოვიდნენ. ბევრი იყვნენ. ჩუმად შემოაბიჯეს ეზოში, — არავინაო, — თქვეს და ჩაბნელებულ სახლში შეიმაღნენ. მოხუცი ცაცხვის ძირში იდგა და მათ უყურებდა. მოსულებმა ერთ-ერთ ოთახში ფანჯარას ტილო ჩამოაფარეს, კუთხეში სანთელი აანთეს და ზარის თამაში დაიწყეს. მოხუცი გარეთ იდგა და უსმენდა. მერე კარი შეაღო და თქვა:

— გაერთეთ, გენაცვალე, ითამაშეთ!

მოსულები უცებ წამოიშალნენ. აფორიაქდნენ. ერთ-ერთმა რაღაც დაიძახა და ყველანი გაიქცნენ. მას შემდეგ სახლში კარგა ხანს აღარავინ გამოჩენილა, მხოლოდ ერთხელ ვიღაც მთვრა-

ლი კაცი შემოეხეტა ეზოში. ერთ საღამოს მოხუცი თავის ბნელ ოთახში იდგა და ეზოში იყურებოდა. ეზოში იყოთრომ კაცი შემოვიდა, ცაცხვს მიადგნენ და ხერხვა დაუწყეს. მოხუცი გაოცდა. მერე ბრაზისაგან სუნთქვა შეეკრა. გულს ცეცხლი წაეკიდა, ეზოში ჩავიდა და თავდავიწყებით ეცა ერთ მათგანს. მოსულები ჯერ დაიბნენ. ბოლოს გამოერკვნენ, მოხუცს ხელი ჰკრეს და გვერდზე მიაგდეს, ცაცხვი კი მოჭრეს და მერე შეშად დაჩხეს...

მოხუცი ოთახში დაბრუნდა. ოთახში ციოდა და ბნელოდა. მხოლოდ ეზოს, ნაფოტებით მოფენილ ეზოს ანათებდა მთვარის მკრთალი შუქი, მაგრამ მოხუცს აღარ უნდოდა ეზოში გახედვა.

მოსალამოვდა. მოხუცი ცივ და ბნელ ოთახში იწვა. ოთახში უცებ ჯარისკაცი შემოვიდა. ჯარისკაცს საოცრად ნაცნობი სახე ჰქონდა. სანამ მოხუცი გამოერკვეოდა, ჯარისკაცმა ხმამაღლა თქვა.

— გამარჯობა, ბაბუა!

მოხუცი საწოლიდან ფარფატით წამოდგა. მის წინ შვილიშვილი იდგა. მოხუცს თვალები ფართოდ გაეღო, მაგრამ ვერაფერს ხედავდა. ერთ ხანს ასე უყურებდა, მერე უცებ აქეთინდა, თავი შვილიშვილის განიერ მკერდში ჩარგო და ბალღივით ატირდა.

— მამა აღარა გყავს, შვილო, მამა! — ამბობდა იგი, ტიროდა და დავაჟაკებულ შვილიშვილს მკერდზე ეკვროდა.

#### გაზეთში ამოკითხული ეპილოგი:

„დღითიღვე იზრდება და ღამაზღვება ჩვენი დედაქალაქი. გუშინ ახალი სასტუმროს შენობას საძირკველი ჩაუყარეს. მუშებმა და ინჟინრებმა ვალდებულება იკისრეს, ვადაზე ადრე დაამთავრონ მშენებლობა. სასტუმრო „გაზაფხული“ ულაშახესი იქნება ქალაქში.“


## ჯორჯ გორდონ ბაირონი

### მდინარე ბაბილონის პირად ვისხედით და ვტიროდით

ჩვენ ბაბილონის პირად დავსხედით  
და ჩვენ ვტიროდით იმ ლამაზ დღეზე,  
როცა მოვარდა მტერი თავზედი,  
სალემის კარის აღება შესძლო  
და უპატრონო ქალიშვილებმა  
ტირილით მთელი ქვეყანა შესძრეს.

ასე მწუხარედ ვჭვრეტდით მდინარეს  
(მდინარეს დარდი გულს არ აჩნდება),  
შავმა ღრუბლებმა გადმოგვიარეს,  
ბრძანეს მემღერა მტრის გამარჯვება,  
მაგრამ ვერ მნახოს მტერმა მღიმარე,  
თუნდ ზედ ჩანგზევე მომჭრას მარჯვენა.

სალემ, ტირიფზე ჩანგი ჰკიდია,  
სიმართლეს მღერის პირველყოფლისა,  
შენი ანდერძი მტერზე დიდია,  
ჩემი ხმაც არსად ჩანდა ყორნისად  
და ვერ შევურევ ხმად დამპყრობლისას.



### სტრიქონები დაწერილი პართუს სასაფლაოზე

ჩემი ბავშვობის ტკბილო ადგილო, რატომ ოხრავენ შენი ტოტები,  
მოწმენდილ ცაზე ნიავი დაჰქრის, ღრუბლები კი არ მიაბოტებენ.  
მე ახლაც შენთან ვზივარ, ვოცნებობ, ისე ვით ძველი შენი სტუმარი,  
ყველა ძმისა და მეგობრის იყო შენი ბალახის თავსასთუმალი.



ისინი, როგორც საფლავის ქვები, გაფანტულან და სადღაც დარდობენ, სულში აქვთ ალბათ ბედნიერ დღეთა დიდი წვიმა და დიდი ავდრობა. როგორც კი თვალით ვიხილავ ახლოს იმ შენს ნაღვლიან და დაღლილ აენტებთან ჩემი თვალები და თაყვანს გცემენ შენ, ამაყს ერთ დროს.

შენ იყავ რადგან ჩემი ყველა დღე  
გარიჟრაჟიდან შებინდებამდე.


შენ თითქოს ახლაც ისეთივე ხარ, ისევ დამცქერი დიდი სიწყნარით,  
მე კი ის ძველი ფიქრი და გული არ შემირჩინეს და ჩამიმწარეს.

მე მესმის კვნესა შენი ტოტების  
ისე, ვით აწმყოს გაბოროტება.

და მიგალობენ შენი რტოები დიად სიმღერებს ცისფერ სავანის,  
სანამ დროა და სანამ აქა ხარ, მიიღე, ყრმაო, ჩვენი სალამი.

და როცა ღმერთი, ბოლოს და ბოლოს, წამართმევს სხეულს და გამიცვივებს.  
როდესაც ვნება და აღზევება გულში ვარსკვლავად არ იციმციმებს,  
მე მიფიქრია ერთი ნუგეში, სიკვდილმა სულ მთლად რომ არ დამნისლოს,  
მე მიფიქრია, თუკი ნუგეში არსებობს ქვეყნად მომაკვდავისა,  
ჩემო მიწაო, ჩემო უბრალო ვიწრო მღვიმეც და ვიწრო საფლავო,  
ჩემი სხეული, ასე ტანჯული ყრმობის დღეებმა მინდა დაფაროს.  
ამ ზმანების და ადგილის გარდა სხვაგან სიკვდილი არ გამიხსენოთ,  
აქ მიხაროდა ჩემი ბავშვობა და ჩემმა გულმაც აქ განისვენოს.  
აქ იშვა ყველა ჩემი იმედი, აქ ფხიზლობდი და აქ მსურს ვიძინო,  
ეს მიწა გრძნობდა ჩემს სიმსუბუქეს, მე მინდა ვიგრძნო მისი სიმძიმე.  
მსურს დავიფერფლო შენს მფარველ ჩრდილქვეშ.

იქ, სადაც თეთრ ფრთებს ვასხამდი ფიქრებს,  
მსურს დავიფარო იმ ლამაზ მიწით, რომელ მიწითაც ძალას ვიძენდი.  
მსურს შეველიო იმ დიად მიწას, რომელ მიწაზეც დავაბიჯებდი.  
მსურს, რომ აივსოს საფლავის სიღრმე კურთხეულ ხმებით და სიმღერებით.  
მსურს ვიყო ქვეყნად დატირებული მხოლოდ მახლობელ კაცის ცრემლებით.  
სხვა ვინ მიცნობდა, სხვამ ვინ მიტიროს, შენს მფარველ ჩრდილქვეშ დამიწებული.  
დაე, მიგლოვოს ჩემმა ბავშვობამ, მთელი ქვეყნისგან დავიწყებული.



## თირზას

კიდევ სულ ერთი გაბრძოლება და მერე მორჩა...  
წვერი დასტყდება გულის გამხლენ, შხამიან ისრებს,  
კიდევ სულ ერთი ამოოხვრა შენზე და მორჩა.  
დავუბრუნდები ჩემს ძველებურ ცხოვრებას ისევ.  
ახლა მე უფრო სხვა ცეცხლით ვიწვი.  
რაც ადრე მგვრიდა უსიამო ფიქრსა და ქრქოლას.  
თუ ჩემი ყველა სიხარული შეჭამა მიწამ.  
რა მწუხარებით ამაღლევენს ახალი ბრძოლა?  
მაშ, მომიტანეთ თასი ღვინით სავსე პირამდე,  
ამ ცხოვრებას რომ მოგაჩვენებს ტკიბლს და უწყინარს  
და მე ვიქნები ის უაზრო ქვეყნის სინათლე,  
რომელიც ყველას უღიმის და თვალში უბრწყინავს.

ასე არ იყო, ძვირფასო, წინათ,  
რაც შენ დამტოვე, იმის მერე დავღონდი, ვფიცავ.  
რაც შენ დამტოვე ობლად და მწირად.  
რაც შენ აღარ ხარ, ყველაფერი არარად იქცა.

★  
ლემასაში  
★  
ჯორჯ გორდონ ბაირონი

ჩემს ქნარს ძლიერი ტკივილი ზღუდავს...  
დიდს მწუხარებას, ღიმილი რომ თან ახლავს მუდამ,  
დასცინის გულში ჩამარხულ დარდებს,  
ვით მიცვალებულს საფლავებზე დასცინის ვარდი.  
ცას ეწევი და თითქოს რჩები დარდის გარეშე,  
როცა მეგობრებს თასისაკენ გული მოელტვის.  
სიამოვნება ხშირად ფანტავს სულის კაეშანს,  
მაგრამ გული კი მაინც მარტო რჩება ყოველთვის.

და ხშირად მარტო, მუნჯად დარჩენილს  
მანუგეშებდა და მართობდა ყვითელი მთვარე.  
რადგან მეგონა, მაღალი ცის ლურჯი ნათელი  
დასციმციმებდა ძველებურად შენს ჭკვიან თვალებს.  
და როცა ხშირად ეგეოსის ტალღებით მთვრალი,  
შუაღამისას შენს სახელზე გავშლიდი აფრას,  
როცა ვფიქრობდი: „თირზა უმზერს ამ ღამაზე მთვარეს...“  
ეჰ, თურმე მაშინ დასცქეროდა მთვარე შენს საფლავს.

როცა შემიბყრო და შემბოჭა ციებ-ციხელებამ,  
როცა ცახცახი სნეულების ვერ მოვიცილე,  
ვამბობდი ჩემთვის: „ბედნიერი თირზას ხელები,  
რადგან ვერ გრძნობენ ჩემი შუბლის მწარე სიცივეს“.  
მითხარ, სად არის სამართალი, ღმერთო ძლიერო! —  
ვით მიხრწნილ მონას ბოლოს მისცემ მომავლის მიზანს,  
ისე ბუნებამ მბრძანებელმა და ღმობიერმა  
სიკოცხლე მომცა  
მაშინ, როცა  
მომიკლა თირზა.


თირზას დროინდელ ბედნიერ და ნათელ წუთებში  
ჩემს ტკბილ სიკოცხლეს უღამაზესს ვადრიდი სიზმრებს.  
ახლა კი გული მწუხარებით ბორცავს ბუდეში  
და შენი თვალი საფლავიდან სხვარივად მიმზერს.  
დადუმებული ისე, როგორც შენი გულია,  
ო, ღმერთო! ნეტა ჩემი გულიც დადუმდეს ისე,  
თუმც ჩემი გულიც მკვდარია და შერისხულია,  
მაინც გრძნობს იგი, ცახცახებს და გოდებას ისმენს.

მწარე პირობავ, სავალალო წუთის ნიშანო,  
მტკივნეული ხარ, მაგრამ მაინც მოგესალმები,  
ან სიყვარული ზეციური არ მომიშალო,  
ან მომკალი და მის ღუმელში მომეც სამარე.



დაე, ამ გულმა ჟამთა ქროლოვის რისხვა იკმაროს,  
ხელნი მსახვრალნი ჟამთა ქროლოვის მას ვერ ავნებენ...

რა შეედრება სიცოცხლეში იმ დიდ სიყვარულს,  
რომელსაც მკვდარი გულში ჰყავს და თავს ვერ ანებებს.



## პრომეთე

ტიტანო ღმერთო! შენი თვალის უკვდავი სხივი,  
სხვა მოკვდავების წამებას და მოწამვლას სისხლის  
და სავალალო სახეების შორეულ კივილს  
სხვა ღმერთებზევით არ უმზერდნენ რისხვით და ზიზღით.  
მაგრამ რა მოგცეს სიბრალულის სანაზღაუროდ?  
პიტალო კლდე და არწივების ცივი ყვილი,  
მდუმარე ტანჯვა, ბორკილების მკაცრი ქდარუნი  
და რაც ამაყ სულს შეუძლია იგრძნოს ტკივილით...  
სულის გმინვა და უთქმელი კვნესა  
და მწუხარების უბადლო კვესი,  
რომელიც ყვირის, მაგრამ არა სხვის გასაგონად  
და ტვინში მხოლოდ ერთი აზრი რეკავს ზარით:  
იყუჩე, სულო, არ ასმინო კვნესა გრიგალებს,  
ყურს არ გვიგებდეს სადმე ვინმე ცით მოგზავნილი.  
ტიტანო ღმერთო! შენს სხეულში იბრძოდნენ ორნი —  
ნებისყოფა და წამების ღმერთი.  
შენ განგებ აცცდა სიკვდილის ტორი  
და უღმობელმა ცამ მალაღმა დაგტოვა ერთი...  
და ბედის ყრუ და ცრუ ტირანიაშ  
და სიძულვილის დიდმა პრინციპმა  
სულის გრიგალში ხელი დაგრია,  
მაგრამ ქვეყნიდან ვერ მოგიცილა.  
ტიტანო ღმერთო! შენ სიკვდილიც არ გიწყალობა  
და საშინელი უკვდავება გარგუნა წილად.  
მაგრამ ეს ჯილდოც გადიტანე და გრიგალებთან  
შენი უთქმელი სულის გმინვა მზესავით ბრწყინავს.  
და რაც ამქვეყნად გამოგძალა მეხთამტეხელმა,  
თვითონ დაატყდა ნიაღვარის შავი ეშვებით.  
მის ბედს წინასწარ თითქოს გრძნობდი ხელის შეხებით,  
მაგრამ არასდროს უმხელდი და ანუგეშებდი.  
მის სულში იდგა სინანულის დიდი სიმწარე,  
შენს დიდ დუმბილში იყო მხოლოდ იგი, რაც ახდა,  
შენმა ფარულმა, დიდმა ძალამ ისე იმძლავრა,  
რომ მეხთამტეხელს ხელში ელვა აუცახცახდა.  
დამნაშავე ხარ, რადგან გული გქონდა კეთილი.  
შენ გიყურებდნენ ტკივილის და ტანჯვის მქონენი.  
სუყველა მოკვდავს ურიგებდი რჩევას ღმერთივით,

აძლიერებდი ადამიანს მისივე გონებით.  
და როცა დიდი სიმალლიდან ძირს დაგანარცხეს,  
შენი ძლიერი შეუვალი სული და ძალა  
ვერ აღკვეთეს და ვერ დაამარცხეს,  
მისი დათრგუნვა ვერც მიწამ და ვერც ზეცამ ბრძანა.  
შენ გვიანდერძე გაკვეთილი ჯერ არნანახი,  
თუ ძლიერების სადმე გმირია,  
შენ ხარ სიმბოლო მოკვდავთ ზედის და სიამაყის,  
ადამიანი შენნაირი ღვთაებრივია.  
ადამიანსაც შეუძლია წინასწარ ჭვრეტა  
თავისი სულის განწირულ ხვედრის,  
მის უსაშველო არსებობას წინასწარ ხედავს  
და ყველა ჭირს და ვარამს უდგას  
გრიგალში მკერდით.  
დიდი სიმტკიცით, ნებისყოფით და აზროვნებით  
თვით წამებაშიც იმარჯვებს და ლაჩრად არ რჩება.  
იმარჯვებს იგი, არც ერთ გრიგალს არ ემონება,  
ბოლოს სიკვდილსაც აქცევს ღმერთად და გამარჯვებად.

თარგმნა ჯანსუღ ჩარკვიანმა



# მოათ გაემიშვი...

ნარკვევი

სოფელმა მტრისგან დანგრეული ცხენ-კოშკებისა და ქვე-გალაენის აღსადგენად ხუროთმოძღვარი მოიწვია. ცოტა ხანი გავიდა და ხუროთმოძღვარმა მამას უთხრა, თუშები კარგი ხალხი ვერა ყოფილანო. რაით იციო? რაით და, როცა პურის ჭამად ვსხდებით, მე და ხუროებს რუხი ფერის ქუმელს ვვაჭმევენ, თავიანთთვის თეთრს იკეთებენო. მამამ ურჩია, ახვალ და საჭმელს რომ მოიტანენ, დასწვდი, ის თეთრი ქუმელი აიღე, გემო უნახე და დარწმუნდები, რომ სცდებიო. კიდევ გამოხდა ხანი და ხუროთმოძღვარმა მამას უთხრა, მართალი ყოფილხარო; თუშები თავიანთთვის ქუმელს წყალზე ზელავენ და თეთრათა, ჩვენთვის—ერბოზე და თაფლზე, რუხი იმიტომ გამოდისო.

სხვაგვარად ვერ მოხერხდა და დართლოში ერთ ოჯახს ბარე სამჯერ ვესტუმრეთ. სამჯერვე მეტისმეტი პატივი გვცეს. დაგარბიეთ და ავიკელითქო, ბოდიშებს ვუხდით; დისახლისმა ჩვენი სიტყვები გულწრფელად გაიკვირვა და გვიპასუხა: ოჯახს სტუმარი ვერას დააკლებს და დოვლათს კი შე-

მატებსო. იმავე ოჯახის უფროსმა ცხენი შემოგვაძლია, მძიმე გზა გაქვთ. აღმართებში ბარგს აპკიდებთ და ზედაც შესხდებითო. ერთ-ერთმა მივუვეთ, ეგ სანაქებო ცხენი თუ სადმე გადაგვივარდა და გაზარალეთ, თვალებში როგორღა შემოგხედოთო. ზარალის ხსენებაზე მასპინძელმა უფრო დაჟინებით მოგვთხოვა, ცხენი წაიყვანეთ, რახან გაძლევთ, ალბათ მაგასაც ვითვალისწინებო. დაგვიყოლია. ისე მოხდა, რომ ის ცხენი ხრამში გადაგვივარდა და დაშავდა. მასპინძელს ცხენი შვილივით შეეცოდა, მაგრამ საყვედურის სიტყვაც არ დასცდენია.

ბაკურის ვაჟაცობით და ვაჟას გენიით უკვდავქმნილი ელოს და მისი ახლო-მახლო სოფლების დათვლიერება განვიზრახეთ. ცხენზე ჯდომამ გავაბეზრა, მანძილიც არ იყო შორი და ფარსმაში მტკიცედ გადავწყვიტეთ, ფეხით მიგვევლ-მოგვევლო. შემოთავაზებულ ცხენებზე უარი ვთქვით და გზას გაუხდექით. უკვე კარგა შორს ვიყავით ფარსმიდან, მხედარი წამოგვეწია, აი, ცხენი მოგიყვანეთო. ვიუარეთ, მაგრამ არც ის დაგვენბდა. ასე გვითხრა: წყლებ-

ში ხართ გასასვლელი, დაცივდებით; ბარში ჩასულეხს ცუდი მოგონება დაგ-რჩებათო. ჩვენ ისეთი მასპინძლები არა ვართ, ჩვენი მთა-ხეობის აუცი ვისმე დაეხსომოთო. მთელი დღე გვღია; თავი არ დაგვანება, ისეთი დაუზნარელი კაცი იშვიათად შეგხვედრია.

მთათუშეთიდან მძიმე ავადმყოფის ბარში ჩამოყვანა უგზობის გამო მხოლოდ საკაცით ხერხდება. საკმარისია ხმა გავარდეს, „საკაცეო“, პირიქითისა და გომეწრის ხეობიდან მწყემსები ომალოსკენ გამოსწევენ. საკაცე ერთია და მისი თანხლებისა და თორღვას უღელტეხილზე გადატანის მსურველი — ასი. არის ერთი დავა და ცილობა. ბოლოს თავაკეები იტყვიან, მავანთა და მავანთ ატარონო და სხვები, გულდაწყვეტილები ბინებში ბრუნდებიან.

გზები ცუდია, ხშირად ცხენს მოსართავი მოუფონდება, ან სულაც შეეხსნება — მით უფრო, თუ ღამის გზაა. პატრონი ისეა დამშვიდებული, ვითომ ის ბარგი სახლში ჰქონდეს. ვინც ბარგს პოულობს, ბარგის პატრონსაც ისა პოულობს. ასეთი რამ საკუთარ თავზე გამოვცადეთ.

მთათუშეთში ნამყოფი მხატვრებისთვის ჯიხებზე მონადირე თუშს ეთხოვნა: ფული გადადებული მაქვს, აქ ვერსად შევხვდი და იქნებ თბილისში ერთი კარგი ბერდანა თოფი მიშოვნოთ როგორმეო. შეჰპირებიან, ძნელი საშოვნელი კი არის, მაგრამ შევეცდებითო. რამდენიმე დღის შემდეგ მხატვრებს დამე ერთ მიტოვებულ სოფელში გაუთვევიათ. დილით, სანამ გზას დაადგებოდნენ, იმ სახლში კედელთან, შემთხვევით რაღაც ფიცარი გამოუწევიან და საგანგებოდ გაწმენდილ-დაზეთილ, ახალთ-ახალ ბერდანას წასწყდომიან. როცა მონადირეს ისე შეხვდნენ, მიახარეს, ბერდანა გიშოვნეთო. სადღო, სიხარულით უკითხავს მონადირეს. აქა და აქ წავაწყდითო. მონადირეს გაუცინია და უთქვამს: ეგ თოფი ვიცით. მაგისი პატრონი და იმისი ორი ძმა ომიდან აღარ დაბრუნდნენ, მოხუცე-

ბულები მიიცვალნენ, სახლი უპატრონოდ დარჩა. ეგ თოფი იმათია, ჩვენ არ არისო.

ომლიდან ღამის გზით მეჩხვარე მოდიოდა. ცხენს კეხ-ნაბადი მოსწყდა და საპალნე გზაზე დარჩა. როცა ცხენები დართლოში ჩამოირეკა, ნახა, რომ ბარგი დაკარგულიყო, მათ შორის ღვინით სავსე ტიკიც. მეორე დღეს გზად მომავალმა კაცმა საპალნე იპოვა და პატრონს ჩამოუტანა. ჩვენ თავად შევესწართ, საპალნის პატრონი სრულიად სერიოზულად ტიკს ასეთი სიტყვებით ჰკიცხავდა: ჰაი, შე სალახანავ, შენა, შე ლოთო, შენა! აგრე დაიყენე საქმე რომა, ხან სადა გძინავს და ხან სადა, შინ ხან ვის მოჰყევხარ დამთვრალ-გალეშილი, ხან ვისა. აღარც სახლი იცი და აღარც კარი, ხალხისაც რომ აღარ გრცხენია! სანამ არ დაგცილი და არ დაგჩუტავ, შენგან კარგი არა გამოვა-რა, შე ბეითალმანო, შენაო!

ქეშოდან სტუმარი გავიდა, ნაყავი-ჩოს მით შინ მიდიოდა, გომეწრის ხეობაში უნდა გადასულიყო. ბარე ოთხი საათის წასული იქნებოდა, სტუმარი ისევ მასპინძლის სახლში გაჩნდა — ნაყავიჩოდან დაბრუნებულიყო, ოჯახის დალოცვა დამავიწყდა, სასმისი მომავროდეთო. დალია და ისევ იმ უშველბელ მთას შეუდგა.

ბინაში ვიყავით, ცხრა მთისას და ათი ბარისას მოვრჩით, გვითხრეს, წავგვიკითხეთ რამეო. წავუკითხეთ. აზრი გვინდოდა გავვეგო და ვკითხეთ, მოგეწონა თუ არათქო. მოგეწონაო. მაშინ ისა ვკითხეთ, სახელდობრ რა და რატომ მოეწონათ. დაფიქრდნენ. მერე ერთმა მოხუცმა მეჩხვარემ თქვა: ხალასი სიმართლეა და იმიტომ მომეწონაო.

პირიქითის ხეობაში ერთი სტუმართმომეყვარებობითა და ხელგაშლილობით განთქმული კაცია. ძმაკაცი ესტუმრა. მადლი და სიკეთე სტუმარ-მასპინძელს ერთმანეთში ბევრი აქვთ დათესილი. სტუმარმა წასვლა დააპირა. მასპინძელი აუხიბდა, ჩემ სახლში თუ რამ

მთაო, გადმიშვი...



მოგწონს და თან არ წაიღეო, აღარც მესტუმრო და აღარც ძმაკაცები ვართო. მასპინძელს კეღელზე ერთი პატარა, მაგრამ საოცრად ლამაზი ფარდავი ეკიდა. სტუმარმა უთხრა, ჯანი ვაგვარდეს, ე მაგ ფარდავს წაიღებო. არ მისცა, ე მაგ ფარდავის გარდა თქვიო. ცხენი, უნაგირი, ნაბადი, ძროხა — რაც ვინდა თქვიო. სტუმარმა გაიკვირვა, ვანა ეგ ფარდავი ისეთი რა არისო? მასპინძელმა აუხსნა: ჩემი ამბავი ხომ იცი, ერთი ძარღვებაშლილი კაცი ვარ, კარშიც ხან რასა ვნახავ, ხან ვინ რას მეტყვის, ისეთნაირად ავიშლები, ლამის საღდაც გადავიკარგო. მერე როგორღაც თავს შევიკავებ, შინ გამოვრბივარ, ტახტზე წამოვწვები, მაგ ფარდავს შევხედავ და ეგ დალოცვილი ისეთი ლამაზია, ბოღმასაც გადამიყრის, ძარღვებსაც დამიმშვიდებს და გულსაც გამიმხიარულებს ხოლმე.

ზემოთქმული იმ ადამიანების ბუნებისა და ხასიათის უტყუარი ნიშნებია, ვისაც ზემო და ქვემო ალვანში თავმოყრილი სიმდიდრე ეკუთვნის. ასეთები არიან მთათუშეთის მეცხვარეები უოველგვარი ვაზვიადების გარეშე. ეს ბუნება და ხასიათი შრომამ და შრომისმოყვარეობამ ჩამოაყალიბა.

გამრჯე კაცმა შრომის ნამდვილი ფასი იცის და როცა ხუროს აიყვანს, ქუმელს ერბო-თაფლზე შეუმზადებს, თავისას მისცემს, თვითონ წყალზე მოიზღვავს.

შრომისმოყვარე კაცს ის იმედი არ შემოეღრევა, რომ თავისი გარჯით კვლავაც დოვლათს დაიყენებს და ამდენად, მუდამ გასცემს კიდევ და მაღლსაც აქმს.

ადგილ-მამული, სამშობლო, ქვეყანა ნამდვილი, უნაგარო სიყვარულით მხოლოდ ისეთ კაცს უყვარს, ვისაც ზრუნვით, ამავით, შრომით სამშობლოს საქმეში თავისი წვლილი შეუტანია. ასეთი კაცი იყო მხედარი, რომელიც ფეხით მიმავლებს დაგვეწია და ცხენი დავგახმარა — მარტო ჩვენზე კი

არა, თავისი მთა-ხეობის სახელზე იზრუნა.

შრომის ადამიანს თავადაც გასჭირვებია და ვისიმე წამოშველების მაღლი და ბარაქა გონებას და გულში გასჯღომია: ის ახსოვს და ვალდებულების გრძნობას მიჰყავს საკაცის სატარებლად იმ უმძიმესი თხემ-ბილიკებით.

თუ კაცი ირჯება და შრომობს, — წელგამართულია. უზრუნველყოფილი კაცის ბუნება ოხუნჯობას და სიცილს მოითხოვს და აქედან, ის იუმორის გრძნობაც, რომელიც ნაყავიჩოს მთიდან ოჯახის დასალოცად ჭეშოში ჩამობრუნებულმა, თუ ტიკის მოსაყვედურე კაცმა გამოამჟღავნა.

მშრომელი ადამიანი თავისი შრომის ნაყოფს აფასებს, სხვის მონაგარს პატივსაც სცემს: გზად ნაბოვენ ტვირთს უეჭველად პატრონს ჩააბარებს და უპატრონო, მაგრამ სხვისი თოფით მოკლური ნადირის ხორცს არ შეჭამს.

ხელოვნებისა და სილამაზის უზადო დამფასებლები სიბარიტებისა და უსაქმურებისაგან არასოდეს გამოსულან. სილამაზის უტყუარი გრძნობა საქმეზე შეყვარებული კაცის ნიჭია. და იმ ზვიადი მთებისა და ჰაეროვანი ჩანჩქერების ბალღობიდანვე შემყურე ადამიანს რომ სილამაზე ბოღმიან გულს დაუამებს, აშლილ ძარღვებს დაუმშვიდებს, ავ საქმეზე ხელს ააღებინებს და სიკეთეს გააკეთებინებს — ეს ხომ სრულიად ბუნებრივი რამ არის.

მეცხვარის შრომა წელიწადი-თორმეტი თვე ცის ქვეშ ყოფნაა, დარისა და ავდრის მხრებით გამოტანაა, ას მოგებულ ბატკანზე ასივეს შენარჩუნებაა, ტვირთ-ბარგის მთიდან ბარში და ბარიდან მთაში ტარებაა; მეცხვარის შრომა მძიმე, ვაყვაცური ჯაფაა — სიყვარულია. მეცხვარეს ცხვართან, ცოცხალ არსებასთან აქვს საქმე და საქმის, პროფესიის ნამდვილი სიყვარულის გარეშე მარტო შრომა საქონელს ვერ ახერხებდა, ვერ ამრავლებდა, დოვლათს ვერ დააყენებინებდა. ამ ადამიანებს საქმის შთამომავლობითი სიყვარული აქვთ.

ჭეშოდან ფარსმაში გვინდოდა გადასვლა. გავიღვიძეთ თუ არა, ფანჯარას ვეცით. წვიმა. გადავწყვიტეთ, ისევ პირიქითის ხეობით დავბრუნებულყავით ომალოში. გომეწრის ხეობას გაისად ვესტუმრებოდით. ავიშალენით და გარეთ გამოვედით. მასპინძლებს დიდი მადლობა გადავუხადეთ, ცხენებზე შევსხედით და გზას დავადექით.

სადილობისას დართლოს მივალწიეთ. აბა, როგორ შეიძლებოდა დართლოში რეზო ცაძიკიძე არ გვენახა და დედა თამარის გაკეთებული ხინკალი არ გვეჭამა. ან ფერდოზე შეფენილი სოფლისთვის ზევიდან არ გადმოგვეხედა. ისევ ისმოდა ცხვრის ბლავილი, ქოფაკების ყეფა, პირიქითა ალაზნის ღრიალი. ისევ ცრიადა.

დართლოდან გამოსულებს პლატონ ნეკერაული და ალექსი ომაიძე შემოგვხდნენ. ეჩქარებოდათ. უამრავი საქმე ელოდათ ორივეს. ცხვრის პარსვა კარზე ადგათ. ას დედა ცხვარზე ასზე მეტი ბატკანი გაუზრდიათ. არც გზაში შერცხვენილან, მონამგლეებთან პირშავად არ დარჩენილან, ცხვრის წველაში მოწინავენი იყვნენ და ახლა პარსვაშიც უნდოდათ თავი ესახელებინათ. დართლოს აბაზანასთან უნდა ჩამოერეკათ ცხვარ-თოხლი. იქ ვეტერინარი ლაზარე აზიკური დაუხვდებათ. აუზს კრეოლინის ხსნარით გაავსებს და საქმეც და გასაჭირიც მაშინ დაიწყება. მერინოსები ჯიუტები არიან, აბაზანამდე სათითაოდ მოუწევთ თრევა. გაჯიუტებულ ცხვარს სახრეს გადააღწევა და ერთ ნაბიჯსაც ვერ გადაადგმევინებ. ოფლად დაიღვრები, გაწვალდები, გაიტანჯები. ცხვარს აბაზანის შემდეგ ცოტა ხანს ჭალებში აძოვებენ და თუ უდროო დროს არ ჩამოთოვა, ჭიუხებს უმარჯვებენ. სამგზავრო თადარიგიც აქედანვე ექნებათ დასაჭერი. კეხ-უნაგირიც უნდა შეაკეთონ, ამოდენა ყველმატყლიც ბარში უნდა ჩაიტანონ. ნაოფლარ-ნაამაგარ დოვლათს გზა-კვალიც კარგი უნდა.

კარგა ხანს გვესმოდა მათი გამალებული ცხენების თქარათქური ვიწრო ხეობაში.

ომალოს აეროპორტში აღარავინ ჩანდა. ღრუბლიანი ამინდი იყო და ალბათ ფრენა აღარ იქნებოდა. ცხენებს ბარგი მოვხადეთ, საძოვარზე მივუშვით და ომალოს ცნობილ სასადილო „კოსმოსში“ შევედით. დღეს უკანასკნელი დღე იყო, ამ საღამოს უკან უნდა დავბრუნებულყავით.

ერთ-ერთ ჩვენგანს თბილისში გადაუღებელი საქმე ჰქონდა, იძულებული იყო რამდენიმე დღით დავეშორებოდა. მისი ისევ თუშეთში ამოსვლის იმედი არც ერთს აღარ გვექონდა: საფრენოსნო ამინდი არ იყო, წვიმა ცრიადა, ხეობებს მღვრიე, სველი ნისლი მიჰყვებოდა, დარს პირი არ უჩანდა. ცხადი იყო, ასეთ ამინდში თბილისელი კაცი სამოცოთხმოც კილომეტრს მთაში ფეხით ვერ გამოივლიდა.

მაგრამ სიტყვა სიტყვაა და კაცი მაინც წამოვიდა. თელავის აეროდრომიდან კარგა ხანს უყურა თორღვას უღელტეხილზე დაზვინულ ღრუბლებს, მერე ხელი ჩაიქნია, გზადგავილ მანქანას ნაფარეულამდე გაჰყვა, იქიდან მეორე მანქანით ფშავლამდე ავიდა, ფშავლიდან კაკლის ჭალამდე გეოლოგების მანქანით, იქიდან ხუთმეტი კილომეტრი თორღვას აბანომდე ფეხით იარა, ვინძლო ცხენებს მივუსწროო. თუშებს მთიდან თორღვას აბანომდე ბარგი საპალნით მოაქვთ, მერე ცხენებს უკან აბრუნებენ. მთათუშეთში წამსვლელი კაცისთვის, თუ ამინდი არაა, ეს ცხენები ერთადერთი ტრანსპორტია. ჩვენს ამხანაგს თორღვას აბანოში ცხენები არ დაუხვდა, ხვალ დილამდე ცხენები არ იქნებო. სულ ორი საათის წასულები იყვნენ გომეწრის ხეობისკენ. ისიც უთხრეს, თუ უღელტეხილამდე ცხენები აძოვეს და დაისვენეს, იქნებ მართლაც დაეწიო. კაცი გზას დაადგა, ომალოში ამოვიდა და ყველაფერი გვიამბო.

მთაო, გადმიშვი...



— თორღვას აბანოს რომ ამოვცდი, გზა გაიყარა. მე მელთაუდას უღელტეხილით მარცხნივ წამოვედი, გომეწრის ხეობისკენ. გომეწრის ხეობით ომალომდე თითქმის ორჯერ მეტი გზაა, ვიდრე ჭანჭახოვანით, მაგრამ იმ მხარეს არა ვყოფილვარ და უცნობი მხარის ნახვა ვარჩიე.

უღელტეხილამდე სამი კილომეტრი იქნებოდა, როცა მგზავრებს დავეწიე. ცხენები ბალახზე მიეშვათ, თვითონ ნაბაღზე ისხდნენ. სვამდნენ. კაი დიდი ხნის უნახავი მეგობაროვით მომიკითხეს, სუფრას ყველი და პური მოუმატეს, ყანწი მომაწოდეს. ერთი, მეორე, მესამე.

ხეობიდან მდინარის ხმაური მოდის. ათ მეტრზე აღარაფერი ჩანს. ყველაფერი ნისლია გახვეული. ვუღალვას უღევს მუხლებზე. პატარა, შავ ყანწში ასხამს და რიგრიგობით გვაწვდის, ხან მე და ხან იორამს. მთელი სამი საათი ვიჯექით და ვსვამდით. ყიპიტაური ჩვეულებრივზე უფრო მაგარი იყო.

— სუფთა არ უნდა იყოს, — ვუბნები შალვას, — ძალიან მაგარია.

— ხილის არაყი გავურიე, — ეცინება მას, — იორამს მაგარი უყვარს.

იორამსაც ეცინება და სვამს.

ვერც კახური თუ გურული ჭაჭა. ვერც რუსული არაყი, ვერც კონიაკი მთაში ყიპიტაურს ვერ შეედრება. სუფთა, ერთნახადი ყიპიტაური სასმელი კი არა, წამალია. მეცხვარეს თუ მეჯოგეს, შორეულ, მთის გზაზე დამღვარ კაცს ის საგზალივით მიაქვს თან. მთიელი კაცისთვის ყიპიტაური იგივეა, რაც იმერელი გლეხისთვის სახარჯო ღვინო, — საქმესა და გზას გიოლოებს, მხნეობას გმატებს და მუხლს გიმაგრებს.

შალვას და იორამს პირიქითში ცხვრისთვის ქვამარლი მიჰქონდათ. მარლი ბრუნენტის ნაჭრებში შეეხვიათ და თასმებით შეეკრათ, — ხურჯინი ქვამარლის სატარებლად არ გამოდგება. ერთ მგზავრობაშივე ძირი გასძვრებაო. თითო ნაჭერი ფუთი, ან ორი ფუთი იქნებოდა. ისინი ერთდროულად, ორივე მხრიდან, მარლს კეხზე თასმის

ყულეებით ჰკიდებდნენ, სწრაფად და გულისყურით მუშაობდნენ.

სერზე რომ გადავედით, მზე ჩავიდა. ხეობაში მზით შეღებილი ზეცის მკვდარი ნათელი ჩამოწვა.

ვიწრო ბილიკზე ცხენები ერთმანეთს მიაწყდნენ და მარილი ფერღობზე გადაყარეს. ხევიდან თითო-თითოდ ამოგვექონდა, — ხელში ცხვაროვით ატაბული, გულთან მიკრული.

მერე ტბასთან ჩამოვედით. ტბა ზევიდან სარკის ნატეხივით ჩანდა.

ტბიდან საკმაოდ მოშორებით ცხენის ჩონჩხი ევლო. ჯერ ვიფიქრე, ზვავში მოჰყვებოდა, ან მგელი დაგლეჯდა. ანდა სულაც ხრამზე გადაიჩეხებოდა-მეთქი.

იმ ცხენის ამბავიც შალვამ მიაშბო. გაზაფხულზე იმ ადგილას დიდი წყალი დამდგარა, გაყინულა და თოვლს დაეფარა. ცხენს ყინული ჩასტყდომოდა და შიგ ჩამხრჩვალყო. ვერა ეშველათ რა. მწყემსები ცხენის ცოდვით დახოცილან; ერთმანეთს თურმე ხელით აკავებდნენ, შიშობდნენ, ყინული არ ჩასტეხოდათ და თვითონაც არ დალუპულიყვნენ. იმ ცხენზე ფიქრი თავიდან არ მშორდება, ვინ იცის, კიდევ რამდენჯერ დამიდგება თვალწინ...

ორწყალთან რომ ჩამოვედით, უკვე ბნელოდა. გზის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა. დამე იქვე მწყემსების ბინაში უნდა გაგვეთია. ცხენებს ბარგი, კეხუნავირი მოვხადეთ და საძოვრად დიდგვერდის მხარეს შევრეკეთ.

ბინაში ორნი იყვნენ, ძია იროდი და პატარა ბესიკი. მათ ებარათ ბრიგადის ცხვარი. ტოლით გადახურულ და ტოლითვე შემოკედლილ, მოზრდილ და მყუდრო ბინაში შუაეცხლი გიზგიზებდა.

ძია იროდის გაზაფხულზე ვაჟიშვილი დაუშარხია, ქალების ტირილისთვის ვედარ გაუძლია, ვერც გაუთავებელი სამიძიარის აუტანია, ვერც ხალხში ყოფნას მორეგია და თავის დარღთან და

თავის თავთან მარტო დასარჩენად ცხვარში ამოსულა.

უხუცესი იყო, თამადად დავსვით. მრავალი სადღეგრძელო დაგვალევინა, ჩვენი მიცვალეზღუბები არ დაივიწყა, თავის მიცვალეზღუბული არც კი უხსენებია, ვაჟიშვილის სიკვდილის დარდი არაფრით გაუმხელია, ჩემი სადარღვლით სხვა რად უნდა შევაწუხო, ან იქნებ თავისი დარდის სიწმინდის შეზღავანს მოერიდა და იმიტომაც სახალხოდ არ გამოიტანა. დიდხანს ვიჯექით ვიზგიზა შუაღვესლთან.

დილით ისევ გზას დავადექით. დღეს, რა დროც იქნებოდა, ომალოში უნდა ამოვსულიყავი. ვესტომდე ერთად ვიარეთ. სოფლის თავში ჩამოვქვეითდი. იორამმა გუდა ჩამოიღო და ყანწი გაავსო. არ მომეშენენ, სამის არ დამლევსა და სამის არ დამსხმელსაო, შემახსენეს, მერე ერთმანეთს ძმებივით გადავეხვიეთ, მისამართები გავცვალეთ, თბილისში სტუმრობას შემპირდნენ.

მე ომალოსკენ გამოვწიე. ვფიქრობდი, რამდენ ხანსაც არ უნდა ვიცოცხლო. ეს დღეები არ დამავიწყდება-მეთქი. სიცოცხლეც ალბათ ასეთი დღეების ჯამია, თუნდაც სულ ერთი წელი გამოვიდეს. რამდენ ხანსაც უნდა იცოცხლო, არც ეს გზები დავავიწყდება, არც ეს ერთბაშად შეყვარებული და დაძმობილებული ხალხი.

გოგოლაურთა ცარიელია; მხოლოდ საზაფხულოდ ამოსული დედაკაცები შვილებსა და ქმრებზე ფიქრში ანთებენ და აღვივებენ ცეცხლს. უტო კაცს დამილით, მაგრამ მაინც ცალყბად გამომესაუბრნენ. გადამთის ბილიკს ადგამათი თვალი და ფიქრი.

ჩალაურთა ცარიელია; გამოყრუებული, მიტოვებული. მხოლოდ წინკარში ერთო მთის წითელი ყვავილების ცეცხლი, ხანდახან ქარი აჭრიალებდა ღიად დარჩენილ კარებს და შურთხები ფრთხალობით იშლებოდნენ სივრცეში.

დოქო ცარიელია, კუშტი და შუბლშეკრული. იქიდან ხელისგულივით მოჩანს ულამაზესი გომეწრის ხეობა, მოჩანს ომალოს ლარივით სწორი გზა.

გაყვითლებული ფოთლოვანი ტყეები და კლდის პირზე ხასხასა ნაძენარი.

დალამებამდე, მზის ჩასვლამდე ამოვსულიყავი ომალოში. ყოველთვის, როცა მელიან, მინდა იცოდნენ, რომ მივალ, უსათუოდ მივალ. გზა უდრან ტყეში მიდის, ფიჭვის, ნაძვის, წაბლისა და შინდის დამათრობელი სურნელით სავსე ტყეში. უკვე გამოჩნდა ომალოს ციხე და აღმართი. ბევრი ვიარე. ციხესთან ამოვედი, ქვევით დავეშვი; აი, აეროდრომი, სასადილო, სკოლა-ინტერნატი, ამბულატორია. და სრულიად უეცრად თქვენც დავინახეთ, ოთხივენი. გიცანით, ერთბაშად დავიღალე და დავჯექი.

სასიამოვნოა ფიქრი თუშეთზე, წერა ძნელი, მაგრამ საჭირო და აუცილებელი.

დრო გავიდა, შთაბეჭდილებები ერთმანეთს დაუკავშირდა, დალაგდა, დაიწმინდა. ყველაფერი თვალს მოეფარა, მერე ისევ გაცოცხლდა და ამოტივტივდა. ხეებში ჩაწოლილი ნისლი გაიფანტა და მალდა, ახლა უკვე თოვლით დაფარულ მთებზე აიკრიფა. აქედან უფრო ნათლად ვხედავთ იმ აღამიანებს, ცაში ასვეტილ კოშკებს, იმ ყანგისფერ კლდეებს, შემოდგომის წვიმებით რომ გამოგვაცილეს.

კარგა ხნის შემდეგ სადმე ქუჩაში, ან შინ ზამთრის ღამეში ისევ ვხედავთ და გვენატრება აღამიანები, რომლებიც სიბი ქვით ნაშენ კოშკებთან და სახლებთან გვხვდებოდნენ; ისევ გვენატრება მათთან საუბარი, პურის გატეხვა და მათთან ერთად მთის ბილიკების გავლა; ისევ ისე სდგება წარმოდგენაში ციხის კარს მიჭრილი ხმალამოწვდილი ბაკურის ყიჟინა; ისევ წითლად ელავს ცირცელი, ისევ ხვდებიან ერთმანეთს ლაროვანის და ქვაბიდის წყლები; ისევ ფრუტუნებს ცხენი უდარდელა და ისევ იცინის აივანზე დეიდა თამარი; ისევ მოდის წვიმა და ვსველდებით. შუალამისას შევდივართ ჩაბნე-

მთაო, გადმიშვი...



ლებულ სოფელში და სოფელს ქვია ხისო. მიტოვებულ სახლში ცეცხლს ვანთებთ, ვაზშამს შევექცევით და ტანსაცმელს ვიშრობთ. მერე აივანზე ვიძინებთ და დილით ისევ მივყვებით ჭანჭახოვანის ხეობას თორღვას უღელტეხილისაკენ.

ახლა თუშეთში ზამთარია. ახლა თუშეთი ცარიელია. დართლოში ალბათ მხოლოდ რეზო ცაძიკიძე დარჩა. ჭეშოში არსენა სულაკაური და კიდევ ერთი-ორი კაცი. დაქანცულები, გატანაზიანებულები და დაძაბულობით გაბრუნებულები ცხენებს მივყვებოდით. თორღვას აბანოებთან ცხენები უკან გაბრუნდნენ. ჩვენ ვიდექით და ცხენებს ვუყურებდით. ჩვენი ფიქრები — ჩვენი ულაგამო და უსადავო ცხენებიც იმათ მიჰყვებოდა. ჩვენთვის მთათუშეთის შემოდგომა აქ, თორღვას აბანოებთან გათავდა.

მას შემდეგ რამდენიმე თვე გავიდა. იქნებ რამდენიმე ათეული წელიწადიც გავიდეს, მაგრამ არაფერი დაგვაფიქსედება, რადგან ყოველმა ჩვენგანმა განიცადა დაუფიქსარი რამ; ერთ ჩვენგანს სიცოცხლეში ფეხით ერთბაშად რამდენიმე კილომეტრიც არ გაველო, — ისიც ქვაფენილზე, ცხენზეც არასოდეს მჯდარა, მაგრამ თუშეთმა, მისთვისვე მოულოდნელად, ცხენზე ჯდომაც ასწავლა და მთის გრძელ ბლიკებზე წვიმასა და სიცივეში ატარა, მთამ მისცა ამის რწმენა და მთამ შეაძლებინა ყოველივე.

მეორემ, სიცხიანმა, ომალოდან თორღვას აბანომდე ფეხით იარა, თანაც ცხენების მოვლა, ღამის თევის მოწყობა, საგზლით უზრუნველყოფა, ბარგის

პატრონობა მასვე ევალა. ყველაფერს პირნათლად აუვიდა, თავისი სიტყვებითაც არაფერს შეუწყულებია.

ერთი ჭანჭახოვანის ხეობაში კლდიდან ცხენიანად მდინარეში გადაიჩეხა, სიკვდილს სასწაულით გადაარჩა, ლოდზე დავარდნილმა ცხენი მდინარიდან ამოათრია, და ფერმკრთალი ღიმილით უსიტყვოდ განავრძო გზა;

მეორემ უცხო მეცხვარის საკმაოდ მძიმე ბარგი საკუთარი ზურგით ვესტბოდან დოჭომდე ატარა, თანაც ბერიკაცს მადლობა გადაუხადა, პატივი რომ დასდო და, თუნდაც მცირე, მაგრამ მაინც სიკეთე გააკეთებინა.

ყოველივე ეს და მრავალი სხვაც დაუფიქსარია. დაუფიქსარია არა იმიტომ, რომ ჩვენ რაღაც ღირსებები გავვაჩნდა, არამედ იმიტომ, რომ მთამ აღმოაჩინა და გააღვიძა ჩვენში ეს თვისებები, მთა გააყენებს ისეთ მდგომარეობაში, საიდანაც თითქოს გამოსავალი არ არსებობს, მაგრამ იძულებული ხარ გამოხვიდე, — გამოსავალსაც თითონვე გაპოვინებს.

მამ, იმ შენი ძალისა იყოს, მთათ, რომელმაც კაცს ძმობა, ერთგულება და სიყვარული ასწავლა, იმ მარჯვენისა, რომელმაც ხვავი და სიკეთე დააყენა, იმ ძალისაც, რომლითაც ჩვენი ათასჯერ გაუჰაცრიელებული ბარი კვლავ დაგისახლებია, იმ დიდი წვლილისა, რომელიც ჩვენ საერთო საქმეში შეგაქვს, იმ სიყვარულისა, რომელიც მტრობითა და ბოროტებით დანგრეულს აღადგენდა ხოლმე, იმ სანუკვარი მომავლისა, რომლისთვისაც ცხოვრობ, შრომობ და იღწვი, და იმ დიდი ვალისაც, რომელიც დაგვდე და რომლის გადახდასაც შენვე შეგვაძლებინებ.





ზვილკე მახარაძე

## ღენინი ცხოვრებაში

95 წლის წინათ დაიბადა ჩვენი დროის უდიდესი ადამიანი, აზრისა და მოქმედების გიგანტი...

დედამიწაზე არ არის არც ერთი კუთხე, სადაც არ კითხულობდნენ მის ნაწერებს, არ უყვარდეთ იგი — იქნება ეს მეთევზეთა სოფელი ჩრდილოეთის ფიორდების ნაპირებზე თუ ქოხები ტროპიკულ კუნძულ ბალიზე, ბრაზილიის საძოვრები თუ ასტურიის მალარობები, აღმასის მთები კორეაში თუ ბამბუკის ტყეები ვიეტნამში...

დედამიწის ხუთსავე კონტინენტზე მის შესახებ ლექსებს თხზავენ. ლეგენდებს ქმნიან, რომანებს წერენ. მისი სახელი ჯღერს ხალხურ თქმულებებში.

ამ უკვდავი ადამიანის სახელია

— ლენინი!

გლადიმერ მაიაკოვსკის ხატოვანი გამოთქმა რომ ვინმართ, ის ყველაზე მიწიერია იმათ შორის, ვისაც კი დედამიწაზე ფეხი დაუდგამს.

ვ. ი. ლენინი იყო უდიდესი ადამიანი, ამასთან გამოირჩეოდა დიდი გულისხმიერებით, უბრალოებით, ლმო-

ბიერებით. 1918 წელს მაქსიმ გორკინ სორმოვოს მუშას დიმიტრი პავლოვს ჰკითხა, როგორია შენი შეხედულებით ლენინის ყველაზე მკვეთრად გამოსახული თვისებაო. მან უპასუხა: „უბრალოება. უბრალოა, როგორც სიმართლე“.

დიდი სახელმწიფოებრივი საქმეებით გადატვირთული ლენინი საბჭოთა რესპუბლიკის არსებობის პირველ, უაღრესად მძიმე წლებშიც კი აუცილებლობად თვლიდა მუშებთან, გლეხებთან, წითელარმიელებთან სისტემატურად შეხვედრას, პოულობდა დროს მშრომელთა მიტინგებსა და კრებებზე გამოსასვლელად. იღებდა მუშებისა და გლეხების მრავალრიცხოვან დელეგაციებს, მთხოვნელთ ქვეყნის ყველა კუთხიდან.

ერთხელ „ბედნოტის“ რედაქციიდან ლენინს შიატყობინეს. მოსკოვში ჩამოვიდა გლეხი ი. ა. ჩეკუნოვი, რომელსაც სურს რჩევა მიიღოს „თვით ლენინისაგან“ და წამოაყენოს საკუთარი წინადადებები სოფლის მეურნეობის სრულ-

ყოფის შესახებო. ვლადიმერ ილიას ძემ მაშინვე გასცა განკარგულება, რომ მოეწვიათ ჩეკუნოვი. ლენინმა ინტერესით მოუსმინა ჩეკუნოვს და შემდეგ ჰკვიან გლენს დაუწყო გამოკითხვა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც მისი აზრით უნდა განხორციელებულიყო სოფლის მეურნეობის სრულყოფისათვის.

ყველა, ვინც ლენინს ხვდებოდა, აუცილებლად ამჩნევდა მის კიდევ ერთ ძვირფას თავისებურებას — ყურადღებას ადამიანებისადმი. ხასიათის ეს თავისებურება გამოვლინდა ჩეკუნოვთან შეხვედრის დროსაც. საუბრისას ლენინმა შენიშნა, რომ მოსაუბრე სათვალეს ხან ისწორებდა, ხან კი იხსნიდა და მწუხარედ ათვალიერებდა ჩარჩოს. ესეც არ გამოპარვია ლენინის გამკრიახ თვალებს. და აი, ჯანდაცვის მინისტრი იღებს წერილს:

„ჩემთან არის ამხ. ივანე ათანასეს ძე ჩეკუნოვი, მეტად საინტერესო მშრომელი გლენი, რომელიც თავისებურად ეწევა კომუნისმის საფუძვლების პროპაგანდას. მან დაკარგა სათვალე, სრულიად უფარგისში 15.000 მან. გადაიხადა... ძალიან ეთხოვთ დაეხმაროთ მას. სთხოვეთ თქვენს მდივანს, რომ შემატყობინოს, მოხერხდა რამე თუ არა“.

ამ პატარა წერილში ყველაფერი ლენინურია, ადამიანებისადმი ყურადღებაც, სახელისა და მამის სახელის გულდასმით მოყვანაც, მიმართვის სტილიც „...სთხოვეთ თქვენს მდივანს“, და შესრულების შემოწმებაც „...მოხერხდა რამე თუ არა“.

თუ რამდენად თავმდაბალი იყო ვ. ი. ლენინი, ამას ნათლად ადასტურებს პარტიის X ყრილობის დელეგატის ანკეტა. ანკეტის ერთ-ერთ კითხვას: „რა ენები იცით და როგორ?“ ლენინი საოცარი თავმდაბლობით უპასუხებს: „ინგლისური, გერმანული, ფრანგული ცუდად, იტალიური ძალზე ცუდად“.

სინამდვილეში კი ასე როდი იყო: ცნობილია, რომ 1911 წლის 20 ნოემბერს პარიზში, პერ ლაშეზის სასაფლაოზე, პოლ და ლაურა ლაფარგების

დაკრძალვაზე ლენინი რსდმპ სახელით გამოვიდა და სიტყვა ფრანგულ ენაზე წარმოთქვა, ხოლო კომუნისტურ ინტერნაციონალის IV კონგრესზე გერმანულ ენაზე წაიკითხა მოხსენება — „რუსეთის რევოლუციის ხუთი წელიწადი და მსოფლიო რევოლუციის პერსპექტივები“. უფრო ადრე, კომინტერნის II კონგრესზე, როგორც ე. სტასოვა იგონებს, ვლადიმერ ილიას ძე აკრიტიკებდა გერმანიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობას და იტალიელ სერატის ხაზს. სანამ საუბარი იყო გერმანიის კომუნისტურ პარტიაზე, ლაპარაკობდა გერმანულ ენაზე, ხოლო როდესაც ვადავიდა სერატის შეცდომების კრიტიკაზე, ლაპარაკი ფრანგულად დაიწყო. კრემლის სასახლის ანდრიას დარბაზი საესე იყო უცხოელებით და მაგონდება ის გაკვირვების გუგუნე, რომელიც დარბაზს აღმოხდაო. უცხოელებს არ შეეძლოთ წარმოედგინათ, რომ რუსი, რომელიც ამ წუთს ლაპარაკობდა გერმანულად, ასევე თავისუფლად საუბრობდა ფრანგულად.

ინგლისელი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ვილიამ ტ. ჰუდი 1919 წელს მოსკოვში ჩამოვიდა, როგორც ინგლისური გაზეთის „მანჩესტერ გარდიანის“ კორესპონდენტი და ინახულა ვ. ი. ლენინი. იგი იგონებს: „მეილე ლენინთან შეხვედრის ნებართვა. ავეყვი კიბეს, გავიარე თანამშრომელთა ოთახი, სხდომათა დარბაზი და აღმოვჩნდი ლენინის კაბინეტში — უბრალო სამუშაო ოთახში. აქ არავინ იყო. საწერ მაგიდაზე იდო გადაშლილი წიგნი: ანრი ბარბუსის „სიცხადე“, რომელსაც ლენინი კითხულობდა და არეებზე ფანქრით აკეთებდა შენიშვნებს. სანამ მას ვუცდიდი, წავიკითხე წიგნის პირველი თავი, რომელიც, ეტყობოდა, ლენინს უკვე დავითავრებინა. გაიღო კარი, სწრაფი ნაბიჯებით შემოვიდა ლენინი, მომესალმა, მაგრად ჩამომართვა ხელი. დავიწყე ლაპარაკი და უნებლიეთ მივმართე იმ წიგნის

ენას, რომელსაც ეს-ეს არის ვკითხულობდი, ფრანგულ ენას.

„თუ თქვენთვის სულ ერთია, მიჩვენია ინგლისურად მელაპარაკოთ“, — თქვა ლენინმა. ისე გავოცდი, რომ შეეძახე: „ღმერთო ჩემო, თქვენ ინგლისური ენაც იცით?!“ მან მიპასუხა: „თუ თქვენ ილაპარაკებთ. ნელა და ვარკვევით, არ დავეშვებ არც ერთ შეცდომას“. გაიმართა საუბარი მეტად მნიშვნელოვან საკითხებზე. კითხვებზე ამომწურავ პასუხებს ვიღებდი. ინგლისურად ვლაპარაკობდით და მართლაც, ლენინს ერთხელაც კი არ დაუშვია შეცდომა“.

ვ. ი. ლენინმა კარგად იცოდა არა მარტო ინგლისური, გერმანული, ფრანგული, არამედ იტალიური, პოლონური, შვედური, ლათინური და ბერძნულიც.

ვ. ი. ლენინი კომუნისტებს ასწავლიდა თავმდაბლობას, რომ მათ პირველადგილზე დაეყენებინათ პარტიისა და მუშათა კლასის ინტერესები. იგი თვითონ იყო თავმდაბლობის, პარტიისა და ხალხისადმი თავდადებული სამსახურის განსახიერება.

აი, ამის ერთი მკაფიო მაგალითი:

პარტიის IX ყრილობის მუშაობის დროს (1920 წლის აპრილი) დელეგატებმა შეიტანეს წინადადება ლენინის პატივსაცემად დაბადების 50 წლისთავის გამო მოეწყოთ ზეიმი. ლენინი ამ ამბავს უკმაყოფილოდ შეხვდა, ადგა და შეიტანა წინადადება: „ამხანაგებო, სჯობს ვიმღეროთ ინტერნაციონალი!“ ყრილობამ ერთხელადაც იმღერა „ინტერნაციონალი“, ხოლო შემდეგ მაინც მოისმინა მოხსენებები ბელადის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

ყრილობის ამ სხდომის თავმჯდომარე გ. პეტროვსკი ივანებს: ყრილობის დელეგატები ულოცავდნენ ვ. ი. ლენინს მისი დაბადების ორმოცდაათი წლისთავის მოახლოებას. ორი ორატორის გამოსვლის შემდეგ ვლადიმერ ილიას ძემ თქვა, რომ ეს სრულიად საკმარისია და წინადადება წამოაყენა,

ელაპარაკათ პარტიისა და საბჭოთა მშენებლობის საარსებო საკითხებზე, ყრილობის დელეგატები არ დაეშვებიან ამანე, მათ უნდოდათ გამოეთქვათ თავიანთი გრძობები, თავიანთი მხურვალე სიყვარული ვ. ი. ლენინისადმი. მაშინ ვლადიმერ ილიას ძე ადგა და წავიდა იმის მიუხედავად, რომ სთხოვდნენ დარჩენილიყო და თავისი კაბინეტიდან შეუდგა ყრილობის პრეზიდიუმის განუწყვეტელ „ბომბარდირებას“ წერილებითა და ტელეფონით, მოითხოვდა, ჩქარა დაემთავრებინათ გამოსვლები, ემსჯელათ პარტიისა და სახელმწიფოს საკიბრბოროტო საკითხებზე. ან კიდევ:

1918 წლის მარტში ფულის გაუფასურების გამო ვლადიმერ ილიას ძეს მასთან წინასწარ შეუთანხმებლად გაუდიდეს ხელფასი. ამის პასუხად მან სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველს ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩის მისწერა: „ვინაიდან თქვენ არ შეასრულებთ ჩემი დაუინებოთი მოთხოვნა — გეჩვენებინათ ჩემთვის, თუ რა საფუძველზე გამიდიდეთ ჯამაგირი 1918 წ. 1 მარტიდან თვეში 500-დან 800 მანეთამდე, და ვინაიდან ეს გადიდება, რაც თქვენ თვითნებურად მოახდინეთ საბჭოს მდივან ნიკოლოზ პეტრეს ძე გორბუნოვთან შეთანხმებით, აშკარად უკანონოა და სახალხო კომისართა საბჭოს 1917 წლის 23 ნოემბრის დეკრეტის (ლენინს მხედველობაში აქვს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება, რომელიც სახალხო კომისარების ჯამაგირის ზღვრულ ოდენობად აწესებდა თვეში 500 მანეთს და დამატებას 100 მანეთს ოჯახის თვითეული შრომისუნარსმოკლებული წევრისათვის — ფ. მ.) პირდაპირ დარღვევას წარმოადგენს, გიცხადებთ სასტიკ საყვედურს...“

ეს დოკუმენტი დაწერილია თითქოს კანცელარული ენით, მაგრამ იგი მის ავტორს უფრო კარგად ახასიათებს,

ფილიპე მახარაძე  
ლენინი ცხოვრებაში

ვიდრე რომელიც გნებავთ პოეტური პანეგირიკა, შექმნილი ყველაზე ამაღლებული სტილით.

ვ. ი. ლენინი ცხოვრობდა უბრალოდ. მისი პირადი ბინა გამოირჩეოდა უკიდურესი სისადავითა და უბრალოებით. საერთაშორისო მოძრაობის ცნობილი მოღვაწე კლარა ცეტკინი ივონებს: ხშირად მინახავს მუშების ბინები, რომლებიც უფრო მდიდრულად იყო მორთული, ვიდრე ლენინის ბინა.

როგორც ცნობილია, გლეხობა უგზავნიდა თავის ბელადს თეთრ ფეკილს, ცხიმს, კვერცხს, ხილულსა და ა. შ. ამ პროდუქტებს ლენინი სახლში არ იტოვებდა და დაუყოვნებლივ უგზავნიდა საავადმყოფოებსა და ბავშვთა თავშესაფრებს. ვლადიმერ ილიას ძე მტკიცედ იცავდა პრინციპს — ეცხოვრა იმავე პირობებში, როგორშიც სხვები ცხოვრობდნენ.

ერთხელ სახკომსაბჭოს თანამშრომლებს დაურიგდათ თითო ფუთი კარტოფილი. სიაში პირველი იყო ვ. ი. ლენინი და მისი გვარის გასწვრივ ეწერა: 2 ფუთი, შემდეგ ნ. კ. კრუპსკაიას — 1 ფუთი და ა. შ. ვლადიმერ ილიას ძემ — როგორც ივონებენ — 2 ფუთს ხაზი გადაუსვა, დაწერა 1 ფუთი, ნ. კრუპსკაია კი სიდიდან ამოშალა და განაცხადა: სახკომსაბჭო არ მუშაობსო.

იმ ხანებში კრემლში ოთახები ცუდად თბებოდა: ვლადიმერ ილიას ძის კაბინეტში ხშირად ციოდა. ფეხები რომ არ მოჰყინოდა, მაგიდის ქვეშ ქეჩა ეფინა. ერთხელ, თავის კაბინეტში რომ შევიდა, ნახა, რომ ქეჩის ნაცვლად დათვის ტყავი დაეგოთ. იგი სიბრაზით აენტო: ვინ მისცა ნება, ეს რატომ გააკეთეს? საერთო საცხოვრებლებში გათბობა არ არის, იქ მუშათა ოჯახები იყინებიან, სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ კი ფეხები ტყავით უნდა გაითბოს: რისთვის არის ასეთი ფუფუნება საჭირო!

ასე იქცეოდა დიდი ლენინი...

რა იყო ეს? ეს იმის ღრმა შეგნება იყო, რომ ახალი საზოგადოების ხელ-

მძღვანელს ხალხთან ერთად უნდა მუშაობდა. ნაწილებინა მისი სიხარულიც და მწვენი ხარებაც, მისი ლხენაცა და გავრცელება.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, როცა ვ. ი. ლენინი სათავეში ჩაუდგა საბჭოთა მთავრობას, იგი ისეთვე გულსხმიერი და უბრალო ადამიანი დარჩა. როგორც მისი ახლობლები ივონებენ, 1920 წელს ლენინს ისევ ის საგულდაგულოდ გაუმენდილი პიჯაკი ეცვა, 1907 წელს რომ ატარებდა.

დიდი ბელადი არასოდეს არ ივიწყებდა თავის ძველ მეგობრებს. 1920 წელს პეტროგრადში მიმდინარეობდა კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესი. კონგრესს საქართველოდან სხვებთან ერთად ესწრებოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე მიხეილ (მიხა) გრიგოლის ძე ცხაკაია, როგორც საქართველოს კომუნისტური პარტიის დელეგატი. ამხანაგ მიხა ცხაკაიას 1917 წლის აპრილის შემდეგ პირადად აღარ ენახა ვლადიმერ ილიას ძე და პირველად ამ კონგრესზე შეხვდა მას. ამადლევებელი იყო ეს შეხვედრა. ამ შეხვედრას ასე აღწერს გამოჩენილი რევოლუციონერი ს. თოდრია: „ჩვენ, საქართველოს წარმომადგენლები, ერთად ვისხედით დარბაზის შუა ადგილზე და დაჭიმული ყურადღებით ველოდით ლენინის გამოჩენას ტრიბუნაზე. ხალხით გაჭედილ სცენაზე ატყდა ტაშის ცემა, რომელსაც მოჰყვა მქუხარე ოვაცია მთელ დარბაზში. გამოჩნდა ლენინი, რომელიც ამ ტაშს ყურადღებასაც არ აქცევდა. მან სცენაზე წინ წამოიწია და დარბაზი დაათვალიერა. დარბაზის შუაგულში შეამჩნია ვილაცა და საჩქაროდ გამოეჭანა ღიმილით. მარა მოდის კი პირდაპირ ჩვენკენ! მოვიდა, გადაეხვია მიხას, — როგორ ხარ, როგორ, კარგად? როგორ არის საქმეები? იმ წუთშივე გაბრუნდა უკან. აიღდა ტრიბუნაზე და ანიშნა ხალხს, რომელიც ამ ხნის განმავლობაში ფეხზე

ამდგარი განუწყვეტლად ტაშს უკრავდა, — დაწყნარებულ იყვნენ“.

ლენინს ჰქონდა შესანიშნავი თვისება — მხარს უჭერდა და ამხნეებდა ადამიანებს მათთვის მძიმე წუთებში. 1920 წლის მაისში ცნობილ რუს მწერალს ა. ს. სერაფიმოვიჩს თავს დაატყდა დიდი უბედურება — მისი ვაჟი ფრონტზე დაიღუპა. როცა ვ. ი. ლენინმა ეს შეიტყო, ა. ს. სერაფიმოვიჩს შემდეგი წერილით მიმართა:

„ძვირფასო ამხანაგო!

ჩემმა დამ ეს არის გადმომცა, თუ რა საშინელი უბედურება დაგატყდათ თავს. ნება მიბოძეთ, მაგრად, მაგრად ჩამოგართვათ ხელი და გისურვოთ სიმხნევე და სულიერი სიმტკიცე. ძალიან ვწუხვარ, რომ ვერ მოვახერხებ განმეხორციელებინა ჩემი სურვილი — უფრო ხშირად შეგხვდეთ და უფრო ახლოს გავეცნოთ. მაგრამ თქვენმა ნაწარმოებებმა და ჩემი დის ნამამობმა ჩამინერგა ღრმა სიმათია თქვენდამი და ძალიან მინდა გითხრათ, თუ რაოდენ საჭიროა მუშებისა და ყველა ჩვენგანისათვის თქვენი მუშაობა და რაოდენ აუცილებელია ახლა თქვენთვის სიმტკიცე, რათა დაძლიოთ მძიმე განწყობილება და აძულოთ თავი, დაუბრუნდეთ მუშაობას. მპატიეთ, ნაჩქარევად რომ გწერთ. კიდევ ერთხელ მაგრად, მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ლენინი“.

ან კიდევ: 1918 წლის 1 ნოემბერს ვ. ი. ლენინმა გაუგზავნა ასეთი წერილი ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩს მისი მეუღლის — ჯანსაქომის კოლეგიის წევრის ვ. მ. ველიჩკინა-ბონჩ-ბრუევიჩის გარდაცვალების გამო.

„ძვირფასო ვლადიმერ დიმიტრის ძე! მხოლოდ დღეს დილით მაუწყეს საშინელი ამბავი. მე არ შემძლიან მოსკოვში გამოგზავრება (მაშინ ვ. ი. ლენინი ჯანმრთელობის სისუსტის გამო გორკაში იმყოფებოდა. — ფ. მ.), მაგრამ მსურს წერილში მაინც ჩამოგართვათ ხელი, მაგრად, ძალიან მაგრად, რათა გამოვთქვა ჩემი და ყველა ჩვენიანის სიყვარული ვერა მიხეილის ასუ-

ლისდამი და ცოტათი მაინც, რამდენადაც ეს ადამიანს შეუძლიან, მხარი მოგცეთ თქვენს უღრმეს მწუხარებაში. კარგად იზრუნეთ ქალიშვილის ჯანმრთელობაზე. კიდევ ერთხელ მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ვ. ი. ლენინი“.

გულისხმიერად და ყურადღებით ექცეოდა ლენინი ადამიანებს, დაუტბრომლად ზრუნავდა ამხანაგების ჯანმრთელობაზე. როგორც კი გაიგებდა, რომ ესა თუ ის ამხანაგი ცუდ პირობებში ცხოვრობდა ან რისამე ნაკლებობას განიცდიდა, აკეთებდა ყოველივე აუცილებელს, რათა ამხანაგს დახმარებოდა. როცა ვლადიმერ ილიას ძემ გაიგო, რომ ფ. ე. ძერჟინსკი მძიმე შრომისაგან დაავადმყოფდა, სისხლის ზველება დააწყებინა, დასვენება კი მაინც არ სურდა, მან წინადადება შეიტანა, ჩაწერილიყო ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში — ძერჟინსკი ორი კვირით გაიგზავნოს დასასვენებლად ნაროფომინსკში.

ვლადიმერ ილიას ძემ გაითვალისწინა ყოველგვარი წვრილმანი, ისიც კი, რომ დასასვენებელ ადგილზე არ იყო ტელეფონი. ეს ხელს შეუწყობდა დასვენებას, რადგან ძერჟინსკი ვერ დაიწყებდა რეკვას მოსკოვში. შეებულებიდან დაბრუნების შემდეგ, როცა ფ. ე. ძერჟინსკი სახკომსაბჭოს მორიგ სხდომას დაესწრო, ლენინმა მას შემდეგი ბარათი გადასცა: „მეტად მოხარული ვარ, რომ გხვდავთ თქვენს ჩვეულებრივ ადგილზე“. როცა ამხ. ციურუბას ძლიერი გადაღლილობის გამო გულის შეტევები დაეწყო, ვ. ი. ლენინმა მას მისწერა: „სახელმწიფო ქონებისადმი გაუფრთხილებლობის გამო (შ შეტევა) ა. დ. ციურუბას გამოეცხადოს I ვაფრთხილება და მიეცეს წინადადება, დაუყოვნებლივ გაემგზავროს სახლში... ლენინი“. ხოლო მეორე დღეს სახკომსაბჭოს სხდომაზე მყოფ ციურუბას ვ. ი. ლენინმა მისწერა:

ფილიპე მახარაძე  
ლენინი ცხოვრებაში



„ამხ. ციურუპა! გამომეტყველება ავადმყოფური გაქვთ. ნუ დაკარგავთ ღროს, წადით, ორ თვეს დაისვენეთ. თუ გადაწყვეტით პირობას არ მომცემთ, გინივლებთ ცენტრალურ კომიტეტში. ლენინი“.

აი კიდევ სტრიქონები ლენინის წერილიდან, რომელიც აღსავსეა ალექსი მაქსიმეს ძე გორკის ჯანმრთელობისადმი ზრუნვით „...თქვენ სისხლს გახველებთ და მინც არ მიდინხართ!!! ეს... უსინდისობაა... უსინდისობაა და არარაციონალურობაც.“

ვეროპაში, კარგ სანატორიუმში იმკურნალებდით. კიდევაც და სამჯერ მეტ საქმესაც გააკეთებდით... გაემგზავრეთ, განიკურნეთ, ნუ ჯიუტობთ, გათხოვთ. თქვენი ლენინი“.

ჩვეულებრივად ვლადიმერ ილიას ძე მეტად თავაზიანი და გულღია იყო ყველას მიმართ და ძლიერ უბრალო ადამიანებთან ურთიერთობაში. იგი არასოდეს ივიწყებდა მადლობის თქმას სამსახურის გაწვევისათვის, თუნდაც იგი უმნიშვნელო ყოფილიყო. დასლაგებელი ქალი, მის კაბინეტში ლუმელს რომ ახურებდა, დიდი მღელვარებით ყვებოდა, თუ როგორ ალერსიანად და გულღიად ელაპარაკებოდა მას ლენინი, როცა იგი კაბინეტში შემოუსწრებდა. ყოველ პიროვნებაში ადამიანურობის ღრმა პატივისცემის ეს უნარი განსაკუთრებით ახასიათებდა ვლადიმერ ილიას ძეს. იგი საბჭოთა ადამიანისა და კომუნისტებისათვის შეუფერებლად, საზიზღრობად თვლიდა უხეშად მოპყრობას იმათ მიმართ, ვინც მდგომარეობით უფრო დაბლა იდგა და პასუხის გაცემას ვერ გაუბედავდა.

ვლადიმერ ილიას ძე მოვალეობის გრძნობას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა, ზუსტად რომ ვთქვათ, უნდა დაეამატათ — რევოლუციური მოვალეობის. ადამიანებისადმი მომთხოვნის, იგი, უწინარეს ყოვლისა, საკუთარი თავისადმი იყო მომთხოვნის. მოითხოვდა რა პარტიის წევრებისაგან ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა განუხრებლად შესრულებას, იგი უწინარეს ყოვლისა, თვით ასრულებდით.

ბათა განუხრებლად შესრულებას, იგი უწინარეს ყოვლისა, თვით ასრულებდით.

ასე იყო ეს როგორც დიდ საქმეში, ისე პატარაში. ამაზე რომ ვლაპარაკობთ, გვერდს ვერ ავუხვევთ ერთ დამახასიათებელ შემთხვევას. დერფანში, რომლითაც ვლადიმერ ილიას ძის ოთახში შეიძლება შესვლა, კრემლის კომენდატმა შექმნა პოსტი. მორიგეობდნენ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სკოლის კურსანტები. იმ დღეს, რომლის შესახებაც ვყვებით, პოსტზე იდგა ახალგაზრდა კურსანტი, რომელიც პირადად არ იცნობდა ლენინს. მან გადაუღობა გზა ლენინს და მკაცრად მოითხოვა საშვი.

— აგერ, ეს ხომ ჩემი ოთახის კარია, — უთხრა გაკვირვებულმა ვლადიმერ ილიას ძემ და ხელით უჩვენა.

— არ მაქვს უფლება, ვიცოდე. მე ნაბრძანები მაქვს, უსაშვოდ არავინ გავეშვა.

ვლადიმერ ილიას ძე არ შეეკამათა მას, წავიდა კომენდატურაში, აიღო ერთდროული საშვი და მისი მეშვეობით შევიდა ოთახში.

პოსტი რომ ჩააბარა, კურსანტმა კომენდატურის მორიგეს უპატაკა იმ კაცის შესახებ, რომელიც უსაშვოდ ცდილობდა ლენინის ოთახში შესვლას...

მეთაურმა მას მთელი დავიდარაბა აუტეხა:

— თქვენ იცით, ვინ არ გაატარეთ? ეს ხომ თვით ლენინი იყო.

ყმაწვილმა თავში იტაცა ხელი და ვლადიმერ ილიას ძესთან გაიქცა ბოდიშის მოსახდელად.

— არა, ბოდიშის მოხდა არ არის საჭირო, — უთხრა მას ლენინმა, — ვალდებული ხართ ყოველგვარ შემთხვევაში დაიცვათ კანონი და საგუშაგო სამსახურის წესდების მოთხოვნები. როგორ შემიძლია მე, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ, დავარღვიო კანონი? თქვენ მართალი იყავით, მე კი — არა.

ლენინი ამბობდა, ყოველგვარ საზე-

ვანაკვეთო სამუშაოში ყველამ უნდა მივიღოთ მონაწილეობაო. ამბობდა და თვით გვიჩვენებდა მაგალითს. კრემლში შაბათობას რომ აწყობდნენ, ვლადიმერ ილიას ძე აქაც პირველი იყო. მას სხვებთან ერთად გადაჰქონდა მორები, ურიკით — ნავავი. ერთხელ, როცა ლენინმა ურიკა დასცალა არა იქ, სადაც საჭირო იყო, კურსანტმა უთხრა:

— ამხანაგო ლენინ! ურიკა განკუთვნილ ადგილზე რომ არ დაცალეთ?

ლენინმა მოიბოდნა:

— მომიტევეთ, გეთაყვა, ამხანაგო, — კვლავ აავსო ურიკა ნაგვით და სხვა ადგილას წაიღო.

ვლადიმერ ილიას ძის თავმდაბლობა ნაძალადევი, ხელოვნური კი არ იყო, არამედ ბუნებრივი, გულიდან მომდინარე. 1921 წელს კრემლში, — იგონებს ვ. ი. ლენინის პირადი მძღოლი ს. კ. ვილი, — მე გავხდი შემდეგი ეპიზოდის მოწმე. ამბავი მოხდა კრემლის სადალაქოში. რამოდენიმე კაცი რიგში იდგა. მოულოდნელად ლენინი შემოვიდა, იკითხა, ვინ არის ბოლოო და მოკრძალებით სკამზე ჩამოჯდა. მან ჯიბიდან ეურნალი ამოიღო და ღრმად ჩაეფლო კითხვაში. სავარძელი განთავისუფლდა და ილიას ძეს შესთავაზეს, ურიგოდ დაეკავებინა ადგილი.

— არა, არა, ამხანაგებო. გმადლობთ, — თქვა ვლადიმერ ილიას ძემ, — ჩვენ რიგი უნდა დავიცვათ. ეს წესი ხომ ჩვენ თვითონ დავადგინეთ. მე მოვიციდი.

ლენინის ცხოვრებაზე როცა ვლაპარაკობთ, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ მისი ბიოგრაფიის ტრაგიკულ ფურცელს. გარდაცვალებამდე ცოტა ხნის წინ, მან, თითქმის უმოძრაოდ მყოფმა, უკეთ იგრძნო თავი. ძლიერი ორგანიზმი სუსტდებოდა, მაგრამ მძლავრი ტვინი ეწინააღმდეგებოდა მის შემბოროტავ სკლეროზს, ინარჩუნებდა მეხსიერებას, აზრის სიცხადეს.

ახალი წელი ახლოვდებოდა. გორკავში, სახლში სადაც ავადმყოფობის გამო საქმეებისაგან მოწყვეტილი ლენინი ცხოვრობდა, იმართებოდა ნაძვის ხე, ახლო-

მასლო მყოფ გლებთა ბავშვებისათვის. შინაურები და მეგობრები ურჩევდნენ ეს არ გაეკეთებინა. ექიმები აფრთხილებდნენ, რომ კვლავ გაურთულდება ავადმყოფობა, მაგრამ ლენინი შეუპოვარი იყო.

სახლში შემოიტანეს ნაძვის ხე, რომელმაც ოთახი აავსო ფისის მაცოცხლებელი სუნით. ბრწყინავდა ტოტებზე შერჩენილი თოვლი. პატარა სტუმრები დათქმულ დროზე მოვიდნენ. ბავშვები, რომლებმაც შესასვლელში ქულებთან, ქულაჯებთან და ქაკეტებთან ერთად მორცხვობაც დატოვეს, ოთახში შეიჭრნენ და იგი მხიარული ხმაურით აავსეს.

ამ დროს იმ ოთახში, სადაც ვლადიმერ ილიას ძე იმყოფებოდა, მიმდინარეობდა უკანასკნელი „შერკინება“ მასსა და ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს, მარიამ ილიას ასულს. ამ სადამოზე ჩამოსულ რამდენიმე მეგობარსა და სამედიცინო ვახტზე მყოფ ექიმებს შორის; ყველანი სთხოვდნენ ავადმყოფს, რომ დარბაზში მანც არ გასულიყო, ვინაიდან ხმაური, მოძრაობა, მღელვარება — ყოველივე ეს სასტიკად ჰქონდა აკრძალული. მაგრამ ვლადიმერ ილიას ძემ მანც თავისი გაიტანა. ლენინმა აიძულა თავისიანები, რომ იგი დარბაზში გაეყვანათ.

მას მაშინვე გარს შემოეხვივნენ ბავშვები. როცა ცოლმა და დამ სცადეს მისი გამოყვანა ამ გარემოციდან. ლენინი ძლიერ გაჯავრდა. მათ, ვინც იგი ამ ღამეს ნახეს, სამუდამოდ დაამახსოვრდათ ამ უკვე სასიკვდილოდ განწირული ადამიანის თვალების ბედნიერი ციმციმი. სნეულებისაგან მოტყეილი, თავის ტკივილით გაწამებული ლენინი ბავშვებთან ყოფნით აშკარად კმაყოფილი იყო.

უბრალოებასა და გულკეთილობასთან ერთად ლენინს ახასიათებდა სისასტიკეც სპეკულანტების, მექრთამეებისა და კარიერისტების მიმართ, შეურიგებ-

ფილიბე მახარაძე  
ლენინი ცხოვრებაში



ლობა პარტიისა და ხალხის მტრების მიმართ, გადაჭრით შეწყვეტდა ხოლმე ყოველგვარ ურთიერთობას ყველაზე ახლობელ ამხანაგთანაც კი, როცა იგი მცდარ გზაზე დადგებოდა და არ სურდა მისგან გადახვევა.

ორი საუკუნის მიჯნაზე გამოჩნდა ისტორიულ ასპარეზზე ვლადიმერ ილიას ძე ლენინის გიგანტური ფიგურა და უკვე მის თანამედროვეთა სიცოცხლეში დედამიწის ვეებერთელა ტერიტორიაზე გაიმარჯვა ახალმა, სოციალისტურმა ეპოქამ, მაღლა ფრიალებს მარქსიზმ-ლენინიზმის დროშა, რომელიც აღმართა პარტიამ და რომელსაც მიყვება მთელი ხალხი.

ლენინი — პარტია—ხალხი... არ არის სიტყვები უფრო მახლობელი და მშობლიური, ვიდრე ეს სამი სიტყვაა.

ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის, ლენინის ცხოვრება და მოღვაწე-

ობა არის პარტიისა და ხალხისადმი უსაზღვრო თავდადებისა და ენთუზიასტების მაგალითი. ჩვენი ვალის, უმწველვით ლენინისაგან თავმდაბლობა და უბრალოება, პირდაპირობა და პრინციპულობა. ბრძოლა გამოვეუცხადოთ ყოყოჩობას, კარიერიზმს, მლიქვნელობასა და სხვა სიმახინჯეს, რომლებიც შეუფერებელია კომუნიზმის მშენებელი ადამიანისათვის.

ლენინი ჩვენი დროშაა. მისი კეთილშობილური თვისებები — მისაბაძი მაგალითია. ლენინი მუდამ ჩვენთანაა. შესანიშნავად თქვა ჩვენი ეპოქის დიდმა პოეტმა ვლადიმერ მაიაკოვსკიმ:

... ლენინი —  
ცოცხლობდა.  
ლენინი —  
ცოცხლობს.  
ლენინი —  
იცოცხლებს მარად.



## პარტიული განმარტობა

### ლენინი და ახალგაზრდობა

ახალგაზრდობის დიდი მეგობარი და მისწავლებელი ვლადიმერ ილიას ძე ლენინი ახალგაზრდობაში ხედავდა რევოლუციის იმედს, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ვადამწვეტ ძალას და სასოებით შეჰყურებდა მას. ვლადიმერ ილიას ძე ჯერ კიდევ რევოლუციამდე გადაკრით გამოხდა პოლიტიკასთან ახალგაზრდობის დაშორებას და მოითხოვდა მის მჭიდრო თანამშრომლობას რევოლუციურ მუშათა კლასთან. პარტიის მეორე ყრილობისათვის შედგენილ რეზოლუციის პროექტში („მოსწავლე ახალგაზრდობისადმი დამოკიდებულების შესახებ“) ვ. ი. ლენინი წერდა: „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეორე ყრილობა მიესალმება მოსწავლე ახალგაზრდობაში რევოლუციური თვითმოქმედების გამოცოცხლებას. წინადადებას აძლევს პარტიის ყველა ორგანიზაციას — ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს ამ ახალგაზრდობას...“ (ვ. ი. ლენინი ახალგაზრდობის შესახებ, 1939, გვ. 44). პასუხობდა რა ამ რეზოლუციის წინააღმდეგ გამოსულ მარტოვს, პროლეტარიატის დიდი ბელადი ამბობდა: „სწორედ ეს ცრუ მეგობრები მიდიან ახალგაზრდობასთან და არწმუნებენ, რომ მისთვის საჭირო არ არის სხვადასხვა მიმდინარეობაში გარკვევა. ჩვენ კი მიზნად ვისახავთ მთლიანი მსოფლმშენებლობის გამომუშავებას, შემდგომი პრაქტიკული ამოცანა კი იმაში მდგომარეობს, რომ ახალგაზრდობამ დარაზმვის დროს ჩვენს კომიტეტებს მიმართოს ხოლმე“ (იქვე, გვ. 45-46). ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ლენინი კიდევ უფრო დაუახლოვდა ახალგაზრდობას. 1918 წლის 16 აგვისტოს პარტიის მოსკოვის კომიტეტის სხდომაზე წარმოთქმულ

სიტყვაში ვლადიმერ ილიას ძე მიუთითებდა პარტიაში ახალგაზრდობის რაც შეიძლება მეტი როლდენობით მიზიდვის აუცილებლობაზე. „ძველების ადგილზე უნდა მივიზიდოთ ახალი ძალები — ახალგაზრდობა“ — (იქვე, გვ. 160). ლენინი აღფრთოვანებული იყო რევოლუციური ახალგაზრდობის ენთუზიაზმითა და მიღწევებით, ახარებდა მათი აქტიური მონაწილეობა ახალი საზოგადოების მშენებლობაში. „მუშათა ახალი ძალები, — ამბობდა ის, — სწრაფად იზრდებიან იმ მუშა და გლეხი ახალგაზრდობის სახით, რომელიც ყველაზე უფრო გულწრფელად, მზურვალედ, თავგამოდებით სწავლობს, ითვისებს ახალი წყობილებისაგან მიღებულ შთაბეჭდილებებს, ამსხვრევს ძველ, კაპიტალისტურ და ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ცრურწმენათა ნაჭუქს, სჭედავს თავისაგან კიდევ უფრო მტკიცე კომუნისტებს, ვიდრე მათი ძველი თაობა“ (იქვე, გვ. 162—163).

1919 წლის 7 ნოემბერს წარმოთქმულ სიტყვაში ვ. ი. ლენინი კვლავ აღტაცებით ლაპარაკობს ახალგაზრდობაზე, როგორც სახელმწიფო მშენებლობის დიდ ძალაზე, პარტიის უშერტ რეზერვსა და წყაროზე. მას ღრმად სწამდა, რომ „სწორედ ახალგაზრდობამ უნდა გადაკრას კომუნისტური საზოგადოების შექმნის ნამდვილი ამოცანა“. ამისათვის კი საჭიროა ახალგაზრდობას ვასწავლოთ და კიდევ ვასწავლოთ.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინი ახალგაზრდობის აღზრდისა და სწავლა-განათლებას საქმევს თავისი რევოლუციური მოღვაწეობის პირველი დღეებიდანვე აქტიურად ემზადებოდა და მრავალ ნაშრომს, სტატიას, მოხსენებას უძღვნოდა მას. იმპერიალიზმისა და პროლეტარული

რევოლუციების ეპოქაში ვ. ი. ლენინი შემოქმედებითად ანეითარებდა მარქსისა და ენგელსის მოძღვრებას მოზარდი თაობის გონებრივი, ზნეობრივი, პოლიტიკური, ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის შესახებ. კომუნისტური აღზრდის პრობლემებს ვლადიმერ ილიას ძე მჭიდროდ უკავშირებდა ჩველს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საქმეს, მიაჩნდა იგი მის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად. ვ. ი. ლენინის პედაგოგიური იდეების ისტორია ძველი, ბურჟუაზიული სკოლის მკაცრი კრიტიკით იწყება, კერძოდ, იმის გამოაშკარავებით, რომ ბურჟუაზიული წყობის პირობებში შეუძლებელია განათლების თავისუფლება. პროლეტარიატის დიდმა ბელადმა ამხილა ბურჟუაზიული სკოლის კლასობრივი და რეაქციული აზრი, რომელიც მხოლოდ გაბატონებულ, შეძლებულ კლასს ემსახურება და ბურჟუაზიული სისტემის ერთგულ დამცველთა აღზრდას ისახავს მიზნად. ის მკაცრ ლახვარს სცემდა ბურჟუაზიის აპოლოგეტთა მტკიცებას, რომ თითქმის კაპიტალიზმის პირობებში სკოლა ჩამოცილებულია პოლიტიკას და ის საერთოდ ზრდის ადამიანს ზოგადკაცობრიული იდეებით. ასეთ მტკიცებას ლენინი ფარისევლობა და თვალთმაქცობას უწოდებდა. „ბურჟუაზია, — წერდა ვლადიმერ ილიას ძე, — რომელიც ასეთ დებულებას აყენებს, თვითონ სასჯელი საქმეს ქაჯუთხედად უდებდა თავის ბურჟუაზიულ პოლიტიკას და ცდილობდა იქამდე დაეყვანა თავისი სასჯელი საქმე, რომ ბურჟუაზიისათვის გაეწაფა მორჩილი და მარჯვე ხელშემწყობნი, ცდილობდა საყოველთაო სწავლებაც კი თავიდან ბოლომდე დაეყვანა იქამდე, რომ ბურჟუაზიისათვის გაეწაფა მორჩილი და მარჯვე მსახურნი, კაპიტალის ნების შემსრულებლები და მონები და არასოდეს არ ზრუნავდა იმისათვის, რომ სკოლა ადამიანის პიროვნების აღზრდის იარაღად ექცია.“ (თხზ. ტ. 28, გვ. 512). ვ. ი. ლენინი მკაცრად ილაშქრებდა აგრეთვე სხვადასხვა გეგმებისა და პროექტების წინააღმდეგ, რომლებშიც მოცემული იყო ბურჟუაზიული სკოლის საყოველთაო ხასიათის შეღამაზების ცდა.

ჯერ კიდევ 25 წლის ახალგაზრდამ ვაზეთ „რაბოჩე დელო“-სათვის დაწერა წერილი „გიმნაზიის მეურნეობანი და გამასწორებელი გიმნაზიები“, სადაც კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ხალხოსანი იუცაკოვის მიერ შედგენილი „საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების გეგმა“ ამ გეგმის მიხედვით უნდა შექმნილიყო გიმნაზია — თემბი (იგივე „გიმნაზია — ფერმა“, „გიმნაზია — მეურნეობა“), სადაც ისწავლება ყველა ახალგაზრდა. ამავე დროს აქ საჭიროა სწავლის ქირა, რომლის გადახდის მიზნით ხელმოკლე მოსწავლეებს შეუძლიათ იმუშაონ გიმნაზიასთან შექმნილ მეურნეობაში, ხოლო შეძლებულნი ოჯახის მეურნეობაში შრომაში არ მონაწილე-

ობენ. ასეთი დაყოფა მშრომელ და არამშრომელ ჯგუფებად, ვ. ი. ლენინს წარმოუდგენებლად მიაჩნდა, რადგან ასეთ შემთხვევებში იქნება თანაბარი პირობები ყველასათვის და ასეთი „გიმნაზია — მეურნეობა“ არააუ ხელს არ უწყობს თანასწორობასა და ერთიანობას, პირიქით, თინჯი და ანტაგონისტურად განწყობს ერთმანეთისადმი ახალგაზრდებს.

ვ. ი. ლენინი იუცაკოვის ამავე გეგმას ეხება აგრეთვე სტატიაში „ნაროდნიკულ პროექტორების მარგალიტები“, სადაც აუცილებლად მიაჩნია მთელი ახალგაზრდობის ჩაბმა შრომაში. „საყოველთაო ნაყოფიერი შრომა საყოველთაო სწავლებას რომ შეუეწიროთ, ამისათვის, ცხადია, აუცილებლად საჭიროა ყველას დაეცისროს მოვალეობა, მონაწილეობა მიიღოს ნაყოფიერი შრომაში“ (ვ. ი. ლენინი, ახალგაზრდობის შესახებ, თბილისი, 1956, გვ. 37) და არა ახალგაზრდობის ერთ ნაწილს, როგორც ამას იუცაკოვი ჭადავებდა.

ამავე სტატიაში ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ახალგაზრდობას, მართალია, აქვს იურიდიული უფლება მიიღოს სწავლა-განათლება, მაგრამ უსახლობის გამო ამ უფლების ვერ იყენებს. მოსახლეობის უმრავლესობას არ შეუძლია ასწავლის თავის ბავშვებს და იძულებულია მცირე ასაკიდანვე ჩაბან ბავშვები მძიმე, კატორღულ შრომაში. ვ. ი. ლენინის შეფასებით ამაში დამანაშვეა გვირის პოლიტიკა, — ამიტომ — ლენინის სავსებით სწორი შეფასებით — ქვმარიტი განათლებისათვის ბრძოლა მჭიდროდ უკავშირდება ხელისუფლებისათვის ბრძოლას.

ეხებოდა რა კაპიტალისტური რუსეთის სკოლებში სწავლა-აღზრდის შინაარსს, ვ. ი. ლენინი ხაზს უსვამდა სკოლის დამოკიდებულებას ეკლესიასთან და იბრძოდა სკოლის სინონიმისა და დამოუკიდებლობისათვის. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეორე ყრილობის მიერ მიღებულ პროგრამაში, რომელიც ვ. ი. ლენინმა შეადგინა, წამოყენებული იყო მოთხოვნები: მოსახლეობას მიეცეს განათლების მიღების უფლება მშობლიურ ენაზე, სკოლა ჩამოცილდეს ეკლესიას, სწავლებას ჰქონდეს საყოველთაო ხასიათი ორივე სქესის ბავშვებისათვის, 16 წლამდე აიკრძალოს მოზარდთა შრომა, ხოლო 16-18 წლის ახალგაზრდების შრომის ხანგრძლივობა განისაზღვროს 6 საათით. ამავე პროგრამაში ნათქვამია აგრეთვე საბავშვო ბაღებისა და ბავშვების ფართო ქსელის შექმნის შესახებ.

1912 წელს ქ. პეტერბურგში მარქსისტული წრის ჩამოყალიბებისათვის დააპატიმრეს ვიტმერის გიმნაზიის 32 მოსწავლე. ბურჟუაზიულმა პარტიებმა და IV სახელმწიფოს სათათბიროს წევრთა უმრავლესობამ მოიწონა პოლიციის მოქმედება და დაგმო მოსწავლეთა მონაწილეობა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ვ. ი. ლენინმა სტატიაში „მოზარდი შეუსაბა-

მოზა“ ცხადყო ასეთი მტკიცების სიყალბე და უსაფუძვლოა. ის მიუთითებდა, რომ ახალგაზრდობა აქტიურად უნდა მონაწილეობდეს პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში და რომ ახალგაზრდობის აღზრდა პოლიტიკის გარეშე არის გაუფერობა და ობსკურანტიზმი. თვითმპყრობელობის ანტიხალხური საგანმანათლებლო პოლიტიკა ვ. ი. ლენინმა ამხილა აგრეთვე სტალინი „სახალხო განათლების სამინისტროს პოლიტიკის საკითხისათვის“, რომელიც წარმოთქვა სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკმა დეპუტატმა ბადაევმა 1913 წ. 4 (17) ივლისს.

ვ. ი. ლენინი წერდა, რომ რუსეთში ერთ სულ მოსალეზე (1913 წლის მონაცემებით) განათლების ხარჯი შეადგენს 80 კაპიკს, ხოლო ბავშვთა და მოზარდთა თითქმის  $\frac{1}{6}$  არ სწავლობს. ის უარყოფდა მეფის მონეღეთა აზრს, რომელიც ამ მდგომარეობას ქვეყნის სიღარიბით ხსნიდნენ. ვ. ი. ლენინი წერდა: „რუსეთი ღარიბია, რომ განამარჯვლო აქლიოს სახალხო განათლების პატიოსან მუშაეებს, მაგრამ რუსეთი შეგად მიდიარია, რომ მილიონები და ათეული მილიონები ფანტოს მუქთახორა თავდაზნაურობაზე, სამხედრო ავანტიურებაზე, შაქრის მექარხნებისა და ნავთობის მეფეების მოწყალეობაზე“ (ვ. ი. ლენინი. თხზ. ტ. 20, გვ. 151—152) და ასევე, რომ ახალგაზრდობის განათლებისათვის სახსრების გაღების თვალსაზრისით რუსეთი მანამ დარჩება ღატაკ ქვეყნად, სანამ ხალხი არ გაცნობიერდება და არ მოიზორებს მემამულე-კაბიტალებითა უიღოს.

ვ. ი. ლენინის წინასწარმეტყველება გამართლდა. ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეს რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამდე საშველი არ დადავა. პირველი მსოფლიო ომის დროს კიდევ უფრო გაუარესდა სახალხო განათლების მდგომარეობა, კიდევ უფრო უუფლებო გახდა სახალხო მასწავლებელი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღიდანვე ბოლშევიკურ პარტიას, საბჭოთა სახელმწიფოსა და პირადად ლენინს არ შეუჩინებლათ ყურადღება ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკეთებით აღზრდისადმი. ვ. ი. ლენინის ხელმოწერით გამოვიდა რამდენიმე დიკრეტი სახალხო განათლების შესახებ (სკოლის ეკლესიიდან ჩამოცილების შესახებ, მუშათა და გლეხთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოებისათვის სახალხო განათლების საქმის განაცემის შესახებ, წერა-კითხვის უკოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ და სხვ.), რომელსაც ახალი საბჭოთა სკოლის მშენებლობისა და ჩვენი ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ლენინური იდეების საფუძველზე საბჭოთა სკოლა გიგანტური ნაბიჯებით წავიდა წინ და მიიღწია არნახულ წარმატებებს.

ახალგაზრდობას ვ. ი. ლენინი უმნიშვნელოვანეს ამოცანად უსახავდა მეცნიერებათა საფუძვლების შესწავლას, იმის დაუფლებად, რამაც კაცობრიობას შეუქმნია. მაგრამ მას უმნიშვნელოვანეს ამოცანად უსახავდა მეცნიერებათა საფუძვლების შესწავლა საჭიროა არა მხოლოდ კომუნისტური სახელმძღვანელოებითა და ბროშურებით, კომუნისტური ლოზუნგების დახვეპირებით, არამედ თვით ცოცხალი ცხოვრების ღრმა შესწავლითაც. „ჩვენთვის ზეპირობა საჭირო არ არის, მაგრამ ჩვენთვის საჭიროა, რომ ყოველი მოსწავლის მეხსიერება განვითარდეს და უფრო სრულყოფილი გახდეს ძირითადი ფაქტების ცოდნით, ვინაიდან კომუნინში უმნიშვნელოვანესად გადაიქცევა, ცარიელ ახრად გადაიქცევა. კომუნისტი მხოლოდ უბრალო მკვებარა იქნება, თუ მის შეგნებაში არ გადაშუშავდა მთელი მიღებულ ცოდნა. თქვენ არა მარტო უნდა შეითვისოთ ის, არამედ ისე უნდა შეითვისოთ, რომ კრიტიკულად მიუდგეთ, კი არ დატვიროთ თქვენი გონება იმ ხარახურით, რომელიც საჭირო არ არის, არამედ გაამიდროთ ის ყველა ფაქტის ცოდნით. ურამდენიმეც შეუძლებელია იყოს თანამედროვე განვითარებული ადამიანი“, — მიმართავდა ვლადიმერ ილიას ძე ახალგაზრდობას კომკავშირის მესამე ყრილობის ტრიბუნიდან 1920 წელს. მოსწავლე ახალგაზრდობამ თავისი სწავლება მჭიდროდ უნდა დაუკავშიროს მჭიდვარ ცხოვრებას, რადგან მხოლოდ მუშებთან და გლეხებთან ახლო თანამშრომლობაში შეიძლება ახალი, კომუნისტური მშენებელი თაობის აღზრდა. ვ. ი. ლენინი ამავე დროს ურჩევდა ახალგაზრდობას, ხელნაღები უარი არ ეთქვა ძველი სკოლის ზოგიერთ გამოცდილებაზე და აეღო მისგან ყველაფერი კარგი და უარყოფიერის და დრომოჭმული.

სწავლების პროცესის სწორად წარმართვაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლენინური ასახვის თეორიას, რომელიც საბჭოთა დიდაქტიკის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს. „ცოცხალი განვითარება აბსტრაქტული აზროვნებისაგან და მისგან პრაქტიკისაგან — ასეთია ჭეშმარიტების შემეცნების, ობიექტური რეალობის შემეცნების დიალექტიკური გზა“. ეს ლენინური თეორია დიდ დახმარებას უწევს საბჭოთა სკოლის მასწავლებელს ყოველდღიურ მუშაობაში, მეცნიერებათა საფუძვლების ცოდნით მოსწავლეთა შეიარაღებაში.

საბჭოთა სკოლამ და ახალგაზრდობამ ლენინური იდეების საფუძველზე განსაცვიფრებელ შედეგებს მიიღწია. საბჭოთა მეცნიერებამ, რომელთა რიგებს ძირითადად საბჭოთა ხელისუფლების მიერ აღზრდილი ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაეები ავსებენ, მსოფლიოში ყველა ქვეყნის

ვლადიმერ გავუა  
ლენინი და ახალგაზრდობა

მეცნიერებას გაასწრო. მსოფლიოს ყველა პროგრესულ ადამიანს ახარებს და აოცებს საბჭოთა ფიზიკოსების, ქიმიკოსების, ბიოლოგების, ასტრონომებისა და სხვა დარგის მეცნიერთა მიღწევები კოსმოსის კვლევისა და ცოდნის სხვა სფეროებში.

ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდა ახალგაზრდობაში კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, მიიჩნდა იგი ადამიანის ყოველმხრივ განვითარების ერთ-ერთ ძირითად რგოლად. ვლადიმერ ილიას ძის მოთხოვნით ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა ზოგადი ცოდნა ახალგაზრდას ჯერ კიდევ საშუალო სკოლაში უნდა მიეცეს. მარიალია, სკოლაში დილაქტიკური მატერიალიზმი არ ისწავლება, მაგრამ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დისციპლინების კურსი უნდა ეყრდნობოდეს დილაქტიკური მატერიალიზმის მეთოდოლოგიას და ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ მოსწავლე ახალგაზრდობას აძლევდეს მწყობრ, თანმიმდევრულ ცოდნას ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების სფეროებში, აიარაღებდეს მას სწორი მხედველობებისა და წარმოდგენების სისტემით.

ვ. ი. ლენინი თავის გენიალურ შრომებში განიხილავს კომუნისტური იდეურობის ფორმირებაში საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ დისციპლინების სწავლების მნიშვნელობას, აჩვენებს კონკრეტულ გზებსა და საშუალებებს. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის ნაშრომებს: „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“. წერტილები ლეიტმოტივს და ა. ი. გერცენის შესახებ და სხვ.

ახალგაზრდობის ზნეობრივი აღზრდის საკითხებს ვ. ი. ლენინის პედაგოგიურ იდეებში ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უჭირავს. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი გამოსვლა კომკავშირის მესამე ყრილობაზე, სადაც სხვა საკითხებთან ერთად მოხაზა საბჭოთა ახალგაზრდობის კომუნისტური მორალის სტრუქტურებით აღზრდის პროგრამა. ვლადიმერ ილიას ძე ყრილობის ტრიბუნლიდან მოითხოვდა, რომ „თანამედროვე ახალგაზრდობის განათლებას და სწავლებას ახალი საქმე წარმოადგენდეს მასში კომუნისტური მოქალაქის აღზრდას“. კომუნისტური აღზრდა მოითხოვს მორალურად სპეტაკი ახალგაზრდა თაობის მომზადებას, რომელსაც პირველ რიგში ახასიათებს შეგნებული დისციპლინა. მას აუცილებლად მიიჩნდა, რომ „ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი შეგნებულ და დისციპლინირებულ შრომაში ზრდიდეს ყველას ახალგაზრდობიდანვე“. კომუნისტური მორალის აღზრდის შინაარსში ვ. ი. ლენინი ასევე გულისხმობდა შრომისმოყვარეობას, ჰუმანიზმს, პატრიოტიზმს, ინტერნაციონალიზმს, პატიოსნებას, კოლექტივიზმს და სხვ.

ჩვენს ახალგაზრდობას, მიუთითებდა ვლადიმერ ილიას ძე, უსაზღვროდ უნდა უყვარდეს თავისი ქვეყანა, თავისი ხალხი, იბრძოდეს ყველა კეთილდღეობისათვის, ყოველმხრივ ყოველგვარად ყოვლადის ახალგაზრდასა და განვითარებას, მაგრამ ჩვენი ახალგაზრდობა ამავე დროს პატივს უნდა სცემდეს ყველა ხალხებს, აღიარებდეს ყველა ხალხების თანასწორუფლებიანობას და მხარს უჭერდეს კაპიტალისტური ქვეყნების შრომადამსახურებელ თავისუფლებებსა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

დიდი მნიშვნელობა აქვს ვ. ი. ლენინის შეხედულებებს ახალგაზრდობის შრომითი-პოლიტიკური აღზრდის შესახებ. მან შემდგომ განათარა მარქსისა და ენგელსის შეხედულებები მოზარდი თაობის შრომითი აღზრდის შესახებ და ახალ ისტორიულ ეტაპზე დააკონკრეტა იგი. ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ ადრინდელ შრომებში ანეითარება მარქსის დებულებას შრომის დანაწილების მოსაპობის შესახებ და მოუწოდებდა „ყოველმხრივ განვითარებული და ყოველმხრივ მომზადებული ადამიანების აღზრდას, განათლებასა და მომზადებაზე, ადამიანებსა, რომელთაც აველდურის გაკეთება ეცოდინებათ. კომუნისში ყველგან მიდის, უნდა მიდიოდეს და მივა“ (ლენინი, თხზ. ტ. 31, გვ. 42).

ვ. ი. ლენინი მოითხოვდა, რომ ახალგაზრდობამ „თავის განათლება, თავისი სწავლა და აღზრდა შეეფერის მუშათა და გლეხთა შრომასთან“. ახალგაზრდობის ასეთ შრომით მომზადებაში ჩეღადეა ლენინი გამოსავლს ქვეყნის მიმე ეკონომიური მდგომარეობიდან, მხოლოდ ენერგული შრომით შეიძლება არსებით — ლატაკი და ჩამორჩენილი ქვეყნიდან — მდიდარ, შეძლებულ ქვეყანად გადაქცევა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობამ შრომითი აღზრდის ლენინური იდეების საფუძველზე ახალგაზრდობის ცხოვრებისათვის მომზადების გრანდიოზული პროგრამა დასახა. პარტიის ახალ პროგრამაში ნათქვამია: „აღზრდელითი მუშაობის ცენტრში პარტია აყენებს შრომისადმი საზოგადოების ყველა წევრის კომუნისტური დამოკიდებულების განვითარებას. საზოგადოების სავეთილდელი შრომა თვითელი ადამიანის წმინდა მოვალეობაა. ყოველგვარი შრომა საზოგადოების სასარგებლოდ, როგორც ფიზიკური, ისე გონებრივ, პატივსაცემი და საპატიო, საჭიროა ყველა მშრომელი ავგაზრდით შრომის საუკეთესო ნიმუშების მიხედვით, საზოგადოებრივი მეურნეობის გაძლიერის საუკეთესო მაგალითების მიხედვით.“

ვ. ი. ლენინი დიდ ყურადღებას აქცევდა სახალხო მასწავლებელს, რომელმაც ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდაში უნდა შეასრულოს ძირითადი როლი. 1918 წელს მასწავლებელ-ინტერნაციონალისტთა ყრილობაზე ვლ-

დიმერ ილიას ძე ამბობდა, რომ მასწავლებელთა არმიამ უნდა დაისახოს გიგანტური საგანმანათლებლო ამოცანები და იქცეს სოციალისტური განათლების მთავარ არმიად. მასწავლებლებმა უნდა მიადწიონ ცოდნისა და ცხოვრების დახსნას კაპიტალის ტყვეობისაგან. საბჭოთა პედაგოგიკის მეცნიერებას ლენინი ამოცანად უსახავდა მასწავლებელთა საქმიანობის დაკავშირებას საზოგადოების სოციალისტურ ორგანიზაციასთან.

ვ. ი. ლენინი მოითხოვდა საბჭოთა და პარტიული მუშაკების მკიდრო კავშირს განათლების დარგის მუშაკებთან და მათზე დაყრდნობით ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობის ფართოდ გაშლას. 1921 წელს დაწერილ სტატიაში „განსახკომის მუშაობის შესახებ“ ვლადიმერ ილიას ძე წერდა: „კომუნისტმა ხელმძღვანელმა იმით და მხოლოდ იმით უნდა დამტკიცოს თავისი უფლება ხელმძღვა-

ნელობისა, რომ ის პოულობს მრავალ, სულ უფრო და უფრო მეტ თანაშემწეს პრაქტიკოსებს შორის, რომ მას უნარაქვეყნებს დაეხმაროს მათ მუშაობაში, წამოაყენოს ისინი, გვიჩვენოს და გაითვალისწინოს მათი გამოცდილება (თხზ. ტ. 32, გვ. 145).

ლენინის გენიალური აზრები ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის შესახებ, მისი ზნეობრივი ჩამოყალიბების, შრომითი-პოლიტექნიკური აღზრდისა და სხვათა შესახებ, უდიდეს როლს თამაშობს დღესაც. ილიჩის იდეები მიმართულებას აძლევს საბჭოთა სკოლას, პარტიულ, კომკავშირულ, პროფკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებს, ეხმარება მათ კომუნისტური აღზრდის პრობლემათა სათანადოდ გადაწყვეტაში.

---

ვლადიმერ გაგუა  
ლენინი და ახალგაზრდობა



### მშვიდობის საღარაჯოზე

ორმოცდაშვიდი წელია, რაც საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები ფხიზლად დგანან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დიად მონაპოვართა საღარაჯოზე, საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომისა და სსრ კავშირის სახელმწიფოებრივი ინტერესების საღარაჯოზე.

საბჭოთა არმია შექმნა უძლეველმა კომუნისტურმა პარტიამ ვ. ი. ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით. საბჭოთა სახელმწიფოს არმიის შექმნით გადაწყდა გამარჯვებული სოციალისტური რევოლუციის უძნელესი ამოცანა. თავის დროზე ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ წითელი არმიის შექმნის საკითხი ჩვენი პარტიისათვის ნამდვილად იყო ახალი საკითხი, რომელიც აქამდე თეორიულადაც არ ყოფილა დასმული.

წითელი არმია იქმნებოდა და ვითარდებოდა, როგორც ახალი ტიპის არმია, ჭეშმარიტად მუშურ-ვლესური არმია.

თავისი წარმოშობის დღიდანვე საბჭოთა არმია განუყრელად არის დაკავშირებული ხალხის განთავისუფლების,

სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის საქმესთან.

საბჭოთა არმიამ პირნათლად გაამართლა თავისი ისტორიული მისია. იგი იზრდებოდა და ვაჟკაცდებოდა ჩვენი საბჭოთა სამშობლოსათვის დიად ბრძოლებში.

პირველი მტერი, რომელსაც შეეჯახა საბჭოთა არმია, იყო გერმანიის პრისისხლიანი იმპერიალიზმი. 1918 წლის თებერვალს გერმანელ იმპერიალისტთა ჯარები, რომლებმაც გამოიყენეს ტროცკისა და მისი დამქაშების გამცემლობა, ბრესტის საზავო მოლაპარაკების პერიოდში შემოიჭრნენ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის ფარგლებში.

პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ლოზუნგს: „სოციალისტური სამშობლო საფრთხეშია!“ — მუშათა კლასმა უბასუხა საბჭოთა არმიის ნაწილების შექმნით. ახალი არმიის — რევოლუციური ხალხის არმიის — ახალგაზრდა რაზმელები გამიჯნულად იგერიებდნენ გერმანელი მტაცებლების შემოტევას — ნარკასთან და ფსკოვთან. მტრის წინსვლა

რევოლუციური პეტროგრადისაკენ შე-  
აჩერეს. გერმანიის იმპერიალიზმის ჯა-  
რების უკუგდების დღე — 23 თებერვა-  
ლი არის ახალგაზრდა საბჭოთა არმიის  
დაბადების დღე.

საბჭოთა არმია იზრდებოდა და მტკიც-  
დებოდა კალენინის, კრასნოვის, კორ-  
ნილოვის, დენიკინის, კოლჩაკის თეთრ-  
გვარდიელებთან ბრძოლაში, მან შინა-  
ურ და საერთაშორისო კონტრრე-  
ვოლუციას უჩვენა, რომ შესწევს უნა-  
რი შეიარაღებული ძალით დაიცვას  
რევოლუციის მონაპოვარი. პროლეტა-  
რული რევოლუციის და საბჭოთა ხე-  
ლისუფლების პირველი წარმატებებით  
დაშინებულმა მსოფლიო ბურჟუაზიამ  
დაძაბვა რუსეთის კონტრრევოლუციურ  
თაძლები და შეიარაღდა ისინი. საერ-  
თაშორისო იმპერიალიზმმა საბჭოების  
ქვეყნის წინააღმდეგ სამხედრო ინტერ-  
ვენცია დაიწყო. ხელთ იგდო მურმანსკი,  
ვადმოსხა იაპონიის ჯარები ვლადი-  
ვოსტოკში, მოაშადა ჩეხოსლოვაკთა  
ამბოხება.

რევოლუციამ საბჭოთა არმიას დააკის-  
რა უძნელესი ამოცანა — დაეცვა საბ-  
ჭოთა რუსეთი უცხოელ დამპყრობთა  
და შინაური კონტრრევოლუციის გაერ-  
თიანებული ძალებისაგან, შეენარჩუნე-  
ბინა ჩვენი სამშობლოს ტერიტორიული  
მთლიანობა და დამოუკიდებლობა, შეე-  
ნარჩუნებინა დიდი ოქტომბრის სოცია-  
ლისტური რევოლუციის მონაპოვარი.  
ეს ურთულესი ამოცანა ჩვენმა სახე-  
ლოვანმა არმიამ პირნათლად შეასრუ-  
ლა. ახალგაზრდა საბჭოთა არმიამ  
თეთრგვარდიელთა და ინტერვენტთა  
ჯარები განადგურა.

მაგრამ ინტერვენტები განაგრძობდ-  
ნენ თავიანთ შავ საქმეს. საბჭოთა ქვე-  
ყანას გარს ერტყმოდა ფრონტების  
რკალი: ინგლისელ იმპერიალისტების  
ჯარები ჩრდილოეთით — არხანგელსკ-  
თან, ფრანგი ინტერვენტები სამხრე-  
თით — ოდესის რაიონში, ხოლო შო-  
რეულ აღმოსავლეთში იაპონელ დამპ-  
ყრობთა არმია, ციმბირის კონტრრე-  
ვოლუცია და ჩეხოსლოვაკთა ჯარები  
უტევდნენ საბჭოთა რესპუბლიკას.

ამ მრისხანე დღეებში კომუნისტურმა  
პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ საბ-  
ჭოთა არმიის გასაძლიერებლად განემ-  
წყვეტი ზომები მიიღეს.

1918 წლის 20 ნოემბერს ქვეყნის  
თავდაცვის მთელი მუშაობის ხელმძღვა-  
ნელობისა და მტრის მოსაგერიებლად  
მთელი რესურსების მობილიზაციისათ-  
ვის შეიქმნა თავდაცვის საბჭო—ლენი-  
ნის მეთაურობით.

1919 წლის გაზაფხულზე საბჭოთა  
ქვეყნის წინააღმდეგ ანტანტის პირველი  
ლაშქრობა დაიწყო.

ძლევამოსილმა საბჭოთა არმიამ და  
სამხედრო-სახლვადო ფლოტმა ანტანტის  
პირველი ლაშქრობა მთიეგრია.

შემდეგ საბჭოთა არმიამ გაანადგურა  
ანტანტის მეორე ლაშქრობა, რომელსაც  
ამ ლაშქრობის სულისჩამდგმელი ჩერ-  
ჩილი 14 სახელმწიფოს ლაშქრობას  
უწოდებდა.

თავისი ბატონ-პატრონების — უცხო-  
ელი იმპერიალისტების მიერ ფულით  
უხვად მომარაგებულმა და შეიარაღე-  
ბულმა თეთრგვარდიელმა გენერალმა  
დენიკინმა დონბასი დაიკავა, ფართო  
ფრონტით უკრაინაში შეიჭრა და 1919  
წლის შემოდგომაზე კურსკი, ორიოლი  
აიღო და ტულას მიუახლოვდა. ჯერ  
არასოდეს არ ყოფილა მტერი ასე ახლო  
საბჭოთა კავშირის გულთან — მოსკოვ-  
თან. ამ მრისხანე ეამს მთელი ჩვენი  
ქვეყანა დაეხმარა თავის არმიას.

„საბჭოთა რესპუბლიკა ვარშემორტ-  
ყმულია მტრით, — წერდა მაშინ ვ. ი.  
ლენინი, — იგი უნდა იყოს ერთიანი  
სამხედრო ბანაკი არა სიტყვით, არამედ  
საქმით“. ამ მოწოდების შედეგად საბ-  
ჭოთა არმიამ ორიოლთან და ვორონეჟ-  
თან დენიკინს გამანადგურებელი ლახ-  
ვარი ჩასცა. მან ორიოლი, ვორონეჟი,  
კურსკი, ხარკოვი დაიბრუნა და აზოვის  
ზღვამდე შეუჩერებლივ მივიდა. დენი-  
კინის ბანდის ნაწილები ჩრდილოეთ  
კავკასიაში განადგურდა.

საბჭოთა არმია დაეხმარა აზერბაიჯა-

გიორგი ყურაშვილი  
მშვიდობის სადარაჯოზე



ნის, სომხეთისა და საქართველოს მშრომელებს, რათა ბოლო მოეღოთ მოლაპატე მუსავატელების, დაშინებისა და მენშევიკებისათვის.

1920 წლის იანვარში საბჭოთა ჯარებმა გაანადგურეს თეთრგვარდიელები და ინგლისელები იმიერკასპიის მხარეში.

საბჭოთა არმიამ მოსკო იუდენიჩის ბანდა, რომელიც ცდილობდა შეჭრილიყო პეტროგრადში. ლიკვიდირებულ იქნა აგრეთვე ჩრდილოეთის ფრონტიც, რის შედეგად მურმანსკი ინგლისის ჯარებისაგან განთავისუფლდა.

ამრიგად, ანტანტის მეორე ლაშქრობა — 14 სახელმწიფოს ლაშქრობა — დამარცხებულ იქნა.

წითელმა არმიამ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გაანადგურა ანტანტის მესამე ლაშქრობაც.

1920 წლის დამლევისათვის წითელმა არმიამ ყველა ფრონტზე გაიმარჯვა. 1922 წლის 25 ოქტომბერს ვლადივოსტოკი საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს.

ინტერვენტა უკანასკნელი ნაშთები ჩვენი სამშობლოს ფარგლებიდან განიღვენა.

ყველაზე სერიოზულ გამოცდას საბჭოთა არმიისათვის, ისევე როგორც საბჭოთა სახელმწიფოსათვის, 1941 — 1945 წლების დიდი სამამულო ომი წარმოადგენდა.

1941 წლის 22 ივნისს ჰიტლერული გერმანია, რომელმაც დაიპყრო თითქმის მთელი ევროპა, ჩვენს ქვეყანას მოულოდნელად თავს დაესხა.

ომის პირველ პერიოდში მტერს უპირატესობა ჰქონდა. ჩვენი ჯარები შემოსეულ დამპყრობლებს იგერიებდა. ამ ბრძოლებში მტერი სისხლისაგან იცლებოდა, ნადგურდებოდა მისი ცოცხალი ძალა და ისპობოდა საბრძოლო ტექნიკა.

მაღე ჩვენმა მრეწველობამ დაიწყო სამხედრო ტექნიკის მასიური გამოშვება. მაღლდებოდა ჩვენი ჯარების მორალურ-პოლიტიკური დონე. ჩვენი არმია ეუფლებოდა ბრძოლის ახალ ხერხს. სწორედ ამის შედეგი იყო ის, რომ 1941 წლის შემოდგომა-ზამთარში მტერი მოსკოვის მისადგომებთან შეჩერე-

ბულ იქნა. შემდეგ კი საბჭოთა არმიის თვითონ გადავიდა კონტრშეტევაზე და ჰიტლერული ურდოები გაანადგურა.

მეორე გრანდიოზული ოპერაცია ჩვენმა ჯარებმა განახორციელეს 1942 წლის მიწურულში და 1943 წლის დასაწყისში სტალინგრადთან, სადაც ფელდმარშალ პაულიუსის 330 ათასიანი ჯარი ალყაში მოჰყვა.

ამ ოპერაციის შემდეგ გერმანელებმა, როგორც ცნობილია, ვეღარ შეძლეს წელში გამართვა. დაიწყო საბჭოთა მიწა-წყლიდან გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთა მასობრივი განდევნა.

1943 წლის ზაფხულში ჩვენმა ჯარებმა კურსკთან გამართულ ბრძოლებში მტერს გამანადგურებელი დარტყმა მიაცენეს. კურსკთან ბრძოლამ გერმანიის სამხედრო მანქანა კატასტროფის წინაშე დააყენა.

1944 წელს საბჭოთა არმიამ განახორციელა ათი უდიდესი დარტყმა ფაშისტ ურდოების წინააღმდეგ, 1945 წლის დასაწყისში კი არნახული ძალით დაატყდა თავს გერმანელ ავაზაკებს და ბალტიკიდან კარპატამდე 1200 კილომეტრის სიგრძის ფრონტზე შეტევაზე გადავიდა.

1945 წლის გაზაფხულზე საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს ბერლინი და მის თავზე გამარჯვების დროშა აღმართეს.

1945 წლის შემოდგომაზე საბჭოთა არმიამ მოკლე დროში შორეულ აღმოსავლეთში გაანადგურა იაპონიის რჩეული არმია.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდანვე კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გაიშალა დიდი შემოქმედებითი მუშაობა. ეკონომიურად ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა—საქართველო საბჭოთა ხელისუფლებამ აყვავების გზაზე დააყენა.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების სულისჩამდგმელმა დიდმა ლენინმა მიზანშეწონილად სცნო საქართველოში წითელი არმიის ქართული ნაწილების ჩამოყალიბება. ამ

დიდი ამოცანის შესრულება ვ. ი. ლენინ-  
მა ს. ორჯონიკიძეს დაავალა.

ამ ნაწილებში აღიზარდნენ ცნობილი  
მხედართმთავრები, გენერლები: კ. ლე-  
სელიძე და პ. ჩანჩიბაძე, ვ. მყავანაძე  
და მ. ლლონტი, ი. რაზმაძე, დ. ნამგა-  
ლაძე, მ. კიკნაძე და ბევრი სხვა.

ბარენცის ზღვიდან შავ ზღვამდე ქარ-  
თველი ხალხის შვილები გამრულად  
იბრძოდნენ ჩვენი საბჭოთა არმიის  
რიგებში და მტრის ზურგში. თითქმის  
არც ერთი ოპერაცია არ განხორ-  
ციელებულა ჩვენი ჯარების მიერ,  
ქართველი ხალხის შვილებს აქტიური  
მონაწილეობა რომ არ მიეღოთ. გავიხ-  
სენოთ გენერალ-პოლკოვნიკ კ. ლესე-  
ლიძის გმირული ბრძოლები მოსკოვის  
მისადგომებთან, რომელმაც გუდერიან-  
ის ჯავშნიან არმიას მოსკოვისაკენ გზა  
გადაუღობა და მისი უამრავი ტანკი  
რკინის ნამუსრევად აქცია. მისი უშუ-  
ალო ხელმძღვანელობით კავკასიონის  
უღელტეხილებზე და მის ჩრდილოეთ  
კალთებზე ფაშისტურ ურდოებს თავს  
დაატყდა ჩვენი ჯარების რისხვა. მისი  
გონივრული ხელმძღვანელობით ოკუ-  
პანტებისაგან განთავისუფლდა ქალაქი  
ნოვოროსიისკი, ანაპა, ტამანი, უკრაინ-  
ის ბევრი ქალაქი და სოფელი. მისმა  
მგზნებარე სიტყვებმა თორმეტათასიანი  
414-ე ქართული მსროლელი დივიზია  
აღადგროვანა და ანაპის შტურმისათვის  
კიდევ მეტი გამბედაობა შემატა.

ბევრი საგმირო ეპიზოდი ჩაწერა  
ჩვენი არმიის ბრძოლების ისტორიაში  
ჩვენმა თანამემამულემ, საბჭოთა კავში-  
რის გმირმა გენერალ-პოლკოვნიკმა  
პ. ჩანჩიბაძემ. იგი იბრძოდა ქ. სმო-  
ლენსკთან და მოსკოვთან, მდ. ვოლგას-  
თან და დონთან, ყირიმსა და უკრაინა-  
ში, ლიტვასა და პოლონეთში, ფაშიზ-  
მის საკუთარ ბუნავში — გერმანიაში.

უშიშარმა საბჭოთა სარდალმა დიდ  
სამამულო ომში გამოჩენილი მხედართ-  
მთავრის სახელი დაიმსახურა. ამას  
ადასტურებს საბჭოთა მთავრობის ის  
ჯილდოები, რომლებიც მას მკერდს  
უშვებდნენ: ლენინის ორი ორდენი,

წითელი დროშის სამი ორდენი, ორი  
სუვოროვის და ორი კუტუზოვის ორ-  
დენი, სამამულო ომის პირველი ხარის-  
ხის ორდენი, წითელი ვარსკვლავის  
ორდენი და შვიდი მედალი.

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუ-  
მის თავმჯდომარე მ. ი. კალინინი პ. ჩან-  
ჩიბაძეს სწერდა: — „პატივცემულ  
პორფილე გიორგის ძე! საბრძოლო  
ოპერაციების მოხერხებული და გული-  
თადი ხელმძღვანელობისათვის, და ამ  
ოპერაციების შედეგად მიღწეული წარ-  
მატებისათვის გერმანელ-ფაშისტ დამ-  
პყრობლებთან ბრძოლებში სსრკ უმაღ-  
ლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1944 წლის  
16 მაისის ბრძანებულებით დაგაჯილ-  
დოვით სუვოროვის პირველი ხარის-  
ხის ორდენით. გიგზავნი ორდენს და  
მაგრად ვართმევ ხელს. მ. ი. კალი-  
ნინი“ (1944 წ. 20 მაისი, № 529).

პორფილე გიორგის ძე ჩანჩიბაძეს  
არმიისადმი გონივრული და მოქნილი  
არმიის გონივრული და მოქნილი  
ბის საბრძოლო დავალების ზედმიწევ-  
ნით კარგად შესრულებისათვის სსრკ  
უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945  
წლის 30 მაისის ბრძანებულებით მიე-  
ნიჭა „საბჭოთა კავშირის გმირის“ წო-  
დება, გადაეცა ლენინის ორდენი და  
ოქროს ვარსკვლავი.

საქართველოს ფარგლებს გარეთაც  
ცნობილია საბჭოთა კავშირის გმირების,  
გენერლების: ვ. ჯანჯღავას, ე. კობერი-  
ძის, გ. ალფაიძის, ვ. ნანეიშვილის და  
შ. ქირიას სახელები. ისინი მუსსრს ავ-  
ლებდნენ გერმანელ ავაზაკებს მოს-  
კოვთან და სტალინგრადთან, კურსკის  
რკალზე და ხარკოვთან, დნეპრსა და  
ვისლაზე, ოდერსა და შპრეზე და სხვა.

დიდა ვ. ჯანჯღავას მიერ განვლო-  
ლი საბრძოლო გზა. გერმანელი ბარ-  
ბაროსების მიერ ძლიერ გამაგრებული  
თავდაცვითი ზღუდეები ბევრჯერ ნა-  
ცარმტვრად უქცივია მის სახელმძღვ-  
ეკილ დივიზიას. ბევრი ქალაქი და სო-

გიორგი ყურაშვილი  
მშვიდობის სადარაჯოზე

ფელი განათავისუფლეს ვ. ჯანჯღავას შენაერთებმა, გადალახეს მდინარეები: დნეპრი, დასავლეთი ბუგი, ნარვა, ვისლა, ოდერი.

საბრძოლო დავალების სანიმუშოდ შესრულებისათვის, გმირობისა და მამაცობისათვის სამშობლოს ერთგულ შვილს ვ. ჯანჯღავას ბევრჯერ გამოეცხადა სარდლობის მადლობა.

უამრავი ფუთი გავარვარებული ლითონი დაადუღეს თავზე ფაშისტ ავაზაკებს ახალგაზრდა, ნიჭიერი გენერლის მ. ალფაიდის არტილერისტებმა, რომელთაც მრავალი სასახელო ფურცელი ჩაწერეს ჩვენი სახელოვანი არტილერიის ისტორიაში. ის დაჯილდოებულია მრავალი ორდენით. მათ შორის ბოგდან ხმელნიცკის ორდენით.

სარდლობის დავალების სანიმუშოდ შესრულებისათვის, გმირობისა და მამაცობისათვის საბჭოთა მთავრობამ მას მიანიჭა „საბჭოთა კავშირის გმირის“ წოდება.

ქება-დიდება დაიმსახურეს მრისხანე მტერთან ბრძოლაში საბჭოთა კავშირის გმირებმა — გენერლებმა: ვ. ნანეიშვილმა, ე. კობერიძემ და შ. ქირიამ, რომლებიც მდ. ვოლგიდან მდ. შპრემდე მტერს ერეკებოდნენ, გზადაგზა ანადგურებდნენ მას და გამარჯვების დროშა ბერლინის თავზე ააფრიალეს.

გენერლებმა: პ. ჯახუამ, ნ. კალაძემ, ნ. თავართქილაძემ, ი. ბაბალაშვილმა, ვ. ხუბულურმა, დ. შანშაშვილმა, ი. სილაგაძემ, პ. აბრამიძემ, პ. ჩხობაძემ და სხვებმა სამამულო ომის ფრონტებზე სასახელო საბრძოლო გზა განვლეს. მდ. ვოლგიდან მდ. ელბამდე ფეხდაფეხ დევნიდნენ პირსისხლიან მტერს, ანადგურებდნენ ოკუპანტების ცოცხალ ძალასა და სპობდნენ მის საბრძოლო ტექნიკას.

ჯერ კიდევ სამამულო ომის დაწყებამდე პავლე აბრამიძე დივიზიას მეთაურობდა, რომელსაც დიდი მიღწევები ჰქონდა საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების საქმეში. როდესაც საბჭოთა მთავრობამ წითელ არმიაში გენერ-

ლის წოდება შემოიღო, პ. აბრამიძე პირველი გენერალი გახდა. მას ეს წოდება 38 წლის ახალგაზრდას მიენიჭა.

ბევრი საგმირო საბრძოლო ეპიზოდი განახორციელეს გენერლებმა: კ. ჯახუამ, ნ. თავართქილაძემ და ნ. კალაძემ.

ქართველი ხალხი ამყობს იმით, რომ დღესაც საბჭოთა არმიის რიგებში განაგრძობენ შემოქმედებით მუშაობას სამხედრო მეცნიერების დოქტორები. პროფესორები — გენერალ-მაიორები ი. ჯორჯაძე და ბ. სულაქველიძე.

ქართველი ხალხი და ჩვენი საყვარელი სამშობლო ასახელებს დიდი სამამულო ომის პერიოდში ჩვენმა თანამემამულე მეზღვაურებმა, ვიცე-ადმირალმა გ. აბაშვილმა, კონტრ-ადმირალებმა: კ. ლეჟავამ, კ. სუხიაშვილმა, ს. კაპანაძემ, ს. რამიშვილმა და მ. ჯინჭარაძემ. მათი ოსტატური ხელმძღვანელობით ჩვენმა მეზღვაურებმა მტრის ბევრი ხომალდი გაგზავნეს ზღვის ფსკერისაკენ.

მთელი საბჭოთა ხალხი იცნობს საბჭოთა კავშირის გმირებს: გ. ბილანიშვილს, ა. ინასარიძეს, ა. გეგეშიძეს, ბ. ზუმბულაძეს, პ. წიქორიძეს.

დიდი საბრძოლო გზა განვლეს სამამულო ომის პერიოდში არტილერიის გენერლებმა გ. ჯინჭარაძემ და მ. კიკნაძემ.

საქარბო ველოს ფარგლებს გარეთაც ცნობილია ნიჭიერი და უნარიანი მებრძოლი პოლკოვნიკი გ. კანაჩაძე. 1941 წლის შემოდგომა-ზამთარში, როდესაც ფაშისტური ურდოები ჩვენი ქვეყნის გულს — მოსკოვის კარიბჭეს მიუახლოვდნენ, გ. კანაჩაძე თავისი დივიზიით მტერს კლდესავით წინ აღუდგა და მოსკოვისაჲინ გზა გადაუღობა. მამაცობისა და უშიშრობისათვის ის მრავალჯერ იქნა დაჯილდოებული საბჭოთა ორდენებითა და მედლებით.

მოსკოვის ისტორიული ოპერაციის განხორციელებაში გარკვეული წვლილი შეიტანა ჩვენმა თანამემამულემ — სახენიტო დივიზიის მეთაურმა პოლკოვნიკმა ა. ნაკაშიძემ.

ჩვენი თანამემამულეთათვის ცნობი-

ლია მამაცი და უშიშარი ვაჟაკი პოდ-პოლკოვნიკი შალვა დავითულიანი, რომელმაც დიდი სახელი მოიხვეჭა მტერთან ბრძოლაში ჩრდილოეთ კავკასიაში, ანაპაში, ტამანის ნახევარკუნძულზე, აზოვის ზღვასთან, ყირიმსა და სევასტოპოლის მისადგომებთან. ბევრი საბრძოლო დავალების შესანიშნავად განხორციელებისათვის ის რვაჯერ დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით.

სამამულო ომის ისტორიაში ბრწყინვალე ფურცლებად ჩაიწერა ლეგენდარული მფრინავის წურწუმიას სახელი.

დიდება და სახელი მოიხვეჭეს ბერლინის მისადგომებთან გენერლებმა ი. რაზმაძემ და ე. ტატანაშვილმა, მაიორმა ო. ჩეჩელაშვილმა და სხვებმა.

სასახელო საბრძოლო გზა განვლეს სამამულო ომის ფრონტებზე პოლკოვნიკებმა: მ. გეთიამ, პ. გორვასლიძემ, გ. კურკაციშვილმა, კ. სოსხაძემ და ბევრმა სხვამ. კ. სოსხაძე და კურკაციშვილი მტერს ორჯონიკიძის მისადგომებიდან მდ. ელბამდე ფეხდაფეხ დევნიდნენ და გზადაგზა ანადგურებდნენ. ქართველმა ხალხმა ომის მძიმე წლებში საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად მკაფიოდ გამოავლინა ის მაღალი მორალური თვისებები, რომლებიც მასში მშობლიურმა პარტიამ ჯერ კიდევ მშვიდობიან წლებში იდეურ-პოლიტიკური მუშაობით აღზარდა. ქართველმა ხალხმა საბჭოთა კავშირის დიდ ოჯახში უჭკნობი სახელი მოიხვეჭა როგორც ფრონტზე, ისე ზურგში.

ომის გამოცხადების პირველი დღეებიდანვე ქართველმა ხალხმა თავისი რიგებიდან ათასობით მოწინავე და სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანი გაგზავნა ფრონტზე.

ქართველი ხალხი, მოძმე ხალხებთან ერთად გმირულად იბრძოდა გერმანელ ფაშისტთა ურდურებისა და იაპონიის იმპერიალისტების წინააღმდეგ. ასე მაგალითად, საბჭოთა კავშირის დედაქალაქთან — მოსკოვთან, სხვა ერის შვილებთან ერთად გმირულად იბრძოდნენ: ჯავშნიანი მატარებლის მეთაური მაიორი ჯახიევი, საზენიტო არტილერიის

დივიზიის მეთაური გენერალი მ. კიკნაძე, საზენიტო ტყვიამფრქვევის დივიზიის მეთაური პოლკოვნიკი ა. ნაკვიციანიძე, მსროლელი დივიზიის მეთაური პოლკოვნიკი გ. კანაჩაძე, დივიზიის მეთაური პ. ჩანჩიბაძე, პოლკის კომისარი მითაიშვილი, სერჟანტი გაბელი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი, მეტყვიამფრქვევე ლუტიძე და ბევრი სხვა.

ქ. ლენინგრადის მისადგომებთან გმირულად იბრძოდნენ სამხედრო საბჭოს წევრი გენერალ-ლეიტენანტი ვ. მჟავანაძე, პოლკის მეთაური პოლკოვნიკი მელქაძე, საბჭოთა კავშირის გმირი მაიორი კეთილაძე, არტილერიის დივიზიონის მეთაური საბჭოთა კავშირის გმირი ხარაზია და სხვები.

ქ. ოდესის გმირულ დაცვაში უჭკნობი სახელი მოიხვეჭეს საბჭოთა კავშირის გმირმა კაპიტანმა წურწუმიამ, შტურმანმა ჯაბადარმა, პოდპოლკოვნიკმა კ. გოგიამ და სხვა.

ქ. სევასტოპოლის გმირულ დამცველთა შორის სიმამაცე და გმირობა გაჰოჩინეს საბჭოთა კავშირის გმირებმა, პოლიტხელმა მ. ვასოკიძემ. პოლკოვნიკმა ა. გეგეშიძემ, უმცროსმა მეთაურებმა ადამიამ და ობოლაძემ, შავი ზღვის ფლოტის წყალქვეშა ნავის მეთაურმა, საბჭოთა კავშირის გმირმა იოსელიანმა. ყირიმის ბრძოლებში სახელი გაითქვეს პოლკის კომისარმა გიორგაძემ, სირჟანტმა სხულუხიამ. ამავე ბრძოლებში თავი ისახელა 224-ე ქართულმა მსროლელმა დივიზიამ. ხოლო ჩრდილოეთ კავკასიაში და ყირიმის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში უჭკნობი სახელი მოიხვეჭა ანაპის სახელობის 414-ე ქართულმა მსროლელმა დივიზიამ.

მდ. ვოლგის ნაპირას ბრძოლებში სახელი გაითქვეს გენერალ-ლეიტენანტის, საბჭოთა კავშირის გმირის ვ. ნანეიშვილის მფრინავებმა, გენერალ-მაიორების კ. ჯახუასა და ნ. თვართქილაძის დივი-

---

გიორგი ყურაშვილი  
მშვიდობის სადარაჯოზე

ზეებმა და ბევრმა სხვა ქართველმა მეომარმა.

ქართველი ხალხის შვილების გმირულ ბრძოლას სამამულო ომის წლებში დიდი შეფასება მისცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 25 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით გაზეთმა „პრავდამ“, რომელმაც აღნიშნა, რომ ქართველმა ხალხმა ღირსეული ადგილი დაიკავა დიდ საბჭოთა ოჯახში „საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში ჰიტლერული გერმანიის და იაპონიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ფრონტზე და ზურგშიც. ომიანობის წლები აღნიშნული იყო რესპუბლიკის შვილების მიერ მასობრივი გმირობის გამოჩენით. რუსების, უკრაინელების, ბელორუსების, აზერბაიჯანელების, სსრ კავშირის ყველა ხალხის მხარდამხარ გმირულად ებრძოდნენ მტერს ქართველი მეომრები მოსკოვისა და ლენინგრადის კედლებთან, ვოლგის ნაპირებზე, კავკასიის ქედის კალთებზე, დნებრის გადასასვლელებზე, კენიგსბერგისა და ბერლინის იერიშის დროს“ (გაზეთი „კომუნისტი“, 1946 წ. თებერვალი).

ასეთივე ღირსეული შეფასება მისცეს დიდ სამამულო ომში ქართველი ხალხის გმირულ მონაწილეობას თავის მისალმებაში სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საკავშირო კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

„სამამულო ომის წლებში ქართველმა ხალხმა ღირსეულად მოიხადა თავისი ვალი სამშობლოს წინაშე. გერმანელთა დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში უნარიანი საბრძოლო მოქმედებისა და გმირობისათვის ათიათასობით

ქართველი მეომარი დაჯილდოებულია/საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. საბჭოთა საქართველოს მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია თავდადებულად შრომობდნენ მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად“ (გაზეთი „კომუნისტი“, 1946 წ. 25 თებერვალი). სამამულო ომში ქართველი ხალხის დიდ დამსახურებაზე ხაზგასმით შეჩერდა თავის მისასალმებელ სიტყვაში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო მე-9 სესიაზე აპხ. შვერნიკი.

„საქართველოს შვილებმა — წითელი არმიის მეომრებმა, სამშობლოსათვის ბრძოლაში გამოიჩინეს მამაცობა, გულადობა და გმირობა, იცავდნენ რა თავიანთი სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

საქართველოს რესპუბლიკის მშრომელები თავდადებულად მუშაობდნენ ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, რათა დახმარებოდნენ ფრონტს საზიზღარი მტრის რაც შეიძლება მალე განადგურებაში.

დიდება წითელი არმიის მეომრებს, საბჭოთა საქართველოს მუშებსა და კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, რომლებმაც ღირსეულად შეასრულეს თავიანთი პატრიოტული მოვალეობა სამშობლოს წინაშე“ („ბოლშევიკი“, 1946 წ. № 2, გვ. 36).

საბჭოთა კავშირის გამარჯვება დიდ სამამულო ომში იყო საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების გამარჯვება, ჩვენი არმიის გამარჯვება — მთელი საბჭოთა ხალხის გამარჯვება.



Journal Triskari  
Salut

Beste lulsener  
til Georgia

from

Thor Hyndahl  
Moskva, 5.8.64

ტურ ჰეიერდალი—

სალამი და კეთილი

სურვილები ჟურნალ

„ცისკარს“,

საქართველოს

შარშან 3-დან 10 აგვისტომდე, ქალაქ მოსკოვში, ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტში მიმდინარეობდა ანთროპოლოგთა და ეთნოგრაფთა VII მსოფლიო კონგრესი. ახლა, როდესაც 58 ქვეყნის 2000-ზე მეტი წარმომადგენელი თავიანთ ქვეყნებს დაუბრუნდა და თან წაიღო ამ შეხვედრის შედეგად მიღებული დიდი და ღრმა შთაბეჭდილებები, მინდა მოვუთხრო ჟურნალ „ცისკარს“ მკითხველებს ზოგიერთი რამ ამ კონგრესის გამო.

გასული საუკუნის 40-50-იან წლებში ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში იქმნება ანთროპოლოგიური და ეთნოგრაფიული საზოგადოებები, რომლებიც დაინტერესებული არიან განვითარების მხრივ ჩამორჩენილი ხალხების კულტურისა და ყოფის გაცნობით, ადამიანთა ტიპების განსაზღვრით და სხვა.

იწერება მრავალი მონოგრაფია, სტატია და წერილი. დაახლოებით 100 წლის წინ კი შვეიცარიაში (1866 წ.) შედგა ისტორიამდელი არქეოლოგიისა და ანთროპოლოგიის წარმომადგენელთა პირველი შეკრება. კარგა ხნის შესვენების შემდეგ უკვე მე-20 საუკუნეში შედგა ლონდონის (1934 წ.) ანთროპოლოგთა და ეთნოგრაფთა საერთაშორისო კონგრესი, მას მოჰყვა კოპენჰაგენის (1938 წ.), ბრიუსელის (1948 წ.) ვენისა (1952 წ.) და ფილადელფის (1956 წ.) კონგრესები. ხოლო პარიზის (1960 წ.) მსოფლიო კონგრესზე გადაწყდა, რიგითი, VII კონგრესი სსრ კავშირში ჩატარებულიყო. შეიქმნა კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტი სსრკ მეცნ. აკადემიის წ/კორესპონდენტის პროფ. ს. პ. ტოლსტოვის თავმჯდომარეობით. კონგრესის ხელშემწყობ-

ბი კომიტეტები შეიქმნა მოკავშირე რესპუბლიკებშიც.

ჩვენი რესპუბლიკის ხელშემწყობი კომიტეტი (თავმჯდომარე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წ/კორესპონდენტი პროფ. გ. ჩიტაია) 1962 წლიდან შეუდგა მუშაობას. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს და მოხსენებები მოამზადეს ჩვენმა სახელოვანმა მეცნიერებმა: ნ. კეცხოველმა, შ. ამირანაშვილმა, ვ. თოფურიამ, ვ. ბარდაველიძემ, გრ. ჩხიკვაძემ, რ. ხარაძემ, მ. ჩიქოვანმა, ალ. რობაქიძემ, ლ. ვირსალაძემ, თ. გამყრელიძემ, ო. ჯაფარიძემ, მ. გეგეშიძემ და სხვ.

ქართველმა ეთნოგრაფებმა მოამზადეს და გამოსცეს ლამაზად გაფორმებული მეცნიერული მონოგრაფიები, ფერადი ალბომები, კრებულები, ღია ბარათები, ხოლო აკად. ს. ჯანაშია სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა კონგრესისათვის მოამზადა თემატური გამოფენა „ქართული ხალხური ჭედური ხელოვნების ნიმუშები“. ამავე დროს რუსულ და უცხო ენებზე დაიბეჭდა: გ. ჩიტაიას, ვ. ბარდაველიძის, გრ. ჩხიკვაძის, რ. ხარაძის, მ. აბდუშელიშვილის, ალ. რობაქიძის, ო. ჯაფარიძის, თ. გამყრელიძის, ნ. ბერძენიშვილის, ალ. კალანდაძის, მ. გეგეშიძის, ა. სოხაძისა და სხვათა მოხსენებები.

სახელმწიფო მუზეუმისა და საქართველოს კინოსტუდიის თანამშრომელთა ერთობლივი ძალით შეირჩა 21 დასახელების მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი: „ქართული მინანქარი“, „მევენახეობა და მეღვინეობა“, „ქართული არქიტექტურა“, „საბჭოთა საქართველო“ და სხვა. როგორც ვენდევთ ამ მოკლე მიმოხილვიდან, საქართველოს დელეგაცია მსოფლიო კონგრესზე ხელსავაიანად ჩვიდა.

3 აგვისტო კონგრესის გახსნის დღე იყო. ყველანი უნივერსიტეტის სააქტო დარბაზისაკენ მიიქაროდნენ. სააქტო დარბაზი ყველა მსურველს ვერ იტევდა. აქ იყვნენ მსოფლიოში ცნობილი მეცნიე-

რები: ფრანგი ვალუა (იგი პარიზის 1960 წლის კონგრესის პრეზიდენტი იყო), ამერიკელები უაიტი და დაინი, გერმანელი რელი განდევო და სხვა სწავლულები. ყველა მოუთმენლად ელოდებოდა ნორვეგიელ ეთნოგრაფს, ლეგენდარული „კონ-ტიკის“ კაპიტანს ტურ ჰეიერდალს. თანაც ხმები დადიოდა, მას ბევრი ახალი და საინტერესო მასალა მოაქვსო. ტურ ჰეიერდალი 2 აგვისტოს მოსკოვში ჩამოვიდა, მაგრამ იგი ხელთ ვერავინ იგდო. განსაკუთრებით თავგამოდებით ეძებდნენ ტურ ჰეიერდალს პრესისა და რადიოს წარმომადგენლები. ისინი სააქტო დარბაზის კართან „ყველაზე საიმედო პოზიციაზე“ იდგნენ. კონგრესის გახსნას რამდენიმე წუთი აკლდა და ამ დროს შემოვიდა ღიანაცრისფერ, საზაფხულო კოსტუმში გამოწყობილი, მაღალი, მწითლური კაცი. მას მოსკოველი ეთნოგრაფი დ. ტუმარკინი მოჰყვებოდა. ეს ტურ ჰეიერდალი იყო. მას ჯერ კიდევ 1962 წლიდან ვიცნობდით, როდესაც მაისში თბილისს ესტუმრა.

ტურ ჰეიერდალი არ გამოცვლილა. ისევ მხნედ გამოიყურება, წაბლისფერი, თხელი თმები გულმოდგინედ აქვს დაეარცხნილი, თხელ ცვირზე ოთხკუთხა ფორმის დიდი სათვალე აქვს მორგებული. ვუყუებ მას და მასთან ერთად კორესპონდენტების ალყაში ვექცევი. 10-15 წუთის განმავლობაში ჰეიერდალმა 20-მდე კითხვას მეტად თავაზიანად და ლაკონურად უპასუხა.

აკად. ჟუკოვი საზეიმო ვითარებაში ხსნის ანთროპოლოგთა და ეთნოგრაფთა VII მსოფლიო კონგრესს. კონგრესს მიესალმნენ სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე რუდნევი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკად. კელდიში, ქ. მოსკოვის აღმასკომის თავმჯდომარე პრომისლოვი, ფრანგი მეცნიერი ვალუა. შემდეგ დელეგატებს წაუკითხეს კონგრესის პრეზიდენტის პროფ. ს. პ. ტოლსტოვის სიტყვა. დასასრულს, ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბა-

ლტის აკადემიური თეატრის მსახიობებმა კონცერტი გამართეს.

მეორე დღეს კონგრესის 26 სექციაში დაიწყო მოხსენებების წაკითხვა. დღეგატეხს დაუროგლათ ყურით სისმენი სინქრონული აპარატები, რომელთა საშუალებით კონგრესის მონაწილეებს შეეძლოთ მათთვის სასურველ ენაზე მოესმინათ ესა თუ ის მოხსენება.

დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი ქართველი მეცნიერების მოხსენებები, რომელთაგანაც აღსანიშნავია პროფ. გ. ჩიტაიას, ვ. ბარდაველიძის, რ. ხარაძის, გრ. ჩხიკვაძის, ალ. რობაქიძის, მ. ჩიჭოვანის, თ. ჯაფარიძის და სხვათა მოხსენებები. მათ როგორც საბჭოთა, ისე უცხოეთის ცნობილმა მეცნიერებმა მაღალი შეფასება მისცეს.

ორი დღის შემდეგ ტურ ჰეიერდალმა მართლა გახსნა თავისი „პორთფელი“ და უნივერსიტეტის I აუდიტორიაში ავსტრალიისა და ოკეანის გაერთიანებულ სექციაზე აღდგომის კუნძულის მცხოვრებთა კულტურის შესახებ საყურადღებო მოხსენება წაკითხა. დღეგატეხითა და სტუმრებით გაჭედული დარბაზი გულისყურით უსმენდა ამ მამაკ მოგზაურსა და მიცნიერს. მოხსენების დამთავრების შემდეგ ტურ ჰეიერდალს კითხვები სეტყვასავით დაეყარეს. იგი კითხვებზე დინჯად და აულორვებლად პასუხობდა. ერთ-ერთი დამსწრე ეკითხება:

— თქვენ ისევ ფიქრობთ, რომ პოლინეზიელები პერუდან მოვიდნენ?

ჰეიერდალი: — დიახ! საქმე ისაა, რომ ჩვენ არ ვაფასებთ სამხრეთ ამერიკის ძველი მოსახლეობის ტექნიკურ მონაცემებს და წინ ვაყენებთ აზრის ტექნიკას. ძველად ვადასვლა ხდებოდა ანოტილით და არა ერთეული რიგით ფლანკით. თოლოტილას ფართო შესაძლებლობა ჰქონდა, დაეხანა კუნძული. გარდა ამისა, ისინი იყენებდნენ ოკეანის დინებასა და ქარს.

ჰეიერდალის თეორიას რამდენიმე მომხრე გამოუჩნდა. ამერიკელი არქეოლოგების ჰ. სინოროს და კ. ემორის გათხრები პოლინეზიაში ჰეიერდალის

სასარგებლოდ ლაპარაკობენ, კერძოდ, იქ აღმოჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლებზე არის სამხრეთ ამერიკული კულტურის გავლენის შესამჩნევი კვალი.

ცნობილია, რომ უკანასკნელ ხანებში მსოფლიო მეცნიერთა სამყარო აღაპარაკდა საბჭოთა მეცნიერის პროფ. კნოროზოვის აღმოჩენაზე. მან დღემდე დამუნჯებელი მიახს (სამხრეთ ამერიკა) დამწერლობა ამეტიყველი და ეს მეცნიერი ჰეიერდალის თეორიის სასარგებლოდ ლაპარაკობს. კერძოდ, აღდგომის კუნძულზე აღმოჩენილი დამწერლობის ნიმუშების შესწავლის შედეგად კნოროზოვმა განაცხადა: ამ კუნძულზე წერას იწყებდნენ მარცხენა ძირის კუთხიდან, ხოლო მომდევნო მეორე სტრიქონი გადაბრუნებულია (ბუსტროფედონ). ასეთი ხერხით კი მსოფლიოში ორგან წერდნენ: აღდგომის კუნძულსა და პერუზე.

დასავლეთ აზიის სექციის სხდომებს ბევრი დღეგატი ესწრებოდა როგორც ჩვენი ქვეყნიდან, ისე უცხოეთიდან. დღეგატები ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდნენ დარბაზში მყოფ წითელყელსახვევიან პიონერებს.

ეს წითელყელსახვევიანი პიონერები თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩი მხარეთმცოდნეები იყვნენ. ისინი მოსკოვში თავიანთი საკუთარი გამოფენით ჩამოვიდნენ. ნორჩ მხარეთმცოდნეთა მუშაობას არცთუ დიდი ხნის ისტორია აქვს. მას საფუძველი 1941 წელს ჩაეყარა, ხოლო 1962 წელს საქართველოს 20 რაიონის ნორჩი მხარეთმცოდნე ჩაება ამ დიდ საქმიანობაში. ეთნოგრაფიის სექციაში დღეისათვის 300 მოსწავლეა გაერთიანებული. სასახლის მხარეთმცოდნეობის კაბინეტი (ხელმძღვანელი ირ. მიქელაძე) ყოველწლიურად ატარებს სასწავლო შემოქმედებით შეკრებებს, კონფერენციებს. აქ, მოსკოვში, უნივერსიტეტის მე-19 სართულზე ნორჩ ეთნო-

გურამ გასიტაშვილი  
ტურ ჰეიერდალი ჟურნალ „ცისკარს“





გრაფთა მიერ მოწყობილ გამოფენას დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ სხვადასხვა ქვეყნის სწავლულები. ახსნა-განმარტებას დამთვალეირებლებს აძლევდნენ ირ. მიქელაძე, პიონერება: ნ. ჯავახიშვილი, მ. ვვათუა. თან სტუმრებს კახური ჩურჩხელებითა და გორული ვაშლებით უმასპინძლებდნენ.

ტურ ჰეიერდალს არ ასვენებდნენ კოლეგები, მისი გმირობით აღტაცებული თაყვანისმცემლები, განსაკუთრებით ახალგაზრდობა. და იგიც ყველას თავაზიანად აძლევდა ავტოგრაფს. 6 აგვისტოს პრეს-ბიუროს დარბაზში მოსკოვის ტელევიზიამ მას ფილმი გადაუღო. ვისარგებლეთ შემთხვევით და მოსკოველი ეთნოგრაფის დ. ტუმარკინის საშუალებით ვთხოვეთ ტურ ჰეიერდალს, ორიოდე წუთი დაეთმო ჩვენთვის, საქართველოდან ჩამოსული ახალგაზრდობისათვის. იგი დაგვთანხმდა.

მე ხელთ მქონდა გამოცემლობა „ნაკადულის“ მიერ ტურ ჰეიერდალის წიგნის „მოგზაურობა კონ-ტიკით“ მესამე გამოცემა ქართულ ენაზე. ტურ ჰეიერდალს ეგონა, რომ მე მას ვთხოვდი წიგნზე წარწერას. მე ვუთხარი — ეს თქვენი წიგნია ქართულად გამოცემული და მინდა თქვენ გადმოგცეთ მეთქი. მან ინტერესით დახედა მხატვრულ თავფურცელს: „ეს კონ-ტიკია, — წარმოთქვა და თან დასძინა, — ყოველთვის კარად გამახსენდება თბილისი“.

— აპირებთ კვლავ საქართველოში ჩამოსვლას? — ვკითხე მე. ტურ ჰეიერდალმა მიპასუხა: ძალიან დატვირთული ვარ მუშაობით, მაგრამ სიამოვნებით ჩამოვალ თბილისში, თუკი საშუალება მომეცაო. ტელევიზიის წარმომადგენლები გვაჩქარებდნენ. ტურ ჰეიერდალმა თვითონ ამოიღო სუფთა ქაღალდი და ჩვენი ახალგაზრდული

ქურნალის „ცისკრის“ საშუალებით კეთილი სურვილები გადასცა საქართველოს. ამის შემდეგ მას კიდევ ორჯერ შევხვდი, ერთხელ, როდესაც იგი ჩვენს გამოფენას ათვალიერებდა და მეორედ, როდესაც იგი ქართველი პიონერების სტუმარი იყო.

ჩქარა გაირბინა ერთმა კვირამ და აი, 10 აგვისტო. ისევ სააქტო დარბაზი. კონგრესი დამთავრდა. კონგრესზე მონაწილეობას იღებდა 58 ქვეყნის 2000-ზე მეტი დელეგატი (პარიზის კონგრესს დაესწრო 825 დელეგატი), მუშაობდა 27 სექცია და 17 სიმპოზიუმი. აფრიკიდან 6 დელეგატი იყო, ცენტრ. და სამხრეთ ამერიკიდან 13, დასავლეთ ევროპიდან 130, ჩრდ. ამერიკიდან 114 და ა. შ. საბჭოთა კავშირიდან კონგრესში მონაწილეობას იღებდა 56 ხალხის 307 წარმომადგენელი. კონგრესზე მონაწილეობდა 357 ეთნოგრაფი, 210 ანთროპოლოგი, 23 მუზეუმთმცოდნე, 40-მდე ენათმეცნიერი და სხვა დარგის სპეციალისტები. ყველაზე „ცხარე დღე“ იყო 5 აგვისტო, როდესაც კონგრესის სექციებს 2400-ზე მეტი დელეგატი და სტუმარი დაესწრო, ხოლო მათგან ყოველი მეხუთე კამათში მონაწილეობას იღებდა.

კონგრესზე აჩვენეს 85 ფილმი. აქედან 7 ანთროპოლოგიური, დანარჩენი ეთნოგრაფიული. საბჭოთა კავშირიდან წარმოდგენილი იყო 50 ფილმი.

კონგრესი ორგანიზებულად ჩატარდა და ბევრი რამ შესძინა მეცნიერებას. მსოფლიოს სწავლულებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი მიღწევები, დააზუსტეს თავიანთი შედეგები. ამ კონგრესმა დააახლოვა სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები და მშვიდობის განმტკიცების კეთილშობილურ საქმეს ხელი შეუწყო.



## ერთი რომანის ავტორი

ახლახან აკაკი გეწაძემ გამოაქვეყნა დიდტანიანი რომანი „ყარამან ყანთელაძე“ (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1964 წ.). ჟანრობრივად იგი თაღლითური რომანია (ესპანური novela picaresca, გერმანული Schelmenroman). ამ ხასიათის ნაწარმოებები ყოველთვის ინტერესით იკითხება და ამიტომ დიდი გულისყურით დავიწყებულ კითხვა, მაგრამ 530-გვერდიანი წიგნის წაკითხვის შემდეგ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დამჩნია. ასეთი განწყობილების დროს ყარამან ყანთელაძის სიტყვები გამახსენდა: „...სიბრძნის საკრფად შარაზე გავედი, სოფელქვეყანაში დავიწყე სიარული, ვეცნე და ვეცნე სიბრძნის მარცვლები. ზოლო რაც ავკრიფე, აგერ, თქვენთან ვაბნევ, ვაბნევ გულუხვად და ალაღად. რაც არ მოგეწონოთ, ფეხი გაჰკაროთ, გადააგდეთ და მტვერში ჩამარხეთ. მოგიკვდეთ ყარამანა, თუ ვინმეს საყვადური ჰქადროს“ (გვ. 176). დავიჯერე ყარამან ყანთელაძის (ცხადია, ეს განცხადება ავტორის აზრსაც გამოხატავს) გულწრფელი აღსარება და გადავწყვი-

ტე, რაც არ მომეწონა, აშკარად და გულახდილად მეთქვა.

ნათელი და გასაგები რომ გახდეს, რა გვაქვს ავტორთან სადავო, მოკლედ გვეცნოთ ყარამან ყანთელაძის პიროვნებას.

ახლავე უნდა აღინიშნოს, რომ აკაკი გეწაძეს ყარამან ყანთელაძის სახით უცვლია კოლა ბრუნიონისა და ბათა ქეჭიას ტყუპის ცალი შეექმნა. თავისთავად ასეთი ასოციაცია გარკვეულ დამოკიდებულებასა და მოთხოვნილებას ბადებს მკითხველში, აიძულებს მას უკვე კარგად ცნობილი პოზიციიდან აწონ-დაწონოს აკაკი გეწაძის გმირის პიროვნება. ამიტომ ხანდახან მათ შორის პარალელების გავლება არც მოულოდნელი უნდა იყოს და არც ხელოვნური. მას მხოლოდ აზრის ნათელსაყოფად გამოვიყენებთ.

ყარამან ყანთელაძე ამქვეყნად არაჩვეულებრივად გაჩენილა: დედის მუცელში ცხრა თვის მაგიერ თორმეტი თვე დაუყვია (გვ. 7). ყარამანი ამითაც არ დაკმაყოფილებულა და უკულმა დაბადებულა (გვ. 5). გმირის ასეთი გა-

მოჩენა მკითხველს არაჩვეულებრივისა და ზღაპრულისავენ განაწყობს. ორში ერთი: ან სატირული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ჰიპერბოლირებასთან გვაქვს საქმე, ან გმირმა მითიური ამირანივით ზებუნებრივი ამბები უნდა მოიმოქმედოს. არც ერთი და არც მეორე. ყველაფერი, რაც შემდეგ რომანშია მოთხრობილი, შორს არის როგორც სატირული, ისე გმირული ელემენტებისაგან. პირიქით, ყველაფერი მოთხრობილია ყოფით პლანში, ხშირად ნატურალისტური სიცხადითაც კი. იმთავითვე მითითებული თორმეტთვიანობა და უკუღმა დაბადება მნიშვნელობას კარგავს და მხატვრულ განვითარებას არ პოულობს.

პატარა ყარამანის ცხოვრება სავსეა განუკითხავი სისასტიკით. მართალია, ყვინჩილა უნებლიეთ შემოაკვდა (გვ. 59), მაგრამ მეზობლის კატას კი შეგნებულად გააცხებინა სულ: „ბედლის წინ დაღებული წალდი ავიღე, ფხაკრფით მივეპარე ქურდს (კატამ ყარამანს კოკორა მოპარა — ა. ბ.) და თავში ყუით ვროფე. ერთი დაიჭყავლა. გადაკოტრიალდა, უღვამები გააცმაცუნა და ფეხები გაფშოკა“ (გვ. 63). ყარამანი ამით არ დაკმაყოფილდა და 72-ე გვერდზე ბაბუას ქვით კბილები ჩაუბტვრია („ავიღე ერთი მრგვალი, მუჭისსიმსხო ქვა, გავიქნეი და ბაბუას გაბერილ ყბაში ვუთაქე“).

იზრდება ყარამანი და იზრდება დანაშაულის ჩადენის სურვილიც: „მეზობლის ქათმის ჩუმად მოკვლა ნიორწყალში ჩადებულ შემწვარ წიწილას მერჩინა“ (გვ. 80). ერთხელ იგი მამამ შეაშინა — ბაყაყი არ მოკლა, თორემ დედა მოგიკვდებო. ვაიკო თუ არა ეს ყარამანმა, ბაყაყი მეზობელი ბიჭის — კეკო ჩალაძის ეზოში გადადენა და ბავშვობის ძმაცაცს იმდენი უჩიჩინა, სანამ ბაყაყი არ მოაკვლევინა: „გულში გამეცინა და მეგობარს რომ არაფერი შეეტყო, მოვშორდი. მეგონა, კეკოიას დედა მოუკვდებოდა“ (გვ. 82). არცერთხელ არ დაბადებია პატარა ყარამანს კეთილი საქმის ჩადენის სურვილი.

პირიქით, როცა ბოროტების ჩადენამდე ხელი არ მიუწვდებოდა, მაშინ ფიქრით ცდილობდა ვინმესთვის ზიანის მიყენებას.

განსაკუთრებულ სიამოვნებას ყარამან ყანთელაძეს ცხოველების წვალება ანიჭებს. ყარამანმა და მისმა ძმაცაცმა კეკოიამ ხარი და ძროხა კუდებით ვადააბეს ერთმანეთს. „ხარმა ვაჭკრა, გაიწია და ძროხა კუდით წაითრია. წაიტყა ძროხა. ხარი მაინც არ მოეშვა, წამოაყენა და ისევ წაითრია, ფეხებით მიწა გაახვნევენა და ზარდამცქად ააბლაგლა. უცებ ხარი წაფორხილდა, ძროხა კი მოწყვეტით დაეცა. ვხედავ: ხარი ორი კუდით გაუყვა ბილიკს. აქეთ მოვიხედე: ძროხა უკუდოდ გადა და სისხლი ღვარად სდის“ (გვ. 152). ამის შემდეგ ძაღვები გადააბეს კუდებით. „გაიწე-გამოიწიეს ძაღვებმა, ხაა ერთი მიათრევდა და ხან—მეორე. ძაღლი პირუტყვივით მოუქნელი კი არ არის, ტანს თავისუფლად ვრეხს და ნაირნაირად ხტის. გადაბმულმა ძაღვებმა დაკბინეს და დაასისხლიანეს ერთმანეთი; თავისი კუდი კი არც ერთმა არ შეატოვა მეორეს“ (გვ. 153).

სისასტიკისა და უღმობელობის უფრო ნათელი გამოვლენა შეუძლებელია. მაგრამ საოცარი ის არის, რომ ეს არ იწვევს არც ავტორის და არც პერსონაჟის სინდისის ქენჯნას ან სინანულს. პირიქით, ეს ფაქტები გამოყენებულია „ფილოსოფიური“ დასკვნების გასაკეთებლად. ალბათ ამიტომ არის, რომ ისინი ნამამობია მომეტებული ხალისითა და სიამოვნებით.

დასკვნები ასეთია: კულმოგლეჯილი ძროხა ბუზებს ვეღარ იგერიებდა. ხარი მივიდა და თავისი გრძელი კუდით ძროხის შემაწუნებელ ბუზებს მწარე დღე დააწია. აქედან ყარამანი „მიხვდა, რომ ხარსაც ჰქონია გული“ (გვ. 153). კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ნამამობსა და დასკვნას შეუძლია რეაქციული აზრიც დაბადოს: პირუტყვს სიბრალულისა და თანაგრძნობის შეგნებაგრძნობა ჰქონია, აღამიანი კი დაცლილი ყოფილა ამ თვისებისაგან, რადგან

ძროხა უკუდოდ ყარამანის „გონება-  
მახვილობის“ წყალობით დარჩა.

ძალღებზე ჩატარებულმა ცდამ კი  
ყარამანის შემდეგი სენტენცია წარმო-  
შვა: „ხალხო და ჯამათნო, ისმინეთ  
ჰეშმარიტი სიტყვა, ისმინეთ! მე და-  
ვამტკიცე, რომ ძაღლის კუდს ვერც სა-  
აქოს გაასწორებს ვინმე და ვერც საი-  
ქოს. შეიძლება მთა-ბარი გასწორდეს,  
ძაღლის კუდს კი არაფერი ეშველება“  
(გვ. 153). ეს უკვე ბებერი ყარამანის  
მსჯელობაა. ჩანს, ასაკი, ცხოვრების  
გაყვეთილებს, დროს იგი არ შეუცვ-  
ლია. რა გონებრივი სიმდიდრეც ზვეშ-  
ვობაში გააჩნდა, სიბერეშიც ის შერ-  
ჩენია.

ადამიანის საქციელი მის ბუნებაზე  
ლაპარაკობს და მის სულიერ სამყა-  
როს ხსნის. შეიძლება ადამიანის მი-  
მართ ჩადენილი სისასტიკე რითიმე  
გამართლო, ახსნა, გასაგები გახადო,  
ცხოველის (მით უმეტეს, შინაური პირ-  
უტყვის) მიმართ ჩადენილი სისასტიკე,  
ულმობელი საქციელი კი შეუძლებე-  
ლია რაიმე მოტივით ახსნა ან გამარ-  
თლო. იგი ნათლად მეტყველებს ერთად-  
ერთს: შინაური პირუტყვის მიმართ  
ბოროტების ჩამდენი ადამიანი სული-  
ერად ლატაკია და გონებრივად სუსტი.  
სხვათაშორის, კლავდიუს ელიანი მოგ-  
ვითბრობს, რომ ძველ საბერძნეთში არ-  
სებობდა ატიკური კანონი, რომლის  
თანახმად არ შეიძლებოდა მუშა ხარის  
დაკლა, რაკი იგი გუთანს ეწეოდა,  
ურემს ატარებდა, მიწის მხენელი და  
ადამიანის დამხმარე იყო შრომაში. აქ  
გამოხატულია გლეხური სიბრძნე, რო-  
მელიც პირუტყვის პატივისცემასა და  
სიყვარულს გულისხმობს. ამ სიყვა-  
რულს კი ყოველი გლეხი წმინდათა-  
წმინდად ინახავს და იცავს ყველგან.  
ყარამანიც გლეხის შვილია, მაგრამ  
რატომღაც მას და კუჭო ჩალაძეს პათო-  
ლოგიური მისწრაფება აქვთ ცხოველე-  
ბის წამებისაკენ. თუ ყარამანმა კატა  
მოუკლა, არც კეჭო დარჩენილა მოვა-  
ლედ: ყარამანის ძაღლს—ქურტხას ნემ-

სი გადააყლაპა და მოკლა (გვ. 156).  
თუ ყარამანი ნესტორა მეწისქვილის  
დიდ თხას მოახტება და მინდა რომ  
ცხენივით დააჭენებს (გვ. 157), კეჭო  
მჭედლის ძროხას ტყეში შედენის, იქ  
დაბამს და მგელს შეაჭმევინებს  
(გვ. 166).

სამწუხაროდ, მწერალს ჰგონია, რომ  
ყარამანისა და კეჭოს აღწერილი საქ-  
ციელი სასაცილოა და მკითხველს მო-  
მეტებულ მხიარულ გუნებაზე დააყე-  
ნებს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ სას-  
ტიკი და უხეში საქციელი სასაცილო  
არასოდეს არ ყოფილა.

საერთოდ, აქ გეწაქე ამბის ემბირი-  
ული ჩვენება-აღწერით კმაყოფილდება,  
რის გამოც რომანის პერსონაჟები მოკ-  
ლებულნი არიან ხასიათის სირთულეს  
და მრავალფეროვნებას. რომანის 164-ე  
გვერდზე ავტორი გვიყვება: „ერთ  
მშვენიერ დღეს საცივარაში ხმა გუვარ-  
და: სიბალახოდ გარეკილი ძროხებს  
გველი შესჩვევია და წოვსო. ხან ვის  
მისდიოდა ჯიქანდაცლიერი ძროხა და  
ხან — ვის“. ბოლოს გამოირკვა, რომ  
კეჭო და ყარამანი სჩადიდონენ ამ საქ-  
მეს. „კეჭო რომ ძროხას ტყეში შეიტ-  
ყუებდა, მე დიდ მუხაზე ავფორობდე-  
ბოდი და ვუთვალთვალბდი, ქურდს  
თავზე არვინ წასდგომოდა“ (გვ. 165).  
რატომ იპარავდნენ რძეს? მხოლოდ და  
მხოლოდ სტომაქის ამოსავსებად. სხვა  
რამ, უფრო რთული ან კეთილშობილი  
მოტივი, მათ არ ამოძრავებს. სხვისი  
მეწველე საქონლის გამოწველის ფაქტი  
ნ. დუმბაძესაც აქვს მოთბრობაში „მე  
ვხეოვ მუხს“, მაგრამ აქ სოსოიასა და  
ხატისა „ქურდობა“ გაპირობებულია  
კეთილშობილი განხრახვით — რძე და-  
ჭრილ რუს ჯარისკაცს სჭირდება გამო-  
საჯანსაღებლად. საქციელის გამაპი-  
რობებელი მოტივის კეთილშობილება  
თავად პერსონაჟების ამაღლებულ ბუ-  
ნებაზე მეტყველებს. აქ გეწაქესთან კი  
ქურდობა დახატულია ისეთი სახით,  

---

აკაკი ბაქრაძე  
ერთი რომანის ავტორი

რომ ამცირებს, აკნინებს მკითხველის თვალში ყარამანსა და კეჭოს. მათი დამცირება კი სრულიად არ იყო ავტორის ამოცანა. პირიქით, აკ. გეწაძეს უნდოდა, რომ მისი პერსონაჟები შეგვეყვარებოდა და მათი მოქმედების გამო გულიანადაც გვეცინა.

სიცილი მაშინ არის შესაძლებელი, როცა მწე ხლის მიერ აღწერილ მოვლენას ორი შინაარსი აქვს — ნამდვილი და მოჩვენებითი. სოსოიასა და ხატის მიერ სხვისი თხების გამოწვეულა ქურდობაა, მაგრამ ამბავი გვაჩვენებს, რომ ეს (ქურდობა) მოვლენის (თხის გამოწვევის) ჩოჩვენებითი შინაარსია. ამ მოვლენის ნამდვილი შინაარსი კი ავადმყოფი კაცის დახმარების უანგარო სურვილი (რძე ეკუთვნის დაპრილ ჯარისკაცს). მკითხველი მოტყუებული რჩება, მაგრამ მას ეს ტყუილი სასიამოვნო სიცილს გვრის, რადგან ადამიანის კეთილშობილი ბუნების დანახვაში ეხმარება. „ყარამან ყანთელაძეში“ კი მოვლენა (კეჭოსა და ყარამანის მიერ სხვისი ძროხების გამოწველა) თავის ერთადერთი შინაარსით აღიქმება და ამდენად ფაქტის კონსტატაციის იქით არ მიდის.

ყარამანის საქციელის შესახებ მსჯელობას თუ გავაგრძელებთ, აღმოჩნდება, რომ მისი (საქციელის) შემოფარგვლა ზემოთ მოხსენებული ამბებით არ შეიძლება. ერთხელ იგი მამამ, ამბროლა ყანთელაძემ, მთაში წაიყვანა საყანე მიწის დასახენელად. მცონარა ყარამანმა გლეხკაცის შრომას ვერ გაუძლო და მამას უგერგილოდ და უფხოდ ეხმარებოდა. შვილის სიზნატემ და მოუქნელობამ ამბროლა გააბრაზა. ყარამანს დაუყვირა და ბელტი ესროლა. როგორ თუ დამიყვირე და ბელტი მესროლეო, გაცეცხლებულმა ყარამანმა ნაჯახს ხელი წამოავლო და მამა მოსაკლავად გაიმეტა (გვ. 214). გაქცევით უშველა თავს ამბროლა ყანთელაძემ. მართალია, ამ ინციდენტის შემდეგ ყარამანი უკან მიბრუნდა და მოსახენელი მოხნა, მაგრამ რომანში დამაჯე-

რებლად არაა ნაჩვენები პერსონაჟის შემობრუნება, ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა. ამას მწეწეწე გრძნობს და პერსონაჟის მოქმედებას ასე აშართლებს: „რა დაგიმალოთ, ცოტა ზანტი ვიყავი, თუ არა, სიმარჯვე კი არ მაკლდა. საქმეს რომ გულით მოვეკიდებოდი, ხელში მადნებოდა ხოლმე“ (გვ. 215). მაგრამ ყარამანის ორი თვისებიდან ერთი — სიზნატე — დახატულია საღებავების დაუშურებლად, მეორე — სიმარჯვე და საქმის ხელში შემოდნობა კი მწერალს მარტოოდენ ლიტონი განცხადებით აქვს წარმოდგენილი. ამიტომაც ყარამანის სიზნატის, სიზარმაცის სჯერა მკითხველს, სიმარჯვისა და შრომისმოყვარეობისა კი — არა. ამასთანავე მარჯვე და მშრომელ კაცს მამის მოწოდება — იმეშვეო — ისე არ გააბოროტებდა, როგორც მწერალს აქვს აღწერილი. აქ უსათუოდ აკლია ყარამანის საქციელს ფსიქოლოგიური დამაჯერებლობა და უტყუარობა. ყარამანისადმი უნდობლობას ისიც აძლიერებს, რომ ამ კაცს ბოროტების ჩადენისაკენ აქვს მიდრეკილება. მაგალითად, როცა თვითონ არავის მოკვლას არ აპირებს, მაშინ იგი სხვებს აქეზებს ერთმანეთის მოსაკლავად (გვ. 223).

ასეთი იყო ყარამანის ცხოვრება სოფელად. არც ქალაქში გამოცვლილა იგი. საინტერესოა, რატომ დატოვა ყარამანმა მშობლიური სოფელი და სახლ-კარი? არავითარ სოციალურ უსამართლობას იგი არ გამოუღდია სოფლიდან. ყოველ შემთხვევაში, ამის შესახებ აკ. გეწაძეს არაფერი აქვს ნათქვამი. პირიქით, ყარამანი უკადრისა კაცია და სოფელში საქმიანობა არ მოსწონს. ამის საბუთია მამის სიტყვები: „შინ არაფერს მიკეთებ, და, აჰა, რა გიყო, ბიჭო? ცოტა მეც შემობრალე. რაკი საშენო საქმე საკვიარაში არ გამოჩნდა, წადი ქალაქში, ეგება იქ მაინც მოგეწონოს რამე ხელობა. რადაცას უნდა დაულო გული, ისე წუთისოფელი დაგჩაგრავს. სულ მე კი არ გეყოლები“ (გვ. 223). ასე გამოისტუმრეს ყარამანი ქალაქში. რო-

მანში არც ძველი დროის ქალაქის ყოფაა დახატული. მწერალი შემთხვევითი ამბების აღწერით დაკმაყოფილდა და ყარამანისა და ექვოს „უბედურება“ უმთავრესად (უფრო სწორედ: მხოლოდ) მათი დოყლაპობისა და ბოთეობის ბრალია და არა კაპიტალისტური ქალაქის სინამდვილისა.

ვიდრე უშუალოდ ქალაქში ყარამანის თავგადასავლის თხრობა-ანალიზს გავაგრძელებდეთ, ერთ საკითხზე უნდა შევჩერდეთ — რომანში გამოირიცხულია ნათლად დახატული დროის ფაქტორი: რა სოციალურ გარემოში ცხოვრობენ პერსონაჟები — ძნელი ამოსაცნობია. ეპოქის სახის დასახატავად მარტოოდენ მღვდლისა ან „გოროდოვოს“ მოხსენიება არ კმარა. იქნება ავტორს სურდა დროის გარეთ მდგომი, ზოგადი, ყველა ეპოქისათვის დამახასიათებელი მოვლენები აღეწერა და დრო-ჟამის საზღვრებით შეუბოჭავი სახე დაეხატა? მაგრამ მაშინ იგი თვითონვე არ უნდა უპირისპირებდეს ერთმანეთს ორ დროს — ყარამანის ბავშვობა-ახალგაზრდობის ხანას და სიბერის პერიოდს: „მაშინ ასე კი არ იყო, დღეს უფესსაცმელოდ ერთი ბავშვი რომ აღარ დადის“ (გვ. 88). „ა, ჩემო გვრიტებო, რა შავბნელ დროში ვცხოვრობდით წინათ! უკულმართი ჟამი გვიდგა და სიბრძნეც თავისი შესაფერი ჰქონდა. ასე კი არ იყო, ახლა ყველა ერთმანეთის სიყვარულს რომ ქადაგებს!“ (გვ. 237). აქ დროს მისამართი გარკვეულია და იგი ორიოდ სიტყვით — შავბნელი და უკულმართი ჟამი — დახასიათებულიც არის. რაკი მკითხველმა მისამართი იცის, იგი მეტსაც მოითხოვს—სურს ნახოს დროის სურათი და სახე. მით უმეტეს, ეს აუცილებელია ფართობლანიან რომანში. აქ მარტოდენ მისამართი და მოკლე დახასიათება არ კმარა. აკ. გეჟაძე კი რასაც გვიყვება, უმრავლეს შემთხვევაში გვიყვება ყოფის სიცხადით.

არაობიექტური ვიქნებოდით, რომ არ აღმენიშნა ერთი ეპიზოდი, რომელიც ალბათ ავტორს აღწერილი აქვს

როგორც ბურჟუაზიული ყოფის სველაზე დამახასიათებელი ამბავი, რომელითაც იგი ცდილა გაეხსნა ეპოქის სახე. ეს არის უტოლშვილოდ დაბერებული დიდი კაცის კონსტანტინე დიმიტრის ძის ძაღლის დამარხვის ეპიზოდი (წაიკითხეთ თავი „ქუქის ტირილი და შავხავერდიანი ბაღდაჩინი“). თუ ამ ეპიზოდს განვიხილავთ სოციალური ასპექტით, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ქართული ბურჟუაზია არ მისულა გადაგვარებისა და მარაზმის ამ დონემდე. ამისათვის მას არც სიმდიდრე ჰყოფნიდა, არც სოციალური უფლებამოსილება, არც პოლიტიკური თავისუფლება და არც ცხოვრება მოყირჭები ეგზომ. სხვათა შორის, ნიკო ფიროსმანს დახატული აქვს სურათი „უშვილო მილიონერი და ბავშვებიანი ღარიბი ქალი“, რომელშიც უშვილობის საოცარი სვედა აქვს გადმოცემული. მხატვარს, რომელსაც საკუთარი თვალით უნახავს ქართველი ბურჟუა, არ უნებებია ძაღლი ექცია მილიონერის ერთადერთ ნუგეშად, რადგან იცოდა, რომ მსგავსი რამ არ იყო ქართული სინამდვილის დამახასიათებელი ნიშანი. გაზეთებში ამოკითხული უცხოური სინამდვილიდან აღებული მსგავსი ფაქტები კი მე-19 ან მე-20 საუკუნის დასაწყისის თბილისის ცხოვრების სურათის დასახატავად არა-მცდაარამც არ გამოდგება. პიროვნული ასპექტით განხილული ეს ამბავი კი კერძო შემთხვევად უნდა ჩავთვალოთ და თან კონსტანტინე დიმიტრის ძის კრეტინიზმი ყოველი დროის კაცისათვის შეიძლება იყოს დამახასიათებელი. ჩემ მიერ უკვე ერთხელ მოხსენიებული რომელიც მწერალი კლავდიუს ელიანინც მოგვითხრობს იდენტურ ამბავს: ათენელი მოქალაქე პოლიარქე ძაღლებსა და მამლებს ადამიანებივით მარხავდა, რადგან ძაღლიან უყვარდა ისინი. პოლიარქე არც ბურჟუა ყოფილა და არც კაპიტალისტი. ელიანს ეს

აკაკი ბაქრაძე  
ერთი რომანის ავტორი

ამბავი მოჰყავს, როგორც ადამიანის გამოყვეყჩების ნიმუში

აქ. გეწამეს კონსტანტინე დიმიტრის ძის დაკრძალვაც აქვს აღწერილი. თუ ამ კაცის ძაღლის დამარხვას უამრავი ხალხი ესწრებოდა, თავად კონსტანტინეს დაკრძალვას არავინ დასწრებია. აქ ავტორი ამხელს ადამიანურ უმადურობას, ანგარებას და უზნებობას. როცა კონსტანტინე ცოცხალი იყო, მისგან სარგებელს მოელოდნენ (ყარამანმაც კარგა ბლომად ფულეები ჩაიხზრიალა ჯიბეში ძაღლის დამარხვის დღეს). სიკვდილის შემდეგ კი დიდ კაცს აღარავინ პატივისცემა შეეძლო და ისიც აღარავის გახსენებია. „ეჰ, ჩემო ძმაო, იმ ძაღლს ჭირისუფალი იმიტომ მოაწყდა, პატრონი დავგინახავს, ეამება და ჭირისუფლებური თავდადება დაგვიფასდებოთ. კონსტანტინეს კი ჭირისუფლის დამნახავი არვინ დარჩა, ამ გოშისას გარდა. ჰოდა, ვინდა სცემს პატივს?“ (გვ. 338). აქ ნაჩვენებია ცხოვრების მწარე ირონია, მაგრამ ეს მოტივი ერთხელ უკვე დაამუშავა პ. ლორიაშვილმა სატირულ მოთხრობაში „ბახვადის დედაბერი“. მის გამეორებას მაშინ ექნებოდა ფასი, თუკი აქ. გეწამე ამ ფაქტს ახალი კუთხით დაინახავდა და დროის შესაფერისი გლფერითა და სურნოით გადმოგვეცმდა. სხვანიარად, ნაცნობი მოტივის მხოლოდ გამეორება შეგვრჩა ხელთ.

ახლა მივუბრუნდეთ ყარამანის თავგადისავალს ქალაქში. აქაც ნათლად გამოვლინდა მისი სიზარმაცე და იოლი ცხოვრების ტრფალი. ქალაქში ჩამოსულმა ყარამანმა უარი თქვა მეთონისთან ემუშავა, რადგან არც ცომის მზილავად გამოდგა და არც პურის გამყიდველად (გვ. 279—284). სამაგიეროდ ტკბილად მიირთმევს ძაღლის სალაფავს. „ვიღაცამ ძაღლს ზედა სართულიდან ხორცის ნაჭირი და პურის ნატეხი გადმოუგდო. ძაღლი ხორცს ეცა. მი დრო ვინელთე და პურს დავავლი ხელი, სული შიგუბირი მჭვირი მოგაშორე და მათიანად ჩაგჭიჩე. ძაღლმა და კაცმა ამომავალი სული ჩავი-

ბრუნეთ და გზა განვაგრძეთ. დუქნებიდან და სახლებიდან ბებერ ნაგავს ვინ რას უგდებდა და ვინ რას. ამ დუქნებში ლუქმას ორივე ვინაწილებდით. ნაგავი ჯერ მიღრენდა, მერე, რაკი ცოტა ამოივსო კუჭი, უჩემოდ აღარც ჰამდა. ვამიშინაურდა ძაღლი და მეც დავემოყვარდი. რა მეტი ჩარა იყო, ვამიგემრეველდა ძაღლის ლუქმა“ (გვ. 288). ყარამან ყანთელადის აზრით, ადამიანი ყოველგვარ დამცირებას უნდა შეურიგდეს ფიზიკური არსებობის შესანარჩუნებლად: „მტყუნანა და მართალს ყველას თავს ვუკრავდი და ვეთანხმებოდი, ცამდე მართალი ბრძანდებით-მეთქი. ასე რომ არ მექნა, ვინ იცის, ახლა ჩემი ბუნდლაც აღარ იქნებოდა. ვიცი, ზოგი დამძრახავს, ეგ რა ვაქვაცობაო, მარა ყველა რაინდად კი არ არის დაბადებული! ზოგი ისე ცხოვრობს, ზოგი — ასე. მთავარია, კაცმა სიცოცხლე დიდხანს შეინარჩუნო და რაფერ შეინახავ თავს, ეს შენს ფხასა და მარაფათს მოჰკითხე“ (გვ. 344). აზრის ცინიკურობას რომ თავი დავანებოთ, ყარამანი აქაც, ადამიანის ამ უკიდურეს დამცირებაში, უღარდელი სიცილის საგანს ხედავს: „თუ იმაზე ფიქრით ჰქუა იღრძე, — ეს ამბავი სასაცილო არის თუ არაო, — ვერასოდეს გაიცინებ“ (გვ. 310). რაკი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ადამიანმა ყოველგვარ პირობებში უნდა იცინოს და გულს დაარბო არ მიაკაროს, მწერალი აღარ დასჯერდა ყარამანის მიერ ძაღლის ულუფის ჰამას და იგი სხვისი ქელეხების მუშტრადაც გახადა: ყარამანი ერთ ხანს თავს იმით ირჩენდა, რომ საღაც კი მიცვალბულს მოჰკრავდა თვალს, პროცესიას აედევნებოდა და დასაფლავების შემდეგ სხვის ქელეხში ურცხვად მოიხსენდა (გვ. 316—317). მერე ყარამანმა სასაფლაოზე სხვისი გვირგვინების მოპარვა დაიწყო, მეგვირგვინესთან მიჰქონდა და ხელმეორედ ჰყიდდა (გვ. 326—327). ყარამანისათვის არც მლიქვნელობა, პირმოთნეობა, სიცრუე და გაიძვრობაა უტბო. მიუხედავად ყოველივე ამისა, ავტორს მაინც სჯერა, რომ მკითხველი ყარა-

მანს შეიყვარებს და თუ მისაბად გმი-  
რად არა, ცხოვრების მხიარულ თანა-  
მგზავრად მიინც გაიხდის. იქნება ავტო-  
რის ასეთი რწმენა ყარამანის გონება-  
მახვილობასა და ენამოსწრებულ  
ოქმებს ემყარება? სიმართლე უნდა  
იოქვას და აქ ყარამანი, მართლაც, წარ-  
მოდგენილია, როგორც დაკვირვებულ  
და გონებამახვილი კაცი. მართალია,  
ზოგჯერ მის აფორიზმებში მწარე ირო-  
ნია არის ჩაქსოვილი, მაგრამ ეს კიდევ  
უფრო ნათლად წარმოგვიდგენს აქტი-  
ური გონების კაცს. ამის დასადასტუ-  
რებლად გაგახსენებთ ყარამანის ზოგი-  
ერთ აფორიზმს:

„...ზოგჯერ შეიძლება ჭეშმარიტად  
ბრძენი კაცი შიშვლით მოკედეს, უჭმე-  
ლობით სულდაღაფულთ სულელი კი  
ჯერ არსად მიხახავს“ (გვ. 33).

„...როცა ორივე ხელს ფულით გაგივ-  
სებენ, შარვალსაც იოლად ჩაგზდიან და  
სინდის-ნამუსსაც ადვილად დაგაკარგ-  
ვინებენ“ (გვ. 69).

„...სიტყვას თურმე თავისთავად ჭკუა  
არა აქვს. მისი სიავკარგე იმით იზომე-  
ბა, თუ ვინ ამბობს. კაცს თუ ერთხელ  
ბრძენი შეერქვა, მერე მისი ნათქვამი  
სისულელეც სიბრძნედ საღდება,  
ჯრთებს ისხამს და მიფრინავს მთიდან  
მთაზე. სხვის ბრძნულ სიტყვას კი არა-  
ფრად აგდებენ“ (გვ. 123).

„—ეჰ, რა უთაურად არის ეს წუთი-  
სოფელი მოწყობილი? ვინც სამეფო  
გვირგვინს იპარავს, ხალხი თაყვანს  
სცემს, ქება-დიდებას უგალობს და უკე-  
თილშობილეს ადამიანს ეძახის, ზოგ-  
ჯერ ღმერთადაც სახავს, მე კი... აგერ,  
ერთი უბრალო ყვაილების გვირგვინს  
მოპარვა დავაპირე და... თავი წი-  
წილასავით უნდა წამაწყვიტონ!“ (გვ.  
336).

ყარამანის ასეთი მსჯელობის წყა-  
ლობით მკითხველს მის პიროვნებაზე  
სიმპათიური წარმოდგენა ექმნება. თან-  
დათანობით მყარდება მასთან ემოციუ-  
რი კავშირი, მაგრამ რატომღაც მწე-  
რალი ხანდახან თვითონვე აკნინებს  
თავის გმირს: ალაპარაკებს შეუფერე-

ბელი ბილწი ენით და მიაწერს იაფფ-  
სიან ხუმრობებს.

„ამ დროს ნიავმა დაუბერა, ჩეჩნის  
სუნი მეცა და ამან მამცნო, შიშს იაკო-  
ფასათვის რა ღლევ დაწოა“ (გვ. 180).

„გვერდით უბეგამოხეული ჩემი ნიფ-  
ხავი ეფინა“ (გვ. 271).

„ერთ ქალს ქალაქელმა ბიჭებმა თუ-  
რმე ნიფხვის ძალით გახდა დაუპირეს  
და ხელი რომ სტაცეს, სულ უნიფხვო  
აღმოჩნდა“ (გვ. 361).

„ბატის ხორცი კაცს ახურვებს, ახურ-  
ვებულ კაცს კი ჯირკიც ქალად ეჩვე-  
ნება“ (გვ. 380).

„კაკლის ძირში ძალი იწვა. საწყალს  
რწყილები აწუხებდნენ, სქელ ბალანში  
კბილებით ეძებდა, იჭერდა და გაბრა-  
ზებული აცნატუნებდა. წამდაუწუმ მეს-  
მოდა მისი ყბების კაპუნი. ორიოდ  
რწყილი ძაღლის კბილებს გამოექცა.  
შარვლის უბეში შემომიძვრა და უსაშ-  
ველოდ გამამწარა“ (გვ. 470).

მართალია, სკაბრეზულობა სარკაზ-  
მისათვის დამახასიათებელია და იგი  
უცხო არა არის არც ხალხური ზეპირ-  
სიტყვიერებისა და არც კლასიკური  
ლიტერატურისათვის, მაგრამ ორივეგან  
უნებართვოსა და ნებადართულს შო-  
რის ზომიერების საზღვარი დარღვეუ-  
ლი არ არის. ამასთან ერთად, სკაბრე-  
ზულობას თავისი მხატვრული ამოცანა  
აქვს დაკისრებული: იგი გამოხატავს  
ავტორის დამოკიდებულებას პერსო-  
ნაჟის, ან მოვლენის მიმართ. თანაც ამ  
დამოკიდებულების ნიუანსების ჩვენე-  
ბაშიც გვეხმარება. თუ ავტორის პერ-  
სონაჟისადმი დამოკიდებულება უკი-  
დურესად უარყოფითია, მაშინ სკაბრე-  
ზული სარკაზმი მოურიდებელია და  
ლიტერატურული ეთიკით შეზღუდული  
არ არის. თუ სარკაზმი უკიდურესი  
უარყოფის მაგიერ ერთგვარ სიმპათი-  
პატივისცემასაც გლლისხმობს, მაშინ  
სკაბრეზულობა გაშიშვლებული სახით

აკაკი ბაქრაძე  
ერთი რომანის ავტორი



არ არის მწერლის მიერ გამოყენებული.

მოვიტანოთ ორიოდ მაგალითი ზემოქმედის საილუსტრაციოდ:

ფრანგი ექიმი დიურანი ვარეგულად ლამაზი კაცია, მაგრამ ბოროტია და სულიერად ჭუჭყიანი პიროვნებაა. მწერალს სძულს იგი და მასზე ასე მოგვითხრობს: „დიურანმა გაიღიმა. ჩაყვითლებული კბილები თეთრ ქათქათა წვერების ფონზე მკვეთრ კონტრასტს ქმნიდა, თითქოს ვიღაცამ თოვლზე მოშარდაო“ (რემარკი, „ტრიუმფალური თაღი“). ჯულიეტა უყვარს გამდელის ქმარს. მართალია, მისი ხუმრობაც სკაბრეზულია, მაგრამ მინც შინაგანი მორიდებით არის სავსე: „პირქვე დაეცი? არა უშვავს, როდესაც ჭკუა მეტი გექნება, დაეცევი მაშინ გულადმა“ („რომეო და ჯულიეტა“).

აქ გეწამე კი სკაბრეზულობით არ ქმნის არც თავის და არც ყარამანის დამოკიდებულებას სხვების მიმართ. იგი უბრალოდ კმაყოფილება მოურიდებელი გამოთქმებით და ფიქრობს, რომ თავისთავად, შინაგან შინაარსს მოკლებულიც კი — სკაბრეზული ხუმრობა სასაცილოა. ეს შეცდომაა, რამაც ხშირად პერსონაჟის სამეტყველო ენის დაბალი დონე განაპირობა.

ასეთი გაორება ყარამანის სახეს მთლიანობას უკარგავს: თითქოსდა, ყარამანი ორ სხვადასხვა კაცს აერთიანებდეს. ეს ხასიათის სირთულე არაა. რთული ხასიათის ჩვენებისას მწერალი შინაგან მოტივირებასაც არ უნდა ივიწყებდეს. დონ კიხოტი მოქმედების დროს სულელია, მსჯელობის დროს კი — ბრძენი. მაგრამ ლამანჩელი იდაღოს გაორებას დიდი საფუძველი აქვს და მისი გაორებაც მკითხველის მიერ ტრაგიკულად აღიქმება. ყარამანის მოქმედება-საქციელის და მსჯელობის განსხვავება ხშირად შინაგან საფუძველს არის მოკლებული და ამიტომაც მკითხველი ეჭვით ეკიდება როგორც მის გულუბრყვილობას, ისე კეთილშობილ საქციელს. მაგალითად, ავიღოთ ამბავი, რომელშიც მოთხრობილია, რო-

გორ დაკარგა ქვრივმა ფული და როგორ მოუწოდა ყარამანმა ხალხს ფული შევაგროვოთ და ქვრივს მართოთ. ხალხი გამოეხმაურა ყარამანის მოწოდებას და ქვრივს ფული შეუგროვეს (გვ. 313—314). რაკი ყარამანის ხასიათის ამ თვისებას (გაჭირვებულისადმი დახმარებას) რომანში არა აქვს არც დასაწყისი, არც განვითარება-გავრცელება, არც დასასრული, იგი უფრო აღიქმება როგორც პერსონაჟის ერთგვარი რეაბილიტაცია, ვიდრე მისი ხასიათიდან გამომდინარე კანონზომიერი მოქმედება.

ყარამან ყანთელაძის სახე ერთი კუთხით არის ნაჩვენები. ავტორი მხოლოდ ერთი პროფილით განსაზღვრავს მის ბუნებასა და სულიერ სამყაროს. მართალია, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, იგი ხშირად იშველიებს ხალხში გაგონილ სიბრძნეს და ბევრჯერ გონივრულად და მოხდენილადაც, მაგრამ ხალხის სიბრძნე ყარამანს თავის სიბრძნედ რომ ექცია, ამისათვის იგი თავად უნდა გამხდარიყო ერის ნაწილი, ხალხის ბედის თანაზიარი და მოჭირახულე. სამწუხაროდ, ყარამანს არა აქვს ამის შეგნება: იგი თავისთავს არ თვლის დიდისა და სეროზულის ნაწილად. იგი ერის პატარა ნაწილაცაა, რომლის სიხარული და ტკივილი ვერ შორდება ამ ნაწილაცის საზღვრებს: „ასეთი ბურუსიანი ბედი მერგო, ნაცარქექიობას გავექეცი, ამირანობას ვერ მივწვდი და გავეხირე შუაში, არც ერთი ვარ, არც მეორე“ (გვ. 58). ამ სიტყვებით მწერალმა თავად მოაწერა ხელი თავისივე გმირის ხალხისაგან გათიშულობას.

სულ სხვანაირად აქვთ წარმოდგენილი კოლა ბრუნონსა და ბათა ქეჭიას როგორც საკუთარი პიროვნული ღირსება, ისე ხალხთან კავშირი. „მე ბებერი აღამი ვარ: იმიტომ რომ ისეთივე კაცი ვარ და ამ დროის მანძილზე გავიზარდე კიდევ. ჩვენ ერთი და იგივე ხე ვართ, ოღონდ მე უფრო მაღალი ვარ. ქვეყნის მწუხარება და სიხარული ჩემია. თუ ვინმე იტანჯება, მე მტკივა,

თუ ვინმე ბედნიერია, მე ვიცი, — ამბობს რომენ როლანის გმირი. ბათა ქეჩიასაც ასე წარმოუდგენია თავისთავი: „მე ის დედაბოძი ვარ, ზედ ქართული დარბაზი თავზეებისაგან შეკრული გვირგვინით მტკიცედ რომ დაყრდნობილა. შვიდ ტოტზე შვიდი მასკვლავი შემომისხამს და, თუ მე ვიქნები, იცოდეთ, დარბაზი არ დაინგრევა. მერე რა, რომ დავბერებულვარ, ტანზე კორძები რომ დამსხდომია? მაინც გამტანი ვარ, მაინც უკვდავი ვარ. შვიდი ტოტი ცაღ გამოყრია. ფესვები მიწაში ღრმად გამიდგამს და მრუმე ღამით ზედ შემომჯდარ წმინდანის ფრთათა რხევით ელვისფრად ვარ განათებული. მუშლი მეხვევა და მაინც ვშრაილებ“.

პარალელები იმიტომ კი არ გავაფლავ, რომ ერთი მწერლისათვის მეორე მწერლის შემოქმედებითი პრინციპები შემთავაზებინა, არამედ იმიტომ, რომ აზროვნებისა და ცხოვრების ხედვის მასშტაბები მეჩვენებინა. აღაშინს სოციალური და კულტურული მეხსიერება აქვს. ეს იმას გულისხმობს, რომ კულტურული და სოციალური პროგრესი წინაპრის შექმნილს ეყრდნობა. თუკი „ყარამან ყანთელაძის“ წერის პრინციპი, ამბის თხრობა-გადმოცემის მანერა, პერსონაჟის ხასიათის ზოგიერთი თვისება „კოლა ბრუნოონისა“ და „ბათა ქეჩიას“ ასოციაციებს იწვევს, მაშინ მკითხველის კულტურული მეხსიერება მოითხოვს, რომ აკ. გეჭაძის რომანის მიერ აღძრული სიცილის აზრობრივი სიღრმე და მხატვრული დახვეწილობა უფრო მაღალ დონეზე იდგეს. სხვანაირად ლიტერატურული პროგრესი გამოირიცხება და უკვე დაპყრობილ პოზიციებს დაეთმობთ. ეს აკ. გეჭაძემ კარგად იცის და ამიტომ შეეცადა იგი რომანის 310-ე გვერდზე თვითმიზნური სიცილის გამართლებას: „არ შეიძლება ყველა სიცილს ჭკუის ხევი და სიბრძნის ზღვა მოსთხოვო“. მაგრამ ჩვენდა სასინარულოდ, თავისივე ნათქვამი ორიოდ სტრიქონის შემდეგ თვითონვე გააბა-

თილა: „მე ამ ტაკიმასხარამ გულიდან დარდი ვაღამყარა, ჭირი დამავიწყდა. მერე ჭირის დავიწყებამ მხნერბა მანია“.

სიცილის ჭკუა და სიბრძნე სწორედ გულიდან დარდის გადაყრა, ჭირის დავიწყება და მხნერობის მინიჭება გახლავთ. თუკი სიცილმა ეს მოახერხა, მაშინ დანიშნულბაც პირნათლად შეუსრულებია, მაგრამ უბედურება ის არის, რომ „ყარამან ყანთელაძის“ სიცილი სწორედ ამ დანიშნულბას ვერ ასრულებს, რადგან ავტორმა იგი არ აქცია ერის თვისებად და იარაღად. როლანი წერდა: ფრანგი უნდა მღეროდეს და თავის ბატონებს დასცინოდეს. თუ იგი არავის დასცინის, მაშინ ჯანყდებო. აქ სიცილი აჯანყების ძალასთან არის გაიგივებული. ამასთანავე განსაზღვრულია ფრანგი ერის ხასიათი. ასეთ განზოგადებებსა და მასშტაბებს სავესებით მოკლებულია „ყარამან ყანთელაძის“ სიცილი.

ყარამან ყანთელაძის სახის შესახებ ამდენი იმიტომ ვილაპარაკეთ, რომ იგია რომანის ღერძი. მიუხედავად იმისა, რომ „ყარამან ყანთელაძეში“ უამრავი პერსონაჟია, არც ერთი არ გამახსოვრდება, ყველანი კალიდოსკოპური სიჩქარით მიჭრიან მკითხველის თვალწინ და კვალს არ ტოვებენ. თქვენ წარმოიდგინეთ, კეჭო ჩალაძეც კი, რომელიც ყარამანთან ერთად თითქმის რომანის ყველა გვერდზეა მოხსენებული, არ გამახსოვრდებათ, რადგან იგი ყარამანის ჩრდილია მხოლოდ და არა დამოუკიდებელი ხასიათის, თვისებებისა და ბუნების მქონე პიროვნება. საერთოდ, რომანში ყველაფერი და ყველა ყარამანის თვალით არის დანახული, მაგრამ ამ პერსონაჟის თვალს არა აქვს თვისება აღაშინათა შინაგანი თვისებებზე, განსხვავებულ თვისებებზე და ხასიათებზე აღმოაჩინოს. ამას ნათლად მეტყველებს რომანის მესამე თავი ანუ მესამე კრიალოსანი, რომელ-

აკაკი ბაქრაძე  
ერთი რომანის ავტორი

შიც აღწერილია ყარამანის დაქორწინების ისტორია.

აქ გვიქვამე გვარწმუნებს, რომ ყარამანს გულჩინო უყვარდაო, მაგრამ იგი მარტოოდენ განცხადებით დაკმაყოფილდა და ეს სიყვარული არ დაგვიხატა. მკითხველი არც გულჩინოს იცნობს. კარგად იცის მხოლოდ რამდენიმე ფაქტი მისი ბიოგრაფიიდან: გულჩინო მღვდლის შვილია, სკოლაში კარგად სწავლობდა და ბოლოს ერისთავის ვაჟს მისთხოვდა ცოლად. მაგრამ ამ ქალის ხასიათი, სურვილები, ცხოვრების ფილოსოფია, პიროვნული ზნეთვისებები მკითხველისათვის უცნობია. ამიტომ ყარამანის სიყვარული გულჩინოსადმი მკითხველის ემოციას არ იწვევს, მხოლოდ ამბის კონსტატაციად რჩება. თუ ყარამანს გულჩინო უყვარდა და უნუგეზოდ და ცალმხრივად, ყარამანიც უყვარდა ამგვარად ივლიტეს. მაგრამ ეს ქალიც უცნობია მკითხველისათვის და მისი სიყვარულიც მხოლოდ ინფორმაციული გზით არის გადმოცემული. ამ ინფორმაციების შემდეგ აქ გვიქვამე მოგვითხრობს ყარამან ყანთელადისა და კეჭო ჩალადის საქორწინო მოგზაურობის ამბავს. მთელი რაჭა შემოიარეს ძმაკაცებმა. 27 გასათხოვარი ქალი მოინახულეს. აქედან მხოლოდ 5 ქალის (ნუშია, ქსენია, ფოტიწე, ეთერი, ციცინო) მიმართ გაიმეტა ავტორმა თბილი სიტყვა, დანარჩენი 22 კი აღწერა შეუბრალებელი სატირიკული ფერებით. ნათელი რომ გახედეს, როგორ არ ზოგავს აქ გვიქვამე განმაქიქებელ სიტყვებს, სანიმუშოდ მოვიტანთ რამდენიმე მათგანის დახასიათებას.

**ღოფინა.** „გამოვიდა სქელი, გოდორა, კარგა რიგიანად შემწიფებული ქალიშვილი. სქელი და მოკლე წარბები უშნოდ ეყარა ჭროლა თვალებს ზემოთ. თვალებში ძილი ჩარჩენოდა და ებლიტებოდა. დიდ ღაბაბს პატარა ნიკაპი შეეჭამა და ეს ღაბაბი ახლა ყბებსაც სჭამდა. ძროხასავით ქალი ჩანდა, ჯიშინი ძუძუები მკერდზე ჯიქნებივით ეკიდა. ძროხას სხვა რამითაც ჰვავდა:

ერთობ სევდიანად იყურებოდა“ (გვ. 409—410).

**პირიშხისა.** „...ისერი მოხრილი ში ჰქონდა ჩამყინილი, თითქოს სულ სცივა და თავის ტანში აპირებს ჩაძრომასო. მკერდი ფიცარივით სწორი და ყვარავით ხმელი უჩანდა. სახე ყვავილს დაეკენკა. თვალებს ხშირად აფახულებდა. თმაოფოფასა და გველივით ბრტყელშუბლას ცხვირი ისე კაუჭად ეკიდა, თითქოს ნისკარტით თავის პირიდან რაღაცას იღებსო. მოკლედ, საშინლად უღამაზო იყო, კინაღამ გული ამერია“ (გვ. 421).

მესამე უსახელო ქალი კი ამგვარად ჰყავს ავტორს „შემკული“:

„...აჭიხინდა, მარა, რა აჭიხინდა. ცხენებმა ყურები ცქციტეს, ვიღაც ჩვენთან შემოგვეგებათ. ქალიშვილმა პირი ყურებამდე გაზია. ხანჯლებივით კბილები ღრძილებიანად გადმოყარა და ტუჩებს კარგა ხანს ველარ მოუყარა თავი“ (გვ. 424).

არც საბრალო მაკრინე დაუზოგავს ავტორს:

„...ოქროს კბილი კი უბრწყინავდა, ოღონდ თვითონ ვერაფერი შვილი იყო. წუბლდაბალი, ღაწვმალალი და ცხვირკეხიანი ნამეტანი უღამაზო ჩანდა, საჭვრეტად საზარელი.

...საბატარძლოს ხევწნა-მუდარა არ დასჭირვებია, მადიანად შეექცეოდა ყველაფერს. ყბა სულ არ გაუჩერებია, ბელტებივით მსხვილ-მსხვილ ლუკმებს ნთქავდა და იმ დიდრონ ლუკმებთან ერთად ბელტიყლაპია ქალი კუბატივით მსხვილ თითებს იტენინდა პირში.

...ღვინოსაც არ იკლებდა—კალოდან გამოშვებული ხარივით ხვრეპავდა. ძვლებსაც კი მშიერი ძაღლივით ხრავდა“ (გვ. 426-427-428).

კიდევ ერთი უსახელოდ მოხსენიებული ქალის დახასიათება და, შევწყვიტოთ ციტირება, თორემ წიგნის თითქმის მთელი მესამე თავის გადმოწერა მოგვიხდება:

„ქალს წინ გამოშვერილი უშველე-ბელი ნიკაპი პირადმა დაგდებულ ეჩოს

მიუგავდა. ტუჩებიც ისე ჩაღურჯებოდა, იფიქრებდით, შავი ბეოლა უჭამია და პირი არ მოუწმენდიათ. ერთ თვალზე წარბ-წამწამი თეთრი ჰქონდა, მეორეზე—შავი, უწნოზე უარესი მეჩვენებოდა, არც საქმეში ჩანდა მარჯვე. ქუჭყიანი კაბა ეცვა. ზედ ქინძისა და ოხრაზუშის თესლი რომ მოგებნიათ, ბოსტანი აჯეჯილდებოდა“ (გვ. 431).

ერთი სიტყვით, 22 ქალი ავტორმა ასე და ამრიგად დაახასიათა. ბუნებრივად ისმის კითხვები: რატომ, რა მიზეზი აქვს ავტორს, რა აზრი აქვს ქალთა ასეთი სურათების დახატვას? რა არის ეს? ყარამანი ენაკვიმატობს თუ რაჟა უმახინჯესი ქალებით არის მართლაც დასახლებული? ამ კითხვებზე პასუხს რომანში ვერ იპოვით. აღწერილია ყარამანის ეს დამოკიდებულება, როგორც ფაქტის ობიექტური ფიქსაცია. მწერალს შეუძლია უარესი სიმახინჯეც აღწეროს, მაგრამ ყოველგვარი სიგონჯის აღწერა გარკვეული მიზანდასახულობისა და შინაგანი აზრის მატარებელია. ი. ჭავჭავაძის კენიან დარეჯან თათქარიძე ან დეკლასირებული ლამაზისეული არანაკლებ შემზარავია, მაგრამ ერთიცა და მეორეც შედეგია, სურათია მთელი კლასის გადაგვარებისა და დეგრადაციის. აქ ფაქტს აზრობრივი და მხატვრული შინაარსი აქვს. „ყარამან ყანთელაძეში“ კი სიმახინჯის ფაქტი შიშველი სახით არის წარმოდგენილი და მას მხოლოდ გასართობი დანიშნულება აქვს. მკითხველმა უნდა იცინოს ყარამანის გასაჭირზე: ამდენი მახინჯი ქალის მხახველმა ყარამანმა ბოლოს და ბოლოს ვინ უნდა შეირთოს? მკითხველი რომ სიცილით დააოსოს, მწერალმა დასასრულს ყარამან ყანთელაძეს მახინჯი ქალი მოატაცებინა. მაგრამ უნდა გავიხსენოთ, რომ სიმახინჯე, თუ იგი არ არის გამომხატველი საზოგადოებრივად რაიმე უარყოფითი მოვლენისა, სიბრაღულს იწვევს და არა სიცილს. ქვაზმიოდოზე უფრო მახინჯის წარმოდგენა ძნელია, მაგრამ ჯერაც არც ერთ მკითხველს არ უცინია ამის გამო. არც ლუკაია ლაბახუა იწ-

ვეს სიცილს, თუმცა ისიც ნამეტანი მახინჯია. ეს გრძელი მსჯელობა მხოლოდ ერთი დისკენისათვის დაგჭირდება: ყოველ მოვლენას აქვს როგორც ტრადიციული, ისე სასაცილო შინაარსი. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა კუთხით, რა თვალსაზრისით, რა შინაარსით წარმოადგენს მოვლენას მწერალი. როცა მწერალს მოვლენა აღწერილი აქვს გარკვეული შინაარსობრივი თვალსაზრისით, მხოლოდ მაშინ ხდება შესაძლებელი მკითხველში გარკვეული დამოკიდებულების აღძვრა. სხვანაირად იგი გულგრილი რჩება.

მწერლის ემოციური დამოკიდებულება პერსონაჟისადმი სიტყვით გამოიხატება. ეს ანბანური ქეშმარიტებაა. მაგრამ თურმე ხანდახან ტრიუნიზმიც მოითხოვს გახსენებას და შესაძლებელია დაცივნის საგანიც გახდეს. სწორად აქ გეწაძე პერსონაჟისადმი კეთილად არის განწყობილი, უფრო მეტიც, უყვარს კიდევ იგი. მაგრამ იმის გამო, რომ სიტყვა სათანადოდ არა აქვს შერჩეული, მკითხველში საპირისპირო ემოციას აღძრავს. პატივისცემისა და სიყვარულის მაგიერ უადგილოდ ნახმარი სიტყვა ირონიულ დამოკიდებულებას უქმნის მას პერსონაჟის მიმართ. თუმცა მწერალს ასე არ ჰქონია განზრახული.

„...მამუას (ლაპარაკია კეჭოს მამაზე — ა. ბ.) ცხვირი კარებში მოჰყოლია და მაშინ მოღლორძვია“ (გვ. 10).

„ბიჭი (ლაპარაკია კეჭოზე — ა. ბ.) ცალი ხელით დედის კალთას ჩაჰბლაუჭებოდა, მეორე ხელში ხაჭაპური ეჭირა და იღმურძლებოდა“ (გვ. 55).

„...ბებიას გაეღიმა, ბაბუას ნაპირალოდქს წურბელასავით მოეკიდა და წყალი ყელში ყლურჭუნ-ყლურჭუნით გადაუშვა“ (გვ. 84).

„მტევანს ძალღებვივით ვაზზევე ვძოდნილით“ (გვ. 103).

„სულ რომ შებლუყნოს, მერე რაღა გქნა“ (გვ. 111).

აკაკი ბაქრაძე  
ერთი რომანის ავტორი

„ბები... თვითონ აქულოპინდა“ (გვ. 182).

სიტყვები — მოღლორძვია, იღმურძ-  
ლებოლა, წურბელასავით მოეკიდა,  
ყლურჭუნ-ყლურჭუნით გადაუშვა, ვძო-  
ძღნიღით და სხვანი—თავისი შინაარსით  
და მუსიკალური ქლერადობით უარ-  
ყოფით დამოკიდებულებას აღძრავს  
მკითხველში, თუმცა პერსონაჟებისად-  
მი, რომელთა მიმართაც ეს სიტყვებია  
ნახმარი, აკ. გეწაძეს დადებითი დამო-  
კიდებულება აქვს და აზრადაც არ ჰქო-  
ნია მათი დამცირება. აქ არ არის გათ-  
ვალისწინებული სიტყვის შინაარსისა  
და მუსიკალობის მნიშვნელობა ემოცი-  
ური დამოკიდებულების აღძვრის დროს.  
ესეც კია, ზოგიერთი ხსენებული სიტ-  
ყვა (მოღლორძვა, ღმურძვლა, ძოძღნა  
და სხვანი) იმდენად არაკეთილზმოვა-  
ნია, რომ მათი შემოტანა ლიტერატურ-  
ული ქართული ენის ლექსიკაში არც  
კი ღირს, საერთოდ კი აკ. გეწაძის ქარ-  
თოლი მეტწილად ლალი, მსუყე და  
ძარღვიანია.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ „ყარამან  
ყანთელაძის“ კითხვის დროს ხშირად  
იბადებდა გაგონილის ან წაიკითხულის  
ასოციაცია. ამას უმთავრესად ის იწ-  
ვევს, რომ ავტორი ზოგჯერ მიმართავს  
როგორც მთარულ ანეგდოტებს, ისე  
ლიტერატურაში უკვე ფიქსირებულს.  
მაგალითად:

„— ამ დროს ხიდზე ძაღლი გამო-  
სუნსულდა. კეჭომ აიღო დიდი ქვა და  
უთაქა თავში. ძაღლმა ფეხები ააფხარ-  
კალა და სული წკპუტუნით დალია.

— რას ერჩოდი, ბოჭო? — მკითხვე  
გაკვირვებულმა.

— ერთმა ქოფაკმა რომ მიკბინა  
რაჰის გზაზე, გახსოვს?

— მერე, იმის ჯავრი ამაზე იყარე?  
— აა რა! ესეც მისი გვარის იქნე-  
ბოლა“ (გვ. 257).

ახლა წაიკითხეთ ლ. მრელაშვილის  
„ყაბახის“ 91-ე გვერდი:

„ერთი იმერელი კახეთში ძაღლმა  
დაგლიჯა, წავიდა და იმერეთში მოკ-  
ლა სხვა ძაღლი — შენც იმის ჯიშისა  
ხარო“.

ერთხელ კეჭო მოვიდა ყარამანთან  
და ეუბნება:

„— სახლი ყირამალა უნდა დამადგმე-  
ვინო.

— შენ მგონი ყოველ ახალ მთვარე-  
ზე ასე მოგდის! ააფრინე?

— ჰი, ჰი, ჰი! ქალის თხოვას ვაპი-  
რებ... ვიცი, მაინც გადააბრუნებს და  
ყირამალა მინდა დავდგა, გეიგე?“  
(გვ. 386).

1963 წელს გამოცემულ „მოლა ნას-  
რედინის ოხუნჯობანის“ 37-ე გვერდ-  
ზე შეგიძლიათ წაიკითხოთ:

„მოლა სახლს აშენებდა და ხუროს  
უთხრა:

— ყველაფერი თავდაყირა გააკეთე-  
იატაკი ზემოთ იყოს, ჰერი კი — ქვე-  
მოთ.

— რატომ?

— იმიტომ რომ ცოლს ვირთავ და,  
კაცი რომ ცოლს ირთავს, ხომ იცი,  
ყველაფერი თავდაყირა დგება“.

მთარული ანეგდოტებიდან შეიძლება  
დავასახლოთ შემდეგი ანეგდოტები:  
რაჭველი, რომელიც კოლუმბს დახვდა  
ამერიკაში, იოლი სამუშაო და ღირი-  
ჟორის პროფესია, შარვლის უბეში და-  
მალული ბატი, გადმოვარდნილი ჩოხა,  
რომელშიც პატრონი იყო გახვეული და  
სხვანი.

მართალია, მწერალს შეუძლია ისარ-  
გებლოს როგორც ხალხში გავრცელებ-  
ული ანეგდოტებითა თუ თქმულებე-  
ბით, ისე ლიტერატურაში უკვე გამო-  
ყენებულთაც, მაგრამ ასეთი სესხება  
მოითხოვს გარკვეულ გადამუშავებას  
როგორც კონცეფციური, ისე მხატვრუ-  
ლი გააზრების თვალსაზრისით. ემპი-  
რიულად აღება და გადაწერა შეუძლე-  
ბელია. მაშინ სიტყვაკაზმული მწერ-  
ლობა დაემსგავსება ფოლკლორულ  
კრებულს, რაც ხალხურობით არ გამარ-  
თლდება.

საერთოდ ასეთი ქანრის ნაწარმოები  
ხალხის მიერ შექმნილ ამბავს ეყრდნო-  
ბა, ხალხის სიბრძნესა და ხასიათს გამო-  
ხატავს. ასეთი წიგნის მთავარი პერსო-



## მიხეილ მრეველიშვილის შემოქმედება

მიხეილ მრეველიშვილის პირველი ნაწარმოები „ინონი“ გამოქვეყნდა 1926 წელს ჟურნ. „მნათობში“ (№№ 8, 9, 10, 11). ეს იყო საბჭოთა მწერლობაში ესთეტიკურ-მხატვრული პოზიციების გარკვევის, ძიების პერიოდი, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო გამომუშავებული ახალი სინამდვილის ასახვისათვის შესაფერისი მხატვრული სტილი. ძიების ბეჭედი აშკარად აზის ახალგაზრდა მწერლის მ. მრეველიშვილის ამ ნაწარმოებსაც. „ინონი“ არ იყო ერთიანი სტილით შექმნილი რომანი. მასში ერთის მხრივ, შეინიშნებოდა მაშინდელი მოდური, ფორმალისტური ლიტერატურული მიმდინარეობის ცთუნებანი (წერის მანერა, რომანის ცენტრალური პერსონაჟის დანიელ ჯაკობიას ხასიათი და მთელი რიგი მხატვრული პასაჟები, რომლებშიც აშკარად ვლინდება დეკადენტური პროზის ნიშნები), ხოლო მეორე მხრივ, ძლიერად იგრძნობოდა მწერლის მიერ სინამდვილის რეალისტური ხილვა, ჯანსაღი, ცხოვრებისეული ტენდენციები, მხატვრის მახვილი თვალი, თემის ორიგინალური და ღრმა გააზრება, თხრობის კულტურა და დახვეწილი ენა. სწორედ ამ თვისებების გამო თქვა დიდმა ქართველმა მწერალმა მიხეილ ჯავახიშვილმა: ბევრს მპირდებით, მიც ბევრს ველოდები... იმედოვნდა გამიმართლოთ.

უკვე შემდგომი დროის მოთხრობებში „ობობა“ (1927) და „სემიდა“ (1928)



მკაფიოდ გამოჩნდა მწერლის ნათელი, რეალისტური სტილი. პირველში ავტორი ქმნის რევოლუციამდელი ქართული სინამდვილის დამახასიათებელ სურათს. ნაწარმოების პერსონაჟები: ალა, ციგანი გოგია, გაბრიელ შაბურა, რომლებიც გამოირჩევიან მძაფრი ინდივიდუალობით, მსხვერპლნი არიან ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობისა და ყოფის, ხოლო „სემიდაში“ ბნელი აღმოსავლური ტრადიციული ჩვევებისა და სოციალურ-პოლიტიკური წყობილების ფონზე ავტორი ხატავს ახალგაზრდა ქალის სემიდას ტრაგიკულ ბედს.

30-იანი წლებიდან კიდევ უფრო გაფართოვდა მწერლის თემატიკა და მხატვრულ-გამომსახველობითი სფერო. ამიერიდან მის შემოქმედებას განსაზღვრავს თანამედროვეობის პათოსი, მაგრამ თანამედროვეობის ასახვა მ. მრეველიშვილისათვის როდი წარმოადგენს

მიმდინარე კომპანიას, რომლის დროს ზოგიერთი მწერალი თავს ვერ აღწევს ტრაფარეტსა და სქემებს, არამედ იგი ეპიკური სიღინჯით ხედავს გარემოს, აკვირდება სინამდვილეს და სწავლობს მას. საყოველთაოდ გავრცელებული ე. წ. მოღუბრი თემების დამუშავებისასაც კი იგი ორიგინალობას ინარჩუნებს.

მწერალმა ფართოდ გავრცელებული საკოლმეურნეო მშენებლობის თემაც კი თავისებურად გაიზარა და ახალი კუთხით გაანათა. მოთხრობაში „შიში“, რომელიც დაწერილია 1933 წელს, ავტორი ასახავს სულიერ დრამას იმ ადამიანისა, რომელსაც დიდი სოციალური ძვრებისა და გარდაქმნების ეპოქაში თავისი წარსული დაუფარავს. ნაწარმოებში მოქმედება ვითარდება გმირის შინაგანი დიალოგებით. კოლმეურნეობის თავმჯდომარის გაორებული სულის ჭიდილი: ერთის მხრივ, შიშისა და მეორე მხრივ, სიმართლისა, ერთმანეთს ეწინააღმდეგება და ქმნის კონფლიქტს თვით გმირის ხასიათში. ლიტერატურული ხასიათის შექმნის ეს გზა ძნელია. იგი მოითხოვს ადამიანის რთული ბუნების ღრმა ცოდნას, რაც ასე კარგად გამოამჟღავნა მწერალმა უფრო გვიან თავის ცნობილ მოთხრობაში „ხარატანთ კერა“.

სამამულო ომის დროს მიხეილ მრეველიშვილი მსახურობდა პოსპიტალში სხვადასხვა თანამედრობაზე. სწორედ აქ ხვდებოდა და ახლოს ეცნობოდა იგი საბჭოთა არმიის მეთაურებსა და ჯარისკაცებს, მათს ფსიქიკასა და სულისკვეთებას. სწორედ ამ პერიოდში შექმნა მწერალმა ერთ-ერთი საინტერესო მოთხრობა „ოქროს ზარნიშისანი ხანჯალი“.

ამ მოთხრობაში ქართველი და რუსი ხალხების გმირული ბრძოლის ისტორიული წარსული ორგანულადაა შერწყმული თანამედროვეობასთან — დიდი სამამულო ომის სინამდვილესთან. ოქროს ზარნიშისანი ხანჯალი და მასთან დაკავშირებული ქართველ მეომართა სახელები ჩვენი სასიქაღულო წარსულისა და აწმყოს გმირულ სულისკვეთე-

ბაზე მეტყველებენ. მწერლის მიერ საინტერესოდ გააზრებული ამბავი რომელსაც ქმნის ოსტატურად დაწერილი სხვადასხვა ეპიზოდები, მკითხველში აღძრავს გმირობისა და პატრიოტიზმის გრძნობას.

განსაკუთრებული პოპულარობა მოუპოვა მ. მრეველიშვილს მკითხველი საზოგადოებრიობისათვის კარგად ცნობილია მოთხრობაში „ხარატანთ კერა“ (იგი თავგმინილია მოძმე და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხთა მრავალ ენაზე). მასში გამომჟღავნდა მწერლის შემოქმედებითი პალიტრა, მისი ორგანული კავშირი ქართული კლასიკური პროზის ტრადიციებთან და თანამედროვე სოფლის კარგი ცოდნა: მწერალმა ღრმად ჩაიხედა საკოლმეურნეო სოფლის ადამიანთა სულში და დაუფარავად წარმოსახა ის შინაგანი ადამიანური ტკივილები და ინტერესები, რომლებიც მუდამ თან ერთვის ყოველ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მოვლენას.

ამ ნიადაგზე ავტორმა შექმნა მკაფიოდ ინდივიდუალიზებული ხასიათები. ძარღვიანი ქართული ენა, რომელიც გამოირჩევა ხატოვანებით, ქმნის „ხარატანთ კერის“ კოლორიტს.

ნაწარმოების ძირითადი პათოსი — ქალის ბრძოლა დრომოქმული ტრადიციების წინააღმდეგ ფართო სახალხო სარბიელზე გამოსვლისათვის და მისი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რა თქმა უნდა, არ არის ახალი ჩვენი მწერლობისათვის (ამ თვალსაზრისით მრავალი ნაწარმოები შეგვიძლია დავასახელოთ ჯერ კიდევ რევოლუციამდე, ხოლო შემდეგ ომამდელი პერიოდის ლიტერატურაში). მაგრამ მწერალმა ახალი ასპექტით გახსნა ქალის ხასიათი. სამამულო ომის შემდგომი ქართული სოფლის ფონზე გვიჩვენა ცხოვრებაზე უსაზღვროდ გულგატეხილი ქალის (ნატოს მეუღლე ომში დაეკარგა და ერთადერთი შვილიც და-

დავით თევზაძე

მიხეილ მრეველიშვილის შემოქმედება



ელუბა) სულიერი ამაღლება, მისი „მეორედ დაბადება“. გმირის ცხოვრებაში ამგვარი მეტამორფოზა გაპირობებულია საზოგადოებრივ-სახალხო შრომით. ნატო ხარატელი წინ აღუდგა გაკერპებული ოჯახის ყრუ ტრადიციას და საკოლმეურნეო შრომის გზას დაადგა. საკოლმეურნეო შრომა მისთვის სიცოცხლის არსებითი მოთხოვნილებაა, სიხარულისა და ბედნიერების საწინდარი, დიდებისა და სახელის საქმე. იგი მორალურად ზრდის და ამაღლებს ადამიანს. „მხოლოდ ნინიასეულში სამუშაოდ გასვლა თუ დაამზიდებდა ხოლმე ნატოს, — ვკითხულობთ მოთხრობაში, — მხოლოდ ვაზიანში ჩადვრილი ოფლი თუ დაუწყნარებდა გულს, მხოლოდ ამ ლურჯად ალივლივებული ფოთლების ზღვაში თუ გრძნობდა ხარატანთ რძალი თავისთავს ამაყად“. ამ ოპტიმისტურად გააზრებულ მოთხრობაში მწერალი ოსტატურად ხატავს ნატოს ხასიათს. პერსონაჟის მიერ ცხოვრების თვითანალიზს, რომელიც მოცემულია მის ფიქრთა დენაში, დიდი ტაქტით ენაცვლება ავტორისეული თხრობა. ისინი ორგანულად შეერწყმის მოთხრობაში განვითარებულ მოქმედებას, ლოგიკურად აერთებს მოვლენათა ცალკეულ რგოლებს და ქმნის ნაწარმოების ერთ მთლიან სიუჟეტურ გრებილს.

ნატოს ხასიათი მრავალპლანიანია. მკითხველის ცნობიერებაში იგი ცოცხლობს არა მხოლოდ როგორც მშრომელი ადამიანი, არამედ ქალი, რომლის თვალბეჭედი აელვარებული „ჟრუანტელ-მომგვრელი ცეცხლი შეატოკებდა ვაჟკაცს“. ეს მოტივი, რომელიც წარმოადგენს მოთხრობის ერთ-ერთ თემატურ შენაკადს, აძლიერებს ზურიას ექვიანობას და ამძაფრებს ნაწარმოების კოლოზიას. ამასთან იგი ჩრდილს არ აყენებს ნატო ხარატელის სპეტაკ ბუნებას. ნატო ხარატელი ერთ-ერთ საპატიო ადგილს დაიჭერს ომის შემდგომი წლების ქართველ ქალთა ლიტერატურულ სახეთა გალერეაში.

რეალისტურად არის დანახული

მოთხრობის სხვა პერსონაჟებიც. ვასია კუთრებული სიყვარულითა და მდიდარი მხატვრული ფერებითაა აღჭურვილი ზურია ხარატელის კოლორიტული სახე.

ზურია — კოლმეურნეობის მეცხვარე — კეთილი, თავმოყვარე და ვაჟკაციური ბუნების ადამიანია. ამასთან სიტყვაძვირია, კუჭტი. მასში ძლიერია მამაპაპური ჩვეულებების, ადათ-წესების ძალა და კერძო მესაკუთრული ინსტინქტები. მას აღარდებს, „რომ არ იყო შვილში ხარატანთელი უინი მიჯნისა“, რომ გიორგი „გულგრილად შეწყურებდა მადლა აღმართულ ღობეს, რომელსაც ზურია დღეგამოშვებით ახალ ძეძვს ადებდა“. ასევე ძველი კაცის თვალით უყურებს ზურია ქალს. ეს უკანასკნელი მას არ მიაჩნია მამაკაცის თანაბარ არსებად და დიდ სირცხვილად მიაჩნია რძლის კოლმეურნეობაში გაშვება.

„ჯერ არა გასჭირებია რა ჩემს ოჯახს ისეთი, რომ ერთი წლის მოყვანილი პატარძალი სამუშაოდ მინდორში გავადგოვო“, — ამბობს იგი.

ზურიას ძლიერი სულიერი დრამა გამოწვეულია შიშით, ვაითუ ხარატანთ კერა გაცივდესო, რომელიც ასე ძლიერ უყვარდა მას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მოთხრობის ერთი პატარა დეტალი: როცა ზურია ღამით მივიდა შინ და ნახა, რომ სახლში ცეცხლი ენთო — „ცეცხლი ანთია კერაში, ცეცხლი! — ჩურჩულებდა ზურია და თვალთაგან ცრემლები სცვიოდა“. ზურიას მოძველებული შეხედულებები კონფლიქტში იმყოფება ახალ სინამდვილესთან. ამას დიდი შინაგანი ტკივილებით განიცდის იგი და, ბუნებრივია, რომ ბოლოს და ბოლოს თავი დამარცხებულად სცნო — შეურიგდა ნატოს კოლმეურნეობაში შრომას. რაც შეეხება ზურიას შემდგომ ბრძოლას ნატოსა და აკმიას წინააღმდეგ, ამას უკვე აქვს საფუძველი, გამართლება.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მწერალმა ზურიას ამ შემთხვევაში უფრო ხელსაყრელი მდგომარეობა შეუქმნა, ვიდრე აკმიას, ამიტომ არ შეიძლება

მკითხველმა ამ მომენტებში ზურიას არ უთანაგრძნოს. ზურიას პოზიციებს ამავრებს არა მარტო ნუცკიას მიერ მთელ სოფელში დარჩეული ხმები, არამედ თვით ფაქტი. საქმე ისაა, რომ აკმაც ვერ უარყოფს ამას და ზურიას კითხვამ, მიპასუხე, თუ არა გდებია-რა გულსო, შეაკრთო აკმია. სწორი, ვაჟკაცური პასუხის მაგიერ მან უხერხულად წაიჩურჩულა: ვის რა ხელი აქვს გულთანო. ამის შემდეგ ხუცურაულის მკვერმეტყველება (რომ ნატო სოფლის თვალაია, რომ იგი სახლში ვერ გაჩერდება და ა. შ.) ყალბად გაისმის. ამ შემთხვევაში სიმართლე ზურიას მხარეზეა: „ტყუილდა მხარგავ სიტყვებს, თვალები გინდა ამიხვიო! გინდა, აკმავ, ჩემს ბოსტანში ილაღობო დამშვიდებულმა. აღარა გამოვა-რა აგრე. ამ ხანჯლით გაგიპოზ გულს, როცა იქნება. ეს დაიხსომე კარგად!“ შემდეგში, როცა გიორგი ჩამოვიდა, ზურია ხარატელმა საცხებით გასაგებად, შერიგებისათვის ხელი გაუწოდა თავმჯდომარეს, გაიხარა: „გულში ავი რამ არ ჩაიღო, ბიჭო. დარდი მალაპარაკებდა, აკმავ, ჯილაგი მიწყდებოდა და კერა მიცივდებოდა, შვილო!.. მე ის მახარებს ახლა, რომ არ ჩაიშრიტება კერა, მამდარი იქნება ეს ქვეყანა ხარატაანთ უხვი დოვლათით!“

როტული ხასიათია მოთხრობის ერთ-ერთი გმირი აკმია ხუცურაული. ეს სამამულო ომის ქარცეცხლში გამოვლილი კომუნისტი კოლმეურნეობის თავმჯდომარეა. მწერალი მას ხატავს, როგორც დადებით პიროვნებას. ავტორისეულ წიაღსვლებსა და ნაწარმოების სიუჟეტურ განვითარებაში მკითხველი მას ეცნობა, როგორც საქმიან და კაცთმოყვარე ადამიანს.

საგანგებოდ გვინდა განვიხილოთ აკმიას დამოკიდებულება ნატოსთან. აკმია ნატოსადმი უდავოდ გულწრფელია, საქმიანი. კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელიც მეგობარი იყო გიორგისა, ბუნებრივია, ყოველგვარი ქვენა აზრების გარეშე დახმარების ხელს უწყვდის ნატოს. მეტადრე, მხედ-

ველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ აკმიას ეს გადაწყვეტილება ამ შემთხვევაში ნაკარნახევა კოლმეურნეობის ინტერესებით. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ახარებს ნატოს ბეჯითი შრომა და ამით კიდევ უფრო ძლიერდება მათი მეგობრული ურთიერთობა. მწერალს შეინშნული აქვს ის სულიერი ძაფები, რომლებიც უხილავად გაბმულა მათ გულებს შორის. მოთხრობაში ჭეშმარიტი მხატვრის თვალათა დანახული სისხლსავსე ვაჟკაციის ძლიერი, მაგრამ თავდაპირველი სიყვარული, რომელიც არასოდეს არ ეწინააღმდეგება წინიდან და მორალის ნორმებს. „გულის უღრანებში უნდა ჩავიმარხო ჩემი სიყვარული, რომ ცეცხლმოკიდებული აბედივით ჩაიწვას და ჩაიხშოს შიგ, არა იქნება რა მეთი!— გადაწყვეტით ამბობს აკმია და ალაზნის ზვირთებს პეშვით ეტანება, გახურებულ შუბლსა და უძილობისაგან წამოწითლებულ თვალებს იგრილებს“. რა თქმა უნდა, ხუცურაულმა ვერ შეძლო დაეოკებინა თავისი აშლილი გრძნობები და ქალს სიყვარულში გაუტყდა. ყოველივე ეს ბუნებრივია, მაგრამ მოთხრობაში ეს მოტივი ვერ პოულობს შემდგომ გადაწყვეტას. გიორგის ჩამოსვლით გადაჭრა ამ რთული საკითხისა, რომელიც აღამიანთა გრძნობებს ეხება, ხელოვნურია. მკითხველისათვის გაურკვეველია, დაძლევს თუ არა აკმია თავის აშლილ გრძნობებს. მოერევა კი იგი თავისთვის? ამასთან აკმიას გამიჯნურების ფაქტი საფუძველს აძლევს არა მხოლოდ იმ გავრცელებულ მიუქმა-მოთქმას, არამედ ზურიას „ჩამორჩენილ შეხედულებებსაც“. ეს კი ამ შემთხვევაში ეწინააღმდეგება მოთხრობის იდეურ კონცეფციას.

ცოცხალ ფერებშია დახატული მოთხრობის სხვა პერსონაჟების: ნუცკიას, აიტუხას, კვანჭიანთ შალვას სახეები.

„ხარატაანთ კერა“ ჭეშმარიტი შთაგონებით დაწერილი მოთხრობაა, რო-

დავით თევზაძე  
მიხეილ მრეკლიშვილის შემოქმედება

მელიც ომისშემდგომი ქართული პროზის აღმავლობის ერთ-ერთი ნიშანი იყო.

მ. მრეველიშვილის უკანასკნელი წლების პროზაში საყურადღებოა მოთხრობებისა და ნოველების კრებული „თბილისური ნოველები“. მასში შეტანილია თემატიკურად მრავალფეროვანი და ორიგინალურად გააზრებული ნაწარმოებები. რომელთა ძირითადი პათოსია შემოქმედებითი შრომა, მეგობრობა და ვაჟკაცობა, ადამიანის მაღალი ზნეობა და მორალი. გიორგი შატბერაშვილის სიტყვით, „ამ ნოველებში გაღრმავდა მწერლის ქართულის თავისებურებანი: სიბოლო და სიბოლო ფრაზისა, რაშიც ორბელიანის იგავთა ენის სურნელი ტრიალებს. ეს ნოველები ხიზლავს მკითხველის გულს“.

მნიშვნელოვანი ღვაწლი დასდო მიხეილ მრეველიშვილმა თანამედროვე ქართულ დრამატურგიას. მისი პიესები: „ზვავი“, „ხარატანთ კერა“, „ბედი მგოსნისა“ და „მგზნებარე მეოცნებე“ ომისშემდგომი ქართული დრამატურგიული მწერლობის თვალსაჩინო მიღწევაა, მეტადრე თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენს მწერლობაში ლიტერატურის ეს ურთულესი ენარი სხვა გვარებთან (ლირიკა, ეპოსი) შედარებით სუსტია.

მ. მრეველიშვილს, როგორც დრამატურგს, დიდი ღირსებები აქვს: თემის მიგნება და მისი ორიგინალური გახსნა, ფართო პრობლემატიკა და მაღალი პროფესიონალიზმი, მდიდარი პოეტური ენა და გამართა რომანტიკული ბუნება მძაფრად იგრძნობა როგორც მის პროზაში, ასევე დრამატურგიაშიც. მაგრამ დრამატურგიულ ენარს საკუთარი სპეციფიკა აქვს და იშვიათი როდია შემთხვევა, როდესაც დრამატული ენარის ნაწარმოები რჩება როგორც ლიტერატურული მოვლენა და გამოუსადეგარია თეატრისათვის.

მიხეილ მრეველიშვილის დრამატურგიის უპირველესი ღირსება სცენურობაში მდგომარეობს. ამას მწერალი აღწევს ძლიერი ხასიათების ხატვითა და

პიესების კომპოზიციური მთლიანობით მისი გმირები მხატვრულად განზოგადებული მდიდარი შინაგანი გრძობითა და გამოკვეთილი ინდივიდუალობის მქონე ადამიანებია, ხოლო სიუჟეტს აშკარად ეტყობა კომპოზიციის გამოცდილი ოსტატის ხელი. ფაბულა-სიუჟეტის ლოგიკური თანმიმდევრობა და მოქმედების დინამიკური აღმავლობა, რომელსაც უნდა ჰქონდეს თავისი კულმინაცია, ღღესაც რჩება დრამის აუცილებელ თვისებად.

მ. მრეველიშვილს ეხერხება მდიდარი სიტუაციებისა და დრამატული კვანძების შექმნა, ფაბულის შინაგანად დაძაბული გაშლა, მისთვის მთავარია ამბავი, რომელიც თავისთავად ხსნის გმირის ბუნებას, ხასიათს და გამოხატავს მწერლის მიზანდასახულებასაც და ნაწარმოების იდეას.

მიხეილ მრეველიშვილის კალამს ეკუთვნის პიესები, რომლებიც შექმნილია ისტორიულ სინამდვილესა და ჩვენს თანამედროვეობაზე. რა თქმა უნდა, მიხეილ მრეველიშვილისათვის, როგორც საბჭოთა მწერლისთვის, ისტორიული სინამდვილე არ არსებობს თანამედროვეობისაგან მოწყვეტილი.

დიდი რუსი მწერლის ალექსეი ტოლსტოის სიტყვებით რომ ვთქვათ, მ. მრეველიშვილისათვის ისტორიული თემატიკა ნიშნავს თანამედროვეობასთან მოსვლას ღრმა ზურგიდან. ამიტომ იგი ისტორიულ სინამდვილეში ხელს ჰკიდებს იმ მნიშვნელოვან მოვლენებს, რომლებიც თავისი არსით ეხმაურება ჩვენს დიდ თანამედროვეობას, კაცობრიობის პროგრესულ იდეალებს.

ისტორიულ-ბიოგრაფიულ ენარს განეკუთვნება მიხეილ მრეველიშვილის დრამები: „ბედი მგოსნისა“ (1945), „მგზნებარე მეოცნებე“ (1957). ეს ენარი ერთის შეხედვით, როგორც იტყვიან, მომგებიანია (რამდენადაც აქ საქმე გვაქვს ცნობილ და მეტად პოპულარულ ისტორიულ პირებთან), მაგრამ ეს მდგომარეობა თუკი ერთგვარად მაინც აადვილებს ამოცანას ლიტერატურის სხვა გვარებში (ლირიკა, ეპოსი),

განსაკუთრებული სიძნელის წინაშე აყენებს დრამატურგს. ასეთ შემთხვევაში ერთის მხრივ, დრამის სპეციფიკა, ხოლო მეორე მხრივ, ისტორიული ფაქტები ზღუდავენ შემოქმედს, იმთავითვე თავაზობენ გარკვეულ სქემას, ბოჭვენ მწერლის ფანტაზიას. ამის გამო საჭირო ხდება მხატვრული ზომიერების განსაკუთრებული დაცვა, ტაქტი.

მიხეილ მრეველიშვილმა ღრმად შეისწავლა მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ეპოქა, ამ პერიოდის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, ისტორიული ფაქტები, მემუარულ-მხატვრული ლიტერატურა და ჩვენამდე სხვადასხვა გზით მოღწეული გადმოცემები განსაკუთრებით მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ორი დიდი პოეტური გენიის—ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ალექსანდრე გრიბოედოვის შესახებ. ახალი პოეზიის ამ ორ მნათობს ბევრი აქვთ საერთო და არა მხოლოდ ის, რომ არსებითად ისინი ერთ ეპოქაში ცხოვრობდნენ და ტრაგიკული ბედი ხვდათ წილად (რა თქმა უნდა, სხვადასხვა ხასიათის), არამედ თავიანთი მალამოქალაქობრივი იდეალებით, შინაგანი მრწამსით, აჯანყებული პოეტური სულით და ამავე დროს ნახი ლირიზმით. დრამატურგმა ისტორიულ-ლიტერატურული ფაქტების განზოგადებითა და მხატვრული გამომგონებლობით, რომლის გარეშე საზოგადოდ არ არსებობს ქეშმარიტი შემოქმედება, სული შთაბერა და ახალი სიცოცხლე მიანიჭა მათ. მან მახვილად დაიჭირა მათი საზოგადოებრივ-მოქალაქეობრივი სახე, შემოქმედების ხასიათი და აღამიანური ყოფის დამახასიათებელი ნიშნები. ნიკოლოზ ბარათაშვილი და ალექსანდრე გრიბოედოვი ცხოვრობდნენ ჩვენი ისტორიის ერთ-ერთ ურთულეს პერიოდში, რუსულ-ქართული აზრის გამოღვივების ხანაში, წინ უსწრებდნენ თავის ეპოქას, რამაც განაპირობა მათი ტრაგიკული ბედიც, ცხოვრებისა და შემოქმედებითი ხასიათი, მწერალმა სწორად შეაფასა ეს მოვლენა და თავის

პიესებში კოლოზიას ქმნის ბარათაშვილისა და გრიბოედოვის დაპირისპირებულ მეფის რუსეთის არაადამიანურ, ტრორისტული მმართველობის მთელ სისტემასთან.

რა თქმა უნდა, „ბედი მგონისა“ თავისი იდეური პრობლემატიკით უფრო ფართო დრამატული ხასიათის ქმნილებაა. მასში, როგორც ფოკუსში, თავი იჩინა მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართულმა სინამდვილემ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეალებმა, მაშინდელი ქართული ინტელიგენციის ფართო წრემ, თავისი ინტერესებითა და რთული ფსიქიკური წყობით. პიესაში ვხვდებით აგრეთვე ხალხის წარმომადგენელს როსტომს, რუს დეკაბრისტ ბალაშოვსა და იმ დროის მრავალ გამოჩენილ ისტორიულ პირს, რომელთაც ავტორმა დრამაში მყარი ადგილი მოუნახა. მდიდარი დრამატურგიული სიტუაციები და პერიპეტეიები, რომლებიც დაძაბული აღმავლობით ვითარდება, ქმნიან ეროვნულ-პატრიოტული ძღერადობის ემოციურ ნაწარმოებს.

წარმატება ხვდა მ. მრეველიშვილის დრამას „მგზნებაზე მეოცნება“, რომელიც განახორციელა სცენაზე გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრმა. დრამის მოქმედების ფართო ფონი (რუსეთი, საქართველო, სპარსეთი) და საკმაოდ შეზღუდული დრო (დაახლოებით ათი თვე) ხელს არ უშლის ავტორს მთელი სისრულით დახატოს ალექსანდრე გრიბოედოვის მდიდარი სულიერი სამყარო, მთელი მისი სიდიადე როგორც შემოქმედის, საზოგადო მოღვაწის, მეგობრისა და სიყვარულით გულგამთბარი მამაკაცისა. გრიბოედოვის სიცოცხლის უკანასკნელი წელი დრამატურგმა სავსებით ბუნებრივად მიიჩნია უმნიშვნელოვანეს პერიოდად, რომელიც მას საშუალებას მისცემდა წარმოესახა ალექსანდრე გრიბოედოვის მთელი ცხოვრების დედააზრი,

დავით თევზაძე

მიხეილ მრეველიშვილის შემოქმედება

მისი და ქართველი ხალხის მოწინავე საზოგადოებრიობის სულიერი ნათესაობა; აესახა სოლომონ დოდაშვილისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის დროის საქართველოს მოწინავე ადამიანების ყოფა და რუსეთ-საქართველოს საერთო მტრის ირანის მთავრობის მუხანათური პოლიტიკა.

მ. მრევლიშვილის დრამებს — „ბედი მგოსნისა“ და „მგზნებარე მეოცნებე“ მნიშვნელოვანი მხატვრულ-შემეცნებითი ღირებულება აქვთ როგორც მეფის რუსეთის მონარქიული წყობილების მამხილებელ ნაწარმოებებს და რუსი და ქართველი ხალხების ისტორიული მეგობრობის ამსახველ მხატვრულ ქმნილებათ.

თანამედროვეობის თემაზეა შექმნილი მიხეილ მრევლიშვილის პიესები: „ხარატაანთ კერა“ (1949), „ზვავი“ (1955) და „მოსალოდნელი დასასრული“ (1957). პირველი შექმნილია ამავე სათაურის მოთხრობის მიხედვით და თუმცა, როგორც აღინიშნა სალიტერატურო კრიტიკაში, არ წარმოადგენს ეპიკური ნაწარმოების უბრალო გასცენიურებას, იგი თავისი მხატვრულ-იდეური კონცეფციით არ განსხვავდება ჩვენს მიერ უკვე განხილული მოთხრობისაგან.

დრამატურგის დიდ გამარჯვებაზე მეტყველებს „ზვავი“. თანამედროვე ცხოვრების ფონზე ავტორი ქმნის ორიგინალურად გააზრებულ პიესას, რომელიც თანამედროვე ქართულ დრამატურგიაში გამოირჩევა რომანტიკული სულისკვეთებით, პოეტურობით. ამ მხრივ არ შეიძლება არ მივუთითოთ ქართული ბუნების ხასიათზე, რომელიც უშუალოდაა შესული დრამაში

(მ. მრევლიშვილის შემოქმედებაში, საზოგადოდ, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პეიზაჟს. მწერალს ენერჯენტული ბის სურათების ხატვა).

პიესის ცენტრალური პერსონაჟია თინიბეგ უთურგაული. იგი ბნელი წარსულის მქონე ადამიანია, ბუნებით გულბოროტი და კარიერისტი. იგი იბრძვის პირადი განდიდებისათვის, მომხვეჭელობისათვის, ძალაუფლების მოპოვებისათვის. ამ ნიადაგზე უპიროსპირდება კოლექტივს და საკუთარი შვილის მკვლელობა ხდება. მწერალი ქმნის რეალისტურ გარემოს, მძაფრ სიტუაციებს, რომლებშიც ვლინდება მოქმედ პირთა ხასიათები. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოირჩევა ონისე და ლელა თურმანაულები, ამირანი და გეგა. პერსონაჟთა მდიდარი, კოლორიტული მეტყველება, ოსტატურად დაწერილი დიალოგები, რომლებსაც ზოგჯერ ენაცვლება მონოლოგებიც, ღრმად ხსნის მათ შინაგან ბუნებას. ის რომ, პიესის ცენტრალური პერსონაჟი თინიბეგ უთურგაული უარყოფითი ტიპია, ოდნავადაც არ ვნებს ნაწარმოების იდეურ მიზანდასახულობას—როგორც ეს უკვე აღინიშნა სალიტერატურო კრიტიკაში. მწერალმა მუქი ფერებით დახატა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ხორც-მეტი, ამხილა იგი, გვიჩვენა მისი განწირულება და ხალხის, კოლექტივის ძალა.

მიხეილ მრევლიშვილი, რომელსაც ახლახან შეუსრულდა სამოცი წელი, შემოქმედებითი სიმწიფის პერიოდშია და ჩვენი მკითხველი საზოგადოებრიობა ინტერესით მოეღრის მის ყოველ ახალ მხატვრულ ნაწარმოებს.



## ლიბიზი მიკინაუვილი

### შოთა ნიშნიანიძის პოეზია

ომის შემდგომი პერიოდის ქართულ ლიტერატურას შეემატა მწერლებისა და პოეტების ახალი ნაკადი. ჩვენს ლიტერატურაში მოვიდნენ ისეთი ახალგაზრდა შემოქმედები, რომელთაც თვისი გამოჩენა მკითხველს ამცნეს ომთან დაკავშირებული ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა მხარის ოსტატური ასახვით. ეს ეხება ჩვენი სულიერი კულტურის თითქმის ყველა მხარეს, ყველა დარგს, ყველა მოვლენას, თეატრს, კინოს, სახვით ხელოვნებას, მხატვრული ლიტერატურის სამივე ჟანრს: დრამატურგიას, პროზას, პოეზიას და სხვა.

თუ ომის შემდგომდროინდელი ქართველ მწერალთა ერთი თაობა, რომელიც ამ დღის ომის მონაწილე იყო, მკითხველს წინაშე წარსდგას ისეთი ნაწარმოებებით, რომელშიც ასახული იყო თვალთ და ყურით მოსმენილი ომის საშინელებანი, სამაგიეროდ ამ მწერლების მომდევნო ნაკადმა თავის ნაწარმოებებში მკითხველს აჩვენა ადამიანის სულიერი შფოთვის, წუხილისა და ტკივილის სხვა კუნძულები, უფრო სწორად, სხვა კუთხით შემჩნეული და დანახული იგივე ცხოვრების სურათები; მათ გვიჩვენებს სახლში დარჩენილი ყველა ასაკის ქართველი მშრომლის ის ჯაფა, ის მუხლჩაუხრელი ზრუნვა და შრომითი ენთუზიაზმი, რომელმაც განაპირობა ჩვენი ხალხის მტერზე გამარჯვება.

მაგრამ ცხოვრება ადამიანთა რთული ურთიერთობაა. ამიტომ, ბუნებრივია, მწერალი ვერ დარჩება ამ რთული პროცესის მიღმა. მისი კალამი ეხმაურება არა მარტო ყოველდღიურობას, არამედ ამ პროცესის ისეთ მხარეებსაც, რომელიც შესაძლებელია ისე ნათლად არ ჩანდეს ან არ შეიმჩნეოდეს. მწერლების ეს თაობა ომის წლებში პატარა ბავშვები იყვნენ და ისინი ომს ხედავდნენ სახლში დაბრუნებული ჯარისკაცის, ფრონტიდან მისული წერილის სახით, ხედავ-

დნენ ნათესავის, ნაცნობების და ახლობლების შფოთვისა და წუხილს.

მწერლების ეს თაობა ასახავს ყველა იმ მწვავე განცდებს, რომელიც ომმა მძიმე ტკივილად დაუტოვა ბევრ ოჯახს. ეს არის მთავარი თემა ომის შემდგომდროინდელი ლიტერატურისა — ეს არის მშვიდობის თემა არა მარტო ამ თაობისა, არამედ ყველა თაობისა, ყველა ერისა, ყველა ხალხისა, ვისაც უყვარს სიცოცხლე, უყვარს მშვიდობიანი შრომა.

ამ თაობის მწერლებმა და პოეტებმა ჩვენი დიდი ცხოვრების ამსახველი ბევრი საინტერესო ნაწარმოები შექმნეს.

შოთა ნიშნიანიძე ერთი ამ მრავალთაგანია. იგი ლიტერატურის სარბიელზე ამ ათილდე წლის წინ გამოვიდა. ამ ხნის განმავლობაში მან ლექსების შვიდი წიგნი გამოაქვეყნა და მკითხველის სიყვარული დაიმსახურა.

შოთა ნიშნიანიძის პოეზია გამსჭვალულია ღრმა ჰუმანიზმით. იგი მშვიდობიან შრომას, ადამიანთა კეთილ მისწრაფებებსა და სურვილებს ემსახურება.

შოთა ნიშნიანიძე მკითხველის ყურადღება ლექსების პირველი კრებულის გამოსვლისთანავე მიიპყრო. მომდევნო წიგნები გვიჩვენებენ პოეტის აღმაშენებელი გზით სვლას. უკანასკნელი ლექსების კრებული, რომელიც ახლახან გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა, ამის ნათელი დადასტურებაა.

ფურცლავთ ლექსების წიგნს, შედიხარტ პოეტის განცდების სამყაროში და გრძნობ, რომ მას აქვს საკმაოდ მიშვიდვილი და ფართო ფანტაზია. მის განცდებს ამოძრავებს ადამიანებისა და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული. ეს გრძნობა მის ყოველ სტრიქონში ჩანს.

პოეტს საინტერესოდ და მრავალმხრივ დაუნახავს სამშობლოს წარსული. მისთვის თავდადებული ადამიანები, სამშობლოს აწყობა და

მომავლისთვის მებრძოლი ქართველი მშრომელი. ის ხან ეჩურჩულება შამხარაღქეველ ციხისმცველ ვაჟაკების ჩაფრთხილ სიცოცხლეს, ხან ნანგრევებს ესაუბრება სევდიანი და ნაღვლიანი. ხან შინმოუსვლელი ვაჟაკის ბედს უძღვნის გულითად სტრიაქონს. კითხულობთ მის ლექსებს და თვალწინ გიდგათ სამშობლოს წარსული, უთანასწორო ბრძოლაში დაღუპული წინაპრების აჩრდილი, სიხარულით აღსავსე დღევანდელი დღე. ამ სტრიაქონებით განცდილი სიხარული ჰქმნარბია იმიტომ, რომ პოეტური ხედვა უზღაოა, ნათელი, მიმზიდველი.

თემის მიგნება, მოვლენის ორიგინალური კუთხით დახაზვა და გააზრება, მისი გამოქანდაკება, მიმზიდველი ფერებით დახატვა, მისი მუსიკალური აღერება პოეტს არ უჭირს. ის კარგად ფლობს გამოთქმის, გამოხატვის დახვეწილ ფორმებს.

შ. ნიშნინიძის კალამი უძღერის მშვიდობიან შრომას. ეს თემა მისი პოეზიის მუდმივი თემაა და მის ყველა წიგნში საპატიო ადგილი უჭირავს.

მშვიდობის თემისადმი არის მიძღვნილი მისი პატარა ლექსი „უავარჯინანი“. ამ ლექსით ნიშნინიძე თითქოს აფრთხილებს ყველა მათ, ვინც ვერ აფასებს მშვიდობის ძალას და ვისაც არ განუცდია ომის საშინელება. ამ ლექსში ნათლად ჩანს ნიშნინიძის პოეტური მიგნების და სურათის მიხედვით ის თავისებური მანერა, რომელიც მის სტრიაქონს სიმკვეთრეს მატებს და გამომსახველობით ძალას ანიჭებს. ლექსი მხოლოდ მაშინ ჰპოვებს საყოველთაო აღიარებას, თუ ის მიიღო მკითხველმა საზოგადოებამ. თუ მკითხველიც განიშქვალა იმ განცდებით და იმ აზრებით, რაც ავტორმა ლექსში გამოხატა.

პოეტი დასტორის შინმოუსვლელ ვაჟაკს, რომლის საფლავი სამუდამოდ დაიკარგა („ეს იყო ათი წლის წინათ“). ათი წლის წინათ დაიღუპა სამშობლოს დამცველი უცნობი ჰაბუკი. სიკვდილის წინ მან „ლონგამოლეული მკვავები მიწას მოხვია და თვალები დახუჭა. ნიშნინიძე ახერხებს მკითხველში გამოიწვიოს სინანული და სიყვარული უფროოდ დაღუპულ უცნობი ჰაბუკისადმი. იგი რამდენჯერმე უბარუნდება იმ ბორცვს, სადაც ჰაბუკი მარხია. ავტორი ვერ ხედავს „შეყვარებულ გოგონას“, რომელიც ცრემლებს დააფრქვევდა უფროოდ დაღუპული უცნობი ჰაბუკის საფლავზე. მის ნაცვლად

და შეყვარებულ გოგონას მაგივრად  
მოსულა ყაყაჩო, ჩუმი და მორცხვი.

საფლავი უპატრონოა, მას მხოლოდ ხის ჩრდილები და ყვავილები დარაჯობენ. და ეს გრძნობა, სიტყვა „უპატრონობის“ დროს რომ ჩნდება მკითხველის გულში, ეს არის ის გრძნობა

ბა სინანულისა, რომელიც პატრიოტმა იწვევს ცრემლებს, მწუხარებას იმ ადამიანის გამო, რომელსაც უფლება ჰქონდა, ბედნოტი უფროდ ლიყო, ჰყოლოდა ახლოდელი უსურველი დამტეხარყო უსაზღვრო სიყვარულით, მაგრამ... „ტირის გარმონი დაკარგულ ქმობილზე, — სად არის ის ბიჭი, სად არის, სად?“ შემდეგ სტრიაქონებში პოეტს დრამატიზმს სხვა საშუალებებით ამძაფრებს; ის ხედავს დაკარგული ჰაბუკის სისხლს მწიფე ალუბლებს წვენიში, ეს-მის მისი ხმა გარმონის სევდიან ხმაში, უფრო სწორად, ის ვერ ხედავს იმ უცნობ ჰაბუკს მათ შორის, რომლებიც მღერიან და მხიარულობენ, ამიტომ ის კიდევ გვეკითხება: „სად არის ის ბიჭი, სად არის, სად?“ უკრაინის სოფლის მთვარიან ღამეში ახალგაზრდობა ერთობა. პოეტი ამ დროს მიმართავს მათ: „სად არის ის ბიჭი, სად არის, სად?“ ომში გამარჯვებულები სახლში დაბრუნებულან ორდენებით და მტრდღობი მკერდამშვენიელები და ახლა პოეტი მათ მიმართავს — „სად არის ის ბიჭი, სად არის, სად?“

ლექსში „იანიჩარული ბალადა“ პოეტმა აღწერა თურქი ჯარისკაცის ჰასანს ბედი, რომელიც ამერიკელების ბრძანებით ძალად წაიყვანეს საომრად. ლექსს აქვს თავისებური რეფრენი, შეიძლება განმეორებული დათვლა, „ერთი, ორი, სამი“; ერთ შემთხვევაში იგი გვესმის იანკის ბრძანების ხმით:

ვაზნებივით მიჯრილ  
კბილებს ახსლტილი წამით,  
ტყვიებივით სცვივა სიტყვა,  
ერთი, ორი, სამი.

მეორე შემთხვევაში —

მასანს ობლად დარჩა ქობი,  
ძლივს რომ იჭერს კრამიტს,  
ქოხში დარჩა თითო ბაღლი  
ერთი... ორი... სამი...  
შებარბავდა, ნელა-ნელა  
თვალში ჩადავს ღამე  
და წაქეულს ტყვია მოხვდა  
ერთი... ორი... სამი...

პოეტი ტკივილით იგონებს ომის წუთებს. ამ თემას ეძღვნება ლექსების მთელი ციკლი. ამ ციკლს ეხმარება ლექსი „პირველისა და უკანასკნელის შესახებ“, „ჯარისკაცის დაბრუნება“, „ბიჭო გოგია“ და სხვა. პოეტი წუხს ომში დაკარგულ, ომში დაღუპულ ჯარისკაცებზე. რაკოგორ შეიძლება „არ დაენანოს პირველ დღესვე დაცემულები და უფრო მეტად დაღუპულნი უკანასკნელ დღეს...“ — გვეუბნება პოეტი.

ოცდაორი ივნისს ყრულ გინავდა  
გაკაფული ტყე

და სიკვდილს სთესდნენ მტრის ტანკები  
კვამლის ქულებით,  
მორაზრახებდნენ ხის რტობით  
შენიღებულები —  
თითქოს მოჰყავდათ გაზაფხული ტყვედ...

„გზების“ ციკლში მოქცეული ლექსი „ჯა-  
რისკაცის დაბრუნება“ მშვიდობის თემისადმი  
მიძღვნილი. პოეტი ივონებს ომის ქაინშლიან  
წუთებს და ამბობს:

ოცნებით მივდევ ყანების კიდესს..  
წარსულისაკენ გრძელი გზა მიდევს,  
წლებს ტანზე ვიხილ პერიანგებივით  
და ღობე-ღობე ნისლივად ვკიდებ,

...დროს ისე ვფურცლავ, ნასანგრალებს  
ფიქრით გავჰყვები,  
გზებს სიკვდილისას მოვაბრუნებ  
სიცოცხლის გზებად.  
წამოდგებიან დამარხული ჯარისკაცები,  
შეუდგებიან მივიწყებულ სახლკაცის  
ძებნას...

ეს კეთილშობილური სურვილი, საუბედუ-  
როდ, მხოლოდ სურვილია, რადგან „ტყვეები  
ლულებს არასოდეს უბრუნდებიან“ და მათი  
მსხვერპლიც შინ არასოდეს არ დაბრუნდება.  
პოეტი ვასტქერის ბრძოლით განვლოდ გზას და  
ხედავს, რომ სახლის ჭიშკრიდან ბერლინამდე  
განვლილი მანძილი უკვდავებით არის დაფა-  
რული, ვინაიდან მას, ვინც ბრძოლის ველზე  
დაეცა სამშობლოსათვის და თავისუფლებისა-  
თვის, სიკვდილი არ უწყრიდა, ის უკვდავია  
ცოცხალთა შორის, მაგრამ ხომ უკეთესი იქნე-  
ბოდა, ის ფიზიკურადაც ცოცხალი იყოს, რომ  
„ქის წყალს პირზე ისხამდეს პეშვით“ და  
„მხრებზე ისეამდეს ფეხშიშველ ბალღებს?“  
ამიტომ არის, რომ პოეტი ამ გრძელ გზას კით-  
ხულობს „დაღუპულ კაცის ეპიტაფიად“. და  
ბოლოს, აბლაბუდებდა დაქსელილ გზებს ემუ-  
დარება: „არ წაიყვანათ, არ დაკარგათ ჩვენი  
პიჭები, არ დაგვიჭვრივით გოგონები ასე  
კარგები“-ო. პოეტი სჯერა, რომ მშვიდობის  
დამცველთა ძალა უძლველ ძალად გადაიქცა.  
ის ოპტიმიზმით აღსავსე მიმართავს თავის  
თაობას: „ტყუილუბრადოდ მომავლის გზებს  
როდი გავცქერითო“ და უსურვებს მშვიდ სი-  
ბერისა და ომის ღრუბლების გაქრობას — ეს  
ომი იყოს პირველიც და უკანასკნელიც იმი-  
ტომ, რომ სიცოცხლე ადამიანს ერთხელ ეძ-  
ლევა და ამ სიცოცხლეს მშვიდობა სჭირდება.

მას გაუფრთხილდეთ დიდი სიფრთხილით,  
ვაშორეთ საფრთხე და განსაცდელი,  
ისე ვიცხოვროთ — ჩვენი სიკვდილი  
იყოს პირველიც, უკანასკნელიც.

შოთა ნიშნიანიძე თავის ლექსში აცოცხლებს  
მშობლიური მიწა-წყლის წარსულს.

კითხულობ ლექსს და თვალწინ წარმოვიდ  
გება გვირ წინაპართა უქცნობი სილამაზე  
რომელმაც პოეტს აღმადრენა შთაბერა დედას  
ბათ მეთესჯერი ათქმევინა ყველას მიერ ზღაპრულ  
ხულისა და განცდილის ქება, მაგრამ უადრე-  
სად ორიგინალურად და თავისებურად. ძლი-  
ერი სიყვარულით არის გამთბარი წინაპართა  
თავდაღების მოგონება:

გადათიფილი აქ ავჩიხე მეწვრემ, მებრემა,  
აქ ჩავეგლისე გადამხსერეულ ციხის

ხერხემალს  
და ჟღალი ჩოხა წვიმებმა რომ ამიტალხას,  
მე გავიხადე და ჩავაცვი ციხეს ბალახად.

„ციხე-ტაძართა საგალობელი“ რამდენიმე  
სურათის შემცველია, მაგრამ თვით ეს სურა-  
თები თითქოს პატარა პოემებია, საესე თვალ-  
წარმტაცი სურათებითა და ფრესკებით, მიმ-  
ზიდველი ხედებით, ლამაზი პეიზაჟებით.

ძლიერი ტკივილით არის განცდილი ის  
მსხვერპლი, რის ფასადაც ჩვენმა წინაპრებმა  
გადავიტარებინეს სამშობლო, მატერიალური  
კულტურა, ენა. მიწადაქცეულ ნანგრევებსაც კი  
ნათლად ატყვია წინაპართა თავანწირვა, შრო-  
მისმოყვარეობა და სურვილი — უკვლოდ არ  
დაკარგულიყო მათი შფოთვა, წუხილი, ტკივი-  
ლი და ბოლოს სიცოცხლე. წინაპართა ძვლე-  
ბისგან ნაგებ, ნანგრევებადქცეულ ციხე-კოშ-  
კებს, ჩამოქცეულ ლოდებს მიმართავს პოეტი:

ო, ციხის ნისლო — სუნთქვავ ჩემო და  
ფიქრო ჩემო,  
ციხის ნაშურო — ჩემო ნისლო და  
ჩემო ცრემლო.

ო, ციხის ლოდო, ჩამოშლილო,  
ჩამომხსერეულო,  
შენ, ძვლო ჩემო, გატანჯულო  
ჩემო სხეულო.  
ო, გოდოლ-ბურჯნო, გაღავენო,  
ნაგებო მწკრივად,  
ნაბზარი რაა, ყველა თქვენი ნაყაროც  
მტკივა.

შ. ნიშნიანიძის „ციხე-ტაძართა საგალობე-  
ლი“ ძლიერი განცდით დაწერილი ლექსია,  
სურათთა მთელი გალერეა. პოეტი ასე ამთავ-  
რებს ამ ლექსს:

ეპეი, სიმღერით ყელს იღადრავს  
შენი მგოსანი;  
ვაჯით და ფრესკით ჩემი მზარე მარად იცნობა.  
ამ საქართველოს ციხეებზე მზის შუბოსანი  
დგას მეციხოვნედ მარადისობა..

ამ თემაზე დაწერილი ლექსები გამოირჩევა  
ნათელი სახეებითა და მრავალფეროვნებით.

დამიტრი მირიანაშვილი  
შოთა ნიშნიანიძის პოეზია



ისრით დაკარგული, სიზმრად გადასული ციხე ბილიკებით გდია გათასმული. აი, ზღუდეები ქონგურგაქურდული, ჩიტთა ბუდეებით ქვეში ჩაჩურთული. ზემოთ ჩრდილებია მსგავსი ოფოფების, შებოქილებია ხავსით, ოზობებით...

ეს ლექსი შინაგანი რიტმით არის დაწერილი, იგი მუსიკალურია და კარგად ჟღერს.

და დგას ციხისთავი სახეგაყვებით, კვამლი ჰკიდია თუ ჩოხის ნახევები? ცვივა ფალანგები, და ქვის პერანგებად ციხეს გალავნები ტანზე ეგრაგნება... ცეცხლმა გადაძოვა ხარბი გამაღებით ჯაგრით აჯაგრული ციხის გალავნები.

ამავე ციკლში მოქცეული ლექსები: „ცა ქულად, მიწა ქალამნად“, „ხმათა ქარავმა“, „სიზმრად მაქვს ნახული“, „ვეფხვი“ და სხვა. პოეტი „ხმათა ქარავმაში“ ქებით იხსენიებს ქართული კულტურის ერთ მუხლჩაუხრელ ჯარისკაცს, რომელმაც აღადგინა მრავალი საუკუნეებით ჩვენთვის დაკარგული კულტურის ძეგლის შინაარსი:

ხმათა ქარავმას მღუმარების ეღო ურდული, იყო ნიშნები—ნიშნისგება მრავალ ღროების, აზლახუნდანებრ დაბეჭილი და დაბურდული ურიცხვი წლებით, ექვებით და ამოებით.

სადღაც არქივში საიდუმლო რომ ეგდო კუშტი, შენ გაუხსენი დაკრუნჩხული ბებერი მუშტი.

ვინ იყვნენ ისინი, სამშობლოსათვის თავგანწირულნი, ვინც შამხარებად შემორჩა ციხეებს, თვით დაიხოცნენ, რომ საქართველოში კვლავ იმღერათ „შავო მერცხალო“? ამის პასუხს იძლევა მისი ლექსი „ხევსურები“.

ქემშარბად მხატვრის ფუნჯითა ჰყავს დახატული პოეტს დევგმირი. რა კარგად ჩანს ილიაში იაბოამორილი ვაჟკაცი: ხედავ კეთილი ღმილით სახეგაბადრულ, შეზარხოშებულ, ვეება ხევსურს, დინჯად რომ მილაჯებს, მისი ნაბიჯები ბოგირს აზანზარებს, მისი სილიადე ნადირს აშინებს, დათვის აფრთხობს. ხევსურები მას სუფრასთან იწვევენ და პოეტი ასე გვაშცნობს ხევსურის ვინაობას:

ჩამოსევს, — მაგიდა ჩასცილდა მუხლისთავს, ჯამში აშიშინდა თვალები ბუღისა, რაც. იყო. სუფრაზე, — ერთიან მოხოცა, დათვიც კი დააფრთხო იმისმა ხორხოცმა.

შექვიფიანდა კაცი:

ცხენს გადაახუხა ხევსურმა არაყი, დეწი ჰკრა და... ფეხით გატომა არაგვი, დათვს რომ ჩაუარა, ახლაც და მაშინაც დათვი ვეებერთელა ჩრდილმა შეაშინა.

ეს დევგმირი ვაჟკაცები იყვნენ, მთიდან რომ ჩამოდიოდნენ სამშობლოს ცაზე შეაბნელები

ღრუბლის ჩამოწოლისას და ბარში რჩებოდნენ საფლავის ჯვრებად, სახლში კი ზღაპრებად და ლეგენდებად ბრუნდებოდნენ. დიდი ხანია, რომ ით არის დაწერილი ამ ლექსის ბოლო:

ე მაგის სისხლია, ე მაგის ძვლებია, ჩვენს ქართულ ციხეებს რომ ჩაფიცებია, ეს მაგის სულია, ე მაგის სინდისი, ომში რომ არ წახვლით სიყვდილის პირისპირ. მის გორდას მამულის ჰყა გაუკფოა, გორდასებრ ჩინჩხლებს გზის ე მაგის კავია. მოდის საქართველო ე მაგის ჯიშისა, რომ მტერი ვერაგი კვდებოდეს შიშითა!

განსაკუთრებით ხაზი უნდა გაეკვას ნიშნაინძის ლექსების მეტაფორებს, რაკი მას ასეთი საპატიო ადგილი უჭირავს მის პოეზიაში. ნიშნაინძის ლექსების აზრი, ამ აზრის გამოკვეთილი სახეების გადმოცემა გაპირებულა ლექსის ფორმის დახვეწილობითა და მოქნილობით. ხშირად სტრუქტურის აზრი შეიძლება ახალი არ იყოს, შესაძლებელია არა ერთ პოეტს დაეწეროს ამის შესახებ, მაგრამ ნიშნაინძე ანიჭებს სულ სხვანაირ ნიუანსს, სულ სხვა მიმართულებით ავითარებს აზრს და ახალი ფორმით აწვდის მკითხველს, რის გამოც ეს აზრი ძველ, ყველასათვის ცნობილ ნაოხტიურ დებულებას აღარ ჰგავს. შოთა ნიშნაინძეს პოეზიაში თქმის თავისებური სიახლე შემოაქვს. მისი მეტაფორები უაღრესად საყურადღებოა. ჩვენ საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ:

ჩემი ბჭკარების ღერწმოვანებში ვეფხვივით ჩუმად დადის წარსული და ციხეების ტევრი ნალგის აქვს ბჭკალებივით ტორჩე ასხმული.

ჩემო წინაპარო, ჰაუ რა გიქნია — საუკუნეები შუბზე აგიგია! ციხე, ანძა, ხატი, საფლავები ღია მხარზე გაგიდევს და ზღაპრად წაგიღია!

...და მეჩვენება შენი ჩურჩული, სადღაც ბუხარში კვამლად ამოდის...

ქიშკართან იცდის სინამდვილე წარბებშეკრული, როგორც სასტიკი ზედამხედველი...

და ბიძას ყელზე საბელივით წაეჭირება გზები გავლილი ამ ქიშკრიდან გერმანიაშდე.

სამშობლოსადმი უდიდესი სიყვარულია ჩაქსოვილია შ. ნიშნაინძის ყველა ლექსში. მაგრამ განსაკუთრებული განწყობილებით არის დაწერილი ემოციური და მაღალმხატვრული ლექსი „სიით გავექცეა ღელის ტროფებს“. პოეტი ოსტატურად გადმოგვეცემს იმ სიყვარულს.

სა და ალტყინებას, რომელიც მშობლიური ქვეყნის სილიადეს და სილაშაზეს მასში აღუძრაეს.

შ. ნიშნიანიძე პეიზაჟებს, სოფლის წარმატებულ სურათებს ერთი სტრიქონით დაგვიტყავთ ისე, თითქოს დიდი ტილო გედოთ წინ:

**ქართული მთები ნისლეში და ზღაპრებში  
უყინთავს,  
გადაღის უამი ზღაპრებიდან გაუყოფელი.**

**ახი წითელქუდასავით გამოდის ტყიდან  
და მარწყვის სახეს კალათივით მოაქვს  
სოფელი.**

მკითხველის მესხიერებაში რჩება მოშრიალე ყანა, კარგად ჩანს ქართული სოფლის დილის სურათი:

**შუკას ნისლეებით უბე ავესო,  
ხეებს მოორთქლავს ნისლის ფთილები,  
თითქოს ამოქნარებს ბებერი ეწო  
ფართოდ გაღებულ ქიშკარის კბილებით.**

ბელენსკი ამბობს: „დიდ ტრანტში შინაგანი, სუბიექტური ელემენტის ქარბობა ჰუმანურობის ნიშანია. ნუ გვიწინიოთ ამ მიმართულები, ის არ მოგატყუებთ, არ შეგვიყვანთ შეცდომაში... „როცა ეს პოეტი, — განაგრძობს იქვე ბელენსკი, — თავის თავზე, თავის „მე“-ზე ლაპარაკობს, იმავე დროს ლაპარაკობს საერთოზე“...

ამ თვალსაზრისით საინტერესოა შ. ნიშნიანიძის ინტიმური ლექსები: „მე რომ ოდნავად მოეტყუედი შენში“, „ვინა თქვა ჩვენზე, ვიწროდ არიან“, „აი, ვიგონებ ჩვენს სტუდენტობას“ და სხვა.

**კარს სახელურად სტუმრის ხელი აქვს,  
პათიოსნება ურდულად ადევს  
და ჩვენს სუფრაზე თუ გვიმდგირია,  
მეზობლის ბანიც ასულა ცამდე.**

სახეებით აზროვნება, მკითხველთან ამ ენით საუბარი ადვილი საქმე როდია. ამიტომ არის, რომ ემოციონალურ სრულყოფას აღწევენ მხოლოდ ის მწერლები და პოეტები, რომლებიც ფრაზაზე სკრუპულოზურად მუშაობენ, მუშაობენ მაშინაც კი, როცა მხატვრული ქმნილება უკვე მკითხველის კუთვნილებაა და მწერალს ძალა აღარ შესწევს შესაწოროს სუსტი ფრაზა, სუსტი პოეტური სახე, გამოთქმა. მაგრამ როგორც კი მივიცემა საშუალება, გაასწოროს მკითხველამდე მისული რომელიმე უდღეური ფრაზა, ასწორებს და სრულყოფს მას.

ამიტომ ავტორს უნდა ახსოვდეს ის დიდი მოთხოვნები, რომელსაც მკითხველი მწერალს

უყენებს ახლა, როცა ასე ამაღლა მკითხველის გემოვნება.



ლექსში ჩასტილი დიდი გრძნობა, ერთი ან ორი მეტაფორით მიანიშნო მკითხველს შენი განწყობილება, დააფიქრო იგი ან სიხარულის დიმილი მოპგვარო მას — ამისკენ უნდა ისწრაფოდეს ქვეშაირი პოეტი, რომლის პოეზია ხალხის კუთვნილებაა.

ვერ შევედგებით შ. ნიშნიანიძეს, თითქოს მისი ლექსები ღარიბი იყოს პოეტური სახეებით, აკლდეს ოსტატის დახვეწილობა, პირიქით, ის სახეებით ფიქრობს და მკითხველს მრავალფეროვანი საღებავებით დახატული სურათებით ესაუბრება. სწორედ ამიტომ უნდა ერიდოს ლექსის და ფრაზის მეტაფორებით გადატვირთვას და ფრაზაში სახეთა ისეთ პირობითობას, რომელიც შეიძლება გაუგებრობის მიზეზად იქცეს.

მართალია, შ. ნიშნიანიძის ლექსებში ასეთი ადგილები არც ისე ხშირია, მაგრამ სწორედ ამიტომ უფრო საწყენია და მიუტევებელი ასეთი შემთხვევითობაც კი:

**მე ვარ ვენახი —  
მზე მახსია ყურძნის მტევნებად.  
და ძვლდამხვრეული ახი ასეული,  
ხტიან ქონგურები, როგორც  
კენგურები.**

**ფხვქვეშ გამიწვა ლექვის ფათური  
ახლად გაქრლი მიწის სირბილად.**

**და ჩემს ოთახში გაჩრილან გზები,  
როგორც კარკაში დასტა ისრების.**

**მზის სქელი თაფლით და მთვარის  
რძით ვარ გავსებული და სხვა.**

აქ მოყვანილი ადგილების სისუსტე სახეთა უფერულობა კი არ არის, საქმე ისაა, რომ ნაზგასმული ადგილები სულ თავისუფლად შეიძლება შეცვილი იქნეს სხვა, ნებისმიერი სიტყვებით და სახეებით. ასეთი შორეულე ასოციაციები აზრს ძალზედ აბუნდოვანებს.

ძნელია პატარა წერილში შ. ნიშნიანიძის პოეზიას ღირსეული მიუზლო, მაგრამ ერთი რამ კი უდავოა: ქართული პოეზიის ჯანმრთელ სხეულს შ. ნიშნიანიძის სახით ერთი ძარღვიანი მჯგა კიდევ შეემატა.

**დიმიტრი მირიანაშვილი  
შოთა ნიშნიანიძის პოეზია**



## „ანე ფრანკის დღიური“ ქართულად

ანე ფრანკზე, 13 წლის ებრაელ გოგონაზე და მის საქვეყნოდ ცნობილ დღიურზე ბევრი თქმულა და დაწერილა. მთავარი, რაც ამ წიგნში აღლვებს მკითხველს, ანე ფრანკის შემადიწუნებელი ბედი.

ანე ფრანკის მამა ოტო ფრანკი ჯერ კიდევ 1933 წელს გაიქცა გერმანიიდან. ფაშისტებისაგან დევნილმა ოჯახმა თავი ჰოლანდიას შეაფარა. აქ ფრანკები ერთ ხანს მშვიდად ცხოვრობდნენ, მაგრამ როცა გერმანიამ ჰოლანდიაც დაიპყრო, გაწამებული ოჯახი კვლავ საფრთხეში აღმოჩნდა.

ოტო ფრანკმა მეგობარი ჰოლანდიელების დახმარებით თავისი სავაჭრო ფირმის სხვენზე თავშესაფარი მოაწყო. იგი დღე-ღღეზე ელოდა ფაშისტების რისხვას. მართლაც, 1942 წლის ზაფხულში მის უფროს ქალიშვილს გესტაპოს უწყება მოუვიდა. ფრანკების მთელი ოჯახი თავშესაფარში გადაბარგდა.

მალე თავშესაფარში კიდევ ერთი ებრაელის ოჯახი გადმოვიდა. რამდენიმე ხნის შემდეგ კი მათ მიემატა ებრაელი ექიმი დუსელი.

ცხოვრებასა და თავისუფლებას, უბრალო ადამიანურ უფლებებს მოკლებული რვა ადამიანი ამ ვიწრო თავშესაფარში ორი წლის განმავლობაში იტანჯებოდა. და სწორედ მაშინ, როცა თავისუფლების დღეები ახლოდებოდა, გესტაპომ თავშესაფარს მიაგნო.

ანეს მშობლები და მისი „თავშესაფრელი“ მეზობლები ოსვენციმში გაგზავნეს. ანე და მისი და მარგო ბერგენბელზენის საკონცენტრაციო ბანაკში გადაიყვანეს. 1945 წლის თებერვალში შიმშილისაგან გარდაიცვალა მარგო, გაზაფხულზე კი დის მწარე ბედი ანემაც გაიზიარა. ცოცხალი მხოლოდ ანეს მამა ვადარჩა.

ოტო ფრანკი ჰოლანდიაში დაბრუნდა. აქ მას გადასცეს ანეს დღიური. ანეს რეეული ფრანკების მფარველ ჰოლანდიელებს ეპოვნათ თავშესაფრის დარბევის შემდეგ და სათუთად შეენახათ. ფაშისტ ჯალათებს ყურადღება არ მიუქცევიათ გაწამებული, უდროოდ ბავშვობადაკარგული, მაგრამ გაუტეხავი და სიცოცხლის წყურვილით აღსავსე 13 წლის გოგონას ჩანაწერებისათვის. რა იცოდნენ საიდუმლო პოლიციის აგენტებმა, რომ ეს რეეული ფაშისტების სისხლიანი ნაპოქმედარის, მათი კაცთმოძლე ფილოსოფიის ერთერთი ყველაზე საშინელი მამხილებელი დოკუმენტი გახდებოდა.

ანე ფრანკის დღიური ითარგმნა მსოფლიოს მრავალ ენაზე. ამ ერთი წლის წინ კი ქართველმა მკითხველმა მშობლიურ ენაზე წაიკითხა ეს ამაღლებელი ჩანაწერები (წიგნი გამოსცა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“).

„ანე ფრანკის დღიური“ ქართულად

თარგმნა ნელი ამაშუკელმა. ამ წიგნის თარგმნა ბევრ სიძნელესთანაა დაკავშირებული.

ანე ფრანკი 13 წლისა იყო, როცა მწარე ბედმა ოთხკედელშუა მოაქცია. მისთვის ამ კედლებს მიღმა დარჩა მთელი თავისუფალი სამყარო, მზიარული, უდარდელი ცხოვრება. ნიჭიერი გოგონა ნადრევად იწყებს მსჯელობას ფილოსოფიაზე, რელიგიაზე, რასიზმზე, პიროვნების თავისუფლებაზე, ფსიქოლოგიაზე. მიუხედავად იმისა, რომ ანე ფრანკი ხშირად თავისი ასაკისათვის ასე შეუფერებლად ღრმად აზროვნებს და მეტყველებს, მის ენაში მაინც გამოსჭვივის ბავშვური გულბრყვილობა. ანე ფრანკის დღიურის თარგმნისას სწორედ ამ ნიუანსების გადმოცემაა ძნელი.

მეორე სიძნელე, რაც ამ წიგნის მთარგმნელის წინაშე წამოიჭრება, არის შემდეგი: ანემ დღიურის წერა 13 წლისამ დაიწყო. დღიურის პირველი გვერდები სტილისტურად შედარებით დაუხვეწავია და ნაკლები მხატვრული სიძლიერითაა დაწერილი. ორი წლის განმავლობაში ანეს სტილმა და აზროვნებამ დიდი ცვლილებები განიცადა, ფრაზა დაიხვეწა, დღიური ლექსიკურად ძალზე გამდიდრდა, ანეს მწერლური ხედვა და მოვლენების შეფასება უფრო ღრმა გახდა. მთარგმნელმა დღიურს აუცილებლად უნდა შეუნარჩუნოს ანე ფრანკის ლიტერატურული ევოლუცია.

ანე ფრანკი ძირითადად აღწერს მის ირგვლივ მყოფ ადამიანებს, ხატავს მათ ხასიათებს. ანეს თბრობის ობიექტი ყოველდღიური ოჯახური ურთიერთობებია და მისი ენაც ამის შესაბამისად სასაუბრო ენის მრავალ ელემენტს შეიცავს, ხასიათდება ემოციონალობით, ყოფითი დეტალებით, რბილი იუმორითა და მახვილგონიერებით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ანე ფრანკის ენა ლიტერატურულ-სასაუბრო სტილისტურ ტიპს მიეკუთვნება, იგი ლიტერატურულ ნორმებს ემყარება და არასდროს არ არღვევს ამ ნორმებს.

ეს გარემოებაც მოითხოვს მთარგმნელისგან დიდი ზომიერების გრძობას: სასაუბრო ენის თარგმანში შენარჩუნებისას ფამილარულ-მდაბიური სტილისტური საშუალებების გამოყენების საფრთხე იქმნება. ყოველი ყოფითი სცენა თუ დიალოგი თუ არ თარგმნა ბუნებრივი, ძალდაუტანებელი, მაგრამ წმინდა ლიტერატურული ქართულით, თუ ყველა გამოთქმას არ მოენახა შესაბამისი ექვივალენტი, ანე ფრანკის ბუნებრივი, ლალი ენა შეიძლება ქართულად ყალბად აჟღერდეს.

მთარგმნელის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მან შესანიშნავად გაართვა თავი ყველა ამ სიძნელეს. ნელი ამაშუკელმა თარგმანს შეუნარჩუნა ანე ფრანკის სტილის, აზროვნებისა და მწერლური ხედვის ყველა თვისება. ნელი ამაშუკელი კარგად ფლობს როგორც გერმანულ, ასევე ქართულ ენას. იგი ღრმად წვდება ანე ფრანკის ფრაზის ყველა ნიუანსს, ქვეტექსტს და ქართულ ფრაზას ავტორისეულ ყდერადობას ანიჭებს. მთარგმნელი თითქმის ყოველთვის პოულობს შესაფერ იდიომატურ გამოთქმებს, ქართულ შესატყვისებს. წინადადება გრამატიკულად ყოველთვის გამართულია, აზრი ნათელია და ზუსტი.

მოვიტანთ ერთ მაგალითს: „არც პეტრი უქნია ღმერთს, ბაიყუშია, მთელი დღე უსაქმოდ გორავს საწოლზე, ჩხირკედლაობს. ხანდახან რალაცას თლის და მერე ისევ თვლემს. ნამდვილი ძილის გუდაა! ამინდები თბილია და სხვეწზე გატანილ შეზღონგებზე ვნებივრობთ“ (გვ. 32).

ასეთი ბუნებრივი, გამართული ქართულითაა ნათარგმნი თითქმის მთელი წიგნი. ციტატების მოტანაც უხვად შეიძლებოდა, მაგრამ ჩვენ ძირითადად ყურადღება გვინდა გავამახვილოთ იმ გაუმართავ ადგილებზე, რომელიც, სამწუხაროდ, თარგმანში აქა-იქ გაპარულა.

საერთოდ, ქართულ წინადადებას მე-

---

ღალი კოკაია

„ანე ფრანკის დღიური“ ქართულად

ტისმეტად ტვირთავს გერმანული რე-  
ლათიური ნაცვალსახელების პირდაპირ  
გადმოტანა, მით უმეტეს შეუწყნარებე-  
ლია მისი ერთ წინადადებაში ორჯერ  
ხმარება. მოვიტანთ ერთ მაგალითს:  
„ვფიქრობდი მამაზე, რომელიც ცუდს  
არაფერს მოეღის და ებრაელთა თავ-  
შესაფარშია წასული დავრდომილთა სა-  
ნახავად, რომელთაც მფარველობას  
უწყებს...“ (გვ. 22).

თარგმანში გვხვდება უცხო ენების  
კონსტრუქციების გავლენით შედგენი-  
ლი წინადადებები და გამოთქმები.  
ქართულისათვის უცხოა: „**მამამ  
რიგიანი შექმენიღბვა მოაწყო**“ (გვ. 27).  
აქ შეიძლება ამ კონსტრუქციის  
თავიდან აცილება. გერმანულ ტექსტში  
ვკითხულობთ: „Vater verbesserte die  
unvollständige Verdunkelung...“

რამდენიმე ადგილზე მთარგმნელს  
გერმანული წინადადება ქართულად  
სიტყვასიტყვით გადმოუტანია. ასეთი  
სიზუსტე მსხვერპლად იწირავს ქართუ-  
ლი ენის ბუნებრივობასა და მოქნილო-  
ბას. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ორი-  
ოდე მაგალითს:

გერმანულშია: „aber vielleicht sind  
sie nun mal im guten Sinne launen-  
haft.“

თარგმანში ვკითხულობთ: „იქნებ  
კარგი გაგებით არიან ქირვეულნი“,  
(გვ. 19).

ანე წერს: „um mich gründlich zu  
waschen“, რაც მთარგმნელს ქართუ-  
ლად ზუსტად გადმოუტანია „საფუძ-  
ვლიანად ვბანობ“ (გვ. 104).

გერმანული წინადადება: „Mit diesen  
Worten drehte die beleidigte Anne  
sich um und tat, als ob der Doktor

Luft sei,“ თარგმნილია ასე: ამ სიტყ-  
ვების წარმოთქმის შემდეგ, შეუთა-  
ცხოვლი ანე შემობრუნდა და <sup>გერმანული</sup> ~~და~~ <sup>გერმანული</sup>  
გამომეტყველება მიიღო, თითქოს ექიმი  
„**ცარიელი ადგილია**“ (გვ. 94). აქ უგუ-  
ლებელყოფილია ქართული ზმნის დო-  
მინანტური როლი და ამის შედეგად წი-  
ნადადება სტილისტურად გაუმართავ  
შთაბეჭდილებას ტოვებს.

ზუსტი ასლია გერმანული წინადა-  
დების: „Tag, Anne, bis nachher“, ქარ-  
თული თარგმანი: „**ჯერჯერობით, ანე,  
შეხვედრამდე**“ (გვ. 205).

ქართულისათვის მიუტევებელია ასე-  
თი გამოთქმებიც: „ელიმ, მე და მარ-  
გოს მაღაზიაში **ქვედატანი** გვიყიდა“  
(გვ. 45). „Elli hat im Warenhaus Rüe-  
cke für Margot und mich gekauft“. **გერმანული**  
Kurzschluß თარგმნილია  
„**მოკლე შერთვად**“, როცა ქართულში  
ტექნიკური ტერმინოლოგიით დადგენი-  
ლია „მოკლე ჩართვა“.

კიდევ ერთი შენიშვნა: მთარგმნელს  
რატომღაც ანეს სახელი ანად გადმოუ-  
ტანია. ეს არაა სამართლიანი, რადგან  
გოგონას ანე ერქვა და არა ანა, ეს წიგ-  
ნის სათაურიდანაც კარგად ჩანს: „Das  
Tagebuch der Anne Frank“.

საბედნიეროდ, ჩამოთვლილს მსგავსი  
შეცდომები თარგმანში ძალზე იშვი-  
ათად გვხვდება. ანე ფრანკის დღიური  
თარგმნილია კარგი, ხატოვანი ქართუ-  
ლით. თუ მთარგმნელი ამ მცირეოდენ  
შენიშვნებს წიგნის მომავალი გამოცე-  
მისათვის გაითვალისწინებს, თარგმანი  
უთუოდ მოიგებს.



# ხელმოწერა

დავან კონდალი

## წარსულის ბაკვეთილები

ქართული კინოსადმი მიძღვნილ სტატიებში ხაზგასმულია ერთი აზრი, რომელსაც ძნელად შეიძლება დავეთანხმოთ. რატომღაც 20-იანი წლების უკანასკნელი მეოთხედის კინოსურათებს უბირისპირებენ წინა პერიოდში შექმნილ ფილმებს, ზოგჯერ კი სრულიად უგულვებელყოფენ მათ. ოციანი წლების პირველ ნახევარში მოპოვებული მიღწევების უარყოფა კი ნიშნავს ქართული ეროვნული კინოხელოვნების თავისებურების ნიველირებას, მის მექანიკურ გაიგივებას რუსულ საბჭოთა კინემატოგრაფიასთან, რომლის აყვავებაც იწყება მხოლოდ 1925—1926 წლებში, მაშინ როცა ეკრანზე გამოდის „ჯავახიშვილის პოტიომკინი“, „დედა“ და სხვა ღირსშესანიშნავი ფილმები.

ამ პირველმა ქართულმა სურათებმა მაშინვე მოუპოვეს სახელი ჩვენს კინოხელოვნებას და წამოიწიეს იგი საბჭოთა კინოხელოვნების ავანგარდში, ოციანი წლების შუახანებიდან კი ქართული კინო რუსული კინოხელოვნების მხარდამხარ მიაბიჯებს.

ეს პირველი ფილმები მნიშვნელოვანი და საინტერესოა. საკიროა მათზე მუშაობისას მიღებული გამოცდილების გაცნობა და შესწავლა. ამ გამოცდილების დაკვირვებულად გამოყენება და შემდგომი განვითარება უდავოდ დაეხმარება კინოხელოვნების განვითარებას. ქართული კინოს, ისევე როგორც მთელი საბჭოთა კინოხელოვნების მომავალი წარმატების საფუძველი ნა-

წილობრივ უნდა ვეძებოთ სწორედ 20-30-იან წლებში შექმნილ ფილმებში, ე. ი. ამ ფილმებში, რომლებიც ანვითარებდნენ სოციალისტური რეალიზმის პრინციპებს. ამ გამოცდილების გაზიარება მით უფრო საჭიროა, რომ იმ ფილმთა უმრავლესობა, რომელზედაც ლაპარაკია სტატიაში, ფაქტურად მაცურებლისათვის უკვე არ არსებობს. ზოგი ფილმი დაკარგულია, ზოგიერთის მხოლოდ პოზიტიური ბსალი მოიპოვება, ზოგი მათგანი კი გასამრავლებლად გამოუსადეგარი და ინახება მოსკოვში, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ფილმოფონდში, ძველი ფილმების „ნაკრძალში“.

ამ წლებში შექმნილი ფილმების უმრავლესობა აგებულია სხვადასხვა, ზოგჯერ საწინააღმდეგო, ესთეტიკური პრინციპებისა და მიმართულებების მიხედვით.

ამ სტატიაში ლაპარაკია მხოლოდ ზოგიერთ სურათზე, შემოქმედებით გამოცდილებაზე, რომელსაც ისინი მოიცივენ, ქართული კინოს ღტოვავზე ცალკეული მარცხითა თუ გამარჯვებით სავსე გზაზე ცხოვრებისეულ სიმართლისკენ; იმ ახალი მეთოდის პრინციპებზე, რომლებსაც ანვითარებდნენ პირველი ქართული ფილმები.

ეს სტატია თითქოს რეჟისორების პორტრეტთა გალერეას წარმოადგენს. 20-იანი წლების ქართული კინემატოგრაფია უპირატესად რეჟისორული კინემატოგრაფიის განვითარების ეტაპი იყო. დრამატურგმა და მსახიობმა მხო-

ლოდ 30-იანი წლებიდან წამოიწია წინ და სთანადო ადგილი დაიკავა რეჟისორთან ერთად. მუხჯური პერიოდის პირველი ქართული ფილმების აღმოცენებასა და აყვავებასთან, მის წარმატებებთან მჭიდროდა დაკავშირებული ი. პერესტიანის სახელი. საბჭოთა კინოს ამ უხუცესმა მოღვაწემ, მისმა ერთ-ერთმა ფუძემდებელმა პერესტიანმა გაამდიდრა საბჭოთა კინოხელოვნება ისეთი მხატვრული ფილმებით, როგორიცაა: „არსენა ჯორჯიაშვილი“ (1921 წ.), „წითელი ეშმაკუნები“ (1923 წ.), „სამი სიტყვა“ (1924 წ.), „ტარიელ მკლავაძის მკვლელობის საქმე“ (1925 წ.). ამ სურათებმა, განსაკუთრებით კი პირველმა სამმა, თავისი სიახლეთი დიდი გავლენა მოახდინა მთელ საბჭოთა კინემატოგრაფიაზე. თანამედროვეთათვის ეს ფილმები ჰემმარიტი აღმოჩენა იყო.

„არსენა ჯორჯიაშვილი“ ისტორიულ-რევოლუციური ჟანრის პირველი საბჭოთა სურათია. იგი შეიქმნა ს. ეიზენშტეინისა და ვ. პუდოვკინის ფილმების გამოჩენამდე. ამ სურათში საბჭოთა კინოხელოვნებაში პირველად იქნა ნაჩვენები მუშა-რევოლუციონერის სახე. ქართველი ხალხის გუმინდელი დღე კინემატოგრაფიულად პირველად იქნა გააზრებული და მან პირველად შეისხა ხორცი ეკრანზე.

ზხირად ნოვატორულს უწოდებენ ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც წინამორბედთაგან მხოლოდ გარკვეული ფორმით განიზოციან, სინამდვილეში კი ნოვატორულია ის სურათები, რომლებიც ასახავენ ცხოვრების ახალ პროცესებს, ახალ იდეებს, აზრებს. კარგია, თუ ასეთ ფილმებს შესაბამისი ფორმა მოეძებნებათ, მაგრამ თუ ეს ასე არ მოხდა, ისინი თავის ნოვატორულ ხასიათს მაინც არ კარგავენ. აი, რატომ არის „არსენა ჯორჯიაშვილი“ თავისი დროისათვის მნიშვნელოვანი ნოვატორული ნაწარმოები. ამ ფილმის გატაცებისას რეჟისორი უპირველეს ყოვლისა ვატიცებულა არა ძველი ფორმისაგან განსხვავებული ფორმის ძიებით, არამედ მისთვის და თვით ხელოვნებისათვის უჩვეულო მოვლენებისა და განწყობილებათა გადმოცემით.

ფილმის წარმატებას ხელი შეუწყო მისმა კინემატოგრაფიულმა ღირსებებმა. ფილმი ხარისხიანად, პერესტიანისათვის დამახასიათებელი პროფესიონალიზმით იყო დადგმული, იგი კარგად იყო გადაღებული, მშვენივრად გადმოსცემდა დრამატულ განწყობილებას. განსაკუთრებული დრამატიზმით გამოირჩეოდა კადრები, რომლებიც უჩვენებდნენ სიკვდილის-ჯილი შვილისაკენ მიმავალ დედას; აგრეთვე ის კადრები, სადაც ძველი ციხე-სიმაგრის ფონზე ნაჩვენები იყო, როგორ მიჰყავდათ ეანდარმებს არსენა დასახვრეტად. დამაჯერებელი და უტყუარია ეანდარმთა მოქმედება ფილ-

ში. ისინი რეალისტურად არიან ნაჩვენები, რეჟისორმა არ გააშარვა და არ გააყალბა მათი სახეები. თუმცა კი საშარლოაინობა მათსა და ითქვას, რომ მსახიობები, ე. ჩერქეზიშვილის გარდა, ჯერ კიდევ ძალზე თეატრალურად ასრულებდნენ როლებს.

ამის შემდეგ პერესტიანმა საბჭოთა საქართველოში პირველმა განახორციელა კლასიკური ლიტერატურის ეკრანიზაცია. 1922 წელს მან დადგა ფილმი „სურამის ციხე“ დ. კონჭაძის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით. ეს ფილმი თავისი ლიტერატურული პირველწყაროს დონემდე ვერ ამაღლა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ფილმს არნახული წარმატება ხვდა წილად. იგი მაყურებელს ხილავდა თავისი მდიდარი სანახაობრივი მხარით.

როგორც ცნობილია, იმ წლებში ა. ლუნ-ჩარსკი უსაყვედურებდა მათ. ვინც აბუჩად ივდებდა დიდი ემოციური ძალის მქონე სახალხო სანახაობებს, „იომის ნაცვლად, რომ ცხვირის იმზუებთ და ზურგს აქცევთ, უმჯობესია გაივით, რა იზიდავს მასას ამ სანახაობებში“<sup>1</sup>, — წერდა იგი. ლუნჩარსკის აზრით, ეს მიმზიდველი ძალა უნდა ყოფილიყო სირტრესო სიუჟეტი, მოქმედების სინდრე, ხასიათების გამოკვეთილობა, ნათლად, ზუსტად გადმოცემული სიტუაციები, ბოროტისა და კეთილის მკვეთრი გამოყოფა ერთმანეთისაგან.

პერესტიანის სურათი თავისი ხალხურობით და დემოკრატიზმით ამ ესთეტურ პრინციპებს უახლოვდება. ფილმში კარგად იყო ნაჩვენები ქორწილის ეპიზოდი და სხვადასხვა წეს-ჩვეულებანი. მაყურებელი განსაკუთრებით ააღვლიდა ამიანის კედელში ეკრანზე ჩატანების სცენამ. ამ კადრებს დროის თანაბარ შუალედებში სცვლიდა წარწერები, ტიტრები — დედის შეკითხვა და შვილის პასუხი. მუწუხანებისგან შემოდილი დედა ეკითხება შვილს, სანამდე სწვდება მას კედელს. ყოველ კითხვაზე შვილი პასუხობს — მუხლამდე, წელამდე... უცებ ეს რიტმული მონაცვლეობა წყდება: წარწერა — პასუხი არ ჩანს. იქმნება ხანგრძლივი, ტრაგიკული პაუზა. ეკრანზე მხოლოდ ამომზენებული კედელი ჩანს. მასალის რიტმული ორგანიზებით, კედელში ჩამარხვის კადრებისა და ტიტრების მონაცვლეობით ძლიერდება ეფექტი, რაც მითავრდება მრავლისმეტყველი პაუზით. ტექსტი — ტიტრი აქ გამოყენებულია არა როგორც განმარტება, პაუზასთან ერთად იგი არის თავისთავადი სამონტაჟო ელემენტი. იმ დროისათვის ეს სიახლეს წარმოადგენდა.

ამ სურათის ჰქონდა კიდევ სხვა კინემატოგრაფიული, იმ დროისათვის პრინციპული დადებითი მხარეები და თვისებები.

ფილმში, რომელიც შეიქმნა ლიტერატურაში რეალისტური მიმართულების ერთ-ერთი ფუძემდებლის დ. კონჭაძის მოთხრობის სიუჟეტზე. მოთხრობისა, რომელშიც ჯერ კიდევ ძლიერად იგრძნობა რომანტიზმის ტრადიციები, საკმაოდ

<sup>1</sup> A. В. Луначарский. О театре и драматургии, т. I. 1958 г. стр. 786.

ნათლად წარმოვედგება თვით რეჟისორი პერესტიანი, როგორც რომანტიკული ტენდენციების მქონე მხატვარი-რეალისტი.

სწორედ ამიტომაც მოიპოვა პერესტიანმა დიდი წარმატება სათავგადასვლო-რევოლუციურ თემებზე მუშაობისას. მაყურებელთა განსაკუთრებული მოწონება დიამისახურა მისმა რევოლუციური რომანტიკით აღსავსე ფილმმა „წითელი ეშმაკუნება“, რომელიც ნათლადაა ასახული ეპოქა და რევოლუციური ბრძოლის პათოსი. „წითელმა ეშმაკუნებმა“ საფუძველი ჩაუყარა ამ ქანრიის ფილმებს. იგი პირველი სურათი იყო, რომელმაც კინოს თვალთახედვის ახალი კუთხე გაუხსნა. სამოქალაქო ომის თემას რეჟისორმა მოუნახა სათავგადასავლო ფორმა და დიდი ენთუზიაზმით განახორციელა იგი ეკრანზე. ნაწარმოების ავტორმა პ. ბლიაჩინმა და რეჟისორმა პერესტიანმა სამოქალაქო ომის პერეოქაში ახალი შინაარსი დანახეს. კინოსურათი ახალ წარმოდგენებს ქმნიდა გმირობაზე, მამაცობაზე, რევოლუციური ხელოვნების შინაარსსა და ფორმაზე. მეტწილად გამოყენებული საშუალო პლანები შეესაბამებოდა იყო სათავგადასავლო ქანრისათვის დამახასიათებელი უშუალო მოქმედებით, რაც მაყურებელზე დიდ ემოციურ ზემოქმედებას ახდენდა.

ამ ფილმის მხატვრულ ძალას აძლიერებდა ზუსტი, დინამიური მოტივი და რიტმულობა. ეს ფილმი საბჭოთა კინემატოგრაფიის სასწაულიაო, — წერდა იმდროინდელი პრესა. სურათი არ იყო აგებული ქართულ მასალაზე, მაგრამ ენაბრებდა ქართულ ხელოვნებასა და დოქტრინარში დამკვიდრებულ რომანტიკულ ტრადიციებს. ორ სერიად გადაღებულმა ამ ფილმმა დიდი გავლენა იქონია ეროვნული კინემატოგრაფიის განვითარებაზე.

როგორც ცნობილია, ეს ეკრანზაცია მოხდა სპეციალურად მომზადებული სცენარის გარეშე, — უშუალოდ თხზულების მიხედვით. პერესტიანი ეყუთუნოდა იმ რეჟისორთა რიცხვს, რომლებიც ფილმს, მის ყოველ დეტალს გადაღებამდე მთლიანობაში აღქვამდნენ. ამ თვისების წყალობით პერესტიანი სტოლის მთლიანობას თავიდან ბოლომდე ინარჩუნებს.

გარემოს ტიპურობამ, რომელშიც ეთარდებოდა ახსიათები, იმდროინდელი ყოფის საერთო ატმოსფეროს შექმნის სიზუსტე და ოსტატობამ განაპირობა ფილმის გამარჯვება.

მეტად დიდაა ამ ფილმის მნიშვნელობა საბჭოთა კინემატოგრაფიისათვის. ამად არ წერდა „კინოგაზეტა“ 1923 წ. 27 ნომერის მოწინავე სტატიაში: „ექვსი წელია, რაც რუსეთის კინემატოგრაფია მუშათა სახელმწიფოს ხელშია. ექვსი წელია, ველით მისგან რევოლუციურ ფილმებს... და აი, მხოლოდ ახლა გვაქვს ხელთ პირველი დიდი და საუკეთესო რევოლუციური

ფილმი! იგი მთლიანად რევოლუციისაგანაა შექმნილი, მთლიანად ჩვენს უკანასკნელ წიგნთანამდე“.

პერესტიანის შემდეგმა სურათმა „სამი სიცოცხლე“ ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რეალისტური საბჭოთა კინოს განვითარებაში, გავლენა მოახდინა მთელ საბჭოთა კინოხელოვნებაზე. ამ სურათმა თავისი ღრმა სოციალური მნიშვნელობისა და მაღალმატრეულობის გამო თავის დროზე ა. ვ. ლენინარქის მაღალი შეფასება დაიმსახურა. ლენინარქი წერდა, რომ ეს ფილმი „არა მარტო უსწორდება საუკეთესო საზღვარგარეთულ ფილმებს, განსხვავდება რა მთავან ამავე დროს თავისი რეალიზმის სიღრმით, არამედ შორს იტოვებს მთელ საბჭოთა კინოწარმოებასაც“ 1.

ფილმი გადაღებულია ერთ-ერთი საუკეთესო სოციალური რომანის გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯის“ მიხედვით. თვით რომანის კომპოზიცია, თხრობის მიმდინარეობა გველენს ახდენს ფილმზე, მის ტიპაზე, მის მოქმედებას ფართოს და მრავალპლანინს ხდის. კინოში პირველად იქნა ნაჩვენები თავადაზნაურობის დეგრადაციის სურათი, ვაკრის ახალი ტიპი, ახალი კლასის — ეროვნული ბურჟუაზიის ჩასახვა. ეს იყო დიდი სოციალური ტილო, რომელიც დამაჯერებლად გადმოსცემდა საქართველოში კაპიტალიზმის ჩასახვის ეპოქაში სხვადასხვა ფენების ყოფაცხოვრებასა და ზნეჩვეულებებს. ეს მამუშევარი საინტერესოა არა მარტო იმით, რომ იგი არის ცნა კინორომანის შექმნისა, არა მარტო მისი გადაღებისას შემუშავებული მეთოდოლოგიური პრინციპებით, რომელთაც თანამედროვე კინემატოგრაფიისათვისაც აქვს მნიშვნელობა, არამედ მთელი რიგი სცენების ბრწყინვალე რეჟისორული და აქტიორული გადაწყვეტით. ავიღოთ თუნდაც იერემია წარბას მკვლავლობის ფინალური სცენა. ბაზა ფულავა (მსახ. მ. გელოვანი) საწოლ ოთახში შედის თავადის მოსაყვავად. თავადს სძინავს, რაც აადვილებს ბაზვას განზრახვას, მაგრამ კაცის მოკვლა არც ისე იოლია და რეჟისორი საინტერესო სცენას ქმნის. იგი შესანიშნავად ახერხებს მოქმედების გადმოცემას, ამასთან, თავს აღწევს ნატურალიზმს. იერემია წარბა თითქმის არ ჩანს. ლოგინზე ჩამოფარებული თეთრი ფარდაგი ფარავს მძინარე წარბას მაყურებლის თვალთაგან. ბაზა ფარდას ჩასცემს ხანჯალს, მაგრამ მაყურებელმა ვერ არ იცის, მოხვდა თუ არა ხანჯალი წარბას. მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა ფარდაზე ხანჯლის ჩაყვამის ადგილას ჩნდება და თანდათან იზრდება აუცილ ლაქა, ცხადი ხდება, რომ მართლმსაჯულება აღსრულდა.

ლევან რონდელი  
წარსულის გაკვეთილები

1 Кино и время. 1960 г. № 1. стр. 331 — 332.



წიგნი  
სტრუქტურა  
განმარტება

ამ სცენის მსგავსი რამ გაკეთდა 30 წელზე მეტი ხნის შემდეგ ა. ვილის ფილმში „ფერფლი და ალბისი“. ეს ფილმი პოლონეთის ომის შემდგომი პერიოდის ფილმების მწვერვალად ითვლება. ამ ფილმის ფინალურ ნაწილში არის სცენა, რომელიც ყველას აოცებდა. ფილმის მთავარი გმირი ცდილობს გაექცეს ჯარისკაცებს, რომლებიც სროლით მისდევნენ მას. იგი მირბის ქუჩებში, შესახვევებში, ეზოებში. ბოლოს ქუჩის ერთ-ერთ შესახვევში გაუჩინარდება; იქ გასაწრობად თეთრულია გაფენილი. კინოკამერა უტრიალებს თეთრულს, თითქოს ცდილობს იპოვოს ღვენილი. კინოაპარატის სწრაფი მოძრაობა თანდათან ნელდება და იცვლება თოვზე გაფენილ უზარმაზარი ქათამთა ზეწრის უძრავი პლანიო, რომელიც თითქმის მიელ კადრს ასესებს. მასურბელი იწყებს ფიქრს, რომ ფილმის გმირი გადაურჩა მღვეარს, რომ იგი უენებელია, მაგრამ ზეწარზე ჩნდება სრულიად უმნიშვნელო შავი ლაქა. იგი ნელ-ნელა იზრდება, ფართოვდება და ზეწრის თითქმის ერთ მესამედს ფარავს. მთელი ამ ხნის მანძილზე კინოკამერა უძრავია. მასურბელის ყურადღება ლაქაზე მიჯაკველი. ზეწარი მიძიდება და მასში ვახვეულ ადამიანთან ერთად მიწაზე ეცემა. ცხადი ხდება, რომ ფილმის მთავარი გმირი ვერ გაექცა მღვეარს, რომ იგი სასიკვდილოდ დაჭრეს.

ცხადია, ვიდას არ შეეძლო ენახა პერესტიანის ფილმი. იგი დაეწყებასა მიცემული ასე აღმოვაჩინეთ ხოლმე თავიდან იმას, რაც ერთხელ უკვე აღმოჩინალი იყო.

რევისორულ-აქტიორული თვალსაზრისით საინტერესოა პერესტიანის შემდეგი სურათი „ტარიელ მკლავების მკვლელობის საქმე“, დაღმეული 1925 წელს ე. ნინოვილის მოთხრობის „ჩვენი ქვეყნის რაინდის“ მიხედვით.

ეს არის ჰეშმარიტად რეალისტური, მაღალი აქტიორული ხელოვნებით შექმნილი ფილმი. გმირთა კონსტუმებსა და ყოფითი დეტალების დამოკეთებაში დაშვებული ცალკეული უზუსტობანი არ არღვიენ კარგად შექმნილ ატმოსფეროს, რომელშიც მოქმედება მოთხრობის მიხედვით მიმდინარეობდა. კ. მიქაბერიძე ახლებურად ხსნის სპორიდონ მციროვილის როლს. იმდროის კინომსახიობისაგან განსხვავებით, იგი როლს ანსახიერებს არა თეატრალურად, არამედ სწორედ კინემატოგრაფიულად, თავშეკავებულად და დახვეწილად. მზრუნველი ოდნავ მოხრილი, სვედიანი, ფიჭრითა და ტანჯვით სავსე თვალები... ოსტატური შესრულებით ეს როლი ამ პერიოდისათვის საუკეთესოა. თავისი სტილით ეს სურათი ნეორეალისტურ ფილმებს უახლოვდება.

ამ ორ თუნახსენებლ ნამუშევარში ნათლად ჩანს პერესტიანის, როგორც რევისორის თვისება — იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა დრამატურგიულ მასალას და მსახიობს, როლის აქტიორულ შესრულებას. მაგრამ მუნჯე

კინოში შეუძლებელი იყო კლასიკური ნაწარმოების გმირების რთული საყაროს, თუნდაც ნაწარმოების შინაარსის მიელი სტრუქტურულად გამოცემა.

პერესტიანმა დაღვა სხვა ფილმებიც, მაგალითად: „საფურ საფლავი“, „შირვანელი თავადის ქალის დანაშაული“ და სხვა. მაგრამ ეს ფილმები ზემოთ განხილული ფილმების დონემდე არ ამაღლებულან. ისინი უპირატესად ეგზოტიკური სურათები იყო. მათი წარმოებებლობის მიზეზი კარგი ლიტერატურული საფუძველის, ეროვნული ლიტერატურის პროგრესული ტრადიციების უქონლობაში მდგომარეობდა.

ამავე პერიოდში მნიშვნელოვანი ფილმები შექმნა მხატვის აღზრდილმა, თეატრის რეჟისორმა ა. წუწუნავამ. ა. წუწუნავა ძირითადად ეროვნული კლასიკური ნაწარმოებების ეკრანოზაციაზე მუშაობდა. მისი ფილმებია: „უაილდ ვესტის მხედარი“ („ენ არის დამანაშავე“), „ხანუმა“, „ჯანყი გურამი“, „ორი მონადირე“.

წუწუნავის ფილმები, ისევე როგორც პერესტიანისა, თავისი დროისთვის მაღალი კინემატოგრაფიული კულტურის მაჩვენებელია. ეს ნაწარმოებები აბათილებენ ზოგიერთი კრიტიკოსის მტკიცებას, რომ თითქმის რევისორებს შეეძინებურად გადმოქონდათ კინოში ხელოვნების სხვა დარგთა გამოცდილება.

თავისი პირველი ფილმი ა. წუწუნავამ „ქართელი ომი ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე გადაიღო. ეს იყო ე. ნინოვილის „ქრისტინეს“ ეკრანოზაცია. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ფილმი „ენ არის დამანაშავე“.

ა. წუწუნავამ გააფართოვა. ნაკაშიძის პიესის „ენ არის დამანაშავეს“ ჩარჩოები. ფილმში ახალი მოტივები, ახალი სახეები და სიტუაციები შეიტანა. ფილმს საინტერესის ხდის არა მარტო სანახაობითი მხარე, არამედ ხასიათების, გმირთა ფსიქოლოგიის დაკვირვებულ დამუშავება და კ. მიქაბერიძის, ნ. ვანძაძის, ც. წუწუნავის, ელ. ჩერქეზიშვილის, ა. ბინთიბიძის, დ. ყიფიანის მიერ როლების ოსტატური შესრულება. ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო საინტერესოა „ორი მონადირე“. აქ ძირითადი ორი გმირი მოქმედებს (მსახიობები: კ. მიქაბერიძე და მ. გელოვანი). ამ ფილმში რეჟისორი გატაცებულია ადამიანის შინაგანი სულიერი სამყაროს, ადამიანთა ვნებათაღელვის გადმოცემით, რასაც იგი ახორციელებს მუნჯური კინოს პლასტიკური ხერხების გამოყენებით და აღწევს დიდ დინამიზმს და გამომსახველობას. ამ თავისებური სურათის მხატვრულ ღირებულებას ამცირებს ავტორის ჩანაფიქრის შეზღუდულობა და ისიც, რომ ფილმში საკმაო სიზუსტით არ არის ნაჩვენები მოქმედების ადგილისა და დროის ნიშნები. წუწუნავას სურათებში იგრძნობა ლიტე-



რატურული საფუძვლის მიმართ დიდი, სერიოზული დამოკიდებულება. მისწრაფოდა რა რეალიზმისაკენ, იგი ზოგჯერ მასალას ნატურალისტურად ამუშავებდა, რაც ასუსტებდა ფილმის ემოციურ ძალას. მისი რეალიზმი ზოგჯერ ვერ პასუხობდა ჰუმანიტარულ რეალიზმის მოთხოვნებს — ტიპური ხასიათების ტიპურ გარემოში ჩვენებას და ცხოვრების ისტორიული სიმაართის ასახვას. ასე მაგალითად, ფილმში „ჯანჯი გურიამი“ დაკარგულია ისტორიული სინამდვილის განზოგადების შესაძლებლობა, აქტიური ისტორიული გმირები — ფილმის პერსონაჟები ბატალურ მიზანსცენებშია შთანქმელები.

კ. მარჯანიშვილის ფილმები თითქმის იმავე მხატვრული პრინციპებითაა გადაღებული, როგორც მისი სპექტაკლები, რეჟისორული ხერხებიც იგივეა. მარჯანიშვილის სასცენო მოღვაწეობა სინთეტური თეატრის ძირითად პრინციპებს ემყარებოდა. მის სპექტაკლებში ყოველთვის ნათლად ვლინდებოდა თეატრის სინთეტური ბუნება, ფართოდ იყო გამოყენებული ხელოვნების ყველა გამომსახველობითი საშუალებები (სიტყვა, მუსიკა, მოძრაობა, ფერწერა და ა. შ.), მაგრამ მუხჯი კინემატოგრაფია რეჟისორის შემოქმედებითი პრინციპების განხორციელებას ზღუდავდა. შესაძლებელია, ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მარჯანიშვილის კინოდადგმები ვერ აღწევდნენ მისი თეატრალური დადგმების მხატვრულ სიმაღლემდე. მას არ ჰქონდა შესაძლებლობა გამოეყენებინა მუსიკა და სიტყვა თავისი ფილმების შინაგანი რიტმისათვის. მაშინ, როცა სწორედ ძლიერად გამოვლინებული შინაგანი რიტმი და მუსიკის სიუხვე შეადგენდა მისი სპექტაკლების დამახასიათებელ თვისებას.

მარჯანიშვილმა ეკრანზე შესრულების მაღალი თეატრალური კულტურა მოიტანა. მისი ვაგლენით ქართულ მსახიობთა თამაში უფრო ცოცხალი, პროფესიული ხდებოდა, მსახიობი მისწრაფოდა შემქნილი სახის სრული ფსიქოლოგიური გამართლებისაკენ.

1928 წლიდან ქართულ კინემატოგრაფიაში მოვიდნენ ახალგაზრდა რეჟისორები და დრამატურგები: ნ. შენგელაია, მ. ჭიაურელი, ლ. ესკია, გ. მაკაროვი, მ. გელოვანი, ზ. ბერიშვილი, დ. კალატოზი, გ. დოლიძე, დ. რონდელი, ს. ფალავანდიშვილი, გ. მდივანი, შ. ხუსკივაძე, შ. ალხაიშვილი და სხვ.

ნ. შენგელაია თავისი პირველი ფილმის „გიული“ შემდეგ „ლექი“-ს ერთ-ერთ ნიჭიერ მოღვაწესთან ს. ტრეტიაკოვთან ერთად იწყებს მუშაობას ა. ყაზბეგის მოთხრობის „ელისოს“ მიხედვით დაწერილ სცენარზე. ნ. შენგელაია ამ მოთხრობის ეკრანიზაციას ამთავრებს 1928 წელს.

ამ ფილმში, როგორც ცნობილია, თავისი ნოვატორული ხასიათით დიდი ვაგლენა მოახდინა ქართულ ეროვნულ კინოზე.

ლიტერატურული მასალა თავისებურად იქნა გადაუმუშავებელი. მოთხრობის მიხედვით მოხვედ ვაჟიას უყვარს ჩეჩენი ქალი ცარიზმის დამკავშირებელი ელისოს მთელ აულთან ერთად ასახლებენ. ვაჟია ცდილობს დააბრუნოს ქალი და მასამისსაც ეტანება ვაქცევში, მაგრამ მათთან ერთად ტრაგიკულად იღუპება.

ფილმის დრამატურგია კი აგებულია ხალხის, აულის მცხოვრებთა ცარიზმის თვითნებობის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე. მიხედვით ვაჟია ცდილობს დაეხმაროს არა მარტო ამ ორს, არამედ მთელ აულს, რათა აულის მცხოვრებელ დაუბრუნდეთ სამოვრები — მათი არსებობის ერთადერთი წყარო, და დატოვებულ იქნან ისინი შობილი მიწაზე. მაგრამ მათ მაინც ასახლებენ. მოთხრობისგან განსხვავებით ელისოს აქვს შესაძლებლობა დარჩეს თავის შეუვარებულთან, მაგრამ იგი სხვებთან ერთად მიდის და სამუდამოდ შორდება ვაჟიას. ვაჟია ფილმის ფინალში უკვე ცარიზმის წინააღმდეგ ნამდვილ მებრძოლად გვევლინება.

მწერლის შემოქმედებაში მოთხრობის მთავარი გმირი ხალხია. ფილმის ავტორებმა გააძლიერეს მწერლის ეს ჩანაფქვი. ფილმში მოქმედებს ხალხი, მასა. ამან მისცა ფილმს ეპიკური ფერადობა. შენგელაიას, როგორც ცნობილია, ვაგლენა ჰქონდა ეიზენშტეინის ფილმების პოეტუკას, მაიაკოვსკის პოეზიას. ამ ვაგლენის კვალი ფილმს აშკარად ეტყობა იქსადაც რეჟისორი ცდილობს შეითვისოს ინტელექტუალური კინოს მიწვევები. მაგალითად, ჩხრეხის სცენაში სახლი თავდაყირა, იატაკით ზევით დგება. ეს არის ხორცშესხმა მეტაფორისა — „მთელი სახლი გადააბრუნეს.“

კინემატოგრაფიაში პირველად იქნა სიმაართით ასახული კავკასიონის მივების ბუნება, მისი დიდებული და მკაცრი სილამაზე. პირველად იქნა ნაჩვენებო მთიელთა ნამდვილი ყოფა.

არსებობს აზრი, თითქმის ვაჟიას გენერლის კაბინეტში ბრძოლის ეპიზოდს ამოვარდნილია სურათის საერთო პეროიკულ-რომანტიკული სტილიდან. მაგრამ ძნელია დაეთანხმით ამ აზრს. ეს ხომ შესანიშნავი რომანტიკულ-სატირული სცენაა. რეჟისორი არ ფარავს თავის დამოკიდებულებას მეფის ინფანსადმი, რომელსაც თვით ყაზბეგი ირონიულად „დიდ ბატონ ნაჩალსკის“ უწოდებს. აი, ამასთან კავშირებით ჩნდება ფილმში მიხილებული სატირის ფერები.

„ელისოს“ გამოსვლის შემდგომი 1929 წელი ხასიათდება ქართული კინემატოგრაფიის მობრუნებით თანამედროვე საბჭოთა სინამდვილისაკენ. კულტურული რევოლუციის, ახალი ყოფითი ურთიერთობის ჩამოყალიბებისა და სოციალური მშენებლობის ამსახველი სურათ-

ლეიან რონდელი  
წარსულის გაკვეთილები

თების სერვისის ხსნის ფილმები: „ახალგაზრდობა იმარჯვებს“ და „საბა“.

მ. გელოვანის მიერ დადგმული ფილმი „ახალგაზრდობა იმარჯვებს“ თანამედროვე მასალაზე აგებული პირველი ქართული კინოფილმია.

სისხლის აუბის ჩვენება თავის არსებობის მანძილზე პირველად ვახდა დაცივნის საგანი. ორ ოჯახს შორის ატეხილი დავისა და ჩხუბის ამბავი მოცემულია კოჭლობით მოსიარულე თეთრი ქათმის კადრებთან შენაცვლებით. სწორედ ეს ქათამი ვახდა მიზნად კონფლიქტისა ორ ოჯახს შორის. ეს მონტაჟური ხერხი, რომელიც გამოიმუშავა მუნჯატრმა კინემატოგრაფიამ, ეხმარება რეჟისორს ამბავს ჩამოაშორის რომანტიკული საღებავი, რეჟისორულ, აქტიორულ, ოპერატორულ ნამუშევარში იგრძნობა ირონიული დაცინვა ფილმში მოთხრობილი ამბებისა და თვით ქართული სოფლის ჩვენების დაქონებული შაბლონის მიმართ. სხვა ფილმებისაგან განსხვავებით, რომელთა მონტაჟი „ტყვიამფრქვევით“ ტემპითაა გაკეთებული, ეს ფილმი გრძელ მონტაჟურ ნაწილებიდან იყო შემდგარი, რაც შესაძლებლობას აძლევდა მსურველებს კარგად დაენახა, გაეცნო ახალი ცხოვრების შინაარსი, ახალი სინამდვილე. თხრობა რომ მოსაწყენი არ ყოფილიყო, ფილმის ავტორები გვიჩვენებენ საქართველოს ერთ-ერთ კუთხეს, სიდაც ჯერ კიდევ ცოცხლობენ სისხლიანი ზენე-ჩვეულებანი. ამ ზენე-ჩვეულებებთან ბრძოლაზე ავებენ სიუჟეტურ სიტუაციებს, რომელთა გადაწყვეტა ხდება კომედიურად, მოულოდნელად და მოსურებულად.

საინტერესოა, რომ კომედიორ ფილმში თამაშობდა შემოტანილი ეკვლიობა, რაც ჩვეულებრივ აძლიერებს სურათის დრამატიზმს და ტრაგიკულობას. ამჯერად მკვლელობა მოკლევადიანი იყო დრამატულ ფუნქციას და არ არღვევდა ფილმის კომედიურ სტილს. ამას განსაკუთრებით ხელს უწყობდა გონივრულად გამოყენებული სამონტაჟო ხერხი, ასევე მთავარი და ეპიზოდური როლებს შემსრულებელ მსახიობთა თამაში.

ამ ფილმში პირველად იქნა ნაჩვენები საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობა (მავალითად, კომკავშირული უჯრედის კრება), გადაღებული ორიგინალურად და საინტერესოდ.

ამვე წელს გამოვიდა რეჟისორ მ. ჭიაურელის ფილმი „საბა“, გადაღებული ა. არავსკისა და შ. ალხაიშვილის სცენარის მიხედვით. ამ ფილმის მთავარი გმირი იყო თბილისის ტრამვაის მუშა, რომლის ხასიათიც მწვავე დრამატიზმით იხსნებოდა.

ეს სურათი, რომელიც ჩაფრთხილებული იყო როგორც საავიჯიო ფილმი, კინემატოგრაფიული პლაკატი ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ, გამდიდრდა მთელი რიგი თქმის დამოუკიდებელი მნიშვნელობის სცენებით. ეს სცენები

საინტერესოა თავისი მხატვრული გააფრთხილებით. ქართული ჩანახატები, ყოფითი სცენები გამოირჩევა სიახლით და უტყუარობით. ფილმი კინემატოგრაფიის კულტურისა და კინომონტაჟის ენის მაღალ საფეხურზე იდგა. განსაკუთრებით ეფექტურად იყო გადაღებული ტრამვაის ღამის რეჟისის კადრები.

მთელ რიგ ეპიზოდებში, განსაკუთრებით კი დუქნის სცენაში, პირველად აღინიშნა სოციალური სატირის ელემენტები, რაც შემდეგ ჭიაურელის რეჟისურის დამახასიათებელ ნიშნად გადაიქცა და რამაც განსაზღვრა მისი შემდგომი ნამუშევრების „ხაბარდასა“ და „უკანასკნელი მსკარადი“ სტილი.

თმითა და კინემატოგრაფიული გამოხატულებით თავისებურ ფილმს „ხაბარდასა“ რეჟისორი ასევე თანამედროვე მასალაზე აგებს. საბჭოთა კინემატოგრაფიისათვის იშვიათი, კინოპაფლეტის ქანის ამ ფილმში ჭიაურელი მწვავედ და მახვილგონივრად დასკვნის ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ტენდენციებს, მემჩანური ინტელიგენციის ზენე-ჩვეულებებს. ეიზენშტაინის ფილმების გავლენა მკაფანდება არა მარტო ეპიზოდების ატრაქციონულ აგებულებაში, არამედ მასის მთავარ მოქმედ გმირად გამოყენებაშიც. თავდაპირველად ჩვენ თვალს ვადევნებთ ქალაქის ერთი რაიონის მცხოვრებთა კოლექტიურ მოქმედებას. ისინი ცდილობენ თავიდან მოიშორონ ძველი, დანგრევის პირად მისული ტაძარი, რომელიც საფრთხეს უქმნის მათ სიცოცხლეს, მაგრამ აწყუდებთან წვრილბურჟუაზიული ინტელიგენტთა და ყოფილი „ეროვნული თავდაზნაურების“ ბრბოს სასტიკ წინააღმდეგობას. ამ ბრბოს პამფლეტურ დახასიათებაში ჩანს ი. კავკავაძის სატირული მოთხრობის „კაცია აღმაინის“ გავლენა. შემთხვევითი არ არის ის, რომ ბრბოს მეთაურს ლუარსაბი ქცია.

ბრწყინვალე და გაბედული კინოეპიტი, ტემპერამენტული რეჟისურით, კადრების ვაჰომსახველობით გადაწყვეტით, ეს ფილმი მკაცრი გროტესკის სურათი იყო. იგი მიუთითებდა რეჟისორის შემოქმედებით სიმწიფესა და დიდ ოსტატობაზე.

ამ ორი ფილმის გადაღებისას მიღებული გამოცდილება დაეხმარა ჭიაურელს, უვეც ხმოვანი კინოს პერიოდში შექმნა ისეთი ფილმი, როგორიცაა „უკანასკნელი მსკარადი“.

ქართული ლიტერატურის „მარცხენა“ ფრთიდან მოსული რეჟისორის ლ. ესაკიას კინემატოგრაფიული დებიუტი იყო ფილმი „სოლტუტე“ — ერთ-ერთი პირველი საბჭოთა სურათი სოფლის კოლექტივიზაციის თემაზე. 1928 წელს გამოხული ეს ფილმი თითქმისდა მხატვრული კინოხელოვნების მემკვიდრეობის ჯიბურ შეგნებულად იყო გაკეთებული ტენდენციურ-პუბლიცისტური მანერით. მსახიობისა და გრიმის გარეშე, როგორც ფაქტის ეკრანიზაცია. ამ პერიოდში ქართული კინემატოგრაფია

განიციდა საბუთო კინოს სხვადასხვა მიმდინარეობების, მათ შორის კინემატოგრაფიაში გადმონერგული „ლოფ“-ის შეხედულებების გაელენას. ამ სურათზე გავლენა იქონიეს უპირატესად იმ შეხედულებებმა, რომლებიც კინოფილმის მასალად მხოლოდ საწარმოო საქმიანობას აღიარებდნენ და „თავისუფალი მხატვრის“ ბელეტრისტულ თვითნებობისა და გამოამგონებლობის წინაშე უპირატესობას პუბლიცისტისკაცსა და ფაქტებს ანიჭებდნენ.

ამ ფილმში კინოს საშუალებით ხორცი შეისხა წმინდა სავაჭეთო, იმ დროისათვის მეტად საჭირობო ფაქტობრივმა მასალამ, რომელიც აღებულ იქნა გლუხურ ვაჯელ „ახალი სოფელი“-დან. მსახიობების ცხელ ფილმში გადაიღეს გლუხები, გარდა იმ რამდენიმე პირობისა, რომლებიც არჩეული იყვნენ ტიპაჟის ნიშნების მიხედვით, ასევე არამსახიობები. რა გამოვიდა?

მივიღეთ თავისებური კინო-გამოკვლევა. გამოკვლევა ხასიათებისა კი არა, არამედ ფაქტებისა, ამბების გარეგნული მსგელობისა. ტრაგისტები, რომელთა მოქმედება არ ჰგავდა აქტიურულ „თამაშს“, დამაჯერებელი იყვნენ შრომის სცენებში, მაგრამ შეზღუდულნი — აზრისა და გრძობების გამოხატვაში. ფილმში გამოყვანილი ბიუროკრატები და კულაკები არ იყვნენ გამარჯვებული. ისინი მოცემული არიან რეალისტურად, ყოველგვარი გროტესკის გარეშე.

მახვილგონიერულად არის დამუშავებული ზოგიერთი ეპიზოდი, მაგალითად, სცენა, სადაც დაწესებულების მთელი შტატი ფაციფუციით ექებს და ვერ პოულობს რაღაც საკირო ქაღალდს, რომელსაც, ხელმოწერებითა და ბეჭედებით მთლიანად დაფარულს, შემთხვევით პოულობენ საექსპანსოში, გადაადგებული მაგილის უჯრაში.

ახლაგაზრდა რეჟისორი მიხვდა მოდური შეხედულებების სისუსტესა და შეცდომებს და თავის მეორე სურათში განთავისუფლდა მათი გავლენისაგან. ამ გარეგნულ მას შესაძლებლობა მისცა შეექმნა ორიგინალური ისტორიულ-რევოლუციური სურათი — „ამერიკანკა“, რომელიც აღიარებული იქნა საუკეთესო საბიუროკრატული ფილმად 1905 წლის რევოლუციის 25 წლისთავისათვის.

ეიხენშტეინის გავლენა იგრძნობა არა მარტო ინტელექტუალური კინოს ხერხების გამოყენებაში და ცალკეულ სცენებში, ავიღოთ თუნდაც ეპიზოდი ქარხნის საპირფარეოში, სადაც მუშები პროკლამაციის წასაკითხად შედიან, არამედ თვით თემისადმი დიკგომაში, როგორც „ჯავშნოსან პოტიომკინში“. აქვე მოცემულია 1905 წლის რევოლუციური ბრძოლის ერთ-ერთი კონკრეტული ეპიზოდი. სიუჟეტი აგებულია არა ჩვეულებრივ კოლიზიებზე, არამედ იატაკქვეშა ბოლშევიკური ტიპოგრაფიის ორგანიზებისა და მუშაობის ფაქტურ-

რი მასალის ასახვად. სცენარი დაწერა საქმის უშუალო მონაწილემ ძველმა რევოლუციონერმა გიორგი სტურუამ. მიუხედავად იმისა, რომ იგი წინასწარ დასახული მიზნების მიხედვით ისტორიული ფაქტების ასახვაში დაეკვიშა მკაცრი დოკუმენტალობა და სიმართლე, ესაკიამ თავის პირველი სურათისაგან განსხვავებით, რომელიც ასევე ფაქტზე იყო აგებული, შესწლო ჩამოყვანილებმა მასალა მაყურებლისათვის საინტერესო ემოციურ ფორმაში. რთული ამოცანების დასახვით და გადაჭრით მან გამოამჟღავნა კუმპარითი კინემატოგრაფიული გამოამგონებლობა და ოსტატობა:

მოქმედების მიმდინარეობისას საჭირო იყო ბგერის, ხმაურის გადაცემა. ეს ხმაური უნდა გაეგო ერთ-ერთ პერსონაჟს, სახლის ზედა სართულში მცხოვრებ მოხუცს: ამ სახლის სარდალში იყო მოთავსებული იატაკქვეშა ტიპოგრაფია, მაგრამ მოხუცს არ უნდა სცოდნოდა, რომ ეს საბეჭდი დაზავა იყო. მას რაღაც ესმის, მაგრამ არ იცის რისგანაა ეს ხმაური. დაზავის ჩვენება შეუძლებელი იყო მოხუცის კადრთან ერთად, ამიტომ ბგერა, ხმაური დაზავტეს. იგი გადმოემუთ იქნა აბსტრაქტული ნახატის რიტმული მოძრაობით, რომელიც მანქანის ნახაზს წარმოადგენდა. ამ კადრებს უჩვენებდნენ მოხუცის კადრებთან ერთად, რომელიც რაღაც ხმაურის გამო ვერ იძინებს.

ეს თავისი დროისთვის ველსაჩინო ფილმი დაუმსახურებლად დაეჩვენებულა.

ამავე პერიოდში გამოვიდა მ. კალატოზიშვილის პირველი სურათი „ჯიმ შვანნი“ (სცენარის ავტორი ს. ტრეტიაკოვი, რეჟისორი-ოპერატორი მ. კალატოზიშვილი). ფილმის ავტორები ეყრდნობოდნენ „მემარცხენე“ კინემატოგრაფიის რაციონალისტურ პოზიციებს. შესანიშნავი ოპერატორული ნამუშევრით, მონტაჟით, კადრის კომპოზიციით ეს ფილმი წარმოადგენს დოკუმენტალური და მხატვრული კინოს სინთეზს. სურათმა ახლებურად გვაჩვენა სენათი, მისი ხალხი, წყობილება, თუმცა მასალის მონტაჟურ-ატრაქციონურმა გადაწყვეტამ დაამახინჯა ნაწილობრივ სინამდვილე, არასწორად, ეგზოტიკურად წარმოადგინა იგი. ამ ფილმისთვის დამახასიათებელია აგრეთვე მისწრაფება ისეთი ტიპის ფიზიოლოგიური ეფექტებისადმი, როგორსაც „ომპერის ნატეხსა“ და იმ პერიოდის სხვა ფილმებში ვხვდებით.

იმისათვის, რომ მაყურებელი დაინტერესდეს, რეჟისორი ექებს ძლიერ აღმგზნებ, უჩვეულო, შთამბეჭდავ ფორმებს, თავისებურად იყენებს მკვეთრ მონტაჟს, რაკურსულ გადაღებას, მასალის თავისებურ ორგანიზებას, რითაც აღწევს გამომსახველობის განსაკვირვებელ ძალას. სურათში ნაწვენებია ენოგრაფიული ზენ-ჩვეუ-

ლოიან რონდელი  
წარსულის გაკვეთილები

ლებანი, აღებული ხეცურეთის, ნაწილობრივ, სვანეთის წარსულიდან. ზოგიერთ შემთხვევაში გამოყენებულია გაუმართლებლად გაზვიადებული ან ფაქტურად არაზუსტი მასალა. მაგალითად, დაკრძალვა სვანისა, რომლის ცხენიც „მიჭქრის, სანამ გული არ გაუსკდება“, მოზვერის დაკლა საფლავზე, მარილის სრული უქონლობა და სხვა მისთანები. ასეთი რამ ეწინააღმდეგება დოკუმენტურ კინოს ბუნებას.

ს. დოლიძემ ამავე პერიოდში გადაიღო თავისი პირველი მხატვრული ფილმი „ზავათა ქვეყანაში“ (1931 წ.). დოლიძემ დამოუკიდებელი მუშაობა დაიწყო, როგორც დოკუმენტური ფილმების რეჟისორმა. მის ეკუთვნის პირველი ქართული დოკუმენტური სურათი „ღმე ყარაჩაიში“ (1928 წ.). გარდა სხვა დოკუმენტური ფილმებისა, მან გადაიღო „ფშავე“ (1929 წ.), ამ სურათებზე მუშაობისას საბჭოთა სინამდვილის, ყოფის ამსახველი მასალების გაცნობა დაეხმარა რეჟისორს თავისი პირველი მხატვრული ფილმისათვის ეპოვა ორიგინალური, ცხოვრებისეული სიუჟეტი. დოლიძემ აქ დაინახა ის პროცესები, რომლებსაც მთიან რაიონებში ჰქონდათ ადგილი. მან დაინახა, თუ რა ძნელად აღწევდა აქ ბარიდან ახალი იდეები.

ფილმში ბევრი კარგი აქტიორული სახე შეიქმნა. ეს უპირველესად შეიძლება ითქვას ადგილობრივი ბობოლას ბექურას როლის შემსრულებელზე ზ. ბეზირგანიშვილზე. ზ. ბეზირგანიშვილი თამაშობს კინემატოგრაფიულად დახვეწილი, ოდნავ შესამჩნევლი მიმიკა, არავითარი შემოქილობის გრძნობა აპარატის წინაშე, ხასიათის, სოციალური რაობის, აზრებისა და გრძნობების, მოძრაობის მეტყველი პლასტიკით გადმოცემა... ბეზირგანიშვილის ბობოლა გარეგნულად თავდაპირვლია, იცის თავისი ფასი, შეგნებული აქვს თავისი მდგომარეობა. მაშინვე ეტყობა, რომ მბრძანებლობას მიჩვეულია. მის მოძრაობაში არავითარი ფაკულტი არ იგრძნობა. მხოლოდ ჰქვიანი თვალის სწრაფი გამოხედვით და ჩიბუხის წვეთი შეიძლება მიხედვს ადამიანი მის მღელვარებას და შინაგან დაძაბულობას განსაცდელის ქამს.

იმ დროის კრიტიკამ უპროფიტი აზრი გამოთქვა ფილმის დასასრულზე, სადაც უშუალოდ ერთმანეთს ეჯახება ორი მოწინააღმდეგე ძალა—კულაკები და კომკავშირელები. სურათის ამ ყველაზე კულმინაციურ მომენტში ჩამოწყება ზვავი და ბექურას და მის დამქაშებს წალკავას კრიტიკოსები უკმაყოფილონი იყვნენ იმით, რომ კონფლიქტი მოცილებულ იქნა ბუნების სტიქიური ძალების ჩარევით.

რეჟისორის ჩანაფიქრი, როგორც ჩანს, მდგომარეობდა იმ აზრის მეტაფორულ გახსნაში, რომ „ახალი ცხოვრების განვითარების შეფერხება შეუძლებელია“. როგორც ბექურამ ვერ

შესძლო ზვავის შეჩერება, ასევე არაფერს შეძლებს შეჩეროს ხალხის მისწრაფება ახალი ცხოვრებისაკენ.

1931 წელს გამოდის პირველი მხატვრული ფილმი და იწყება ეროვნული კინემატოგრაფიის ახალი პერიოდი. მაგრამ მხოვან ფილმზე კინემატოგრაფია გადავიდა არა ერთბაშად, არამედ თანდათან. უკვე ხმოვანი კინოს პერიოდში დაიდა ისეთი მუჭერის ფილმები, როგორცია ს. ფალავანიშვილის პირველი ფილმი „უტუენას მზითევი“ და გ. მაკაროვის „ნახვამდის“, შ. ხუსკივაძის „შხალო და გელა“.

მსუბუქი, მხიარული კომედია „უტუენას მზითევი“ დადგმულია ფალავანიშვილის მიერ საკუთარი სურათის მიხედვით.

ცხენის ქერდი, თაქარაიანი, ჩამორჩენილი გლეხი ფილმის ფინალში აქტიური კოლმურნე ხდება. გარდაქმნის პროცესიც ბუნებრივი: მას იტაცებს საყვარელი საქმე და იწყებს ახალ ცხოვრებას.

ფილმის წარმატებას დიდად შეუწყო ხელი გ. გაბელაშვილმა, რომელმაც ნიჭიერად განასახიერა კოლმურნე გლეხის ვარდენის როლი. „ნახვამდის“ გ. მაკაროვის მეოთხე ფილმი. იგი გამოირჩევა სხვა მისი ფილმებისგან. ეს ისტორიულ-რევოლუციური კომედიის იშვიათი ნიმუშია. ფილმი აგებულია პროფესიონალ რევოლუციონერების მეფის მთავრობასთან, პოლიციასთან ბრძოლის მასალაზე. ამ ფილმში უფრო სრულად გამომკვანდა რეჟისორის ნიჭი, მწვავე კონფლიქტების შექმნის განსაკუთრებული უნარი. ამ კონფლიქტებზე იგება ნათელი სიტუაციები და მოულოდნელი სისუეტური სვლები. ეს ყველაფერი ძველი სისტემისა და მისი ადამიანების სიმახინჯეს, სიჩლუნვეს და სისასტიკეს გვიხსნის.

საჭირო იყო ჩვენება მისა, როგორ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან რევოლუციონერები და მეფის ჩინოვნიკები, რევოლუციონერთა მოღვაწეობა და სასამართლო მოხელეებისა და პოლიციელების ხნელი საქმიანობა. რეჟისორმა საინტერესო გადაწყვეტა მიიგნო: რევოლუციონერი თავს ასაღებს პარაზიტ თავად, ძველმა ხერხმა აქ ბრწყინვალად გადმოცა ახალი შინაარსი.

მაკაროვი კარგად ართმევდა თავს ისეთ ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტა ზოგიერთ შემთხვევაში დღესაც კი ძნელდება, მაგალითად, იშვიათი ნიჭის წყალობით ორგანულად აერთებდა სხვადასხვა ხასიათის, ზოგჯერ საწინააღმდეგე ეანრის სცენებს, ამავე დროს ცდილობდა, არ დაარღვეულიყო სურათისა და მისი სახეების მხატვრული სიმართლე.

ორიგინალურია შ. ხუსკივაძის კინოკომედია „შხალო და გელა“. შ. ხუსკივაძის მოღვაწეობა მრავალმხრივია, იგი სახიკნირეწვი მუშაობდა მსახიობად, რეჟისორად, ასისტენტად, სცენარისტად, რეჟისორად. მან დამოუკიდებლად, თავისივე სცენარის საფუძველზე, გააკეთა

სრულმეტრაჟიანი მხატვრულ-დოკუმენტური სურათები — „ხევსურეთი“ (1930 წ.) და „პოემა შირაქზე“ (1931 წ.). სრულმეტრაჟიანი სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „საქართველოს ფლორა“ (1931 წ.). ეს ამ ქანრის საუკეთესო სურათებია.

„ხევსურეთზე“ მუშაობამ რეჟისორს მისცა მასალა, რომელზედაც მან საკუთარი სცენარის მიხედვით ააგო კინოკომედია „მზალო და გელა“.

გეოლოგიურმა ექსპედიციამ მთაში რადიომიმღები დატოვა. საღამოობით ხალხი უსმენდა რადიომიმღებს, მაგრამ იგი გაფუქდა და ხევსურმა გოგონამ მზალომ ქალაქში წაიღო გასაკეთებლად. დრო მიდის, მზალო კი არ ბრუნდება ქალაქიდან. მზალოზე გამიჯნურებულ ხევსური ჩაიკვამს ჯაქვის პერანგს, ხმალ-ხანჯალს აისხმას და ასე, ძველი რაინდივით გამოწყობილი გასწევს ქალაქისაკენ, რომელმაც მას მზალო წაართვა. იქმნება მთელი რიგი კომიკური სიტუაციებისა. ველა იზოვის მზალოს, რომელიც აიძულებს მას დარჩეს ქალაქში. ისწავლოს. ცოდნით აღჭურვილნი ისინი უბრუნდებიან ხევსურეთს, რომ თავიანთი ცოდნა გაუზიარონ თანასოფლელებს... ახალი ცხოვრება იმარჯვებს.

ფილმი კარგადაა მოფიქრებული. კომედიურ ფორმაშია ნაჩვენები, როგორ მარცხდებიან ზოგიერთი დრომოკმული ჩვეულებანი და ადათები ახალ ცხოვრებასთან შეხვედრისას.

საუკეთესო ქართულმა ფილმებმა დიდი როლი ითამაშეს საბჭოთა კინოხელოვნების ტრადიციების ჩამოყალიბებაში. მათი გამყარება და თავიდან გვაცილებს, აღმოვაჩინოთ უკვე აღმოჩენილი ჭეშმარიტებანი. ბევრი რამ, რასაც ეძებს დღევანდელი კინო, უკვე განხორციელებული იყო იმ პერიოდის სურათებში.


სურათი ჯერ კიდევ მაშინ კეთლებოდა არა წვირილმან, არამედ დიდმნიშვნელოვან თემებზე, საჭირობოროტო საკითხებზე, დიდ პრობლემებზე. სამყარო, რომელიც ამ ფილმებში იშლებოდა, საკმაოდ ვრცელი იყო.

ეს ფილმები ხალხის ცხოვრების საინტერესო მოვლენებს ასახავდნენ. მათი სიხალე მდგომარეობდა ახალ შინაარსსა და ფორმის შესატყვის გადაწყვეტაში.

მთელი თავისი ძალით კინო ილტვოდა კიდევ უფრო დიდი იდეურ-მხატვრული სიმწიფისკენ და ტრასაკვირველია, ზედმეტია ერთმანეთს დავეუბრისპიროთ სხვადასხვა პერიოდები და სხვადასხვა ფილმები, ვინაიდან ყოველი ფილმი ასახავდა რეალიზმის განვითარების იმ ეტაპს, რომელსაც ის ეკუთვნოდა, ისევე როგორც ასახავდა ამ სურათების ავტორთა შემოქმედებით ევოლუციას.

---

ლევან რონდელი  
წარსულის გაკვეთილები



რამაზ კახაჩიძე

## ჰვირნიშანი და ქრონოლოგია

ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართული წერილობითი ძეგლების ქრონოლოგიის დადგენასა და გამორკვევას. პალეოგრაფია არის სწორედ ის მეცნიერება, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს ეს დიდმნიშვნელოვანი საკითხი.

ქართული მატრიანებისა და სიგელ-გუჯრების დათარიღებისას უსათუოდ ანგარიში უნდა გაეწიოს ქაღალდის ჰვირნიშანს. ჰვირნიშანი, უპირველეს ყოვლისა, დროის უტყუარი ფაქტორია. დღემდე შეუსწავლელი იყო ქართული ხელნაწერების ჰვირნიშნები. ამდენად მათი ქრონოლოგიური მონაცემები გაუთვალისწინებელი რჩებოდა.

საქართველოში საუკუნეების მანძილზე ძირითადად გავრცელებული იყო ისეთი სპეციფიკური, ორიგინალური მოხაზულობის ჰვირნიშნები, რომლებიც თავის ანალოგიას დასავლეთ ევროპაში იშვიათად თუ პოულობდნენ. „ნატიფი, დახვეწილი ფორმის ეს ჰვირნიშნები — როგორც მათ ცნობილი ინგლისელი პალეოგრაფი ა. ჰოროლდიმ ახასიათებს — ვენეციური წარმოშობისაა“.

ქართული ხელნაწერების ვენეციური ჰვირნიშნები, როგორც წესი (არის გამონაკლისებიც), ორი ნაწილისაგან შედგება: ემბლემატურისა ანუ ჰვირნიშნის ძირითადი ნაწილისა და ლიტერულისაგან (ე. წ. კონტრმარკა). ხელნაწერში, როცა მთლიანი ფურცელი შუაზეა გადაკეცილი, ერთ ფურცელზე ჰვირნიშნის ემბლემატური ნაწილი აღმოჩნდება. ზოლო მეორე ფურცლის კიდეში ლიტერული ნაწილი. ზოგჯერ ფურცლის კიდეების დაზიანების გამო ქართულ ხელნაწერებს ჰვირნიშნის ლიტერული ნაწილი ანუ კონტრმარკა ან ნაწილობრივ ან სავსებით დაკარგული აქვთ.


ქრონოლოგიური ძიებისა და კვლევის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ჰვირნიშნის როგორც ძირითადი — ემბლემატური ნაწილის, აგრეთვე ლიტერული ნაწილის ანუ კონტრმარკის მონაცემები. ძალიან ხშირად ჰვირნიშნის კონტრმარკა აზუსტებს და ავიწროვებს ჰვირნიშნის ქრონოლოგიურ პერიოდს. ამას გარდა ჰვირნიშნის ძირითად ემბლემატურ ნაწილს ზოგჯერ დამატები-

თი ნიშნებიც აქვს, რაც კიდევ უფრო მეტად აზუსტებს დათარიღებას.

ამა თუ იმ ხელნაწერის დათარიღებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ხელნაწერის ყველა ჭვირნიშნის ქრონოლოგიური მონაცემი. ხელნაწერში ჩვეულებრივ 4 ან 5 სხვადასხვა სახის ჭვირნიშანი გვხვდება, ხოლო ზოგჯერ ვაცილებით მეტი — 10-მდე და 15-მდეც

კი. ერთი ხელნაწერის სხვადასხვა სახის ჭვირნიშნები უფრო მეტი სიზუსტით არკვევენ ხელნაწერის დათარიღებას.

ჭვირნიშანი დროის შედარებით ხანმოკლე მანძილზე განუწყვეტლოვ იცვლება. ჭვირნიშნის ეს თვისება არის სწორედ დროის განსაზღვრის საფუძველი. შედარებისათვის შეიძლება ითქ-



ნახ. 1.



ვას, რომ დროის მეტად მცირე მანძილზე ჰვირნიშნის მოხაზულობა იცვლება გაცილებით უფრო სწრაფად და გაცილებით უფრო თვალსაჩინოა, ვიდრე ასოთა მოხაზულობის ცვლილებანი. ამიტომ ჰვირნიშნების საშუალებით ქრონოლოგიის დადგენა გაცილებით უფრო ადვილია და გაცილებით უფრო ზუსტი, თუ, რა თქმა უნდა, ცნობილია ჰვირნიშნის ქრონოლოგიური მონაცემები.

მაგალითად, მე-16 საუკუნის ქართული ხელნაწერების სხვა მრავალ ჰვირნიშნებს შორის ყველაზე მეტად გავრცელებულია ე. წ. „ლუზა“. ეს არის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჰვირნიშანი დომინანტი მე-16 საუკუნის მანძილზე. ჰვირნიშანი „ლუზა“ პირველად ჩნდება 1520-იან წლებში და 1580 წლამდე მისი გამოსახულების ცვლილება შემდეგი ძირითადი ფორმებით შეიძლება განისაზღვროს (ნახ. 1).

1. ლუზა ვარსკვლავით
2. ლუზა წრეში ვარსკვლავით
3. ლუზა ორხაზოვანი რქებით, წრეში ვარსკვლავით
4. ლუზა ცალხაზიანი წრეში ვარსკვლავით.

1580-იანი წლებიდან ჩნდება „ლუზის“ ახალი ფორმები. ძირითადად სამი ფორმა:

1. ლუზა წრეში რომბების ჯვრით;
2. ლუზა წრეში კუთხოვანი სამკუთხრით;

3. ლუზა წრეში ჩვეულებრივი სამკუთხრით. თუ ლუზის ამ ახალ ფორმებს 1520—1580 წლების პერიოდის ლუზის ფორმებს შევუდარებთ, შევამჩნევთ, რომ იცვლება არა ლუზის მოხაზულობა (როგორც 1520—1580 წ. წ. პერიოდში), არამედ ნიშანი ლუზის წრის თავზე.


XVI—XVII საუკუნის მიჯნის ეს ჰვირნიშნები რაიმე განსაკუთრებულ გამოჩაყლის არ წარმოადგენს. ჩვენი მიზანია მხოლოდ და მხოლოდ ჰვირნიშნის ქრონოლოგიური მნიშვნელობის ცხადყოფა.

1. ლუზა წრეში რომბების ჯვარით (ნახ. 2).

დასადგენია ამ ჰვირნიშნის ქრონოლოგიური საზღვრები. ეს ვენეციური ჰვირნიშანი შემდეგ თარიღიან ხელნაწერ წიგნებსა და დოკუმენტებში:

- ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდები:
1. A—126—1586 წ.
  2. Hd—14423—1589 წ.
  3. Ad—327—1597 წ.
  4. Arm—225—1589 წ.
  5. Tur—9—1586 წ.
  6. Tur—1—1595 წ.

გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი



ნახ. 2.

ეს ნიკოლაევის თურქული დოკუმენტების მიხედვით:

- № 119—1585 წ.  
 № 128—1588 წ.  
 № 130—1591 წ.

მატენადარანის სომხური ხელნაწერების მიხედვით:

- № 7570—1586 წ.  
 № 2845—1601 წ.

ს. მ. ბრიკეს ჰვირნიშნების ცნობარში არის ორი ნიმუში ამ ჰვირნიშნისა, მაგრამ მახინჯი ფორმით:

№ 570—1579 წ.

№ 571—1583 წ.

უნდა აღინიშნოს ის ამბავი, რომ ვენეციური ჰვირნიშნების მსგავსი, მაგრამ მახინჯი მოხაზულობის ჰვირნიშნები ბრიკეს ცნობარში რამდენადმე უფრო აღრეული თარიღებისაა. ამგვარად, ყველა მონაცემებით, ჩვენი ჰვირნიშნის ქრონოლოგიური ზღვარია 1585 წელი, რომლის უადრეს ამ სპეციფიკური, ვენეციური, დახვეწილი მოხაზულობის ჰვირნიშნის არსებობა სავარაუდო არ არის.


გარდა ამისა, ეს ჰვირნიშანი გვხვდება კიდევ ორ ქართულ ხელნაწერში, რომლებიც აფხაზეთის კათალიკოსის ეფთვიმე საყვარელიძის ზეობის წლებშია გადაწერილი, ე. ი. 1578—1605 წლებში. ეს ხელნაწერებია: ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდის № 87 და ქუთაისის მუზეუმის № 38 ხელნაწერები. ჰვირნიშნის წყალობით ამ ხელნაწერთა გადაწერის ქრონოლოგიური პერიოდი კიდევ უფრო ზუსტად დადგინდა 1585—1605 წლებში. სავარაუდოა, რომ ეს ხელნაწერები გადაწერილია 1590-იან წლებში (გათვალისწინებულია ხელნაწერთა სხვა ჰვირნიშნების მონაცემები).

ჩვენი ჰვირნიშნის ყველა ქრონოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით „ლუზა წრეში რომების ჯვრით“ გვაძლევს ქრონოლოგიის ზუსტ მონაკვეთს, 1585—1600 წლებს, უკიდურეს შემთხვევაში 1585—1605 წლების პერიოდს. უადრეს და უგვიანეს ამ თარიღებისა ეს ჰვირნიშანი უკვე აღარ ჩანს. ჰვირნიშანი — „ლუზა წრეში რომების ჯვრით“ — გვხვდება, მთელ რიგ უთარილო ქართულ ხელნაწერ წიგნებსა და დოკუმენტებში. მაგ.: ცენტრ-არქივის ფონდში 1448, № 5192; ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში: H—368; A—76; A—674; A—417; A—754 და სხვ.

ჰვირნიშანი საშუალებას გვაძლევს შეუცდომლად და საკმაო სიზუსტით დავათარილოთ ეს უთარილო ძეგლები.

2. ლუზა წრეში კუთხოვანი სამყურით (ნახ. 3).  
ეს ჰვირნიშანი გვხვდება შემდგომი რილიან ხელნაწერ წიგნებსა და დოკუმენტებში:

- ცენტრალური საისტორიო არქივი:
- ფ. 1448, № 3323—1591 წ.
- ფ. 1448, № 3321—1602 წ.
- ფ. 1448, № 5266—1605 წ.
- ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდები:
- გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი
- Tur—1—1595 წ.
- Arm—№ 191—1596 წ.
- Ad—556—1601—1606 წ. წ.
- Arm—№ 116—1606 წ.
- Hd—14690—1607 წ.
- Hd—1656—1609 წ.



ნახ. 3.

ეს. ნიკოლაევის თურქული დოკუმენტების ჩვენებათა მიხედვით:  
№ 118—1584 წ.  
№ 121—1585 წ.  
№ 124—1585 წ.  
№ 125—1585 წ.  
№ 148—1601 წ.  
სირიული ხელნაწერების ჩვენებათა მიხედვით:

რამაზ პატარიძე  
ჰვირნიშანი და ქრონოლოგია

ლენინგრადის საჯ. ბიბ. სირიული ახალი სერიის № 25—1596 წ.

ლენინგრადის აღმ. მც. ინსტიტუტის ძირ. ფ. № 1—1600 წ.

მატენადარანის სომხური ხელნაწერების ჩვენებათა მიხედვით:

№ 2845—1601 წ.

№ 503—1601 წ.

(ეს უკანასკნელი გადაწერილია კონსტანტინეპოლში).

ს. მ. ბრიკეს ცნობარის მიხედვით:

№ 567—1588 წ. (ჰვ. ნ. დიდი და მახინჯი მოხაზულობისა).

№ 568 1591—1593; 1597 წ. წ.

№ 569—1595 წ.

ეს ჰვირნიშანი გვხვდება აგრეთვე ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდის № 87 ხელნაწერში და ქუთაისის მუზეუმის № 38 ხელნაწერში. ორივე ხელნაწერი თარიღდება აფხაზეთის კათალიკოსის ეფთვიმე საყვარელიძის ზეობის წლებით (1578—1605). წინა ჰვირნიშნის ქრონოლოგიური მონაცემების საფუძველზე ამ ორივე ხელნაწერის გადაწერის პერიოდი კიდევ უფრო დაზუსტდა, კერძოდ, 1585—1600 წლებით.

უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ ხელნაწერთა ჰვირნიშნების საფუძველზე ხელნაწერები გადაწერილი უნდა იყოს 1590-იან წლებში. მართლაც, თუ წინა ჰვირნიშანი გვაძლევს 1585—1600 წლების ქრონოლოგიურ პერიოდს, ეს მეორე ჰვირნიშანი ძირითადად, ქართული და უცხოური მონაცემების საფუძველზე გვაძლევს 1590—1610 წლების ქრონოლოგიურ პერიოდს. ცხადია, რომ ორივე ჰვირნიშნის მონაცემების საფუძველზე Q-87 და ქუთ. მუზ. № 38 ხელნაწერები 1590-იანი წლებით თარიღდება, ხოლო დათარიღება რომ კიდევ უფრო ზუსტი იყოს, ეს ხელნაწერები მიახლოებებით 1595 წელს გადაწერილია.

ამგვარად, ჰვირნიშანი „ლუზა წრეში კუთხოვანი სამყურით“ ძირითადად 1590—1610 წლების ქრონოლოგიური პერიოდით ისახლვრება. გამონაკლისების სახით ეს ჰვ. ნ. შესაძლებელია უფრო ადრეც, 1585 წლიდან გვხვდებოდეს.

ყოველ კერძო შემდგენელში მნიშვნელობა აქვს სხვა ჰვირნიშნების ქრონოლოგიურ მონაცემებს.

ეს ჰვირნიშანი გვხვდება შემდეგ უთარიღო ქართულ ხელნაწერებში:

A—76; A—84; A—289; A—417;

A—24; A—674; A—1341; A—1481;

H—3004; ქუთ. მუზ. № 10 და სხვ.

ყველა ამ უთარიღო ხელნაწერის დათარიღება ძლიერ ადვილდება ჰვირნიშნების ქრონოლოგიური მონაცემების საფუძველზე.

მაგალითისათვის A—76 ხელნაწერის (რჩელის კანონია) ძირითადი ნაწილი XII—XIII საუკუნის უნდა იყოს, ხოლო ხელნაწერის გვიანდელი ნაწილი გვ. 1-6 და 496—674-მე-16 საუკუნის მიწურულისა, კერძოდ, 1590—1600 წლების პერიოდისა—ჰვირნიშნების მიხედვით. ხელნაწერის გვიანდელ ნაწილში გვხვდება უკვე განხილული ორივე ჰვირნიშანი: „ლუზა წრეში რომბების ჯვრით“ და „ლუზა წრეში კუთხოვანი სამყურით“.

აკად. კორნელი კეკელიძე, ისტორიულ ძიებათა შემდგომ, ხელნაწერის ამ გვიანდელ ნაწილს მე-14 საუკუნით ათარიღებდა, ხოლო ვეფხისტყაოსნის ერთ სტროფს, 907-ს, რომელიც ხელნაწერის ამ გვიანდელი ნაწილის მინაწერია, ვეფხისტყაოსნის ტექსტის უძველეს დადასტურებად მიიჩნევდა, კერძოდ, მე-15 საუკუნის მინაწერად თვლიდა.<sup>1</sup>


კ. კეკელიძის ეს შეცდომა გამოწვეული იყო იმით, რომ გათვალისწინებული არ იყო A—76 ხელნაწერის გვიანდელი ნაწილის ჰვირნიშნების მონაცემები.

კ. კეკელიძემ ჩვენი მითითების შემდგომ თავისი ეს თავდაპირველი შეხედულება უარჰყო.<sup>2</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სულ

<sup>1</sup> კ. კეკელიძე — პოემის ერთი სტროფისათვის, საქ. მეც. აკად. მოამბე, 1960 წ., № 2, გვ. 213—214

<sup>2</sup> კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IX, თბ. 1963 წ. გვ. 6-7.



ნახ. 4.

ახლახან აღმოჩენილია ჯერხნობით უძველესი დადასტურება „ვეფხისტყაოსნისა“: S—3480 XII—XIII საუკუნის ხელნაწერზე მიწერილი ვეფხისტყაოსნის 951 სტროფის პირველი ორი ტაეპი არ შეიძლება XIV საუკუნეზე გვიანდელა იყოს. ამ მინაწერს ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკმა თ. ბრეგვაძემ მიაკვლია.

3. ლუზა წრეში ჩვეულებრივი სამყურით (ნახ. 4).

ეს ვენეციური ჰვირნიშანი გვხვდება შემდეგ თარიღიან ქართულ ხელნაწერ წიგნებსა და დოკუმენტებში:

Hd—1942 1608 წ.

Hd—13179 1609 წ.

Hd—3295 1609 წ.

არქ. ფ. 1448 № 5086 — 1610 წ.

Sd—555 1610 წ.

Hd—14442 1610 1623 წ. წ.

Hd—2009 1611 წ.

Sd—61 1611 წ.

Hd—14631 1614 წ.

არქ. ფ. 1448 № 4258 — 1614 წ.

Hd—2483 1615 1619 წ.წ.

Hd—14633 1615 — 1619 წ. წ.


Hd—14679 1616 წ.

Hd—1630 1618 წ.

Ad—3240 1619 წ. ახლო

Hd—14414 1619 — 1626 წ. წ.

Hd—2895 1622 წ.

არქ. ფ. 1448 № 9214 1622 წ. წ. 

Hd—1908 1623 1626 წ. წ.

Hd—3056 1624 წ.

Hd—9429 1625 1632 წ. წ.

Ad—1388 1624 წ.

Hd—14632 1626 1627 წ. წ.

Qd—8965 1627 წ.

Hd—2108 1627 წ.

არქ. ფ. 1448 № 2056 1627 წ.

რადგან მე-17 საუკუნის დოკუმენტების რაოდენობა დიდი, შეიძლება დავასკვნათ, რომ 1627 წლის შემდეგ ეს ჰვირნიშანი თუმცაღა გვხვდება, ის შესამჩნევად იცვლება, კერძოდ, ჰვირნიშანი იზრდება და სამყურა წრის თავზე ძლიერ დიდი. ამიტომ ამ სახის ჰვირნიშანი სულ ბოლოს გვხვდება დაახლოებით 1627—1628 წლებში. უადრეს 1608 წლისა ქართულ დოკუმენტებში ეს ჰვირნიშანი არ გვხვდება. ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ მე-16 საუკუნისა და მე-17 საუკუნის დასაწყისის საბუთები გაცილებით მცირეა. ხარვეზს ავსებენ ხელნაწერები. უპირველეს ყოვლისა უნდა დავიმოწმოთ ჯერ დაუსახელებელი ხელნაწერი A—687. რომელიც გადაწერილია აფხაზეთის კათალიკოსის ეფთვიმე საყვარელიძის ბრძანებით, ე. ი. ეკუთვნის 1578—1605 წლებს. ამ ხელნაწერში გვხვდება მხოლოდ ორი სახის ჰვირნიშანი: „ლუზა წრეში კუთხოვანი სამყურით“ დიდი ზომისა და ჩვენი უკანასკნელი ჰვირნიშანი—„ლუზა წრეში ჩვეულებრივი სამყურით“. ხელნაწერებში აღარ გვხვდება „ლუზა წრეში რომბების ჯვარით“, რომელიც არსებობას წყვეტს 1600 წელს, ხელნაწერებში არ გვხვდება არც ერთი სხვა სახის ლუზაც. ამიტომ A—687 გლხანი თარიღდება დროის ვიწრო მონაკვეთით 1600—1605 წლებით. შეიძლება დავასკვნათ: ჰვირნიშნის „ლუზა წრეში ჩვეულებრივი სამყურით“ არსებობა ძირითადად იფარგ-

რამაზ პატარიძე

ჰვირნიშანი და ქრონოლოგია

ლება შემდეგი ქრონოლოგიური პერიოდით:

1600—1627 წლები.

მივმართოთ უცხოურ მონაცემებს: ბრიკე, რომლის ცნობარი მე-13-16 საუკუნეებს მოიცავს, ამ ჰვირნიშანს არ იცნობს. ფრიად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მე-17 საუკუნის დასაწყისიდანვე მეტად გავრცელებული ეს ჰვირნიშანი დიდმა პალეოგრაფმა 1600 წლის უადრეს ვერ იპოვნა.

ნ. პ. ლიხაჩოვის ცნობაში არის ორი ნიმუში ამ ჰვირნიშნისა: № 665—1628 წლისა, ე. ი. ჰვირნიშნის უკანასკნელი სათარიღო მაჩვენებელი და № 1244—1495 წლისა.

ჩვენთვის წინასწარ ცხადი იყო, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ლიხაჩოვი შეცდა. ყოველმხრივი შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ ეს ჰვირნიშანი დიდ მეცნიერს ამოუხატავს პოგოდინის არქივის № 254 ხელნაწერიდან. ეს ხელნაწერი გადაწერილია 1495 წელს ქალაქ იასში. ხელნაწერი ბოლონაკლულია, ხოლო ერთი უკანასკნელი ფურცელი ხელნაწერისა გვიანდელი მინამატიია, რომელზედაც შენიშვნის სახით აღნიშნულია ხელნაწერის გადაწერის თარიღი. სწორედ ამ ბოლო, გვიან მიმატებული ფურცლის ჰვირნიშანი მოხვდა ხელნაწერის მე-15 საუკუნის მიწურულის ჰვირნიშნებს შორის. პო-

გოდინის არქივის № 254 ხელნაწერი ამჟამად ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის ბიბლიოთეკაში. ჩვენ ამ ხელნაწერს სპეციალურად გავეცანიოთ.

განვიხილოთ სხვა უცხოური მონაცემები. ვსევოლოდ ნიკოლაევის თურქული დოკუმენტების ჩვენებათა მიხედვით ეს ჰვირნიშანი შემდეგ სათარიღო მაჩვენებლებს გვაძლევს:

№ 150—1603 წ.

№ 153—1609 წ.

№ 155—1609 წ.

№ 156—1610 წ.

№ 157—1610 წ.

№ 160—1611 წ.

№ 162—1613 წ.

ედვარდ ჰიუდის ცნობარის მიხედვით ეს ჰვირნიშანი შემდეგ სათარიღო მაჩვენებლებს გვაძლევს:

№ 1—1609 წ. — ვენეცია


№ 2—1610 წ. — „

№ 4—1620 წ. — „

მატენადარანის სომხური ხელნაწერების მონაცემების მიხედვით ეს ჰვირნიშანი გვაძლევს ადრეულ თარიღს:


№ 503—1601 წ.

ამგვარად, უცხოური მონაცემებით ამ ჰვირნიშნის ქრონოლოგიური პერიოდი ზუსტად ემთხვევა ქართულ მონაცემებს და გვაძლევს იგივე ქრონოლოგიურ პერიოდს: 1601—1628 წ.წ.



≠

≠



≠

გვხვდება თუ არა ეს ჭვირნიშანი უადრეს 1600 წლისა? როგორც ჩანს, გვხვდება, მაგრამ ძალიან იშვიათად. ამასთანავე უადრეს 1600 წლის ჭვირნიშნის სამყურა მაღალღეროვანია. ეს ჭვირნიშანი მაღალღეროვანი სამყურით — ქართულ ხელნაწერებში შეგვხვდა ორგზის. ეს ხელნაწერებია: ქუთაისის მუზეუმის № 38 (1578—1605 წლებისა), რომლის შესახებ ზემოთ უკვე ითქვა და რომელიც სხვადასხვა ჭვირნიშნების მონაცემების საფუძველზე 1590-იან წლებით თარიღდება და ხელნაწერი A—674, სადაც ქუთაისის მუზეუმის № 38 ხელნაწერის ანალოგიური ჭვირნიშნები


ვით, მოტანილი აქვს ორი შემთხვევა ასეთი მაღალღეროვანი სამყურისა: № 107—1580 წლისა და № 122—1585 წლისა (ნახ. 6).

შეიძლება დავასკვნათ: ჭვირნიშანი „ლუზა წრეში ჩვეულებრივი სამყურით“ შემდეგი ქრონოლოგიური პერიოდებით იფარგლება:

1580—1600 წ.წ. ჭვირნიშნის სამყურა მაღალღეროვანია და

1600—1628 წ. წ.—ჭვირნიშანი ჩვეულებრივი მოხაზულობისა.

მაგრამ არის გამონაკლისის ერთი შემთხვევა. ეს. ნიკოლაევს 1584 წლის თურქული დოკუმენტიდან ამოხატული



ნახ. 6.

გვხვდება. ორივე ხელნაწერში ჭვირნიშნის სამყურა მაღალღეროვანია (ნახ. 5).

შეიძლება დავასკვნათ: 1590-იან წლებში ჭვ. ნ. „ლუზა წრეში ჩვეულებრივი სამყურით“ 1600-იან წლების ჭვირნიშანისაგან განსხვავებულია — მაღალღეროვანია.

უცხოური მონაცემები ადასტურებენ ამ იშვიათ ფაქტს. ეს. ნიკოლაევს თურქული დოკუმენტების ჩვენებათა მიხედ-

აქვს ჩვეულებრივი მოხაზულობის „ლუზა წრეში სამყურით“. ეს. ნიკოლაევს ცნობარში ეს ჭვირნიშანი:

№ 117 დათარიღებულია 1584 წლით. ეს არის ჭვირნიშნის ჩვენთვის ცნობილი ყველაზე ადრეული დადასტურება.

ჭვირნიშანი „ლუზა წრეში ჩვეულებრივი სამყურით“ გვხვდება შემდეგ

რამაზ პატარიძე  
ჭვირნიშანი და ქრონოლოგია

უთარილო ქართულ ხელნაწერებში: A—687; A—762; A—1058; A—1341; A—1479; H—1450; ქთ. მუხ. № 10; A—674 (სამყურა მაღალღეროვანია); ქთ. მუხ. № 38 (სამყურა მაღალღეროვანია), აგრეთვე მთელ რიგ უთარილო ქართულ დოკუმენტებში.

1963 წელს ხელნაწერთა ინსტიტუტის ექსპედიციამ ქ. ახალციხის მუზეუმში მიაკვლია „ვეფხისტყაოსნის“ ახალ ფრაგმენტულ ნუსხას (სულ 2 ფურც.). ერთ უფრო მეტად დაზიანებულ ფურცელს აქვს იგივე ჰვირნიშანი ღუზა წრეში ჩვეულებრივი სამყურით.

როცა უკვე გამოჩვენებულია ამ ჰვირნიშნის ქრონოლოგიური საზღვრები, თავისთავად ცხადია, რომ ვეფხისტყაოსნის ეს ფრაგმენტი უნდა გადაწერილიყო 1580—1628 წლების ფარგლებში. რადგან ნუსხის ხელი პალეოგრაფიულად უფრო სიძველისაკენ იხრება. ამიტომ, როგორც გამოჩვენდა, ვეფხისტყაოსნის ეს ნუსხა შესაძლებელია მე-16 საუკუნით დათარიღდეს, მაგრამ არა უადრეს 1580 წლისა.


ანგარიშგასაწევია ის ამბავი, რომ მე-16—17 საუკუნეთა მიჯნაზე მხედრულ დამწერლობაში დიდი გარდატეხა მოხდა. მე-17 საუკუნის დასაწყისიდან მხედრული დამწერლობა ძლიერ შეიცვალა და დღევანდელ მხედრულს დაუახლოვდა. მხედრული დამწერლობის ეს დიდი ცვლილება დროის მეტად მცირე მონაკვეთში მოხდა სწორედ მე-16—17 საუკუნეთა მიჯნაზე.

ამავე დროს სრული, პალეოგრაფიული ანალიზის საფუძველზე, „ვეფხისტყაოსნის“ ეს ნუსხა გადაწერილი უნდა იყოს მე-16 საუკუნეში, მაგრამ არა უადრეს 1580 წლისა.

ჩვენ ვისაუბრებთ ჰვირნიშნის ძირითადი ე. წ. ემბლემატური ნაწილის შესახებ, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, ჰვირნიშნის ემბლემატურ ნაწილს, როგორც წესი, ახლავს ლიტერული ნაწილი. ლიტერული ნაწილი ე. წ. კონტრმარკა ძალიან ხშირად აზუსტებს და

ავიწროვებს ჰვირნიშნის ქრონოლოგიურ პერიოდს. იგივე შეიძლება ითქვას ჰვირნიშნის ემბლემატური ნაწილისა და მატებითი ნიშნების შესახებ. მოვიტანოთ ერთი მაგალითი:

A—1479 ხელნაწერი (მარხვანი). ამ ხელნაწერში ჰვირნიშანს — „ღუზა წრეში ჩვეულებრივი სამყურით“ აქვს როგორც კონტრმარკა, აგრეთვე დამატებითი ნიშანიც (ნახ. 7).



ნახ. 7.

ეს ხელნაწერი ჰვირნიშნის კონტრმარკისა და დამატებითი ნიშნის წყალობით თარიღდება 1610 წლის ახლო დროით და არა უგვიანეს 1610 წლისა. ვათვალისწინებთ ხელნაწერის სხვა ჰვირნიშნის ქრონოლოგიური პერიოდიც, კერძოდ, ჰვირნიშნისა „ღუზა წრეში კუთხოვანი სამყურით“ — 1590—1610. ამავე დროს ეს ჰვირნიშანი იმავე დამატებითი ნიშნით, შეიძლება ითქვას. უნიკალურია და ვს. ნიკოლაევის ცნობარში № 153 გვაძლევს 1609 წ. სათარილო მაჩვენებელს.

ამგვარად, ხელნაწერის ჰვირნიშნების სრული ანალიზის შემდგომ ამ ხელნაწერს A—1479-ს ჩვენ 1610 წლის ახლო დროით ვათარიღებთ და გაცილებით ნაკლებ ვცდებით, რადგან დღემდე ეს ხელნაწერი პირობითად XV—XVI საუკუნით თარიღდებოდა.

ჰვირნიშანი — ზუსტი დათარიღების უტყუარი საფუძველია.

## სიონ სიხივილი

### პოლონეთის საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან

ახალი, სოციალისტური პოლონეთი მემკვიდრეა ინტერნაციონალური მეგობრობის იმ დიდი ტრადიციებისა, რასაც ნერგავდნენ მისი ხალხის საუკეთესო შვილები ჯერ კიდევ XVIII საუკუნიდან. მათ შორის გამოირჩევიან: ს. სტაშეცი, მ. მონახაჟი, ე. დემბროვსკი, ი. პოლოცკი, ს. ვორცელი, ლ. ბულეცკი და სხვები.

სტანისლავ სტაშეცი (1755-1826) განიცდიდა ფრანგი განმანათლებლების დიდ გავლენას ის მოითხოვდა ადამიანთა თავისუფლებას და კანონის წინაშე თანასწორობას. „ადამიანი სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში, — წერდა სტაშეცი, — არ უნდა იყოს არც დესპოტი და არც მონა“<sup>1</sup>.

სტაშეცი მხარს უჭერდა ხალხთა თანასწორუფლებიანობასა და მშვიდობიან თანაცხოვრებას. „...ყოველ ხალხს, — წერდა ის, — უნდა ჰქონდეს თავისი ძალითა და გონებით სარგებლობის თავისუფლება, მხოლოდ თავისი უფლების დაცვისათვის, და არა სხვა ხალხის უფლების დარღვევისათვის“.

სტაშეცი მოითხოვდა ხალხის აღზრდას პატრიოტიზმის სულიკეთებით. ამის საუკეთესო საშუალებად მას მიაჩნდა მოქალაქეებისთვის სამშობლოს ისტორიის სწავლება. სტაშეცმა ამხილა მაგნატების ცრუ პატრიოტიზმი. სხვა დანაშაულობათა გარდა, აღნიშნა მან, მაგნატები იმ დანაშაულსაც სჩადიან, რომ სამშობლოს დასამოკლებლად უცხოელთა ჯარებს იწვევენ; არ ასწავლიან თავიანთ ბავშვებს მშობლიურ ენაზე, ისინი

პოლონურად ვერც კი ლაპარაკობენ. სტაშეცი მაგნატებს ბრალს სდებდა იმაშიც, რომ „მათ გააფუჭეს პოლონელთა ეროვნული ხასიათი“, დაკარგეს ეროვნული სიამაყე და გახდნენ უაღრესად შვიშარები და უცხოელთა მონები.

ს. სტაშეცი ილაშქრებდა კოლონიალიზმის წინააღმდეგ. მან ამხილა ინგლისის კოლონიური პოლიტიკა. „ინგლისი, — წერდა იგი, — თვითმპყრობლურად ფლობს ყველა ოკეანეებს და დაიმორჩილა მათთან მდებარე ერცელი და მნიშვნელოვანი ქვეყნები“. სტაშეცმა ამხილა ინგლისის ეგსტინდოეთის სავაჭრო კომპანიის მძარცველური პოლიტიკა. „ინგლისში, — წერდა ის, — მონოპოლიის სულმა მიგვიყვანა სახელმწიფოში უდიდესი სახელმწიფოს შექმნამდე. ინდოეთის სავაჭრო კომპანიამ დაიმორჩილა მთელი ხალხები, რომელთაგანაც ქაჩავს ხარკსა და გადასახადებს; მას ჰყავს ცალკე დიდი ჯარი, ინახავს თავის ფლოტს, აწარმოებს ომებს; მან დაიპყრო, ერთმანეთისაგან განაცალკევა, ურთიერთს წაჰკიდა და გაანადგურა დიდი ხალხები და სამეფოები ინდოეთში“.

ს. სტაშეცი გამოვიდა ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ და ამხილა დასავლეთ ევროპის დიდი სახელმწიფოები ამ ჰუმანიზმის საწინააღმდეგო მოქმედებაში. „იტალიელი, გერმანელი, ესპანელი, ფრანგი და ინგლისელი თვითმპყრობელები ყველა კოლონიებში ყიდულობდნენ ადამიანებს და აქცევდნენ მათ მონებად, აყენებდნენ საშინელ ტანჯვას.

რა შეიძლება შეედაროს ისტორიაში ინგლისელთა სისასტიკეს, რომლებმაც ცხოვრებაში გაატარეს მონებითა და ზანგებით ვაჭრობის მონოპოლიის პრინციპი?“. ინგლისელები, — აღ-

<sup>1</sup> წერილში მოყვანილი ყველა ციტატა ამოღებულია „პოლონელ პროგრესულ მოაზროვნეთა რჩეული ნაწარმოებებიდან“.



ნიშნა სტაშიცმა,—აფრიკისა და ამერიკის ტყეებშიც აღამიანებზე ნადირობენ. ვაჭრებმა თვითიველ შეპყრობილ ინდიელში 100 გირვანქა სტერლინგი დააწესეს.

ს. სტაშიცი ომის საკითხსაც შეეხო. ომებს იგი ჰყოფდა სამართლიან და უსამართლო ომებად. სტაშიცი არ იყო პაციფისტი, იგი მხარს უჭერდა სამართლიან ომს და გამოდიოდა უსამართლო ომის წინააღმდეგ. „მხოლოდ ის ომი ითვლება სამართლიანად, რომელიც იცავს ხალხის უფლებას“, — წერდა იგი.

გამოდიოდა რა უსამართლო ომის წინააღმდეგ, სტაშიცი წერდა: „არ შეიძლება ომის წარმოება მიწის დაპყრობის რაღაც საბაბით... არ შეიძლება ომის წარმოება აგრეთვე აღამიანთა დაპყრობისათვის, რადგან აღამიანები ცხოველები არ არიან, და ამის გამო არ შეუძლიათ სხვა აღამიანის საკუთრება იყენებ“.

სტაშიცი გამოდიოდა ავგონიერ უსამართლო ზავის წინააღმდეგ და მხარს უჭერდა სამართლიან ზავს. იგი ხალხის ძალით შემოერთებისა და მათთვის მმართველობის ფორმის თავსმოხვევის წინააღმდეგი იყო. „ომი, — წერდა ის, — უნდა დამთავრდეს მხოლოდ ისე, რომ მის შედეგად აღამიანები თავისუფალი იყვნენ, რათა შეეძლოთ იმათთან გაერთიანება, ვისთანაც ისინი მოისურვებენ, და აირჩიონ თავისთვის ისეთი სახელმწიფოებრივი წყობა, როგორც მათთვის სასურველი იქნება“.

პოლონეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მონაწილე პუბლიცისტი მაჯარიცი მოხნაკი (1804-1834), დაუსტრომლად ქადაგებდა ერთა თავისუფლებას, თანასწორობასა და დამოუკიდებლობას.

მ. მოხნაკიმ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ეროვნული თვითშეცნობის ვალდებულებასა და განვითარებას. მისი აზრით, ერის ყველა წევრის აზრთა ერთობლიობა ერის არსის გამომხატველია. მთავარი ერის ცხოვრებაში არის სწორედ ამ არსის თვითშეცნობა. როგორც ცალკეული აღამიანი მალდდება თვითშეცნობამდე, ასევე მთელი ერი მიდის თვითშეცნობამდე. მხოლოდ თავის წარმოდგენებისა და იდეების ერთობლიობაში აღწევს ერი თავისი არსის თვითშეცნობას. მოხნაკი აღნიშნავდა, რომ არ კმარა მარტო არსებობა, საჭიროა ვიცოდეთ ამ არსებობის შესახებ. ვინც არსებობს, მაგრამ არ აქვს თვითშეცნობა, ე. ი. არ იცის ვინაა იგი, ის მხოლოდ სხვისთვის არსებობს და არა თავისი თავისათვის. ერი, რომელიც ვერ შეიცნობს თავის თავს, ისტორიაში ვერავითარ კვალს ვერ დატოვებს. „დაე ერთმთუნდაც ერთხელ და ძალზე მოკლე დროით მიადწიოს თავისი არსის თვითშეცნობას, და მოგონება მის შესახებ უკვე წაუსულელი იქნება“.

მ. მოხნაკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ეროვნულ ლიტერატურას. იგი მას ერის არსის გამომხატველად მიიჩნდა. „სულის ეს გამოხატვა, საერთო აღივის ეს ამოსვლა ზედაპირზე, წარმოდგე-

ნებისა და გაგების ეს ერთობლიობა, რაც ერთ ინდივიდუალობას ახასიათებს, შეადგენს ამ ერის ლიტერატურას“, — წერდა იგი. ეროვნულ ლიტერატურას მოხნაკი „ერის განვითარების“ უწოდებდა და მოძრავ სარკეს აღიარებდა. ვაი ხალხს, რომელიც მუდმივად არ უყურებს თავის თავს ამ სარკეში, — ამბობდა ის. მოხნაკი მიუთითებდა, რომ ლიტერატურამ ხალხის ცხოვრება სწორად უნდა ასახოს. ვაი ხალხს, რომლის სახეს მისი ლიტერატურა სწორად არ აჩვენებს, — წერდა ის.

ერის ძირითად ძალად მოხნაკის სამართლიანად მიიჩნდა მშრომელი მასები.

პოლონეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოკავშირედ მოხნაკის მიიჩნდა რუსეთის მშრომელი მოსახლეობა და მოითხოვდა მასთან კავშირის დამყარებასა და ერთობლივ განთავსებას რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. „ჩაგრული რუსები, — წერდა ის, — იცევენ ჩვენი ძმები და თანამემამულენი, პოლონეთის საქმის მოკავშირეები არიან“.

რევოლუციონერმა დემოკრატმა ედვარდ დემბროვსკიმ ერთმანეთს შეუთავსა პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი. ის გამოდიოდა ნაციონალიზმისა და კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ და ქადაგებდა ხალხთა შორის სიყვარულსა და მეგობრობას. „...სახოცად ომებრივი ცხოვრების არსად კაცობრიობისადმი სიყვარული ითვლება“, — ამბობდა დემბროვსკი. ის აღნიშნავდა, რომ ხალხისა და კაცობრიობის სიყვარული ერთი და იგივეა. „...ვისაც უყვარს პოლონელი ხალხი, უყვარს გერმანელი და ფრანგი ხალხიც, მას უყვარს ყოველი ხალხი, უყვარს მთელი კაცობრიობა...“. ხალხისა და კაცობრიობის სიყვარული, ამბობდა დემბროვსკი, — ზადებს თავისუფლებას. თანასწორობასა და პიროვნების პატივისცემას. პროგრესს, თვითმყოფობას და შემოქმედებას დემბროვსკი საკაცობრიო ღირსეულებად აღიარებდა.

რევოლუციონერი დემოკრატი იან პოდოლევსკი (1800-1855) მიუთითებდა, რომ ცივილიზაციის განვითარებას ახასიათებს ცენტრ-მხრბობა, გამაერთიანებელი ტენდენცია. აქედან გამომდინარე, ის მომხრე იყო დემოკრატიულ საფუძვლებზე ერების შეკავშირებისა ანუ, როგორც თვითონ აღნიშნავდა, „კოლექტიური თვითმყოფობისა“. პოდოლევსკი წერილი ეროვნული და ტომობრივი დაქუცმაცების წინააღმდეგ იყო. ის მოითხოვდა რუსეთთან კავშირს. რუსეთი, პოლონეთი და ლიტვა ერთად უნდა იყვნენ, — აღნიშნა პოდოლევსკიმ.

იან პოდოლევსკი სასებით სწორად მიუთითებდა, რომ დემოკრატიული რევოლუცია დაარღვევს ერთა ხელოვნურ, იძულებით, გარეგნულ გავრთიანებებს, მაგრამ არა იმისათვის, რომ მოსახლეობა წინა-ეროვნულ მდგომარეობას დაუბრუნოს და დააქუცმაცოს პოლიტიკური ძალისა და

დანინსულეების არმქონე ტომებად, არამედ პირიქით—შაკავშიროს და გააერთიანოს იგი.

როგორც ინტერნაციონალისტი, იან პოდოლევკი ქადაგებდა ხალხთა ძეგობრობასა და შეკავშირებას. ის აღნიშნავდა: „კაცობრიობის მოდგმის ძმობა! აი იდეალი, აი კაცობრიობის პროგრესის კომპასი“.

იგა რა ინტერნაციონალისტურ პოზიციაზე, ნაციონალიზმისა და კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ ენერგიულად გამოდიოდა რევოლუციონერი დემოკრატი სტანიკლავ ვორცელი (1799-1857). ნაციონალიზმი და კოსმოპოლიტიზმი მას სამართლიანად მიაჩნდა უკიდურესობად ვორცელის აზრით, კოსმოპოლიტიზმი მსოფლიოს იხილავს როგორც ერთ ქალაქს, ან როგორც ერთ ერს. იგი სწორად შენიშნავდა, რომ კოსმოპოლიტიზმი ეწინააღმდეგება ერის უფლებას დამოუკიდებლობისა და თვითმყოფლობის შესახებ.

ვორცელი მიუთითებდა, რომ ერი პიროვნების დამაკავშირებელია კაცობრიობასთან. იგი არის წესრიგზე დამყარებული ბუნებრივი ერთობა. კოსმოპოლიტიზმის დანაშაული ისაა, რომ მას ამ ბუნებრივი ერთობის დარღვევა უნდა.

ვორცელი სწორად აღნიშნავდა, რომ კაცობრიობა უფრო მაღალი ცნებაა, ვიდრე ერი. ნაციონალისტები კი მხოლოდ თავისი ერის საზღვრობის პრინციპით მოქმედებენ, რაც დამყარებულია „თვითმოყვარობასა და ეროვნულ ეგოიზმზე“. ნაციონალისტების მოქმედება „ეწინააღმდეგება ყოველგვარ ერთობას, რომელსაც უფრო მაღალი ხასიათი აქვს, ვიდრე ერს“, — წერდა ვორცელი.

როგორც ინტერნაციონალისტი, ვორცელი ქადაგებდა ერთა შორის ძმობასა და მეგობრობას, მათ შვიდობიან თანაცხოვრებას. ის ერის მიმართ ყოველგვარ ძალადობას უარყოფდა. ვორცელი ილაშქრებდა ავსტრიის ჰაბსბურგების, რუსიის ბრანდერბურგების და რუსეთის ტრანსილვანიის დინასტიების ძალადობისა და დაპყრობითი პოლიტიკის წინააღმდეგ. იგი გამოთქვამდა იმედს, რომ უახლოეს მომავალში ეს პოლიტიკა დაიშხვრეოდა. იძულებასა და დაპყრობას შეუძლია შეაფერხოს ერის განვითარება, მაგრამ არ შეუძლია ერის მოსპობა, — აღნიშნავდა ვორცელი. მან მიუთითა, რომ „იძულება ერთი ერის მიმართ, — წარმოადგენს საფრთხეს ყველასათვის“. აქედან ვორცელი ასკვნიდა: ერთი — ყველასათვის, ყველა —

ერთისათვის, ე. ი. ურთიერთმხარდაჭერა, რასაც ის სოლიდარობას უწოდებდა.

ყოველ ერს, — მიუთითებდა ვორცელი, — გარკვეული უფლება და ამავე დროს გარკვეული მოვალეობა კაცობრიობის წინაშე. სოლიდარობა ერებისა უნდა იყოს არა აბსტრაქტული, არამედ კონკრეტული. ყველა ერი უნდა იბრძოდეს სხვა ერების დამოუკიდებლობისა და თვითმყოფობისათვის.

ს. ვორცელი სახელმწიფოთა ფედერაციული კავშირის შექმნის მომხრე იყო. ფედერაცია, აღნიშნა მან, არ არღვევს ეროვნულობის აოინციბს, პირიქით, იგი ხელს უწყობს მის განვითარებას, ხელს უწყობს საერთო პროგრესისადმი დაკვირვებას. მეზობელი ხალხების ფედერაცია ანუ უნია, ვორცელის აზრით, სასურველია და შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ეროვნული ცხოვრების გარდაუვალ გაგუნენას ექვემდებარება ენა, ჩვეულებები და აღზრდა, ე. ი. როცა ეროვნულობის განვითარება დაბრკოლებებს კი აჩხვდება, არამედ — ხელის შეწყობას.

ინტერნაციონალიზმის პოზიციაზე იგა რევოლუციონერი დემოკრატი ლიუდვიგ ბულეკსკი (1842-1883). ის უარყოფდა ტერიტორიულ ცვლილებებს ისტორიული. ეროვნული და ბუნებრივი საზღვრების მოტივებით, ვინაიდან ამ მოტივებით ამართლებდნენ ძარცვა-გლეჯას და დაპყრობებს. ტერიტორიულ ცვლილებათა ერთადერთ კანონიერ პრინციპად მან ცნო ხალხის ნება. სადაც ტერიტორიის შესახებ თვით მოსახლეობამ უნდა გადაწყვიტოს, თუ ვისთან სურს მას მიუთუენება, — ამბობდა ბულეკსკი.

ბულეკსკი ქადაგებდა ხალხთა შორის სოლიდარობას. მას სოლიდარობა კაცობრიობის არსებობის პირობად მიაჩნდა. ყოველ ხალხს, ამბობდა ბულეკსკი, მეზობელი ხალხის ინტერესები თავის საკუთარ ინტერესებად უნდა მიაჩნდეს და უნდა იცავდეს მას. ხალხებს, — აღნიშნა მან, — თავისუფლება, თანასწორობა და მათზე დამყარებული საერთო ინტერესები აერთიანებს.

ლიუდვიგ ბულეკსკი ამბობდა: თავისუფალი მთლიანი და დამოუკიდებელი პოლონეთი ყველას სამშობლოა.

სიმონ ციციშვილი  
პოლონეთის საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან



## პუშკინისა და დანტესის ღუედის საქმე

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ა. ს. პუშკინის დუელი დანტესთან მარტო პირადი ორთაბრძოლა არ იყო, ეს პოეტის თანამედროვეებსაც ეკარგად ესმოდათ.

ცნობილი რუსი ისტორიკოსის კარაშინის ვაჟიშვილი ანდრია კარაშინი პარიზიდან დედისადმი გაგზავნილ წერილში პუშკინის გარდაცვალებასთან დაკავშირებით წერდა: „ჩემს მაგივრად მიულოცეთ პეტერბურგის საზოგადოებას — მან სასახლო საქმე გააკეთა, გენიისა და სილამაზის მიმართ ბინძური ჭორებით, სულმდაბლური შურისძიებით, მის მიერვე შეთხზული დრამა კვანძის სრულ გახსნამდე მიიყვანა“.

ვანსაკუთრებით საინტერესოა პეტერბურგში მცხოვრები უცნობი ავტორის წერილი გრაფ ორლოვისადმი, სადაც იგი პირდაპირ ლაპარაკობს ა. ს. პუშკინის წინასწარგანზრახვით, წინასწარ მოფიქრებული გეგმით განხორციელებულ მკვლელობაზე.

პუშკინის დუელი დანტესთან 1837 წლის 27 იანვარს (ძველი სტილით) შესდგა. მეორე დღეს, 28 იანვარს, სამხედრო მინისტრმა გრაფმა ჩერნიშოვმა ნიკოლოზ პირველს აცნობა გვარდიის კორპუსის სარდლის გენერალ-ლეიტენანტ ბისტროვის 28 იანვრის პატაკი. „მისი უდიდებულესობის კავალერგარდა პოლკის მეთაურმა, — ნათქვამი იყო პატაკში, — სულ ახლახან მაინობა, რომ პოლკის პორუჩიკ ბარონ დე-გეკერენსა და მისი უდიდებულესობის კარის კამერ-იუნკერ პუშკინს შორის გუშინ მოხდა დუელი, რომლის დროსაც დაიჭრა პორუჩიკი დე-გეკერენი. გაცნობებში რა ამის შესახებ, თქვენო უდიდებულესობაე-

ხელმწიფე იმპერატორის მოსახსენებლად, პატაკი მაქვს დაუშვამო, რომ პორუჩიკი ბარონ დე-გეკერენი უკვე დაპატიმრებულია გენერალ-მაიორ გრინვალდის მიერ“ (გრინვალდი იყო იმ პოლკის უფროსი, რომელშიც დანტეს-გეკერენი მსახურობდა).

აღნიშნული პატაკი ძალზედ საინტერესოა. საოცარია, რომ მასში არაფერია ნათქვამი მთელი რუსეთისათვის იმ ცნობილ ფაქტზე, რომ დანტესმა სასიკვდილოდ დასჯრა პუშკინი, აგრეთვე იმის შესახებ, რომ „დაპატიმრებული“ დანტესი თავისი მამობილის, პოლანდის ელჩის ბარონ გეკერენის ბინაზე, ეგრეთ წოდებულ „საშინაო პატიმრობაში“ იმყოფებოდა. ასე რომ, დანტესი დუელის დამთავრებისთანავე შეიფარა სამხედრო ხელმძღვანელობამ, რომელმაც ალექსანდრე პუშკინის მკვლელობის მიმართ შემდგომშიც დიდი გულგრილობა გამოიჩინა.

ნიკოლოზ პირველმა სამხედრო მინისტრის მოხსენების პასუხად ასე იწეხა: „სამხედრო სასამართლომ გასამართლეს ისინი (ე. ი. პუშკინი და დანტესი) და მათთან ერთად ყველა ის, ვინც დაკავშირებულია ამ საქმესთან. თუ მათ შორის უცხოელები აღმოჩნდებიან, ყოველგვარი დაკითხვისა და მსჯავრის დადების გარეშე, მათ შესახებ განსაკუთრებული ბარათი წარმოადგინონ, სადაც აღნიშნონ, თუ რა დამაოკიდებულება ჰქონდათ უცხოელებს ამ საქმესთან.“

ასე შეიქმნა „სამხედრო-სასამართლო საქმე დანტეს-გეკერენთან პუშკინის დუელის შესახებ“, რომელშიც ბრალდებულებამ გამოდიოდნენ გარდაცვალებული პუშკინი, მისი მკვლე-

ლი დანტესი და პუშკინის სეკუნდანტი დან-  
ხასი — პოეტის მეგობარი ლიციენან.

ეს „საქმე“ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს  
გენიალური პოეტის მკვლელ-ჯალათებსა და  
აგრეთვე ნიკოლოზის ეპოქის „მართლმსაჯუ-  
ლებზე“.

მოსალოდნელი იყო, რომ უმაღლესი სამხე-  
დრო სარღლობა და იუსტიციის სამინისტრო  
შექმნიდა სპეციალურ სასამართლო წარმო-  
ბადგენლობას იმ დროის საუკეთესო იურის-  
ტების მონაწილეობით, მაგრამ მმართველი  
წრეები და თვით მეფე ნიკოლოზ პირველი  
ყველზე ნაკლებად იყვნენ დანიტერესებული  
დუელის ქეშპირით მიზნების, მისი ნამდვი-  
თი ორგანიზატორებისა და სულის ჩამოღმებითა  
გამოაშვარებებით. ამიტომ იყო, რომ „საქმე“  
ჩვეულებრივი, სამხედრო-ბიუროკრატიული წე-  
სით წარიმართა.

29 იანვარს სამხედრო მინისტრმა ნიკოლოზის  
ბრძანება კორპუსის სარდალს გენერალ ბისტ-  
როვს აცნობა, რომელმაც ეს ბრძანება მეორე  
დღეს გვარდიის კორპუსის მეთაურს გადასცა  
და თან შემდეგი მინაწერი დაურთო: „მისი  
უღიარებულობის სურვილის შესასრულებლად  
გვხოვო უბრძანოთ—გასცენ განკარგულება იმის  
შესახებ, რომ სამხედრო სასამართლოს დაწყე-  
ბამდე განსაკუთრებული შტაბს-ოფიცრის მეშ-  
ვეობით ჩაბრძანებულ იქნეს გამოძიება იმის  
დასადგენად, თუ ვინ იყო დაკავშირებული ამ  
„საქმესთან“. ისინი (გარდა უცხოელებისა) გა-  
სამართლებულ უნდა იქნენ ლეიბგვარდიის  
ცხენოსანთა პოლკთან შექმნილი კომისიის მიერ.  
უცხოელების მიმართ კი ვიმოქმედოთ ისე,  
როგორც მისი უღიარებულობის (ე. ი. ნიკო-  
ლოზის) მიერ გვაქვს ნაბრძანები. როგორც  
იგივე, კამერ-იუნკერი პუშკინი გარდაიცვალა,  
ამიტომ ამის შესახებ განაჩენში უნდა მოიხ-  
სენიოთ, განურჩევლად იმისა, რა სასჯელს  
დაიშასახურებს იგი კანონის თანახმად“ (ე. ი.  
გაიცა ბრძანება უკვე გარდაცვალებული პოე-  
ტის ვასამართლებებისა და მსჯავრის დადების  
შესახებ).

„აღნიშნული საქმე დასრულდეს, რაც შეიძ-  
ლება სასწრაფოდ“, ამთავრებდა თავის ბრძა-  
ნებას გენერალი ბისტროვი.

სამხედრო სასამართლო, რომელსაც ოფი-  
ციალურად სამხედრო სასამართლოს კომისია  
ეწოდებოდა, შეიდი კაციანი შესდგებოდა.  
კომისიის დასახმარებლად, საქმის წარმოებაში  
მონაწილეობის მისაღებად, მიავირნეს დაბალი  
ჩინის საბოქალაქო ჩინოვნიკი მეცამეტე კლას-  
ის აუდიტორი მასლოვი, რომელიც კონსულ-  
ტანტის, პროკურორის, ზოგ შემთხვევაში კი  
მდივნის მოვალეობასაც ასრულებდა.

წინასწარი გამოძიება იმის გამოსარკვევად,  
თუ ვინ იყვნენ სეკუნდანტებად დუელის  
დროს, დაევა პოლკოვნიკ ვალახოვს.

ვალახოვი იმდენად „თავაზიანი ადომონდა“,  
რომ ჩვენება დანტესს თავის ბინაშივე ჩამო-

ართვა. დანტესმა ასეთი ჩვენება მისცა,  
იანვარს ნამდვილად ვიბრძოლე დამბაჩით კამერ-  
იუნკერ პუშკინთან, დავჭერი მარჯვენა ხელი  
ში და თვადაც დავიჭერი მარჯვენა ხელში.  
სეკუნდანტებად იყვნენ: პორუჩიკ დე-გვეკერენ-  
ის მხრივ ვიკონტი ბ' არშიაკი, საფრანგეთის  
საელჩოს მოსამსახურე, ხოლო კამერ-იუნკერ  
პუშკინის მხრივ, ინჟინერ-პოდპოლკოვნიკი დან-  
ხასი. დუელის შესახებ ჩემი მამობლის ბა-  
რონ დე-გვეკერენის გარდა, არავინ იცოდა“.  
დახასმა აღიარა: „მე ნამდვილად გახლდით  
კამერ-იუნკერ პუშკინის სეკუნდანტი მისი  
დუელის დროს პორუჩიკ დანტეს-გვეკერენთან  
27 იანვარს. ჩემსა და საფრანგეთის საელჩოს  
მდივნის ვიკონტ დ' არშიაკის გარდა დუელს  
არავინ არ დასწრებია“.

წინასწარი გამოძიებით შეგროვილი მასა-  
ლი სასამართლოს გადაეცა. საქმის წარმოება  
სასამართლოში საიდუმლოდ მიმდინარებდა.  
სამხედრო სასამართლომ გადაწყვიტა დანტე-  
სის სამედიცინო შემოწმება, რაც ექიმ სტე-  
ფანოვის დაევა. ამ უკანასკნელმა დანტესს  
შემდეგი დასცენა მისცა: „გვეკერენს მარჯვენა  
ხელზე აქვს ტყვიით მიყენებული გამოწოლი  
ჭრილობა, ძვლები და მსგავსი სისხლის  
ძარღვების დაზიანებულად. ავადმყოფს შეუძ-  
ლია იარის ოთახში, ილაპარაკოს თავისუფ-  
ლად, ნათლად და დამამკაყოფილებლად. ხელ-  
ზე ჭრილობის გარდა ტყვიილებს უჩივის აგ-  
რეთვე მუცლის მარჯვენა ზემო ნაწილში, სა-  
დაც მოხვედრილმა ტყვიამ კონტუზია მიაყენა...  
თუმცა კონტუზიის გარეგანი ნიშნები არ ემჩ-  
ნევა...“

იმის გამო, რომ ტყვიას არავითარი ნიშანი  
არ დატოვებია, ერთნი ფიქრობდნენ, რომ  
ტყვია მუნდირის ღილს მოხიზა, მეორანი გა-  
მოთქვამენ ეჭვს, რომ დანტესს მუნდირის  
ქვეშ ფოლანის საფარი ქონდა, რომელმაც  
ტყვიისაგან დაიცვაო.

5 თებერვალს სასამართლომ დანტესის სამ-  
სახუროდან მისი დახასიათება მიიღო, სადაც  
ეწერა: „საყვედურები არ მიუღია, პატიმრობა-  
ში არ ყოფილა, არც დაჯარიმებულა. სამსა-  
ხურებრივი მოვალეობის ცუდად შესრულება-  
ში შემჩნეული არ ყოფილა“. პოლკის მეთა-  
ურმა მოატყუა სასამართლო, რადგანაც დან-  
ტესს უკანასკნელი სამი წლის მანძილზე 44  
სასჯელი ჰქონდა მიღებული.

6 თებერვალს დანტესი პირველად დაკით-  
ხეს. ბიოგრაფიული ცნობების დაზუსტებისას  
სასამართლომ დაადგინა, რომ დანტესი არ  
იყო რუსეთის ქვეშევრდომი, იგი დაქორციელებუ-  
ლი აღმდსენეხტი იყო, მისთვის რუსეთი ყო-  
ველმხრივ უცხო ქვეყანას წარმოადგენდა.

ოთარ მეგლაძე  
პუშკინისა და დანტესის დუელის  
საქმე

ბიოგრაფიული ცნობების დაზუსტების შემდეგ სასამართლომ დანტეს მოსთხოვა აეხსნა პუშკინთან დუელის მიზეზი. დანტესმა შემდეგი განაცხადა:

„მიზეზი, რომელმაც მიიძღვა პუშკინი გამომწვევა დუელში, შემდეგია: 1836 წლის ნოემბერში პუშკინისაგან მივიღე უმიზეზო, სიტყვიერი გამოწვევა დუელში, რაც უყოყმანოდ მივიღე. რამოდენიმე ხნის შემდეგ პუშკინმა, ჩემთან ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, სიტყვიერად სთხოვა ბარონ დე-გეკერენს გადმოეცა ჩემთვის, რომ მის გამოწვევას დუელში აუქმებს, რაშიც მე არ დავეთანხმე, რადგანც პუშკინმა უმიზეზო გამოწვევით შეურაცხყო და დამამცირა საზოგადოებაში. მაშინ პუშკინმა წერილი გადასცა ჩემს სეკუნდანტს დ' არშიაკს, სადაც აღნიშნავდა, რომ იგი შეცდა, კეთილსინდისიერადამიანად მთვლის, არ ზედავს ჩემში არავითარ შეურაცხყოფელს, რაც მზად არის მიიხრას სიტყვიერადაც.

ყოველივე ამის შემდეგ მე არავითარი კავშირი აღარ მქონია პუშკინთან და ცვილიობლი მოვირდიეობდი. 26 იანვარს ბარონმა გეკერენმა მიიღო კამერ-იუნკერ პუშკინის შეურაცხყოფელი წერილი, რომელიც ჩემს ღირსებას შეეხებოდა. პუშკინი ამ წერილს ჩემი მისამართით მხოლოდ იმიტომ არ აგზავნიდა, რომ მთვლიდა უსინდისო და ძალზე მძაბულ ადამიანად“.

დანტესი ყოველმხრივ ცვილობდა, დუელის მთელი სიმძიმე მხოლოდ პუშკინზე გადაეტანა. ცვილობდა დაეფარა მამიდელი არისტოკრატიული საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი დუელის გამომწვევი მიზეზი — დანტესის მიერ პუშკინის მეუღლის დენა, რაც არ შეწყვეტილა დანტესის ნატალია გონჩაროვას დაზე დაქორწინების შემდეგაც.

10 და 12 თებერვალს დანტესი კვლავ გამოიძახეს სასამართლო პროცესზე დასაკითხად. იგი კვლავ „საშინაო პატიმრობაში“ იმყოფებოდა, სადაც მას ნიკოლოზ პირველის ნებართვით ყოველდღე ნახულობდა მეუღლე.

განმეორებით დაკითხვისას დანტესს შემდეგი კითხვები დაუსვეს: რა შინაარსისა იყო პუშკინისა და მისი მეუღლისადმი დანტესის მიერ გაგზავნილი წერილები; ავრცელებდა თუ არა იგი ჭორებს, რომლებიც პუშკინის მეუღლის პატიონების ბლაღავდა, ქორწინების შემდეგ შეწყვიტა თუ არა პუშკინის მეუღლის თავხედური დენა. ამავე დროს სასამართლომ საჭიროდ სცნო სპეციალურად გაეფრთხილებინა დანტესი, რათა ამ უკანასკნელს მხოლოდ სიმართლე ელაპარაკა. ამ გაფრთხილებამ არავითარი გავლენა არ იქონია — დანტესი განაგრძობდა თავისმართლებას და ცრუ ჩვენებების მიცემას.

სასამართლომ ორჯერ დაკითხა აგრეთვე დანასი, რომელმაც დაამოწმა, რომ დუელის შესახებ ადრე მან არაფერი იცოდა, იგი შემ-

თხვევით შეხვდა დუელის დღეს პუშკინს, როცა მან სთხოვა — სეკუნდანტად გამოეწვიო — უარი არ უთხრა.

სასამართლოს წინადადებაზე, დაქორწინება აეხსნა ყველა ის მიზეზი, რამაც პუშკინი დუელამდე მიიყვანა, დანასმა შემდეგი პასუხი გაცა: „პუშკინმა ვილაც უცნობისაგან ანონიმური წერილები მიიღო, რაშიც იგი ნიდერლანდების ელჩს ბარონ გეკერენს აღნაშულებდა. პუშკინის უარამდე მოაღწია ჭორებმა, რომლებიც მისი მეუღლის სახელსა და პატიონებისა ჩირქს სცებდა. მან გადაწყვიტა დუელში დანტეს-გეკერენი გამოეწვია, სწორედ ის, ვისეც საზოგადოება ჭორაობდა. მაგრამ როდესაც პორუგალია დანტესმა გადაწყვიტა პუშკინის ცოლის დაზე დაქორწინება, პუშკინმა უარი თქვა დუელზე. თუმცაღა კატეგორიულად მოითხოვა, დანტეს-გეკერენს მის ოჯახთან არავითარი ურთიერთობა არ მქონოდა. მიუხედავად ამისა, დანტესი კვლავ განაგრძობდა პუშკინის ცოლის დენას. პუშკინმა გადაწყვიტა ბოლო მოეღო ყოველივე ამისათვის და 26 იანვარს წერილი მისწერა ნიდერლანდების ელჩს ბატონ გეკერენს, რაც გახდა დანტესის დუელში გამოწვევის მიზეზი.“

სამხედრო სასამართლომ დანტესის, დანასის და ბარონ გეკერენის დაკითხვის შემდეგ საქმე გამორკვეულად ჩასთავლა და 12 თებერვალს მიიღო დადგენილება ბრალდებულების კანონისადმი დაქვემდებარებისა და განაჩენის გამოტანის შესახებ.

სასამართლოში მივლინებულმა აუდიტორმა მასლოვმა, ალბათ პასუხისმგებლობის შიშის გამო, სპეციალური პატაკით მოსამართლეთა ყურადღება მიაქცია საქმეში არსებულ ერთ მეტად მნიშვნელოვან ხარვეზს — დაკითხული არ იყო პუშკინის მეუღლე, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნებოდა დუელის მიზეზის გარკვევისათვის. მასლოვმა თავის პატაკში მიუთითა იმ კითხვებზე, რომლებზეც უნდა ეპასუხნა პუშკინის ქვრვის კეროდ, რა დამოკიდებულმა ჰქონდა მას დანტესისთან, სწერდა თუ არა იგი წერილებს, სად არის ეს წერილები და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ პუშკინის ქვრვის დაკითხვას მართლაც დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ქეშმარტების დადგენისათვის, სასამართლომ საჭიროდ არ სცნო მისი სასამართლოში გამოძახება — იმის გამო, რომ თითქოს ისედაც ნათელი იყო ყველაფერი. ცხადია, ამ შემთხვევაში სასამართლო სპეციალური მითითებით მოქმედებდა. სავსებით შესაძლებელია, რომ სპეციალურ მითითებას თვით ნიკოლოზ პირველი აძლევდა, რადგანაც უმადლესი წრეები და თვით მეფე ნიკოლოზ პირველი არ იყვნენ დაინტერესებულნი დუელის ნამდვილი მიზეზის გამაშვარებებაში, რომელსაც შეეწირა გენიალური რუსი პოეტი ალექსანდრე პუშკინი.

ძალზე საინტერესოა ამ მხრივ პ. ი. ბურტკ-  
ნევიის ჩანაწერი, რომელიც მან პ. ვ. ნაშო-  
კინას სიტყვების მიხედვით გააკეთა: „თვითონ  
პუშკინი ეუბნებოდა პ. ვ. ნაშოკინას, რომ  
მეფე უბრალო ოფიცირებით ეარსებოდა ჩემს  
მეუღლესო. განგებ ჩაიჭროლებს ეტლით ჩემი  
ჟანჯურების წინ, ხოლო საღამოობით მეჯლი-  
ნის კარს კი კითხულობს—არატმ აქვს პუშ-  
კინის მეკლეს ფანჯრებზე ყოველთვის ჩა-  
მომშობული ფარდებიო.“

ამრიგად, ნ. ნ. პუშკინა არ დაუკითხავთ.  
საქმე დასასრულს უახლოვდებოდა. 19 თებერ-  
ვალს სასამართლომ შეკრებილი მასალების  
საფუძველზე განაჩენი გამოიტანა.

სასამართლომ თავის განაჩენში დუმილით  
აუბრა გვერდი დუელის ნამდვილ მიზეზს და  
იმ როლს, რომელიც დანტესს მიუძღვოდა ამ  
დუელის მოწყობასა და გენიალური პოეტის  
დაღუპვაში. განაჩენში გაკერით იყო ნახსენებ-  
ი, რომ პუშკინსა და დანტესს დიდი ხანია  
პქონდათ ოჯახურად უსამართვნება.

განაჩენში არაფერი იყო ნათქვამი იმაზე, თუ  
როგორ უწყალოდენენ პოეტს ცხოვრებას, რო-  
გორ გამოუგზავნეს დუელის წინ ანონიმური  
წერილი, სადაც ეწერა, რომ პუშკინი „ტო-  
სანთა ორდენის მაგიტრის კოალიტორად“  
ანუ თანაშემწედ არის არჩეული. სასამართ-  
ლოს განაჩენით დუელის მთავარ დამნაშავედ  
პუშკინი იყო გამოყვანილი.

განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში სასა-  
მართლომ ა. ს. პუშკინი დამნაშავედ სცნო  
კანონით აკრძალული დუელის მოწყობაში,  
ხოლო დანტესი პუშკინის დაქარაზი, რის შე-  
დეგადაც იგი გარდაიცვალა. დანტესს სასა-  
მართლომ ჩამოხრჩობა მიუსჯა და იქვე დას-  
ძინა, რომ ამ სასჯელის ღირსი იყო პუშკინიც.  
მაგრამ ვინაიდან გარდაიცვალა, მის მიმართ  
საქმე მოისპოსო.

სამხედრო სასამართლოს ეს განაჩენი რევი-  
ზიისათვის (შემოწმებისა და დამტკიცებისათ-  
ვის) უშაღლეს ინსტანციას გენერალ-აუდიტო-  
რიატს გადაეცა, რომელიც სამხედრო სამინის-  
ტროსთან არსებობდა.

მაშინ არსებული წესის თანახმად განაჩენზე  
წინასწარი აზრი უნდა გამოეთქვა სამხედრო  
სარდლობას.

პუშკინისა და დანტესის დუელის საქმეში  
ხუთი გენერლის წერილობითი მოხსენებაა  
მოთავსებული, ყოველი მათგანი პოულობს  
დანტესის სასჯელის შემამსუბუქებელ გარე-  
მოებებს იმ დროს, როდესაც არაფერია ნათ-  
ქვამი პუშკინის სასარგებლოდ და მის დასაცა-

ვად. გენერლები დანტესის მიმართ გამოტანი-  
ლი სასჯელის შეცვლის მოითხოვდნენ.

ამ ხუთი „კეთილი გულის გენერლის“  
საზრება (რომელთა შორისაც მხოლოდ ერთი  
იყო რუსი, ხოლო დანარჩენი კი უცხოელი)  
საქმეს დაერთო და ისე გადაეცა გენერალ-  
აუდიტორიატს გასაჩინებად.

გენერალ-აუდიტორიატმა თავის გადაწყვეტი-  
ლებით გააუქმა სახმედრო-სასამართლოს განა-  
ჩენი. დანტესი იმით დასაჯა, რომ სამხედრო  
ჩინი და რუსეთის აზნაურის წოდება ჩამოარ-  
თვა და არსებით ჯარისკაცად განაწესა.

გენერალ-აუდიტორიატის გადაწყვეტილება  
დასამტკიცებლად მეფე ნიკოლოზ პირველს გა-  
დაეცა.

სამხედრო მინისტრის მოხსენებას მეფე ნი-  
კოლოზმა ასეთი რეზოლუცია გაუკეთა: „იყოს  
ასე, მაგრამ რიგითი გვეკერენი, რომელიც რუ-  
სეთის ქვეშევრდომი არ არის, ყანდარმის  
თანხლებით საზღვარგარეთ გასახლეთ, ოფიც-  
რის პატივტებით ჩამოერთვას.“

დანტესი საზღვარგარეთ გაემგზავრა. მან თან  
წაიღო მალალი საზოგადოების, მეგობრების,  
გვირგვინოსანი მფარველების თანაგძრობით  
აღსავეც გამოსათხოვარი მისაღმებანი, ხალხი-  
სა, რომელთა შავბნელი აზრები პოეტის მი-  
მართ მან სისრულეში მოიყვანა.

ასე დამთავრდა გენიალური პოეტის, რუ-  
სული პოეზიის მშვენების—პუშკინის დუე-  
ლისა და მკვლელობის საქმე.


გავიდა დრო. დანტესის სახელი თითქოს  
დავიწყებას მიეცა, მაგრამ 1837 წელს მომხ-  
დარი სამარცხვინო დუელის დაახლოებით 35  
წლის შემდეგ, კვლავ გამოჩნდა იგი პრესის  
ფურცლებზე აი ასეთი სახით:

1871 წლის 22 მარტს პარიზში კომუნის  
წინააღმდეგ მოეწყო კონტრევოლუციური დე-  
მონსტრაცია. ამ კონტრევოლუციურ თავგრი-  
ლობაში სჭარბობდნენ თავგამოდებული ბონა-  
პარტისტები, კომუნის უსასტიკესი მტრები.  
მათ ჩვენთვის კარგად ცნობილი დანტეს-გეკე-  
რენი მეთაურობდა, რომელიც ვახდა რა მსხვი-  
ლი ფინანსისტი და სენატორი, კომუნის ჯალა-  
ისის ტერის უახლოესი მეგობარი იყო.

ასე რომ, დანტესი პარიზის კომუნის დღე-  
ებში დაქირავებული მკვლელის, თავისუფლე-  
ბისა და პროგრესის ჩამაჩრჩობის საზიზარ  
როლში გამოდიოდა.

---

ოთარ მგელაძე  
პუშკინისა და დანტესის დუელის  
საქმე



## წიგნი ღავით აღმაშენებელზე

საქართველოს ისტორიაში ოქროს ასოებით არის ჩაწერილი დავით მეოთხის (აღმაშენებლის) მოღვაწეობის პერიოდი. ეს ის დროა, როდესაც ფეოდალურმა საქართველომ დავით აღმაშენებლის ხელმძღვანელობით კისრიდან გადაიგდო თურქ დამპყრობელთა ბატონობის უღელი და ბრწყინვალე წარმატებები მოიპოვა როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკის დარგში. დასრულდა ქვეყნის გაერთიანების ხანგრძლივი პროცესი, შეიქმნა მუდმივი, გაწვრთნილი ლაშქარი, აილაგა მეფის პოლიტიკისა და ქვეყნის ერთიანობის მოწინააღმდეგე საეკლესიო და საერო ფეოდალების თავგასულობა, განვითარდა კულტურა, ხელოსნობა, ვაჭრობა, დაწინაურდა სოფლის მეურნეობა და საქართველოს საზღვრები გადაიჭიმა „ნიკოფსითგან დარუბანდამდე“, „ოვსეთიდან არეგაწამდე“. ქვეყნის ამ წარმატებათა ორგანიზატორი და მოთავე იყო იმ დროის უდიდესი შორსმჭვრეტელი, პოლიტიკური და ამავე დროს ღრმად განათლებული მოღვაწე დავით მეოთხე, რომელსაც მადლიერმა

შთამომავლობამ „აღმაშენებელი“ უწოდა.

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დღემდე არ გაგვაჩნდა XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს და, კერძოდ, დავით აღმაშენებლის სახელმწიფოებრივი რეფორმების ცალკე აღებული, ერთი მთლიანი, მეცნიერული გამოკვლევა თუ მხედველობაში არ მივიღებთ გაკვრით მეცნიერთა მიერ სხვადასხვა დროს გამოთქმულ მოსაზრებებსა და მოკლე მიმოხილვებს, რომელიც ძირითადად საარქივო წყაროებშია გაბნეული.

ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს გამოცემლობა „ნაკადულის“ მიერ ახლახან გამოცემული ახალგაზრდა მკვლევარის როინ მეტრეველის ვრცელი მონოგრაფია დავით აღმაშენებლის მოღვაწეობაზე. ნაშრომში, რომელიც ასთექსმეტ გვერდს შეიცავს, ძირითადად განხილულია ის რეფორმები, რომლებიც ვატარდა ეკონომიურ, სამხედრო, საეკლესიო და სამართლის დარგებში. უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდა მეცნიერმა კარგად გაართვა თავი ამ მეტად რთულ საკითხს და ბევრი დებულება ახლებურად წარმოგვიდგინა. წიგნში თანმიმდევრულად, ქრონოლო-

რ. მეტრეველი, „დავით აღმაშენებელი“. გამოცემლობა „ნაკადული“.

გვის ზუსტი დაცვით და ამავე დროს უამრავი სამამულო და უტეხოური წყაროს მოშველებით, სადაც მშვენივრადაა შესამებული წმინდა ფაქტობრივ მასალას ქართული მხატვრული სალიტერატურო ენა, — გაცოცლებულია დავით აღმაშენებლის მიერ გატარებული ყველა ის რეფორმა, რომელმაც ეკონომიურად ჩამორჩენილი, წვრილ-წვრილ ფეოდალურ სამთავროებად დაქუცმაცებული საქართველო მოწინავე — მახლობელი აღმოსავლეთის უძლიერეს ქვეყნად აქცია.

როგორც ისტორიული წყაროებიდან ვიცით, XI საუკუნის 30-იან წლებში იწყება თურქ-სელჩუკების დამპყრობლური ომები. ისინი ჭიანჭველებივით მოედგნენ ქვეყნის ყველა მხარეს, დაემუქრენ ირანს, ბიზანტიას და კავკასიას, ერთდროულად დაიპყრეს და დაწვეს ქუთაისი (ახლანდელი ქუთაისი), არტანუჯი, კლარჯეთი. მემატიანის აზრით, ასეთი უბედურება არასდროს უნახავს საქართველოს, „არ იყო მათ ეამთა შინა თესვა და მკა“.

მიუხედავად დიდი ძალადობისა, თურქ-სელჩუკებმა ვერ შეძლეს საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობა. მართალია, საქართველომ შეინარჩუნა დამოუკიდებლობა, მაგრამ ქვეყანა ვალდებული იყო სულთანის სასარგებლოდ ყოველწლიურად აურაცხელი ხარკი გადაეხადა.

XII საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოს მდგომარეობა უკიდურესად გაუარესდა. სახელმწიფოებრივი ინსტიტუტის და, რაც მთავარია, ფეოდალური საკუთრების საფრთხემ მტერთან საერთო ბრძოლის საკითხი მოამწიფა.

თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ საბრძოლველად საჭირო იყო გონიერი მეფე, რომელიც დაქსაქსულ სამთავროებს გააერთიანებდა და მტერს წინ აღუდგებოდა.

სრულიად მოულოდნელად, არც თუ ისე ძლიერი ნებისყოფის, სამაგიეროდ, ჯერ კიდევ ჯან-ლონით სავსე ახალგაზრდა მეფე გიორგი მეორემ, სამეფო

კვერთხი თავის თექვსმეტი წლის ჯაბუკს დავითს დაუთმო და სახელმწიფო მოღვაწეობას ჩამოშორდა.

მონოგრაფიის ძირითადი ფაბულა აქ იხსნება და ავტორი დამაჯერებლად მოგვითხრობს დავით აღმაშენებლის პირველ ღონისძიებებზე, რაც ითვალისწინებდა სამეფო ხელისუფლების განმტკიცებას.

მართლაც, დავით აღმაშენებლის პირველი ნაბიჯი იყო ბრძოლა დიდგვაროვანთა წინააღმდეგ, რომელიც წარმატებით დაგვირგვინდა. პირველ რიგში დავითმა დააბატიმრა ერთი ყველაზე გავლენიანი ფეოდალი, კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ ივანეს ძე, რომელიც ტყუპის ცალივით ჰგავდა თავის წინაპრებს მეფის წინააღმდეგ ლალატში. ამის შემდეგ მან შემოიკრიბა თავისი ერთგული მხედართა რაზმები, რომლებიც ძირითადად ყმა მოლაშქრეთა და მსახურეულ აზნაურთაგან შესდგებოდა და მათი მხარდაჭერით დაიწყო პატარ-პატარა ომები თურქების წინააღმდეგ. მეფემ თანდათანობით თურქები ქართლიდან აპყარა და ტყეში გახიზნულ მიწის მუშას საშუალება მისცა ბარად ჩამოსულიყო და სახნისისათვის ხელი მოეკიდა.

წიგნის ამ ნაწილში რ. მეტრეველი ვრცელ მიმოხილვას უკეთებს დავით აღმაშენებლის საშინაო ღონისძიებებს, საეკლესიო რეფორმებს, რომელმაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, გადამწყვეტი როლი ითამაშა მეფის პირადი ძალაუფლების განმტკიცების და, კერძოდ, ქვეყნის ძალთა საყოველთაო მობილიზაციის საქმეში.

ისტორიულად ცნობილი ფაქტია, რომ ამ პერიოდში საქართველოს ეკლესიის მმართველობის საქმე მემკვიდრეობით ხელში ჰქონდათ ჩაგდებული დიდგვაროვან აზნაურთა სახლის შვილებს, რომელთაც დიდი ფეოდალების მხარე ეჭირათ.

მეფის წინაშე იდგა მეტად რთული ამოცანა; ცენტრალიზებული სახელმწიფოს განმტკიცებისა და გაძლიერების მიზნით საჭირო იყო შებრძოლი-



ბოდა სასულიერო არისტოკრატისა. ამ საკითხის გადაწყვეტა შეეძლო მხოლოდ საეკლესიო კრებას, რომელიც მოწვეულ იქნა 1103 წელს და ისტორიაში რუის-ურბნისის კრების სახელწოდებითაა ცნობილი.

— საგულისხმოა ის ფაქტი, — შენიშნავს რ. მეტრეველი, — რომ დავით აღმაშენებელი, როგორც მეფე, რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მსვლელობის დროს რიგითი წევრის უფლებებით სარგებლობდა და მისი უფლებები შეზღუდული იყო და, განა მართო კრებაზე, საერთოდ, მნიშვნელოვანი საეკლესიო საკითხების გადაწყვეტაში მეფე არ მონაწილეობდა. საჭირო იყო გადაჭრელი ზომების მიღება, რათა ეკლესია მთლიანად მეფის ხელისუფლებას დამორჩილებოდა. ამ მეტად სერიოზული მიზნის მისაღწევად მეფემ გამოიწვია ერთადერთი სწორი, გონივრული გზა. მან გააერთიანა ორი თანამდებობა ჭყონდიდელისა და მწიგნობართუხუცესისა და ამიერიდან მწიგნობართუხუცესად მაღალი საეკლესიო თანამდებობის პირი ჭყონდიდელი ინიშნებოდა. ამრიგად, შეიქმნა ერთი თანამდებობა ჭყონდიდელი მწიგნობართუხუცესისა, რომელსაც დაცისრებული ჭყონდა მეფის მოხელის ფუნქციები და ამავე დროს წარმოადგენდა დიდ საეკლესიო თანამდებობის პირს.

მეფეს შეეძლო ამ მაღალი მოხელის საშუალებით ჩარეულიყო ეკლესიის საქმეებში.

გარდა საეკლესიო რეფორმებისა, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სამხედრო რეფორმებს. წიგნის მეოთხე თავში სწორედ ეს საკითხია განხილული. მკვლევარს მოჰყავს მრავალი ისტორიული წყარო, რომელიც ნათელ წარმოდგენას იძლევა ამ რეფორმის აუცილებლობაზე.

დავითმა კარგად იცოდა, რომ საჭირო იყო ლაშქარში მტკიცე დისციპლინის დამყარება. საქართველოს მეფემ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ლაშქრის კარგად გაწვრთნის საქმეს და ამ მხრივ მანამდე არსებულ წესდებაში

საგრძნობი ცვლილებები შეიტანა. <sup>გვ.</sup> დახალისებული, გაწვრთნილი <sup>ჯარი</sup> მტერს ახალი ტაქტიკით უნდა <sup>შეეხმოს</sup> და. დავით აღმაშენებელი თავის სწავლა-<sup>სწავლებლებს</sup> ლარებთან ერთად მოულოდნელად და და სწრაფად თავს ესხმოდა მტერს და მუსრს ავლებდა. მეფე სხვადასხვა საშუალებებს მიმართავდა მტრის დასაბნევადა და მოსატყუებლად. იგი იყენებდა მხვერავებს, რომელთაც მემატინე მსტოვრებდა იხსენიებს.

რ. მეტრეველი მართებულად მიუთითებს, რომ XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს სამხედრო რეფორმის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს სტრატეგიული და ტაქტიკური სიახლენიც შეადგენდა, რამაც თავი იჩინა დიდგორის ბრძოლაში. არც ის არის გამორიცხული, — განაგრძობს ავტორი, — რომ სწორედ დავით აღმაშენებელმა ჩაუყარა საფუძველი ლაშქრის იმ ტაქტიკას, რომელმაც დასრულებული ორიგინალური სახე მიიღო XII—XIII საუკუნეებში.

დავით აღმაშენებლის სამხედრო რეფორმის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენდა უცხო ჯარის მოწვევა და მუდმივი ლაშქრის შექმნა. სამეფო კარმა ერთხმად გადაწყვიტა ყივჩაყთა გადმოსახლება საქართველოში. ქართველები კარგად იცნობდნენ ყივჩაყებს, როგორც ძლიერ და მეომარ ტომებს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული საქართველოს სამეფო კარის ამ გადაწყვეტილების მიმართ.

ვახუშტი ბაგრატიონი ყივჩაყთა საქართველოში ჩამოსახლების მრავალ მიზეზს ასახელებს და მათ შორის ერთ-ერთ მიზეზად მიიჩნევს მეფის მიერ ყივჩაყთა მთავრის ასულის გურანდუხტის ცოლად შერთვას, ე. ი. დამოყვრებას. იგივეს აღნიშნავენ ვ. ურბნელი, დ. კარიჭაშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. მაკალათია და სხვა.

რ. მეტრეველი ამ საკითხზე თავის მოსაზრებას გამოთქვამს და, ჩვენის აზრით, საესებით სწორად აღნიშნავს, რომ ყივჩაყთა გადმოსახ-

ლების მთავარი მიზეზი ამ ხალხის განვითარების დაბალი დონე იყო, რაც მათი უმტკივნეულოდ ჩამოსახლებისა და ქართველებთან შერწყმის საშუალებას იძლეოდა. ამას ემატებოდა ყივჩაყთა კარგი საბრძოლო თვისებები და ის ვარემოებაც, რომ რუსეთის დიდი მთავრის მიერ სამხრეთ რუსეთის ველებიდან გამოძევებულ ყივჩაყთა ისტომი, რომელსაც ათრალა შარაანის ძე მთავრობდა, დიდ შევიწროებას განიცდიდა, ხოლო რაც შეეხება ყივჩაყთა მთავართან მეფის ნათესაურ კავშირს — ის მხოლოდ უკანასკნელი მიზეზი უნდა ყოფილიყო ამ დიდი გეგმის შესასრულებლად.

მონოგრაფიის ბოლო ნაწილში თანმიმდევრულადაა ნაჩვენები დავით მეფის რეფორმები სამართლის დარგში და მთელი რიგი ეკონომიური ღონისძიებები, როგორცაა გზების მშენებლობა, საგზაო სადგურების — ფუნდუქ-ქარვასლების მოწყობა, მდინარეებზე ხიდების აგება და სხვა.

თითქმის არ დარჩენილა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი მხარე, რომელსაც სამეფო კარი არ შეხებოდეს და თავისი სიტყვა არ ეთქვას.

სულიერი კულტურისათვის უდიდე-

სი მნიშვნელობა ჰქონდა დავით აღმაშენებლის ინიციატივით შექმნილ „სხვა ათინას“, ე. ი. სამეცნიერო-სარეწამლო მეტყველო დაწესებულებას — გელათის აკადემიას, სადაც თავი მოიყარეს ფილოსოფოსებმა, მთარგმნელ-კომენტატორებმა და ფილოლოგებმა. აქ, გელათის აკადემიაში, მოღვაწეობდა და მეფის განსაკუთრებული მფარველობით სარგებლობდა პეტრიწონის მონასტრიდან გადმოსული დიდი ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწონელი...

დავითის უშუალო ბრძანებით მუსულმანური პოეტების პატრისაციემად თბილისში ააგეს სპეციალური სასახლე. დავით აღმაშენებლის მეფობის ხანა, XII საუკუნის პირველი მეოთხედი საქართველოს და ამიერკავკასიის სხვა ხალხების ისტორიაში შევიდა, როგორც უდიდესი გარდატეხის პერიოდი, პოლიტიკის, ეკონომიკისა და კულტურის დარგში.

მონოგრაფია „დავით აღმაშენებელი“ ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძინაა.

ყურადღებას იმსახურებს წიგნის გრაფიკული გაფორმება, რომელიც შესარულა რუსთაველის პრემიის ლაურეატმა მხატვარმა ელგუჯა ამაშუკელმა.

ბუბამ შირაზაღაზვილი

## საინტერესო გამოკვლევა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ 1964 წელს გამოსცა ნინო ჩოფიაშვილის მონოგრაფია — „ქართული კოსტიუმი“. მონოგრაფია საქართველოს ისტორიის საკმაოდ დიდ პერიოდს იხილავს (VI—XIV სს).

6. ჩოფიაშვილი, „ქართული კოსტიუმი“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

სარეცენზიო წიგნში საუბარია მრავალ საინტერესო საკითხზე და არაერთი მოსაზრება თუ დაკვირვება არის მოცემული.

წიგნის არქიტექტონიკა ასეთია: წინასიტყვაობა, შესავალი, საერო პირთა სამოსი, მამაკაცთა სამოსი, ქალთა სამოსი, მეომრის საჭურველი, სამეფო სამოსი, სამუშაოს შემსრულებელთა სამოსი, სასულიერო პირთა

(მღვდელმობღვრების, მონაზონთა) შესამოსელი, სამოსის ნაწილები (მანიკი, სამკლავე), სარტყელები და სამოსის შეკერვის წესი, ქსოვილები და სამოსის საოლველი, თავსაბურავები და თმის დაყენების წესი, ფეხსაცმელი, ინსიგნიები, სამკაულები, დასკვნა.

წიგნში უხვადაა მოტანილი ტანსაცმლისა და მისი ნაწილების, ფეხსაცმლის, თავსაბურავის და სამკაულთა ნიმუშები.

ქართული ეროვნული სამოსის პირველი მკვლევარი XVIII საუკუნის დიდი ქართველი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონი იყო. მან პირველმა მოგვცა ქართველი ადამიანის სამოსის სრული აღწერილობა და ქართული სამოსის ისტორიასაც მან ჩაუყარა საფუძველი. იგი წერს: „ხოლო შემოსილი არიან ქართველნი და კახნი ერთიგად: თავს სკლატისაგან ანუ შალისაგან ქუდი გრძელი — წვრილი, ბეწვებული, აფროსანი; ტანს კიბი ლარისა, სკლატისა ანუ ჩოხისა მუხლთ ქვემოდე, მაზედ სარტყელი, შიგნით საგულე ბანზიანი კაბის უმოკლე, პერანგი აბრეშუმისა, ბანზისა ანუ ტილოსაგან, უგრძე კაბისა, და კისერი სრულიად მჩენი; ნიფხავი აბრეშუმისა, ანუ ბანზისაგან, ანუ ტილოსა“. ვახუშტი აქ არ ჩერდება და განაგრძობს: „არამედ ცხენსა ზედა მოსიათ საწარმართული და მოგვნი, თვნიერ მისსა — არა; ფერკთა პაიჭი და წულა ტყავისა ანუ სკლატისა, ხოლო მაშია სპარსული“. აქ ჩამოთვლილ სამოსს გაბატონებული — ფეოდალთა კლასის წარმომადგენლები ატარებდნენ. დანარჩენთა, ან როგორც ვახუშტი უწოდებს, „უმცირესთა“ სამოსი იყო: „ჩუსტი და ქალამანი. კვალად ტყავ-კაბა კაბისაგან უმოკლე და ტყავი ზამთარს დიდი“.

ქალთა ჩაცმულობის შესახებ ვახუშტი გვამცნობს:

„ქალთაცა მგზავსათ, გარნა სარტყელთა წვერნი ჩაშვებულნი და მას ზეით კაბა — ახალუხი ამოჭრილი, და თვნიერ პერანგისაგან კიდე არარაი ჰფარავს, და პერანგი მჭვირვალი, კორცის მჩენელი, უპაიჭოთ ნიფხავი და

ფერკზედ წულა-მაშია; ხოლო თავი ქალწულთა: კავნი თვისისავე თმისა დაწვთა ზედა და ქუდი ანუ <sup>თმისა</sup> <sup>ფერკით</sup> არამედ ქროსანთა კაცსა ზედა დაწვს აძესთ თმა შეწული, მსხვილი, იმიერ და ამიერ, და ყბას ქვეშ მარგალიტით შემზადებულს ამოიდებენ და თხემსა ზედა შეიკურენ, და ჰბურავთ მასზედ ლეჩაქი“.

სამკაულთა შესახებ ვახუშტი მოგვითხრობს: „სამკაულნი იციან მრავალგვარნი, ზოგნი თვსნი და ზოგნი სპარსთანი“ „იმერთა (ამ ცნების ქვეშ ვახუშტი მთელ დასავლეთ საქართველოში მცხოვრებთ გულისხმობს) მცირით რაიმე განიყოფების, არამედ ქუდი მცირე ნაჭრისაგან, რომელი არს ბურვით, განა მდებარე არს თხემსა ზედა“.

ვახუშტიმ კარგად იცის, რომ სამხრეთ საქართველოში — სამცხე-საათაბაგოში ოსმალთა ხანგრძლივმა ბატონობამ ეს მხარე მოსწყვიტა დედამშობლოს. ოსმალთა ბატონობამ თავისი დადი დაამჩნია ტანსაცმელსაც. ვახუშტის დროს ამ მხარის მცხოვრებთ ეცვათ: „დიდებულთა ვითარცა ოსმალთა, და გლეხთა, რომელთამე ვითარცა ბერძენთა, და რომელთამე ვითარცა ქართველთა გლეხთა“.

ვახუშტისეული ეს აღწერა XVII—XVIII საუკუნის საქართველოთა სამოსის სურათს გვიხატავს. ვახუშტი ე. წ. საქართველოს ერთმეფობის დროინდელ ქართველთა სამოსის შესახებაც გვამცნობს. მისი აზრით, „პირველ ერთმეფობასა შინა სცმიათ სხვაგვარ: თავს ქუდი გრძელი, რომლისა კუნჭული ბეჭსა ზედა მცემელი და გრძელბეწოსანი, პერანგი ბერული ტილოსი, საგულე და კაბა გრძელი კოჭიმდე უდილოდ, მას ზედა სარტყელი ფოჩჩაშვებოლი, ტყავი დიდი სახელო ვიწრო და ფერკთა ზედა მოგვი“.

ვახუშტი ამ დასკვნამდე მიდის ქართული ფერეკების შესწავლის შედეგად და აქ ვახუშტის უდიდესი დამსახურება ის არის, რომ „მეცნიერ ბატონიშვილს ქართულ-ისტორიულ ჩაცმადახურვის გამოსარკვევად საისტორიო

მხატვრობისათვის მიუპართავს, ეკლესიების კედლებზე და ხელთნაწერებში შენახული ძველი სურათებისა და მიხედვით გამოურკვევია მას ეს დიდმნიშვნელოვანი და საგულისხმიერო საკითხი“.<sup>1</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ვახუშტი ბაგრატიონმა „პირველად მიაქცია ამ საკითხს ყურადღება და მერმინდელ მკვლევართ თვით ის გზაც უჩვენა, რომლითაც სიარული მათ დიდს ძვირფას მასალას შესძენდა“, მაინც ვახუშტის ეს მოშენიერი წამოწყება საბჭოთა ხელოვნულუბამდე მივიწყებული იყო. სამწუხაროდ, ქართული ისტორიოგრაფია არც დღეს არის მდიდარი ქართული სამოსის შესახებ გამოკვლევებით. ამ ხარვეზს ერთგვარად ავსებს ნ. ჩოფიკაშვილის გამოკვლევა.

ნ. ჩოფიკაშვილის მონოგრაფიის მნიშვნელობა რომ სათანადოდ შევფასოთ, უნდა ვიცოდეთ, რომ ამ საკვლევ ობიექტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართველი ხალხის საერთო კულტურის შესასწავლად. ადამიანის სამოსი ადამიანის კულტურის თავისებური ფორმაა, მისი კულტურული განვითარების დონის მაჩვენებელია. მეტიც, ამა თუ იმ ხალხის ნაციონალური კოსტიუმი „წმინდა ნაციონალურიცაა“ და „ინტერნაციონალურიც“. იგი ამავე დროს ადამიანთა ეკონომიურ და სოციალურ მდგომარეობას თავისებურად გარეგნულადაც ასახავს.

ამ თვალსაზრისით კოსტიუმის ისტორიის კვლევა ამა თუ იმ ერის საერთო ისტორიის კვლევის ნაწილია. სარეცენზიო წიგნის ავტორი იზიარებს საერთოდ მიღებულ აზრს იმის შესახებ, რომ კოსტიუმი „გულისხმობს ცალკეული ეპოქების, ქვეყნებისა და სოციალური ფენებისათვის დამახასიათებელ ტანსაცმელს, ქსოვილის, თარგის, შემ-

1 ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1945 წ. გვ. 349.

2 გ. ჩიტაია, წინასიტყვაობა ივ. ციციშვილის წიგნისა — „მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის“. 1955. გვ. 5.

კულობის, თმის ვარცხნილობის, წვერი დაყენების, ძალა-უფლების ნიშნებისა და სამკაულების ყველა თავისებურებით, რაც თვითეულ ერს განსაზღვრული აქვს ბუნებრივი პირობებით, ცხოვრების წესით და ეკონომიური მდგომარეობით“ (გვ. 2).

რა გზით შეიძლება კოსტიუმის ისტორიის შესწავლა?

როგორც ზემოთ მივუთითეთ, ამ საკითხით ჯერ კიდევ ვახუშტი დაინტერესდა და შესწავლის სწორი მეთოდური გზა აირჩია — დასურათბატებული კედელი, წიგნი თუ სხვა ძველი გვამლევს საუკეთესო მასალა ამა თუ იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი სამოსის დასადგენად. ეს მეთოდი დღესაც გამოიყენება. დიდი მნიშვნელობა აქვს ეთნოგრაფიულ მასალასაც, რადგან, პროფესორ გიორგი ჩიტაიას სამართლიანი აზრით, ეთნოგრაფიული მასალა „ყველა სხვა წყაროსთან შედარებით, შეიცავს რეალურად მოცემულ ფაქტურას, თარგებს, დამზადების პროცესებს, ჩაცმა-დახურვის ხერხებს, სამოსლის ტარების მანერას და სხვა, რაც არც ერთ სხვა წყაროს, კოსტიუმის ისტორიისათვის გამოსაყენებელს არ გააჩნია. ხალხის მიერ საუკუნეთა მანძილზე გამომუშავებული ჩაცმულობის სახეები ატარებენ იმ ემპირიულ ცოდნას, რომელიც ხალხის მიერ არის დაუნჯებულ და იძლევა მისულებას გარაკვიო მოვლენის განვლილი საფეხურები“<sup>2</sup>.

როდესაც ნ. ჩოფიკაშვილი ქართული კოსტიუმის შესწავლას შეუდგა, მას საკვლევე ობიექტის შესახებ მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა არ გააჩნდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვახუშტის მემკვიდრეები არ გამოუჩნდა. სამწუხაროდ, არც სარეცენზიო წიგნის ავტორმა მიაქცია ყურადღება ვახუშტის მეცნიერულ მემკვიდრეობას ამ დარგში.

ნ. ჩოფიკაშვილს ქართული ტანსაცმლის შესახებ მხოლოდ ორი, რამდენადმე სპეციალური, ნაშრომი გააჩნდა სახელმძღვანელოდ. ერთი მათგანი,

კერძოდ, ივ. ჯავახიშვილის „მასალები მატერიალური კულტურის ისტორიისათვის“ (ნაკვეთი III, ტანსაცმელი), სარეცენზიო წიგნის წერისას ჯერ გამოუქვეყნებელი იყო. ნ. ჩოფიკაშვილს მაინც მოუხერხებია ივ. ჯავახიშვილის ნაშრომით სარგებლობა. მეორე ნაშრომი არის ივ. ციციშვილის „მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის“.

ქართულ კოსტიუმზე რამდენიმე საინტერესო მოსაზრება აქვთ გამოთქმული აკად. გ. ჩუბინიშვილს, აკად. შ. ამირანაშვილს და განსვენებულ ლ. მუსხელიშვილს. ეს იყო და ეს.

ამ მდგომარეობას ხაზს განსაკუთრებით იმიტომ ვუსვამთ, რომ სარეცენზიო წიგნის ავტორმა არსებითად თვითონ შეაგროვა სათანადო მასალა და ამ მასალის ანალიზი და დასკვნები ავტორის დამოუკიდებელი მეცნიერული კვლევის შედეგია.

ამ წიგნის დაწერის ისტორიაზე ნ. ჩოფიკაშვილი შემდეგ ცნობას გვაძლევს: „წინამდებარე შრომა, „ქართული კოსტიუმი (VI—XIV სს) დაწერილია 1957—1961 წლების განმავლობაში, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფეოდალური პერიოდის საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილების სამეცნიერო გეგმის მიხედვით. ის წარმოადგენს VI—XIV სს. ქართული კოსტიუმის აღდგენის ცდას, რისთვისაც გამოყენებულია წერილობითი წყაროები და მატერიალური კულტურის ძეგლები“ (სარეცენზიო წიგნის წინასიტყვაობა).

ამ წინასიტყვაობაში უფრო ნაკლებია ნათქვამი, ვიდრე ნამდვილად ჩვენს ავტორს გაუკეთებია. მას საგანგებოდ შეუსწავლია არა მარტო ის ლიტერატურა, რომელიც ქართულ კოსტიუმს ეხება, არამედ ყოველგვარი ლიტერატურა საერთოდ კოსტიუმის შესახებ. საკმარისია ითქვას, რომ გამოყენებული ლიტერატურიდან დამოწმებულია 379 მაგალითი.

საკითხის ასე ფართოდ განხილვა

კოლოსალურ მუშაობას და სათანადო ცოდნას მოითხოვდა. შრომის გულდასმით გაცნობამ დაგვარწმუნა ჩოფიკაშვილს. ჩოფიკაშვილს ერთიცი აღმოაჩნდა და მეორეც, ე. ი. მან არც შრომა დაიზარა და ევროპული თუ აღმოსავლური სათანადო ლიტერატურა საგანგებოდ შეისწავლა. ყველა ამის შედეგად ჩვენ მივიღეთ საინტერესო ნაშრომი ქართულ კოსტიუმზე. ამიერიდან ვინც დაინტერესდება ქართული კოსტიუმის შესწავლის ისტორიით, მას დიდ დახმარებას გაუწევს ნ. ჩოფიკაშვილის „ქართული კოსტიუმი“.

ნ. ჩოფიკაშვილის ნაშრომის ერთ-ერთი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ მისი საკვლევი საგნის წყაროები (წერილობითი, მატერიალური კულტურის ძეგლები, ეთნოგრაფიული ჩასაღები) უფრო ფართოა, ვიდრე მის წინამორბედ ქართული კოსტიუმის მკვლევართა ჰქონდათ გამოყენებული.

მკვლევარმა საკუთარი თვლით ნახა და შეისწავლა დღემდე შემონახული ყველა ფრესკა თუ სხვა ხასიათის (სტელეები, ქტიტორები...) გამოსახულებანი. ამასთან ერთად საფუძვლიანად გაიცნო წერილობით წყაროებში გაბნეული მასალები ქართულ სამოსზე.

ქართული კოსტიუმის ისტორია ნ. ჩოფიკაშვილმა ჯვარის დიდი ტაძრის ქტიტორთა სამოსით დაიწყო. თავის ეს მოსაზრება იმით დაასაბუთა, რომ ჯვარი ზუსტად არის დათარიღებული (586—604) და საკვლევი ობიექტის ისტორიის დაწყება ამით უფრო მიზანშეწონილია.

როგორც ცნობილია, ჯვარის აღმშენებელთა პორტრეტები მოთავსებულია ტაძრის აღმოსავლეთისა და სამხრეთის ფასადებზე.

ჯვარის ქტიტორთა ჩაცმულობის შესახებ ივ. ჯავახიშვილმა, ივ. ციციშვილმა, გ. ჩუბინიშვილმა, ლ. მუსხელიშვილმა და შ. ამირანაშვილმა გარკვეული შეხედულება ჩამოაყალიბეს.

ამ მეცნიერთა შეხედულებანი სათანადოდ განიხილა ნ. ჩოფიკაშვილმა და შენიშნა: „მკვლევართა ნაწილი (აკად.

ივ. ჯავახიშვილი, ივ. ციციშვილი) აღწერით იფარგლება, ნაწილი კი (აკად. გ. ჩუბინიშვილი, ლ. მუსხელიშვილი და აკად. შ. ამირანაშვილი) იხილავს სამოსსა თუ ცალკეულ ნაწილებს და მათ ანალიზს იძლევა“.

ნ. ჩოფიაშვილმა ჯვარის ქტიტორთა სამოსის შესახებ ზემოთ ჩამოთვლილ მეცნიერთა შეხედულება მექანიკურად კი არ გაიმეორა, არამედ გაითვალისწინა მათი მოსაზრებანი და საკუთარი დასკვნა გამოიტანა. აი, როგორ აგვიწერს ავტორი აღმოსავლეთ ფსადის (სტეფანოზ ქართლის პატრიკოსის, დემეტრესა და ადრნერს ჰვატოსის) რელიეფებს: „მათი სამოსი ორი ნაწილისაგან შედგება: კაბისა და მოსასხამისაგან. კაბა წელში დავაწროებული, გრძელი და ვიწროსახელოვანი, ქობისაკენ გაგანიერებულია. ქობა რკალისებურადაა შეჭრილი. კაბის ქსოვილი „შიშიმა, არაელასტიკური“ (აქ ავტორი უთითებს გ. ჩუბინიშვილის ნაშრომზე Памятники типа Джвари, გვ. 146). სახელოების ყოშები შეოღვილია მსხვილი მარგალიტების ორი რიგით. გარეშეოღვილია ქობაც ორ-ორ რელიეფურ ზოლს (სტეფანოზის ქობას სამი აქვს) შუა ვარდულებით. კაბებზე ასხიათ წელზე მომდგარი და ქობისაკენ გაგანიერებული მოსასხამები, მხართან თუ გულზე შეკრული საკინძით. მოსასხამის გრძელი სახელო (თუ სახელოები), რომელიც ცრუსახელოს შთაბეჭდილებას ტოვებს, შუა ადგილას წელის დონეზე დავიწროვებულია (იქნებ ქვის გამოფიტვის გამო), ყოშთან კი ისევ განივრდება. სტეფანოზისა და ადრნერსეს მოსასხამის კიდეები, ქობა და სახელოს ყოშები მსხვილი მარგალიტების ორი რიგითაა ოღვილი, დემეტრესი კი ერთმანეთზე გადაბმული ოთხფურცლიანი ყვავილებით. ასევეა ოღვილი დემეტრე პატოსის მოსასხამის სახელოც სამაჯურს ცოტა ზემოთ და იდაყვთან“ (გვ. 10-11).

ასე ვრცელი ამონაწერი იმიტომ მოვიტანეთ, რომ გვეჩვენებინა როგორი ღრმა ცოდნითა და კეთილსინდისიერე-

ბით მოჰკიდებია მკვლევარი თავის საქმეს. ამ დაწვრილებითმა აღწერამ შეიხვეწილი საქმის კურსში შეიყვანა ჩვენს ასლა უკვე ვიცით, როგორი სამოსელი იყვნენ შემოსილი ჯვარის მშენებელი.

რადგან ავტორმა ქართული კოსტიუმის ისტორია ჯვარის ისტორიით დაიწყო, ბუნებრივია, უნდა ეჩვენებინა, სადაურია ეს კოსტიუმი, ვისთვისაა დამახასიათებელი ასეთი კოსტიუმის ტარება, როგორი გავრცელება ჰპოვა მან საქართველოში და სხვ.

აკად. შ. ამირანაშვილმა ჯვარის აღმოსავლეთის ფსადზე გამოსახულ ქტიტორთა სამოსის შესახებ შემდეგი აზრი განავითარა: „ეს ჩაცმულობა „კაბა“, ფენსაცმელი და წამოსასხამი უნდა ჩაითვალოს ქართლის ერისმთავრების კოსტიუმად, რომელიც მიღებული იყო VI—VII სს. საქართველოში. მოსასხამი კი უნდა იყოს ის განმასხვავებელი ნიშანი, რომელსაც სტეფანოზი ატარებდა, როგორც პატრიკოსი. წამოსასხამი ჩასაცმელად არ ყოფილა განკუთვნილი: არც ერთ მათგანს სახელოში ხელი გაყრილი არა აქვს; დამახასიათებელია ის, რომ სახელო შუაში ვიწროა, ბოლოში კი განიერდება და იმდენად გრძელია, რომ ადამიანს რომ ჩააცვა, ხელი არ გამოჩნდება“.

ნ. ჩოფიაშვილი სწავლობს მომდევნო ხანის ქტიტორთა სამოსებს და ცდილობს გარკვეული კანონზომიერება დაადგინოს. მაგ.: მას სჯერა, რომ კაბა, რომლითაც ჯვარის ქტიტორებია შემოსილი, მარტო ქართლის ერისთავების სამოსი კი არ იყო, როგორც ამას აკად. შ. ამირანაშვილი ფიქრობდა, არამედ ის უფრო ფართოდ იყო გავრცელებული.

მკვლევარი იმ დასკვნამდე მისულა, რომ „სტეფანოზის, დემეტრესა და ადრნერსეს ბიზანტიური ტიტულების მიუხედავად, მათი სამოსი ბიზანტიური არ უნდა იყოს“.

სარეცენზიო წიგნის ავტორი სხვადასხვა ხანის ძეგლებში დაცული ქართული კოსტიუმის დეტალების შესწავ-

ლის დროს ყურადღებას ამახვილებს იმ თავისებურებაზეც, რომლითაც ესა თუ ის ძეგლი განსხვავდება ერთი მეორისაგან. მაგ. ნ. ჩოფიაშვილის შეუმჩნეველია, რომ ატენის სიონის ქტიტორთა სამოსის მსგავსი სამოსი საქართველოში არ მოიპოვება.

არსებული მასალის შესწავლის შემდეგ ავტორი ასეთ საერთო დასკვნამდე მისულა: „VI—XIV სს. მამაკაცთა სამოსის სრული სურათის აღდგენა მასალის სიმცირის გამო არ შეიძლება. რომ არაფერი ვთქვათ წერილობით წყაროებზე, სადაც ამ ხნის სამოსი არათუ რამდენადმე ზუსტად ან ვრცლად არაა აღწერილი, არამედ სამოსის აღმნიშვნელი ტერმინებიც იშვიათია. რელიეფები, ფრესკები და ჭედური ხატებიც დროის ამ დიდ მონაკვეთზე თანაბრად არ ნაწილდება“.

მკვლევარმა ცალკე განიხილა ქალთა სამოსი და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ VII—X სს. „ქალთა სამოსი ორი ძირითადი ნაწილისაგან, კაბისა და მოსასხამისაგან შედგებოდა... მომდევნო საუკუნეებში ქალთა სამოსი მრავალფეროვნებით ხასიათდება, მაგრამ ზედა სამოსად ისევე მოსასხამი რჩება, უსახელოებო ან ორმაგი სახელოებით“.

ავტორს არაერთი საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული მეომრის საჭურველზეც, თუმცა ეს საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში შედარებით უკეთ არის შესწავლილი (ივ. ჯაფარიშვილი). ყურადღებას იპყრობს ნ. ჩოფიაშვილის დაკვირვება სამეფო სამოსზეც. ავტორი დარწმუნებულია, რომ XI—XIV სს. ქართველ მეფეთა სამოსი ძირითადად ბიზანტიური ტიპისაა, მაგრამ მაინც „ქართველ მეფეთა სამოსს რიგი თავისებურება აქვს. ფესუები სამოსელი (პოდრი) და ბისონი უფრო მოკლეა, სხვა სახისაა; განსხვავებულია გვირგვინი და ფეხსაცმელი“.

ავტორი დაწვრილებით განიხილავს ავ-

რეთვე სასულიერო პირთა და მომწიფეთა სამოსს, სამოსის სხვადასხვა ნაწილებს, სამოსის შეკერვის წესს და ა. შ. გვბოდ ჩერდება იმ ქსოვილებზე, რომლისაგანაც სამოსი იკერებოდა. ნ. ჩოფიაშვილი მართალია, როცა ასეთ მოსაზრებას გვთავაზობს: „წერილობით წყაროებში მოხსენებული ქსოვილების აღმნიშვნელ ტერმინთა უმრავლესობა („სელი“ გარდა), „ჭიჭნაური“ — „ჭიჭნაუხტი“, „ხავერდი“, „სტაგრა“, „საკრამანგი“, „ზარქაში“, „ოქსიონი“, „ლარი“, „პარირი“, „ხარა“, „ხატური“ სპარსულია, ბერძნული ან არაბული. არაქართული სახელი არ ნიშნავს ქსოვილის არაქართულობას“. თავის ამ დებულების დასამტკიცებლად ავტორი სათანადო დოკუმენტებს იმოწმებს. სხვა საკითხებზე აღარ შეეჩერდებით. ვფიქრობთ, მოტანილი ამონაწერები საკმარისია იმისათვის, რომ გვეცოთ სარეცენზიო წიგნის ავტორის მიცნეირული კვლევის მეთოდი, მიზანი და ამოცანა. ნ. ჩოფიაშვილის სახით ჩვენ გვყავს სათანადოდ მომზადებული და მონდომებული მკვლევარი.

ნ. ჩოფიაშვილმა რთულ პრობლემას მოჰკიდა ხელი და მრავალი საკითხი პირველად ან ახლებურად გაარკვია: ბუნებრივია, ასეთ პირობებში ბევრ სიძნელეს წააწყდა და ყველა საკითხზე მისი მსჯელობა ერთნაირად დამაჯერებელი არ არის, ან ზოგი მისი მოსაზრება სადავოა. მაგ. ჩემთვის გაუგებარია, რა მოსაზრებით გამოჰყო საკვლევ პერიოდად VI—XIV საუკუნეები. ხომ არ სჯობდა, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციას გაჰყოლოდა? მაგრამ ასეთი უზუსტობანი წიგნის საერთო ღირებულებას არ ამცირებს.

ვიმეორებთ, ნ. ჩოფიაშვილის მონოგრაფია საინტერესო გამოკვლევაა და ძვირფასი შენაძენია ქართული ისტორიული მეცნიერებისათვის.

დავით ზვრიტიანი



გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“ ახლახან გამოსცა „ქართველ ადვოკატთა სიტყვები“. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველი ხალხის ცხოვრებაში იურიდიული შემოქმედების იმ დარგს, რომელსაც ადვოკატების სასამართლო სიტყვა ეწოდება.

წიგნს ახლავს საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის ა. პაიჭაძის მოკლე, მაგრამ საყურადღებო წინასიტყვაობა, რომელშიც ავტორი მრავალ მნიშვნელოვან საკითხს ეხება.

შრომას წინ უძღვის გამოჩენილი მკვებრმეტყველის პროფესორ ნ. კანდელაკის წერილი სათაურით „ქართული სასამართლო მკვებრმეტყველების ისტორიიდან“ (გვ. 26).

ავტორის აზრით, ფეოდალურ საქართველოს სასამართლოში იყო დამცველი, რომელსაც ეწოდებოდა მეოხი, ვაჭირი და მონაცვლე კაცი (გვ. 10). ეს მოსაზრება არ არის მართალი. საქმე ისაა, რომ ჩვენამდე მოღწეულია სასამართლოს მუშაობის აღწერილობა, ოქმი და ზოგიერთი მათგანი დაწვრილებით აგვიწერს სასამართლო პროცესს. მაგალითად, ჩვენ ხელთა გვაქვს სასამართლოს ოქმი ჯავახიშვილისა და გიორგი სააკაძის სადავო საქმის შესახებ. არსად, არც ერთ ასეთ საბუთში არ არის დამოწმებული დამცველი. დავით ბაგრატიონს კი „მონაცვლე კაცი“ XIX საუკუნის დასაწყისში აქვს ნახმარი რუსული სინამდვილის მიხედვით.

ავტორი ხმარობს გამოთქმას „ხალხური სამართალი“ (გვ. 25). ხალხური სამართალი არ შეიძლება ფეოდალურ საზოგადოებაში არსებელიყო, რადგან სამართალი თავის ბუნებით კლასობრივია.

გადავიდეთ სიტყვების გარჩევაზე.

„ქართველ ადვოკატთა სიტყვები“. გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“.

პირველ ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთოდ სიტყვები კარგად არის შერჩეული.

კრებული იხსნება შალვა მესხიშვილის სიტყვით სტოლერმანის საქმეზე, რომელიც სასამართლოში გაიჩა 1920 წლის 4 მარტს. ჩვენი საზოგადოება შ. მესხიშვილს იცნობს, როგორც შესანიშნავ სასამართლო ორატორს. მას არა ერთი და ორი ბრწყინვალე სიტყვა წარმოუთქვამს. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ კრებულში მოთავსებული სიტყვა არ მიეკუთვნება შ. მესხიშვილის ბრწყინვალე სიტყვათა რიცხვს. ალბათ შ. მესხიშვილის სხვა სიტყვა არ არის შემონახული და რედაქციას არჩევანი არ ჰქონდა. სიტყვაში არის კარგი შედარებები, ლამაზი გამოთქმები, მაგრამ შ. მესხიშვილი იმაზე უკეთესი ორატორი იყო, ვიდრე ეს ამ სიტყვიდან ჩანს.

მეორე სიტყვა ბ. ბარათაშვილს ეკუთვნის. კარგი ქართულით დაწერილი ეს ღრმაშინაარსიანი სიტყვა ჭიათურაში მომხდარ შემადარწუნებელ მკვლელობას ეხება. ბ. ბარათაშვილის სიტყვა სანიმუშოა. სიტყვაში ჩვენ ვგრძნობთ ავტორის დიდ ჰუმანიზმს. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია სიტყვის ის ნაწილი, რომელიც პრდაპირ აღიარებასა და არაპირდაპირ მხილებებს შეეხება.

შემდეგი სიტყვა ეკუთვნის ჯამბაყურ ბაქრაძეს (გვ. 66-70), რომელსაც ვიცნობთ როგორც ნიჭიერ ახალგაზრდას. სიტყვა კარგია, მაგრამ ამ სიტყვის ნაკლი ისაა, რომ ის თითქოს არასწორ სასამართლო პროცესზეა აგებული. საქმის შინაარსი ასეთია: ბრალდებულმა ტარსაიძემ მოატყუა ახალგაზრდა გოგონა, იცხოვრა მასთან და შემდეგ, როგორც ჩანს, უთხრა, ცოლად არ შეგიერთავო. გოგონა გადავარდა მტკვარში, მაგრამ გადაარჩინეს. ტარსაიძე სასამართლოს წინაშე წარსდგა, როგორც ბრალდებული და პატიმრობისათვის რომ თავი დაედო, გოგონას შეპირდა, შეგიერთავო. გოგონამ თვითმკვლელობის ცდის მიზეზად მამის სისასტი-



კე დაასახელა. მამამაც აღარაფერი თქვა. სასამართლომ გოგონას ინტერესებისათვის უმჯობესად ჩათვალა ეს ვერსია დაეჯერებინა. აბა, რა შუაშია მამის სისასტიკე! ქალიშვილი მამის შიშით დასახრჩობად თავს რატომ გაიმეტებდა, თუკი საქმროსთან შეეძლო წასვლა, მაგრამ ალბათ საქმე სწორედ ის იყო, რომ უკანასკნელი მას არ მიიღებდა.

ანდრო გლოვანის სიტყვა ერთ-ერთი შესანიშნავი სიტყვათაგანია ამ კრებულში.

სიტყვის ავტორის მსჯელობა ლოგიკური და დამაჯერებელია, იურიდიული ანალიზი ღრმაა. ბრალდებული მიმემდგომარეობაშია; მან აღიარა დანაშაული, ხოლო შემდეგ უარყო თავისი ჩველება. ადვოკატი უნარიანად, დამაჯერებლად, ფაქტების მართებული შეფასებით ცდილობს ბრალდებულის აღიარების გაბათილებას; ამასთან დაკავშირებით ადვოკატი ასაბუთებს ძიების დაუმთავრებლობას და მოითხოვს დამატებით გამოძიებას, რასაც იშვიათი სიზუსტით ასაბუთებს. თუ დამატებით ძიებას არ ჩაატარებთ, მაშინ თქვენთვის არჩევანი არ არსებობს: ბრალდებული უნდა გაამართლოთ, ეუბნება ის სასამართლოს.

კრებულში მოთავსებული შემდეგი სიტყვა ადვოკატ შ. გვათუას ეკუთვნის. ის შეეხება შახტში გაზის აფეთქების შედეგად ამომხდარ კატასტროფას. გვათუა იცავს მთავარ ინჟინერ ლ. თურმანიძეს, რომელსაც ბრალად ედება უშიშროების წისკლის დარღვევა. სიტყვა ძლიერ კარგად არის აგებული. ავტორს იშვიათი სიღრმით შეუსწავლია საქმე და დიდი და რთული საქმი. შეუსწავლია აგრეთვე საქმისათვის მნიშვნელოვანი სპეციალური საკითხები.

სიტყვის ავტორი დამაჯერებლად ასაბუთებს წამოყენებული ბრალდების უსათუძელობას; საქმის ანალიზი ღრმა, თანმიმდევრული და ლოგიკურად გამართულია. საერთოდ სიტყვა მაოალ შეფასებას იმსახურებს, თუმცა ენობრივი ხასიათის ხარვეზები ამ სიტყვაშიც არის.

ადვოკატ ალექსანდრე დოლიძის სიტყვა ალბათ თემატიკის მრავალფეროვნების თვალსაზრისითაც არის საინტერესო.

სიტყვის ავტორს კარგად შეუსწავლია საქმეც და სათანადო კანონებიც. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ საქმისა და კანონების ცოდნა საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ საქმეში ბუნდოვანი საკითხები არ დარჩენილიყო. ადვოკატი იცავს ბრალდებულ ცინცაძეს, — აფთიაქის დირექტორს, რომელსაც აბრალდებდნენ სააფთიაქო ქონების მითვისებას. ამავე დროს ირკვევა, რომ პოლიკლინიკის დირექტორი კიკნაძე სალამოს აფთიაქში ფანჯრის გატეხის შემდეგ შესულა. პოლიკლინიკის თანამშრომლებს იგი აფთიაქიდან გამოსვლისას ხელგაპტრილი და სისხლით მოსვრილი უნახავთ. ასეთ ვითარებაში საეჭვოა კიკნაძის საქციელი, გაუგებარია მისი მოქმედება. მოწმეები არ აჩვენებენ, რომ კიკნაძეს აფთიაქიდან რაიმე გამოეტანოს. გაურკვეველია, იყო თუ არა კიკნაძე მთვრალი. ადვოკატის ანალიზს ამ საკითხის გარკვევაში სინათლე არ შეაქვს.

ადვოკატ პეტრე ინასარიძის სიტყვა მიმართულია ვაჟა თამარაშვილის დასაცავად, რომელიც სამართალშია მიცემული ახალგაზრდა გოგონას თვითმკვლელობის გამო.

ავტორი წერს: „მთელი რწმენით, მტკიცე დაჯერებითა და სრული პასუხისმგებლობით შემძლია განვაცხადო, რომ ხსენებულ დანაშაულს ადგილი არ ჰქონია“. ვფიქრობთ, ასეთი განცხადება ზედმეტია, ის მტკიცებასაც არაფერს მატებს.

საქმეში ბუნდოვანი მხარეებიც არის. ადვოკატი ამტკიცებს, რომ „ვაჟა თამარაშვილი თამარ თამარაშვილთან არ იყო იმეჯარ ურთიერთობაში, რასაც შეეძლო ბრალეული ვითარების შექმნა. ისინი არასოდეს არ ყოფილან ერთმანეთისადმი ცუდად განწყობილნი, მით უფრო, უკანასკნელ ხანებში, როცა მათ შორის დამყარდა წმინდა და უანგარო

მეგობრობა“. ადვოკატი აქ საქმეს სათანადოდ ვერ ანალიზებს.

შემდეგ მოყვანილია ადვოკატ კლეოპატრა კალანდაძის სიტყვა, რომელიც არასრულწლოვან ილზა სუნას დასაცავად არის წარმოთქმული.

ადვოკატს თავისი ინიციატივით მოუძებნია ბრალდებულის ედეა და თბილისში შეილთან ჩამოუყვანია. მისი საქციელი სამაგალითოა.

ადვოკატი კ. კალანდაძე წერს: „საქმე საინტერესოა არა მარტო საბრალდებო დასკვნის მიხედვით, არამედ თვით არსებითი შინაარსითაც“. ჯერ ერთი, გაუგებარია, რატომ აიღო ადვოკატმა ბრალდების დასკვნა საქმის არსებით შინაარსთან დასაპირისპირებლად, მეორე, რა არის ეს „არსებითი შინაარსი“, არ ჩანს. უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ ეს ადგილი გაუმართავი და გაუგებარია.

ადვოკატ ილია კაშიას სიტყვა მიმართულია ბრალდებულ ლომთათიძის დასაცავად, რომელსაც ბრალად ედება ეჭვის ნიადაგზე იმედაძის მოკვლა. ი. კაშია ცდილობს არაპირდაპირი მხილების გაბათილებას.

ადვოკატი ამართლებს ბრალდებულს და ამასთან დაკავშირებით წერს: „...გაკვირვით უნდა შევნიშნოთ, რომ საქმეში არსებობს მასალა, რომელიც შეფარვით მიუთითებს იმედაძის ნამდვილ მკვლელს. მაგრამ ამკამდ ამისათვის ჩვენ არ გვცალია“ (გვ. 153). ამაზე უფრო მნიშვნელოვნისათვის ადვოკატმა რისთვის უნდა მოიცალოს, თუ მკვლელის მამხილებელი მასალა საქმეში არის და ეს გამოძიებამ ვერ შენიშნა?! ამით ადვოკატი მართლმსაჯულებას ჭეშმარიტიბის დადგენაში მოეხმარებოდა და ეს იქნებოდა ბრალდებულ ლომთათიძის საუკეთესო დაცვა.

ადვოკატ ი. კაშიას თავისი აზრის გამოთქმა ლამაზად შეუძლია, მაგრამ ამ მხრივაც არ არის სიტყვა უნაკლო.

ავტორი წერს: „...ბრალდების ეს უილაჯო საბუთიც მოკრძალებით უნდა განშორდეს ჩვენი პაექრობის არსენალს“. „პაექრობის არსენალი“ გაუგე-

ბარი გამოთქმია! წინადადება ხატოვანი მაშინ არის, როცა ის შინაარსითაც მდიდარია.

ადვოკატ ვახტანგ კაჭახიძის სიტყვაში ძლიერ მოხდენილად არის გამოყენებული დასაცავი პირის გამირული მოქმედება. ამ გამირულ საქციელს დანაშაულთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა, მაგრამ დასაცავ პიროვნებას კარგად ახასიათებდა და მის სასჯელს ამსუბუქებდა. ასეთი ფაქტის გახსენება სასამართლოსათვის საჭირო და სასარგებლო იყო.

მაგრამ ვ. კაჭახიძის სიტყვა წინაღმდეგობასაც შეიცავს. ადვოკატი ამბობს: „ელენე ზარბის დაშავება ბერიძის გაუფრთხილებლობის შედეგი იყო, რაც მოქმედი კოდექსით არ ექვემდებარება დასჯას“. ადვოკატი უბრუნდება ამავე საკითხს სიტყვის დასასრულს და ასე მიმართავს მოსამართლეებს: „სასამართლომ ბერიძეს უნდა გამოუტანოს სასაჯელი, მაგრამ სამართლიანი, დამსახურებული და შესაფერისი“. რომელი დავიჯეროთ. თუ „დასჯას არ ექვემდებარება“, მაშინ რატომ უნდა დავსაჯოთ?

ამასთან, ადვოკატ ვ. კაჭახიძის აზრით, გაუფრთხილებლობა არ ისჯება, მაშინ როდესაც ჩვენი კოდექსი გაუფრთხილებლობისათვის სასჯელს ითვალისწინებს.

ადვოკატი ნიკოლოზ კეკელიშვილი სამოქალაქო მაძიებლის ინტერესებს იცავს. საქმე შეეხება ბრალდებას სქესობრივი ძალადობის შესახებ.

სიტყვის ერთ-ერთ ნაკლად მიგვაჩნია ავტორის მტკიცება: „სასამართლომ სამართლიანი განაჩენი უნდა გამოიტანოს და ამით კმაყოფილი იქნება თვითონ ბრალდებულიცო“. ავტორის მ გვერდია-ნი სიტყვიდან ორი გვერდი ამას მიეძღვნა. სიტყვის ეს ნაწილი საქმეს არ შეეხება. ასეთი დამრიგებლური ტონი მოსაბეზრებელია. საქმე მარტივია, ძალადობა მოხდა და უნდა ითქვას, ადვოკატმა დამაჯერებლად დაასაბუთა ბრალდება, მაგრამ ის ზოგჯერ ხელოვნურად ცდილობს საქმის გაართულებას.

ადვოკატ გიორგი ლეჟავას სიტყვა

ეხება ლანჩხუთში აღმოჩენილ ბიზანტიურ მონეტებს, რომელიც ბრალდებულმა მიითვისა. ნაწილი გადაადნო, ნაწილი კიდევ გაყიდა. განძი აღმოჩენილ იქნა ესაძის ეზოში. ეს ამბავი შეიტყვეს ხელისუფლების ადგილობრივმა წარმომადგენლებმა. გაუგებარია, რატომ არ მიიღეს სათანადო ზომები ამ განძის სახელმწიფოსათვის ჩასაბარებლად და რატომ დაუტოვეს იგი ესაძეს. ეს გარემოება აღნიშნა ადვოკატმა, მაგრამ ამ შემთხვევაში ხელისუფლების უმოქმედობის მიზეზები არასაკმარისად გააშუქა.

ადვოკატი ალექსანდრე ლომინაძე სამართალში მიცემულ არაბიძეს იცავს. არაბიძეს ბრალდება მოძრაობის წესების დარღვევა, რის შედეგადაც ადამიანი დაიღუპა. ადვოკატი დამაჯერებლად არღვევს წაყენებულ ბრალდებას და თვალსაჩინოს ხდის ბრალდებულის სიმართლეს.

ადვოკატი ალექსანდრე საგინაშვილი იცავს პ. მურღულიას, რომელსაც ბრალად ედება სახანძრო უშიშროების წესების დარღვევა, რამაც გამოიწვია რუსთაველის თეატრის დაწვა 1949 წლის 9 ივნისს. ადვოკატის იურიდიული ანალიზი სანიმუშოა, მსჯელობა საქმიანია, ლოგიკურად გამართული, სადა, ყოველგვარ მოჩვენებით ეფექტებს მოკლებული.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ზარალი, რომელიც 4 მილიონ მანეთს აღემატება, ფრიალ დიდია“. ბრალდების შემსუბუქების მიზნით ავტორი განმარტავს: „მაგრამ აქედან (ე. ი. ზარალი რომ დიდია) ცხადია, არ უნდა იქნას გაკეთებული დასკვნა, თითქოს ეს ამბავი ეროვნულ უბედურებას მოასწავებდეს და აუნაზღაურებელი დანაკლისი იყოს. სასებით სარწმუნოა, რომ რუსთაველის თეატრის შენობა აღდგენილი იქნება“. ყველაფერი ეს მართლაც, მაგრამ დაცვის თვალსაზრისით საესებით ზედმეტია: ზარალი იმდენად დიდია, რომ ამ მხრივ შემამსუბუქებელ გარემოებაზე აქ ლაპარაკი კი არ შეიძლება; ამასთანავე ადვოკატი უარყოფს

ბრალდებულის დანაშაულს საერთოდ/ და, მასასადამე, ამ მხრივაც საიტყვებს ეს ნაწილი ზედმეტია.

ადვოკატ გურამ უგრეხელიძის სიტყვა მრავალმხრივ არის საყურადღებო. პირველ ყოვლისა, სიტყვიდან ჩანს, რომ გ. უგრეხელიძეს სპეციალური საკითხები კარგად შეუსწავლია: ის შესანიშნავად არის გაცნობილი საქმესთან დაკავშირებულ სამედიცინო საკითხებსაც. ავტორის მსჯელობა სანიმუშოა. ზოგჯერ იგი ბრალდებას სრულიად აბათილებს. მაგალითად, გამოძიება ეძებს „აბორტმანერს“. მან მიაგნო სახლს, რომელშიაც გაკეთებულია საბედისწერო აბორტი. ამ სახლის მეორე სართულზე ცხოვრობს ცნობილი „აბორტმანერი“ გიგაური, „რომელიც არამართო შემჩნეულია, არამედ მსჯავრდებულნიც კი იყო უწინ, როგორც აბორტმანერი. დანაშაულის შემთხვევის დღიდან ერთი თვის შემდეგ ექთანის (გიგაურის) ბინაზე ჩხრეკა მოაწყო გამოძიებამ და იქ საეჭვო არაფერი აღმოჩნდა. საკითხავია, მაინც რა „საეჭვო“ უნდა აღმოჩენილიყო იმ დროისათვის იქ იმაზე მეტი, ვიდრე ის, რომ ბინაში ცხოვრობს კრიმინალური აბორტისათვის მსჯავრდებული ექთანი გიგაური?“

ავტორს ეხერხება გონებამახვილური გამოთქმები, მოხდენილი შედარებები, მხატვრულად თხრობა.

ადვოკატ გ. უგრეხელიძის სიტყვაც კრებულის ერთ-ერთ საყურადღებო სიტყვათაგანია.

ადვოკატი ვარდენ ურუტაძეც თავის სიტყვაში ლოგიკური თანმიმდევრობით არღვევს წამოყენებულ ბრალდებას.

შემდეგი სიტყვა ადვოკატ ბენო ხომერიკს ეკუთვნის. საქმე ეხება ტყავეულობის ქარხნის საამქროს გამგის დანაშაულებრივ მოქმედებას, რომელსაც ბრალად ედება ქარხნის პროდუქციის მიტაცება. ბ. ხომერიკი ამტკიცებს ბრალდებულის უდანაშაულობას. ავტორის მტკიცება ლოგიკურია და დამყარებულია საქმისა და კანონის ცოდნაზე.

ადვოკატი ა. ჭიჭინაძე თავის სიტყვა-



ში იცავს ბრალდებულ ბაჩიაშვილს, რომელსაც ბრალად ედება წყაროს მოწამვლა, რის შედეგადაც ადამიანები დაიღუპნენ. ა. ჭიჭინაძემ შეძლო დამტკიცებინა, რომ ბრალდებული უდანაშაულოა. დაცვა აგებული იყო ისეთი ფაქტების აღწერაზე, რომელიც ბრალდებულის უდანაშაულობას ამტკიცებდა.

უკანასკნელი სიტყვა ეკუთვნის ადვოკატ ვახტანგ კერესელიძეს, რომელიც იცავს ბრალდებულ ბურცევს. ბურცევს ბრალად ედება ადამიანების გაძარცვა და დანით დაჭრა, რომელთაგან ერთი იქვე, სანაპირო პარკში გარდაიცვალა. დამცველი არ უარყოფს არც დანაშაულს, არც დანაშაულის კვალიფიკაციას, მხოლოდ სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს იმ შემამსუბუქებელ ვარემოებას, რომელიც სასჯელის გამოტანის დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული.

კარგია, რომ ადვოკატმა სასამართლოს აუწერა ბრალდებულის აღზრდის პირობები, მაგრამ დაუსაბუთებლად გამოიყურება დედ-მამის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება. საჭირო იყო დედის ან მამინაცვლის გულცივობის მაგალითების მოყვანა.

ამას გარდა, ადვოკატის აზრით, ბრალდებულის „მოქნეულ დანას მიზნად არ ჰქონია აუცილებლად ადამიანის მოკლა“, არამედ „ყველა შემთხვევაში, ის დაჭრას გულისხმობდა“. ჩვენი აზრით, საკითხის ასეთი დასმა იყო მართებული. ბურცევი ადრეც იყო გასამართლებული ასეთსავე საქმეზე. ბურცევის მიერ ჩადენილი დანაშაული შემადარწუნებელია, უფრო მძიმეა, ვიდრე ყოველგვარი სახის განზრახმკვლელობა. განზრახმკვლელობის დროს, ჩვეულებრივად, დაზარალებულმა იცის, ვისგან რა მოელის და ფრთხილად არის. ამ შემთხვევაში კი ადამიანი მიდის პარკში და სრულად მოულოდნელად დანის მსხვერპლი ხდება. ვისაც არ უნდა გაეგო იქ, დანაშავე ბურცევი მას დანას ჩაარტყამდა. რა სურ-

და მას, დაჭრა თუ მოკლა, ეს შედეგიდანაც ჩანს. დებულება — დამნაშავე მხოლოდ დაჭრა უნდოდაო, არ არის სწორი. საქმეში არსებული საბუთები საპირისპიროს ამტკიცებენ...

სამწუხაროდ, ადვოკატების ვასილ კეკელიას და ვახტანგ სიღამონიძის სიტყვებისთვის წამძღვარებული შესავალი, რომელიც საქმის მოკლე შინაარსსა და მის სასამართლოში წარმოების ცნობებს შეიცავს, მართებული არ აღმოჩნდა (იხ. „ლიტერატურული საქართველო“, 1964 წ. 19 ივნისი). ამიტომ ამ სიტყვებს არ განვიხილავთ. ადვოკატები ამხილეს პრესაში, მაგრამ საყვედურის ღირსია წიგნის შემდგენელი და სარედაქციო კოლეგია.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვებისადმი წამძღვარებული შესავალი ყოველთვის არ არის სათანადოდ გამართული, რის გამოც მკითხველისათვის საქმის შინაარსი ზოგჯერ ნათელი არ არის.

გარდა ამისა, წიგნის დიდ ნაკლად მიგვაჩნია ის ვარემოება, რომ მასში მრავალი ენობრივი შეცდომაა. რეცენზიის მოცულობა საშუალებას არ გვაძლევს დაწვრილებით შევჩერდეთ ამ საკითხზე. რედაქციას შეეძლო, თუკი მონიღამებდა, ენობრივი შეცდომების თავიდან აცილება.

მომავალში არ უნდა გამოვიდევნოთ სიტყვათა სიმრავლეს და ამასთანავე უფრო დაკვირვებით შევარჩიოთ მნიშვნელოვანი საქმე და ყოველმხრივ გამართული სიტყვა.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად მთლიან რიგი ნაკლისა, სარეცენზიო შრომის გამოქვეყნებით „ლიტერატურა და ხელოვნება“, წიგნის შემდგენელმა, სარედაქციო კოლეგიამ და ავტორთა კოლექტივმა ჩვენი საზოგადოებისათვის ფრიალ სასარგებლო საქმე გააკეთეს. ეს საქმის კარგი დასაწყისია და ჩვენ ყოველმხრივ უნდა შევიცადოთ, რომ მეორე წიგნი დეფაქტების გარეშე გამოვიდეს.



ამ ბოლო დროს ჩვენს პრესაში ვალაკტიონ ტაბიძეზე არაერთი საყურადღებო ბიოგრაფიული ხასიათის წერილი გამოქვეყნდა. ავტორები პოეტის ბიოგრაფიის სხვადასხვა მომენტებს, მისი შემოქმედებისა თუ პიროვნების სხვადასხვა მხარეებს ეხებოდნენ, ეს კი, რა თქმა უნდა, მკითხველს სრულ წარმოდგენას ვერ შეუქმნიდა პოეტის შემოქმედებაზე, მისი ხასიათის მთლიანობაზე.

გასულ წელს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა ფატი ნიშნიანის წიგნი „გალაკტიონის ცხოვრებიდან“, სადაც ავტორი ცდილობს წარმოგვიდგინოს დიდი პოეტის ცხოვრება დაბადებიდან მის გარდაცვალებამდე. ავტორი უხვად იყენებს ფაქტობრივ მასალას — პოეტის პირადი წერილები იქნება ეს, დღიურები თუ სხვათა მოგონებები. ნაშრომში დიდი ადგილი უჭირავს აგრეთვე თვით ავტორის შთაბეჭდილებებს. როგორც წიგნიდან ირკვევა, იგი ხშირად კითხულობდა მოსწენებებს პოეტის საპატივცემულოდ გამართულ შეხვედრებსა და საღამოებზე, ხშირად გალაკტიონის თანამგზავრიც ყოფილა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მისი მოგზაურობის დროს.

ფ. ნიშნიანიძე მრავალ საინტერესო მომენტს გვიხატავს გალაკტიონის ცხოვრებიდან. ერთხელ მას ლექცია წაუკითხავს გალაკტიონის შემოქმედებაზე. მეტად საყურადღებოა თვით გალაკტიონის დამოკიდებულება მოსმენილისადმი. ფ. ნიშნიანიძე ასე იგონებს ამ შეთანხვებას: „ზოგჯერ გადავხედავდი ხოლმე გალაკტიონს, მაინტერესებდა, მოეწონებოდა თუ არა... იგი ხან ადგებოდა, ხან დაჯდებოდა და სერიოზულად ისმენდა. როცა ლექციის ტექსტი მისი შემოქმედების პერიოდებს შეეხო, შემაწყვებინა: „ვინ მოიგონა ეს პერიოდები! მე

ჩემი შემოქმედება პერიოდებად იყოფოდა თუ არა, სხვებზე უკეთ არ ვიცი? არავითარი პერიოდები! ეს მხოლოდ უცნაური კრიტიკოსების მოგონილია. რას არ იტყვიან! რას ჩამაცივდნენ და რას გაიძახიან, გალაკტიონის შემოქმედება ორ პერიოდად იყოფაო! გალაკტიონი პესიმისტი იყოო! რა პესიმისტი და რა პერიოდები! მე მაქვს შემოქმედება ადრინდელი და რევოლუციის შემდეგადრინდელი, ესე იგი, ვწერდი ადრეც და ვწერ ახლაც. ესაა პერიოდები?“

პოეტის ამ სიტყვებს უსათუოდ ანგარიში უნდა გაუწიოს მისი შემოქმედების მომავალმა მკვლევარმა.

წიგნის ყველაზე საინტერესო თავი ეხება გალაკტიონის დღიურებსა და დღიურის ხასიათის ჩანაწერებს. ასეთ დღიურებში და ჩანაწერებში ყველაზე მკაფიოდ ჩანს პოეტის სულიერი ცხოვრება, მისი მისწრაფებები. საინტერესოა ერთი ნაწყვეტი პოეტის დღიურიდან, სადაც მეტად ცოცხლად არის დახატული ყმაწვილი გალაკტიონის პირველი მისვლა რედაქციაში მწერალ ქალ დომინიკა ერისთავთან (განდევითან):

„დომინიკა ერისთავის ქალი უზის გაზეთ „ამირანის“ რედაქციაში შემოსულ ხელნაწერებს. ხელთ უჭირავს ჩემი ლექსების რვეული. იგი გაცეცხობთ მიყურებს.

- თქვენი არის ეს ლექსები?
- ჩემი ვახლავთ, ქალბატონო!
- ძნელი დასაჯერებელია. თქვენ ხომ ბავშვი ხართ ჯერა. მაინც რამდენი წლისა ხართ?
- თოთხმეტის, ქალბატონო, მე თხუთმეტეში გადავდექი.
- პირველად მესმის, რომ თოთხმეტი წლის ბავშვი ასეთ მშვენიერ ლექსებსა სწერდეს. იშვიათი ლექსებია.

მთვარე კაშკაშებს, ცა მოფენილი მოციმიციმეთა ვარსკვლავთა გუნდით, მშვილად დაჰყურებს ძირს დედაჩოქას, ვარსშემოხვეულს სქელი ბინდ-ბუნდით.

ფ. ნიშნიანიძე, „გალაკტიონის ცხოვრებიდან“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

— კარგია. ძალიან კარგია, მაგრამ...  
თქვენ ხომ არ იქნებით წინააღმდეგი,  
ეს მეორე სტრიქონის სიტყვა „ბინდ-  
ბუნდი“ რომ შევცვალოთ „ბურუსით“?

— არა, ქალბატონო, წინააღმდეგი  
არა ვარ... მაგრამ არ ვიცი, რა ასეთი  
დიდი განსხვავებაა ბინდ-ბუნდსა და  
ბურუსს შორის?

— ბურუსი უფრო თანამედროვე სი-  
ტყვაა.

— ბინდ-ბუნდიც, ქალბატონო, უაღ-  
რესად თანამედროვეა.

დომინიკას შევამჩნიე, არ მოეწონა  
სიტყვის შებრუნება“...

უფრო ქვემოთ გალაკტიონი ვამეც-  
ნობს, რომ ლექსი ისე დაბეჭდილა, რო-  
გორც რედაქციის თანამშრომელს მი-  
აჩნდა მიზანშეწონილად. დომინიკა  
ერისთავი, რა თქმა უნდა, ვერ წარმო-  
იდგენდა, რომ მის წინ ვუნდერკინდი  
კი არ იდგა, როგორც ეს მას ეგონა  
(ლექსისთვის ავტორის გვარიც არ მიუ-  
წერიათ მთლიანად), არამედ XX საუ-  
უნის ქართული პოეზიის მომავალი  
მშვენება და სიამაყე. გალაკტიონი ყო-  
ველივე ამას სიყვარულით, ოდნავი იუ-  
მორით იგონებს.

აქვე გვინდა მოვიტანოთ ნაწყვეტი  
პოეტის 1929 წლის 1 თებერვლით და-  
თარიღებული ჩანაწერებიდან. ამ ნაწყ-  
ვეტში მეტად ძლიერად იგრძნობა სი-  
ცოცხლის უმძაფრესი და გასაოცარი  
სიყვარული, ბუნების მშვენიერებით  
აღძრული აღტაცება და გაოცება. სო-  
ფელში დედასთან ჩასული პოეტი წერს:

„არ ვიცი რის გამო, შეიძლება იმი-  
ტომ, რომ თითქმის მთელი ღამე, გა-  
თენებამდის ვკითხულობდი დიკენსის  
„დიდ იმედებს“. გამომეღვიძა გვიან,  
მზე კარგა მანძილზე იყო დაშორებული  
ჩვენი სახლის აღმოსავლეთით მწყობ-  
რად ჩამწყკრივებულ აღვის ხეებს, მზე,  
მთელი თავისი ახალი და დიადი ელვა-  
რებით, პირდაპირ ჩემს ფანჯარაზე მო-  
მდგარიყო. არასდროს არ დამავიწყდება

მისი იმდენინდელი შუქი: რალაც აუწი-  
რელმა სიხარულმა ამიტაცა და მთელი  
სხეულში ურუნტელად დამიარა...  
ისიც ასე უმიზეზოდ, ასე უეცრად, ასე  
მოულოდნელად. ანგარიშმიუცემლად  
მივვარდი ფანჯარას, საიდანაც მზის  
შუქი შემოდინოდა და დავეწყე კოცნა  
ფანჯრის მინებს, თითქოს გონებადა-  
კარგული ვკოცნიდი დიდხანს მზის  
შუქს“...

1955 წელს გალაკტიონ ტაბიძემ მეს-  
ხეთ-ჯავახეთში იმოგზაურა. მოგზაუ-  
რობამ წარუშლელი შთაბეჭდილება  
დატოვა პოეტზე, რაც მის შემოქმედე-  
ბაშიც აისახა. ამის ნათელსაყოფად მისი  
შესანიშნავი ლექსი „მესხეთ-ჯავახე-  
თიც“ კმარა. ეს ლექსი სამხრეთ საქარ-  
თველოს ძველი დიდებისა და დღევან-  
დელი ბედნიერი დღის ჰიმნია:

აქ ვარძის მკვიდრ სავანეს ტბა ანათებს  
თავფარავნის,  
მთა მრავალი ამირანის, მრავალ საუკუნის სვეტი-  
იყოს მრავალეამიერი უძველესი ჩვენი ერი,  
მისი სახე, მისი ფერი, მისი მესხეთ-ჯავახეთი!

პოეტი მოუხიბლავს სამხრეთ საქარ-  
თველოს თავისებურ, განუმეორებელ  
სილამაზეს. „... რა დიდებული ბუნე-  
ბაა. მართალია, ხე არ არის, მაგრამ  
ხშირად ასეთი მთებიც მომხიბლავია.  
მთები და განსაკუთრებით ქვები, ქვები.  
ქვები“. ეს სამჯერ განმეორებული  
„ქვები“ ზედმიწევნით ზუსტად ხატავს  
თმოგვის ციხისა და ვარძის ზღაპრულ  
მიდამოებს.

დასასრულ უნდა ვთქვათ, რომ „გა-  
ლაკტიონის ცხოვრებიდან“ მეტად სა-  
ჭირო და საგულისხმო ნაშრომია. მსგავსი  
წიგნების გამოცემა დიდ სარგებლო-  
ბას მოიტანდა მომავალში პოეტის უფ-  
რო ვრცელი და სრულყოფილი ბიოგ-  
რაფიის დასაწერად. მეტად საჭირო და  
სასურველი იქნებოდა აგრეთვე გალაკ-  
ტიონის დღიურებისა და ჩანაწერების  
ცალკე წიგნად გამოცემა.



### ავსტრია

#### მიწუნშტინის ფილმები ვენაში

გასული წლის შემოდგომაზე ვენაში მოეწყო სერგეი ეიშენშტინის ფილმების ჩვენება. ავსტრიელებს საშუალება მიეცათ ენახათ „გაფიცვა“, „ჯავშნოსანი პოტიომკინი“ და სხვ. მოეწყო აგრეთვე ეიშენშტინის გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა.

### ალჟირი

#### საბჭოთა წიგნის გამოფენა

ალჟირელთა დიდი ინტერესი გამოიწვია საბჭოთა წიგნის გამოფენამ, რომელიც მოეწყო ქალაქ ტლემსენის ბიბლიოთეკაში.

როგორც გაზეთი „ალჟერ რეპიუბლიკენი“ იუწყება, მხნველები ინტერესით ეცნობიან არა მარტო წიგნებს, არამედ საბჭოთა მხატვრების ნამუშევრებს და საბჭოთა ხალხის ყოველდღიური ცხოვრების ამსახველ ფოტო-დოკუმენტებსაც.

„საბჭოთა წიგნი დიდი გულიანურით ეკიდება მასების განათლების საქმეს“, — აცხადებს გაზეთი „ალჟერ რეპიუბლიკენის“ კორესპონდენტი.

### ბულგარეთი

#### ანტიფაშისტური ფილმი

რუმისორ გენჩო გენჩევის ფილმი „ქალაქამდე შორს არ არის“ მოგვითხრობს ფაშიზმის წინააღმდეგ ბულგარელი

ხალხის გმირული ბრძოლის ერთ-ერთ ეპიზოდს. სამი ანტიფაშისტი — იატაკქვეშელი ცდილობს როგორმე მიაღწიოს ქალაქს, რათა იქ ხელი შეუშალოს თავიანთი ამხანაგის შეხვედრას პროვოკატორთან. მთავარ როლებს ასრულებენ ვალენტინ რუსეციკი, ლუდმილა ჩეშმეჯიევა, ანდრეი ავრამოვი.

#### ლიტერატურული ბულგარეთი

ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურული ინსტიტუტში 4 ტომად მზადდება ფუნდამენტალური სამეცნიერო ნაშრომი — ბულგარული ლიტერატურის ისტორია უძველესი ხანიდან დღემდე. I ტომი უკვე გამოვიდა და კრიტიკის მაღალი შეფასებაც დაიმსახურა. II ტომი, რომელიც ალორძინების ხანას მოიცავს, მალე გამოვა. III ტომი მზადების პროცესშია. იგი ეხება ბულგარული ლიტერატურის საკითხებს პირველ მსოფლიო ომამდე.

ომისდროინდელმა საბჭოთა ლიტერატურამ დიდი გავლენა მოახდინა ბულგარეთის პროგრესული ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში, ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ძალების ჩამოყალიბებაში. სწორედ ამ მასალას მიეძღვნება წიგნი, რომლის მე-2 ტომი უახლოეს მომავალში გამოვა.

ინსტიტუტი გამოსაცემად ამზადებს აგრეთვე ბულგარული ლიტერატურის ლექსიკონის მრავალტომეულს. ეს იქნება

თავისებური ენციკლოპედია-ბულგარული ლიტერატურისა, რომელიც თავის არსებობის 11 საუკუნეს ითვლის.

### ბანა

#### „ენციკლოპედია აზრიანას“

განის დედაქალაქში პრეზიდენტ კვამე ნკრუმას თავმჯდომარეობით შედგა აფრიკული ენციკლოპედის — „ენციკლოპედია აფრიკანას“ — პირველი სარედაქციო სხდომა.

„აფრიკას კეთილშობილი წარსული აქვს, — განაცხადა ნკრუმამ სხდომაზე, — მაგრამ იმპერიალისტებმა გაავრცელეს მცდარი აზრი, თითქოს ჩვენს ქვეყანას არ გააჩნია ცივილიზაცია, არ გააჩნია ისტორია“.

ნკრუმამ ხაზგასმით აღნიშნა მომავალი ენციკლოპედის უდიდესი მნიშვნელობა და დაუმატა, რომ დროა, აფრიკამ მოიპოვოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა და ამასთანავე მსოფლიოს გააცნოს თავისი მდიდარი კულტურის ნიმუშები.

„რედაქციის მუშაობას მხარს დაუჭერს განის ყველა უნივერსიტეტი, — აღნიშნა დასასრულს ნკრუმამ, — მთავრობაც მნიშვნელოვან ხარჯებს გაიღებს ენციკლოპედის მომზადებისათვის“.

რედაქციებში შეყვანილი არიან აფრიკის ქვეყნების ცნობილი მეცნიერები, კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა განის უნივერსიტეტის პროფესორი აბრაჰამი.

„ერთი მკვლელობის ქრონიკა“

რევისორმა იო ხასლერმა დაამთავრა მუშაობა ფილმზე „ერთი მკვლელობის ქრონიკა“, რომლის სცენარი ლეონარდ ფრანკის რომანის „იესოს მოწაფეების“ მიხედვით დაწერა ბულგარელმა ანგელ ვაგენშტაინმა. ფილმში მონაწილეობენ ანგელიკა დომაროზე და ულრიხ ტაინი.

„...მხოლოდ არა დანაკილი“

ასეთი სათაურით გამოაქვეყნა გამოცემლობა „ნეიეს დემენს“ მწერალ გრეილიხის რომანი, რომლის მთავარი გმირია ახალგაზრდა გერმანელი კომუნისტი არტურ ბეკერი.

გაზეთ „ნეიეს დეიჩლანდის“ კორესპონდენტთან საუბარში გრეილიხმა განაცხადა: „დაახლოებით ერთი წლის წინ მე დავწერე წიგნი „გმირად არ იბადებიან“, ამჟამად კი გამიტაცა გერმანელი ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის აქტიური წევრის არტურ ბეკერის სახემ. იგი ფრანკოს ჯალათებმა მოკლეს ესპანელი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლაში (ბეკერი ესპანეთის ინტერნაციონალურ ბრიგადაში იბრძოდა). როგორც თვით ავტორმა აღნიშნა, იგი დიდხანს აგრძობდა მასალებს არტურ ბეკერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. მწერალი ცდილობდა ნათლად გადმოეცა გმირის მებრძოლი ხასიათი, სიმტკიცე. ამავე დროს მან ბეკერი დაგვიხატა, როგორც მოსიყვარულე, მგრძნობიარე ადამიანი (მაგალითად, ნამდვილი ლირიზმით არის გადმოცემული არტურის სიყვარული ფრანგი ქალის — ლუსის მიმართ).

გრეილიხმა თავის რომანში დიდი ადგილი დაუთმო გერმანიის კომპარტიისა და ახალგაზრდა კომუნისტთა ურთი-

ერთკავშირის, კერძოდ, არტურ ბეკერისა და ერნსტ ტელმანის პირად დამოკიდებულებას.

ერაყი

შურნალი „ალ-ბაღდადი“

გამოვიდა ყოველთვიური შურნალ „ალ-აკლიამის“ ახალი, პირველი ნომერი. შურნალი თავის ფურცლებზე განიხილავს ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებს (ალ-აკლიამი ლერწმის კალამს ნიშნავს. ძველად არაბები ასეთი კალმით წერდნენ). შურნალის მთავარი რედაქტორია ცნობილი ერაყელი ლიტერატურათმცოდნე, დოქტორი იუსუფ იზიდ-დინი. რედაქციის შემადგენლობაში არიან ერაყის ცნობილი მწერლები და პოეტები.

იაკონია

სინდოს აბალი ფილმი

რევისორი კანეტო სინდო („ხიროსიმას ბავშვები“, „შიშველი კუნძული“) მუშაობს ახალ ფილმზე — „ჯადოქარი ქალი“. მთავარ როლში: ნობუო ოტგოვა და იუსიკო იოშიმურო.

ინდონეზია

შურნალისტი ბაბემესი

ჯაკარტელები დიდად აღაშფოთა ამერიკელი შურნალისტის რობერტ კლიმანის საქციელმა. მიუხედავად იმისა, რომ წინა დღეს პრეზიდენტმა სუკარნომ კლიმანი დიდი თავისუფალი მიიღო, გათავადებულმა შურნალისტმა ბრალი დასდო პრეზიდენტს აშშ-ს მიმართ უმადურობაში და სასაცილოდ აიგდო ინდონეზიის პოლიტიკა. შურნალისტის თავხედობა იქამდეც კი მივიდა, რომ დაიტრახა, ინდონეზია „კიდევ დაიჩქებეს ძია სემის წინაშე“. როგორც მასალოდნელი იყო, კლიმანს კარზე მიუთითეს, მაგრამ იგი გაჯიუტდა. მაშინ იძულებული

გახდნენ, ამერიკელი სტუმარი მინისტრ-კოორდინატორ რუსლან აბდულგანის რეზიდენციიდან გაეძევიანათ.

კანადა

საღ წაზვიითხოთ „ბარზანა“?

ტყუილად არ მიმართვენ ერთმანეთს ამ სიტყვებით კანადელი მკითხველები. ეტელლილიან ვოინიჩის რომანის გმირის მტრები დღესაც ცხოვრობენ. მათ ეშინიათ თავისუფლებისათვის მტკიცე, შეუდრკველი მებრძოლის ცეცხლოვანი სიტყვის. ისინი ყოველმხრივ ცდილობენ, ეს წიგნი მკითხველს ხელში არ ჩაუვადონ.

„ნამდვილად საოცარი ამბავია, — ნაღვლიანად შენიშნავს გაზეთ „უენედეინ ტრიბუნის“ მიმოშინილველი, — ინგლისელი ქალის მიერ იტალიელ რევოლუციონერებზე დაწერილმა რომანმა თავისი ნამდვილი სამშობლო რუსეთში ჰპოვა. მაშინ როცა ტორონტოს საჯარო ბიბლიოთეკაში ამ წიგნის ერთ ეგზემპლარსაც ვერ იპოვინო.“

პოლონეთი

ძართული პოეზიის ანთოლოგია

პოლონელმა მეგობრებმა შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს გაუგზავნეს „ქართული პოეზიის ანთოლოგია“. ანთოლოგიაში შეტანილია ალექსანდრე ჭავჭავაძის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟაფშაველას, იროდიონ ევდოშვილის და მე-19-20 საუკუნეების სხვა პოეტთა ნაწარმოებები.

თანამედროვე პოეზია წარმოდგენილია ი. გრიშაშვილის, გ. ტაბიძის, გ. ლეროიძის, დ. გაჩეჩილაძისა და ი. ნონეშვილის ლექსებით. ყველა ამ ნაწარმოების თარგმანი პოლო-



ნურ ენაზე შეასრულა ცნობილმა მთარგმნელმა ბოგდან გემბარსკიმ.

### საზრანგეთი

#### „დაუმორჩილებელი“

პარიზის კინოთეატრების ექრანებზე გამოვიდა რეჟისორ ალენ კავალიეს ფილმი „დაუმორჩილებელი“ აღენ დელონისა და ლეა მასარის მონაწილეობით. ფილმის სიუჟეტი აღბეჭდილია 1962 წლის იანვარში ოასელების მიერ ცნობილი ადვოკატი ქალის გატაცების ნამდვილი ამბავი.

ლუსქემბურგელი თომასი მ წლის განმავლობაში იბრძოდა ალფრედი უცხოელთა ლეგიონში. მან ოასელების პუტჩის დროს ლეგიონი მიატოვა და დევერტირება დაიწყო. თომასი ოცნებობს სამშობლოში დაბრუნებაზე, დედასა და თავის პატარა გოგონაზე. მიუხედავად ამისა, იგი თავის უფილ ლეიტენანტს დათანხმდა, საკმაოდ გასამრჯელოსთვის მონაწილეობა მიიღოს ადვოკატი ქალის დომინიკას მოტაცებაში, დომინიკა ლიონიდან ალფრედი ჩამოვიდა, რათა სასამართლოზე განმთავსებულ მდგომარეობაში ბრძოლის ერთ-ერთი მონაწილე დაიცვას. დომინიკასთან საუბარში თომასი ხვდება, ალფრედი ვის მხარეზეა სიმართლე. იგი პატარისცემის გრძნობით იმსჯელება მოტაცებული ქალისადმი და ბოლოს გაქცევაშიც კი ეხმარება...

#### ალენ დელონის პარტბისტი

გასული წლის ზაფხულში ფრანგი მსახიობი ალენ დელონი („როკო და მისი ძმები“) მიწვეულ იქნა ამერიკაში რამდენიმე კინოსურათში მონაწილეობის მისაღებად, კერძოდ, რეჟ. რალფ ნელსონის ფილმში „ქურდის მარცხი“ დელონის ერთ-ერთი მთავარი როლი შესთავაზეს. ფილმის მხარით ინტერესის გასაზრდელად გაზეთმა „ნიუ-იორკ ბერალდ ტრიბუნმა“ გამოაქვეყ-

ნა დელონის ინტერვიუ, რომელიც ერთ-ერთმა კორესპონდენტმა ქალმა ჩაიწერა. ინტერვიუ სავსე იყო ასეთი ხასიათის წინადადებებით: „ამერიკელებს ჩემი დახმარება სჭირდებათ“, „ჩვენთან, საფრანგეთში, დილექტანტები არიან“ და სხვ.

როგორც გამოიკვია, დელონის არავითარი ამის მსგავსი რ უთქვამს. ინტერვიუ „ყვირთი“ უფრანკისტი ქალის მიერ შეუთხზნილი მისტიფიკაცია აღმოჩნდა. იმასთან დაკავშირებით, რომ ხსენებული ინტერვიუ ფრანგულმა გაზეთმა „ფიგარომაც“ გადმოიბეჭდა სათაურით: „ალენ დელონი ხუმრობა“, — მსახიობმა ამავე გაზეთში საპროტესტო წერილი მოათავსა.

„მე ვციც, — წერს დელონი, — რომ მსახიობის სიტყვას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მისი აზრი არავის აინტერესებს, მაგრამ უხამსობა, რომელსაც მე მაწერდა, კერძოდ, ჩემი სამშობლოსა და კოლეგების მიმართ დამოკიდებულებაში, კოლეგებისა, რომლებთანაც მუშაობა დიდი პატივია ჩემთვის, თალიანტის უკეთესი საზოგადოების ფორმა. მე არაფერს ვამბობ ჩემი პირადი ცხოვრების გარშემო შეუთხზნილ აბაღუბდაზე, მაგრამ ჩემს ქვეყანაზე, ჩემს პროფესიასა და ამხანაგებზე, კერძოდ, ჩემს უახლოეს მეგობარ უანპოლ ბელმონდოზე აუგის თქმას არავის ვაპატიებ. მართალი იყო თქვენი რედაქტორი: დაიბ, ეს ხუმრობაა, მაგრამ ჩემთვის ტრაგედიას უღრის. ამიტომ მე ვადასაშუალებე „ნიუ-იორკ ბერალდ ტრიბუნს“ დიფამაციისათვის“.

### საბერძნეთი

#### „გვესმის შენი ხმა, საზოგადოში“

ცნობილმა ბერძენმა მწერალმა ქალმა ელი პაპადიმოტირიუმ ჩაიწერა საბერძნეთის თავისუფლებისა და დამოკიდებ-

დებლობისათვის ბრძოლაში გამოხატული დაცემული ანტიფაშისტთა დედების, ცხოვრებისა და შვილების ნაამბობი. შემდეგ ყველა ეს ნაამბობი გამოსცა კრებულად — „გვესმის შენი ხმა, საზოგადოში“.

„კრებულის თვითიული მოთხრობა, — წერს გაზეთი „ავგი“, — ნამდვილი და ამადილევებელი დოკუმენტია იმ მძიმე წლებზე, რომელიც გადაიხატა ბერძენმა ხალხმა ფაშისტური ოკუპაციის დროს. ეს მართალი და უშუალო მოთხრობები ნათლად წარმოგვიხატავენ ნაციონალური ისტორიის დრამატულ ეპოქას“.

### ინგლისი

#### ოცი წუთით წინ...

ქალაქ კოვენტრის მცხოვრები, 95 წლის არტურ არჩი ამტკიცებს, რომ მთელს ქვეყანაზე ცხოვრება ოცი წუთით „გარბით“ წინ.

„ეს იმიტომ ხდება, — აღნიშნავს არჩი, — რომ 1922 წელს ინგლისის ყველა საათის ისარი მომართვისას ოცი წუთით წასწივს წინ. მე არავის არ მივცემ უფლებას, ოცი წუთის სიცოცხლე წამართვას. ამიტომ უფლებების ჩემი საათით ვსარგებლობ“.

არჩი აღიარებს, რომ თავისი სიჯიუტის გამო ბევრი უსიამოვნება შეხვედრია. 42 წლის განმავლობაში იგი ექვსჯერ მოხსნეს სამხალხროში დავიანებისათვის. არჩი ყოველ შეხვედრაზე აგვიანებდა, აგვიანებდა მატარებელზეც, რომელიც „ყოველთვის 20 წუთით ადრე გადიოდა“.

#### საილოპის გაზიცვა

ინგლისის გაზეთები ხშირად იუწყებიან იმის შესახებ, რომ რეაქტიული თვითმფრინავების გუგუნი ცუდად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, განსაკუთრებით კი იმ თვითმფრინავებისა.

რომლებიც საცხოვრებელი კვარტალების თავზე დაფრინავენ.

ავიზაზებთან და აეროდრომებთან ახლოს მცხოვრებლებმა ამის შესახებ მრავალჯერ მოახსენეს მთავრობასა და პარლამენტს, მაგრამ უშედეგოდ.

ის, რაც ადამიანებმა ვერ გააკეთეს, გააკეთეს სპილოებმა.

როგორც „დეილი მირორი“ იუწყებოდა, ვინძორში გამართულ წარმოდგენაში მონაწილე ცირკის 15 სპილო არენაზე გამოსვლისთანავე ერთ ადგილზე ისე გაშეშდა, რომ ვერავინ ვერ შეძლო მათი ადგილიდან დაძვრა. ამის მიზეზი იყო ფარნბოროს საავიაციო გამოფენიდან აფრინული თვითმფრინავების გუშავნი. თვითმფრინავები, როგორც ყოველთვის, ახლაც ძალიან დაბლა დაფრინავდნენ.

ცირკის მფლობელებს შეეშინდათ ბოლოს და ბოლოს სპილოები არ განრისხებულეყვნენ და იქაურობა არ დაეგრიათ. ამიტომ საავიაციო გამოფენის ორგანიზატორებს თხოვნით მიმართეს და ამის შედეგ თვითმფრინავებმაც შეწყვიტეს ცირკის თავზე ფრენა.

### ფილმზე რვა წლის მუშაობდნენ

როგორც ვაჭოთ „დეილი უორკერის“ კორესპონდენტი იუწყება, ლონდონის ეკრანებზე უჩვენებენ ფილმს „ეს მოხდა აქ“. ფილმის სიუჟეტი უჩვეულოა. მასში ნაჩვენებია ნაცისტების მიერ ოკუპირებული... დიდი ბრიტანეთი.

ფილმის შემქმნელები არიან ახალგაზრდა რეჟისორები კეივი ბრაუნლოუ და ენდრიუ მოლო, რომლებიც ფილმზე მთელი 8 წელიწადი მუშაობდნენ. პირველად მათ სურდათ შექმნათ მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ისტორიული ფილმი, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრეს და ანტი-

ფაშისტური ფილმი-გროტესკის გადაღება გადაწყვიტეს. ახალგაზრდა რეჟისორებს დიდი ფინანსური სიმძნელების გადალახვა მოუხდათ, მაგრამ ფარ-ხმალი მაინც არ დაჰყარეს და საქმეც ბოლომდე მიიყვანეს.

„ჩვენი მიზანი იყო, ფაშისტს თვითონ გამოეშვარებინა თავისი თავი“, — თქვა ბრაუნლოუმ. თავის მხრივ კრიტიკამაც აღნიშნა, თუ რა ბრწყინვალედი გაართვინა თავი ახალგაზრდა რეჟისორებმა თავიანთი მიზნის განხორციელებას. ფილმი მიმართულია იმ „პასიურ“ ადამიანებისადმი, რომლებიც „პოლიტიკაში არ ერევიან“. „თუკი ადამიანი შეიგნებს ფაშისტის არსს, — განაცხადებს ბრაუნლოუ, — მაშინ მას მხოლოდ ერთი გზა ექნება. ეს გზა ფაშისტის წინააღმდეგ ბრძოლის გზაა“.

### იტალია

#### პარსევის მანდატების საიდუმლოება

ფლორენციის ერთ-ერთ მუზეუმში დგას ბერძენი მითური გმირის პერსევსის ბრინჯაოს ქანდაკება. მას ერთ ხელში მახვილი, ხოლო მეორეში მედუზას მოკვითილი თავი უკავია. ქანდაკების ავტორი ცნობილი იტალიელი მოქანდაკე ბენედეტო ჩელინი. 400 წელზე მეტია, მნახველებს ატყვევებს ქეშპირტად ბრწყინვალედი შესრულებული ხელოვნების ეს ნიმუში. მაგრამ ცოტამ თუ იცის, ამ ქანდაკებაში მისივე შემქმნელის საიდუმლოება რომ არის ჩაქსოვილი.

ქანდაკების საიდუმლოება ამოცალია, უფრო სწორად, სპილიად მოულოდნელად აღმოაჩინა იტალიელმა ანტიკვარმა ბენედეტომ 1914 წელს. ეს იყო საოცარი რამ, რომელიც 400 წლის მანძილზე ვერც ერთმა მნახველმა, მუზეუმის ვერც ერთმა თანამშრომელმა ვერ შეამჩნია.

ერთხელ ბენედეტომ შერბოვივით უწარაღებდა მიაკეო პერსევსის თავის მხარეს წილს, დააკვირდა და... მისდა გასაოცრად ქანდაკების შემქმნელის ბენედეტო ჩელინის სახის ნაკვთები გაარჩია.

პერსევსის მუწარადი აშკარად გამოხატავდა ცხვირს, იგივე მუწარადის კიდები — ლოყას, ხოლო კისერზე დაფრული თმები — მოქანდაკის წვერს.

პერსევსის ქანდაკება ჩელინიმ ფლორენციის ჰერცოგის კოშტომ მედიჩის დაკვეთით ჩამოახსა. ჰერცოგის სურვილი იყო, გმირის გამოსახულებას ფლორენციის რესპუბლიკის იძულებითი დასასრული გამოეხატა. ჰერცოგმა ეს რესპუბლიკა თავის სამფლობელოდ გადააქცია.

ძველი საუკუნეების მხატვრები და მოქანდაკეები, როგორც წესი, თავიანთ ნამუშევრებში საკუთარ სახესაც უკვდავყოფდნენ. ამიტომაც იყო, რომ ჰერცოგმა მედიჩმა სასტიკად აუკრძალა ჩელინის, ასეთი რამ არ ჩაედინა. პერსევსის ქანდაკება მხოლოდ ჰერცოგის სადიდებლად უნდა შემქნილიყო.

მაგრამ, როგორც ხედავთ, ბენედეტო ჩელინიმ უწარად არ იღო ჰერცოგის მუქარა და ეს ბრწყინვალედი ქანდაკება თავისი გამოსახულებითაც უკვდავყო.

### „პაპარაცები“

ტერმინი „პაპარაცები“ იტალიურ ენაში ფელინის ცნობილი ფილმის „ტებილი ცხოვრების“ წყალობით დამკვიდრდა. „პაპარაცებს“ იმ ფოტორეპორტიორებს უწოდებენ, რომელთა საქმიანობას წარმოადგენს ცნობილი ადამიანების გადაღება უკვალ მდგომარეობაში. „პაპარაცები“ მარტო იტალიელები როდი არიან: თავის დროზე ამერიკული უფროსი „კონფიდენსიული“ აქვეყნებდა ცნობილი მსახიობებისა და მოდიველის „ვარსკვლავთა“ ფოტოსურ-

18113

თებს (ხშირად პორნოგრაფიული ხასიათისას). „პაპარაცები“ ჯგუფურად მუშაობენ. მათი სამუშაო არა მარტო ძნელია, არამედ სახიფათოც. „პაპარაცების ერის“ პირველი ფოტოსურათი 1949 წლით თარიღდება. სურათზე გამოსახული იყო რომის ერთერთ ღამის კლუბში ერთმანეთს გადახვეული ინგრიდ ბერგმანი და რობერტო როსელინი. საქმე იმით დამთავრდა, რომ ამ სენსაციური და საკმაოდ უხამსი ფოტოსურათის ავტორი როსელინიმ მაგრად მიბეგვა.

„პაპარაცების“ მუშაობასა და მეთოდებზე სხვადასხვა აზრი არსებობს: თუ ობიექტურად ვიმსჯელებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ „პაპარაცები“ უდიდესი ფანტაზიით, გამძლეობითა და სიამაყით არიან დაჯილდოებულნი. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ მათი მოქმედება ხშირად არ ეთანხმება ჟურნალისტიკის ეთიკას და მით უმეტეს, მორალს. „პაპარაცებს“ საათობით შეუძლიათ იდგნენ ერთ ადგილზე, ოღონდ რაიმე სენსაციურს მოკრან თვალი. ზოგ-

ჯერ მათ ბედი სწულობთ და ამისათვის კარგ გასამრჯელოსაც იღებენ. ასე მაგალითად: ანჯელო სორჩიმ ელიზაბეტ ტელიორისა და რიჩარდ ბარტონის სურათის ნეგატივისთვის, რომელზედაც ისინი ვნებიანად კოცნიდნენ ერთმანეთს, ამერიკული პრესისაგან გასამრჯელოდ ხუთი ათასი ლირა მიიღო.

რომის უხამსი ფოტორეპორტიორების „მეფე“ სეპაროლი 12 საათის განმავლობაში იღვა მუყაოს კოლოფში, რათა ევა გარდნერი იმ მომენტში გადაეღო, როცა იგი საბანაო ოთახიდან აწეწილი თმით გამოდიოდა. რომელიღაც „პაპარაცი“ კი ინკოგნიტოდ დაესწრო ერთ წვეულებას, სადაც ფირზე აღბეჭდა ნახევრადშიშველი ანიტა ეკბერგი, რომელიც მაგიდაზე ცეკვავდა. მაგრამ ეს სურათი არ გამოქვეყნებულა. ამჯერად გამომცემლები იმ ფაქტმა შეაშინა, რომ ორგიაში ფინანსიური და პოლიტიკური სამყაროს ცნობილი წარმომადგენლებიც მოსაწილებობდნენ.

თვითონ „პაპარაციები“ ამბობენ: „ჩვენ გულის ნაცულოდ ფოტოკამერა, თვალის წინაგულად კი ობიექტივი გვაქვს“. ვიწრო წრეში კი ისინი აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ მათი ხელობა — არაჯანსაღი სენსაციები — ბულვარული პრესის გამომცემლობების მთავარ დასაყრდენსა და არსებობის წყაროს წარმოადგენს.

შეშვიცა

**ჰველაზე ცოტას ფინელები ლაპარაკობენ**

შედემა ეთნოგრაფმა ლოქტორმა სტრანდბერგმა ამას წინათ თავისი გამოკვლევის შედეგები გამოაქვეყნა. მან ეს გამოკვლევა ხუთივე კონტინენტზე ჩაატარა. სტრანდბერგი ამტკიცებს, რომ მსოფლიოში ყველაზე ცოტას ფინელები ლაპარაკობენ. ფინელებს მეორე ადგილზე კანადელები მოსდევენ. ლოქტორის აზრით, ყველაზე ბევრსა და ხმამაღლა იტალიელები, ბრაზილიელები და მექსიკელები ლაპარაკობენ.



მხატვრული რედაქტორი ტიტე შეყილაძე ტექნიკური რედაქტორი მედეა შონია

**რამდენჯერ უნდა იხილოთ მასალები, მოცულობით ერთ თაბახანად, ავტორებს უკან არ დაუბრუნდებათ.**

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლუხანოვის პოსტ. № 91.

**ტელეფონები: რედაქტორის — 5-08-75, პ/მ გივიჩის — 5-08-86, განყოფილებების: კრიტიკის და კუპალიცისტიკის — 5-08-85, კოედიისა და პროზის — 5-08-85.**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/IV-65 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვ. 215. უე 03068. ქაღალდის ზომა 70x108. ტირაჟი 8.500.

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.  
**Комбинат печати. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.**



გაზაფხული

მხატვარი დ. ერისთავი



ბალნეზორის პორტანტი

მ. შვაჩკინის ქ. მადლაშვილი

ՀՆԼՈ 60 ՀՆՀ



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-  
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„ЦИСКАРИ“

ИЗДАТЕЛЬСТВО

„ЛИТЕРАТУРА ԴԱ ԽԵԼՈՎՆԵԲԱ“

ИНДЕКС 76236